მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეათე

№ I

ი ა ნ ვ ა რ ი, 1903

ტფილისი

[illegible]

1903

Дозв. ценз. Тифлисъ, 20 Января, 1902 г.

შინაარსი

ბმ.

I—ჩემი პირველი სიყვარული.—(ეტიუდი) შ. ვრაგვისბირელისა 1

II—ვაი ფაკუისაგან.—ოთხ-მოქმედებიანი კომედია ა. გრიბოედოვისა, თარგმანი განდეგილისა (დასასრული) . 27

III—ხენთი.—რუს-ოსმალოს (1877—1878 წ. (უკანასკნელ ომის დროის ისტორიული რომანი. რაფფისა (თარგმანი სომხურიდან) ბ. ევანგულოვისა (გაგრძელება) . . 53

IV—სამნი.—მ. გორკისა, თარგმანი ი. ბოლუმორდვინოვისა. (გაგრძელება) 107

V—მეფე ლირი (გაგრძელება). 1

დამატება.—საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე.—ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლ—სა . . . 353—384

— თორმეტისა!..—დინჯად უპასუხა კაცია კაციაშვილმა.

— თორმეტისა და...—თითქმის ყველამ ერთად დავიწყეთ, მაგრამ კაციაშვილმა აღარ დაგვათავებინა:

—მართლა და უცნაური თქვენი ამბები ხმის ამოუღებლივ მოვისმინე, და თუ თქვენ ეგრე ყოველ ჩემ სიტყვას ბრჭყალებს ჩაჰკიდებთ, მაშინ ისა ჰსჯობია, გავჩუმდე და აღარა გიამბოთ-რა...

ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ. თვალებით: „ჯერ გაათავოს და მერე...“ ვუთხარით და ერთხმათ ვთხოვეთ:

— კარგი, კარგი განაგრძე! ჩვენ ხმას აღარ ამოვიღებთ.

„სწორედ თორმეტის წლისა შევსრულდი, როდესაც სასწავლებელში გამოცდის შემდეგ გამომიცხადეს, რომ მესამე კლასში გადახვედიო, და სწრაფად შეშის მოედნისკენ გავეშურე, რომ ჩვენებური ურმები, ან კიდევ ჩვენი სოფლის მეზობელ სოფლის ურმები მენახა და გავყოლოდი (შეშის ურმებს მივდევდ-მოვდევდი ყოველთვის).

„მეორე დღეს ჩემი პატარა ბოხჩით ჩვენ სახლს დილაადრიანად წავადექი...

„დედა ჩემი უკვე ფეხზე დამხვდა. ცოცხი ეჭირა ხელში და ეზოსა ჰგვიდა. ურემი შესდგა თუ არა ჩვენ კარ-წინ, რომ გადმოვსულიყავ, დედაჩემი წელში აიხარა და ცოცხით ურმისკენ გამოჰქანდა. დედი ჩემის დანახვაზე თითქმის გადმოვკოტრიალდი ურმიდან, ჩემი ბოხჩის გადმოღებაც კი დამავიწყდა და დედას კისერზე ჩამოვეკიდე...

„სიხარულით ტიროდა დედა-ჩემი. მკოცნიდა, მკოცნიდა განუწყვეტლივ, და მეც ვკოცნიდი და ვსტიროდი... ცოცხი კი ხელიდან არ გაუგდია...

— აჰა, ე ბოხჩა ჩამომართვით!..—შემოგვესმა ჩემი მომყვან მეურმის ხმა.

„მხოლოდ მაშინ გავანთავისუფლე დედი ჩემის კისერი და თვალების წმენდით ჩამოვართვი ჩემი ბოხჩა ჩემ მეურმეს, რომელსაც ჩვენს ცრემლებზედ ცრემლი მოჰრეოდა...

— ღმერთმა მა ბალღის ბედნიერებას შეგასწროს, ჩემო ნათლიდედ, კარგი რამაა!..—ლმობიერებით უთხრა დედა-ჩემს და ურემი გააჭრიალა...

— ღმერთმა შენი ჩიტოს ბედნიერებასაც შეგასწროს, ჩემო ღვთისო!..—გააყოლა ეს სიტყვები დედა-ჩემმა და ისევ გულში ჩამიკრა... ცოცხი ხელიდან მაინც არ გაუგდია...

„ჩემ მისვლაზე ჩემმა და-ძმებმა გამოიღვიძეს. ჯერ ისევ სარეცლის სითბოთი გაჟღენთილ ერთის მკერდიდან მეორისაკენ გადავდიოდი და...

„ყველამ გაღვიებულ მკერდს-ჩამიკრა, ჩამკოცნა და მათმა სითბომ მეც გამათბო...

„— უთუოდ გშიან?!.

„— უთუოდ გწყურიან?!

„— უთუოდ გეძინება?!.

„ერთ ხმად გაიძახოდნენ ყველანი ჩემ სახლში, და სარეცელი, საჭმელი და სასმელი სწრაფად ყველაფერი გაჩნდა, თითქოს ნატვრის თვალი მქონოდეს!..

„თუმცა არც საჭმელი, არც სასმელი და არც ძილი არ მინდოდა, მაგრამ უნებურად ვჭამე, უნებურად დავლიე და, წარმოიდგინეთ, უნებურადვე ლოგინში გავგორდი... იმათ ტკბილ ყურში ჩაჩურჩულებაზე ჩავიძინე კიდევაც...

„როდესაც გამომეღვიძა, მზე კარგად აწეულიყო. კიდევ საჭმელი, კიდევ ალერსი, კოცნა და... გულმა აღარ გამიძლო... ჩემი ტოლ-ამხანაგები, მთლად სოფელი უნდა მენახა...

II

„— შვილო, ყველას სალამი მიეცი, მოიკითხე!.. დაგლოცვენ!..—ეს სიტყვები გამომაყოლა დედა-ჩემმა თან...

„კარებს გამოვცდი თუ არა, უპირველესს ჩემ მოვალეობად ჩავთვალე მღვდლისკენ წავსულიყავ, რომ მისი ლოცვა-კურთხევა ამეღო. კარგი რამ იყო მღვდელი ღვთისავარი!.. ღრმად მოხუცებულს სულ თაფლი გადმოსდიოდა პირიდან და მეც სულ-მწარედ ვეწაფებოდი მის პირს...

„ჩვენი სახლიდან მოძღვრამდის კარგა გზა იყო... გზაში ბევრი ქალი და ვაჟი შემხვდა. მართლადაც ყველა მოვიკითხე, ყველამ ლოცვა-კურთხევით დამტვირთა, და ასე დატვირთულმა სიხარულით მოძღვრის ეზოსთან მივირბინე...

„მაგრამ უცრივ შევკრთი და უკან დავიწიე, როდესაც ღვთისავარ მღვდლის მაგივრად ახალგაზრდა მღვდელი დავინახე. უკან გაბრუნებას ვაპირობდი, რომ მღვდელი შემომეკითხა:

— „შვილო, რა გინდოდაო?

— „არააფერი!..

„დავიბენი...

— „ვისი, ხარ?.. აბა, აქ მოდი!..

„გაუბედავად მივუახლოვდი მოძღვარს; მარჯვენა ხელი შარცხენა ხელს გულზე დავდე და მოწიწებით გავუწოდე ორივე ხელები მოძღვარს.

— „მაკურთხა. ვემთხვიე მის ხელს...

— „ვისი ხარ, შვილო?—უფრო ლმობიერად მკითხა და თავზე ხელი გადამისვა.

„იმის ხელის გადასმაზე, იმის ხმაზე ტანში სიამოვნების ჟრუანტელმა დამირბინა, და გაბედულად, თვალების წკრიალით ვუპასუხე:

— „ბაბალესი!..

„სულ პატარა დავვობლდი. მამა არ მახსოვდა. სოფელში ყველა ბაბალეს შვილს მეძახდა და მეც მხოლოდ დედი-ჩემის სახელი ვახსენე.

— „შენა ხარ კაცია კაციაშვილი?! გამარჯვება!.. როდის მოსულხარ?

„მოძღვარი უეცრივ შეიცვალა. მფარველობითი კილო შეცვალა და თანასწორზე გადვიდა. საჩქაროდ სკამი მომიდგა და ბაასი დავიწყეთ.

„მოძღვრის ამ გვარმა საქციელმა სითამამე მომიმატა და, კარგად მახსოვს, თავისუფლად დავუწყე პასუხის ძლევა, მსჯელობა...

„ვკითხე, თუ ღვთისავარ მოძღვარს რა მოუვიდა. თურმე საცოდავი გადაცვლილა, და მე კი არ ვიცოდი. დედაჩემსაც არ უთქვამს. საშინლად დამნანდა, თითქმის ცრემლებით ამევსო თვალები...

— „ძალიან გიყვარდაა ღვთისავარ მოძღვარი?..

— „ძალიან! როცა შინ მოვდიოდი, სულ იმასთან ვიყავი ხოლმე და საყდარშიაც მე ვეხმარებოდი. იმასაც ვუყვარდი...

— „აი, მეც მომეხმარე ხოლმე და...

„ტყაპ, ტყაპ, ტყაპ!..„ უეცრივ შემომესმა ფეხის ტყაპუნი. მივიხედე იქით, საიდგანაც მოისმოდა, და სწრაფად შესწყდა ტყაპუნი. ჩვენ წინ მოკლე კაბით, შიშველა ფეხებით ჩუსტებში წადგმული, გაზებიც კი შიშველი ჰქონდა, თმა გაკრეჭილი თორმეტ-ცამეტის წლის (პირველ შეხედვაზე ასე მეჩვენა) ქალი წინ გამოგვეჭიმა...

„კანი მეტად ნაზი და თეთრი ჰქონდა. ამ მშვენიერ კანსქვეშ, თითქოს ნაკვერჩხალი გაუღადღადებიათო, გამოჰქვიოდა გაღვიების ელფერი. იმის სახეს ალ-მული ასდიოდა. გაზებსაც კი ასეთი ფერი ედო. შავი თვალები ხომ სულ ცეცხლს აფრქვევდნენ...

„შევკრთი. იმასაც ესევე დაემართა. ორივემ თავები ჩავლუნეთ...

— „ნუნუ, იციი ეს ვინ არის?..—მიჰმართა მოძღვარმა და ჩემზე ანიშნა: ეს ბაბალეს შვილია, გუშინ რომ ჩვენთან იყო. ამაზე არ გველაპარაკებოდა?!.

— „ეხლა ბაბალესგან მოვრბივარ. მინდოდა მეთქვა, კაცია მოსულა მეთქი, და ეს კი აქ დამხვდა...

„თავი მაღლა ავსწიე. შევხედე ნუნუს, რომელიც მე მომჩერებოდა, და ისევ დავხარე. მის სახეს ვერ გავუძელი.. ასეთი ნაზი კანის ქალი ჯერ არ მენახა...

— „კაცი, ეს ჩემი ცოლის დაა! ესეც შენსავით მესამე კლასში გადავიდა... შენ ხომ თორმეტის წლისა ხარ?!. ესეც თორმეტისაა...

III

„ამის შემდეგ მე და ნუნუ დავმეგობრდით. თითქმის ყოველ დღეს ერთად ვალამებდით. პირველ კვირის განმავლობაში ერთმანეთი ცოდნაში გამოვცადეთ. მე უფრო მცოდნე გამოვდექი. ეს, ცოტა არ იყოს, ნუნუს არ ესიამოვნა და კიდევაც გამწყრალი გამშორდა... კვირის უკანასკნელი დღე ისე დალამდა, რომ ნუნუ აღარ მინახავს, თუმცა იმ დღეს რამდენჯერმე ჩავუარ ამოვუარე მღვდლის სახლს. იმ საღამოთიც სახბორეზე გავედი, სადაც ჩვენი უბნის გოგო-ბიჭები თავს იყრიდნენ და „კეკემალულობას“, „აგანგალა-განგალას“ და „ნიშხა ნიშხას“ თამაშობდნენ...

„ნუნუც აქ მოდიოდა ხოლმე, მაგრამ ამ დღეს არ მოსულა. გული ჯავრით მევსებოდა, მაგრამ რას ვიზამდი?..

„დღესაც ვერ ამიხსნია, თუ რად მინდოდა მისი ნახვა! სულ სამი დღის გაცნობილი ვიყავი, ჩემთვის ის არას წარმოადგენდა, და მაშ რად მეჩაგრებოდა გული, რომ ის იმ დღეს ვერა ვნახე?!.“

— მაშინვე მოგდებია და...

— შენ ძალიან ახსნა იცი ხოლმე, ქიტო!..—შეაწყვეტინა ქიტუას სიტყვა კაციამ, როცა იმან კაციას კითხვის განმარტება მოინდომა: —მე მიყვარდა მაშინ დედა, მიყვარდა დაძმანი. ნუნუ კი ჩემი არც და იყო და არც ძმა; დედა ხომ უფრო არ იქმნებოდა. ამ სიყვარულის გარეშე სხვისა რისამე გაგება არასფრისა არ მქონდა. ტოლ-ამხანაგური?!. რა ვიცი!.. არავის უნახავობას ისე არ დავუჩაგრივარ, როგორც იმის უნახავობამ დამჩაგრა იმ დღეს...

„მოწყვეტილი, დაძმარებული შინ დავბრუნდი და მაშინვე ლოგინში გავგორდი. ვახშამიც კი არ ვსჭამე, თუმცა დედა-ჩემმა ბევრი მიალერსა და ლოგინშიაც კი მომიტანა საჭმელი...

„მეორე დღეს დილა-ადრიანად ჩემი საწოლის მზადების შევუდექი. უნდა გითხრათ, რომ სიცხის გამო ყველანი გარედ

დერეფანში ვწვებოდით, რაკი ძირს წოლა მეზარებოდა, რადგანაც ხან-და-ხან ჩვენი მურია ძაღლი მოვიდოდა და, თუ ზედ ჩემ ტანზე არ გაიშხლართებოდა, ფეხებზედ მაინც დამაწვებოდა. ეს კიდევ არაფერი, რომ გაგდება შემძლებოდეს. თუ შევუტევდი და გაგდებას დავუპირებდი, ისეთის თვალით შემომხედავდა, ისე გამომიყრიდა თავის გაალმასებულ კბილებს და თანაც ისე წამომიღრენდა, რომ სული ფეხის თითებისკენ გამეპარებოდა, და უნებურად ვინაბებოდი. მეტად გულ-ამღვრეული იყო ჩვენი მურია.

„აი, ნუნუს შემოწყრომაზედ მურიას საქციელი უფრო მემწვავა. იმ ღამეს სულ არ დამიძინია. მურა ზევიდან მაწვა. განძრევას ვერა ვბედავდი, რომ იგი ყანყრატოში არა მწვდომოდა. ჩემები კი ხვრინავდნენ... ვფიქრობდი და ვფიქრობდი, თუ მურას მაინც როგორმე გადავრჩენილიყავ. ფეხები სულ დამიბუჟდა. ის ჩემი ცოდვით სავსე მურა არც კი ინძრეოდა. „გვერდი მაინც იცვალოს—ვნატრობდი—რომ მეც ამ დროით ვისარგებლო და გამოვაძრო ფეხები. მაგრამ... მამლებმა იყივლეს... დედა-ჩემი გადაბრუნდა და წამოიძახა: „ღმერთო შენ იყავ ჩემი შვილების მფარველი!..

„— დედი!..—გულ-საკლავად წავკნავლე დაბალის ხმით, რომ მურასთვის ძილი არ გამეფრთხო.

„— კაცი, შვილო, რა გინდა?!. არა გძინავს, გენაცვალოს დედა!..—საჩქაროდ გადმომხედა ამ სიტყვებით დედა-ჩემმა და პასუხის მიცემა ვერც კი მოვასწარ, რომ დედი-ჩემის ტატანი და სახრის ტყლაშუნი უეცრივ ერთად გაისმა. ეს დედა-ჩემმა თავისი სახრე, რომელსაც ღამე ყოველთვის თავის გვერდით იდებდა, მურას გადუჭირა...

„დაფეთიანებული მურა ეზოში გავარდა წკმუტუნით, მერე დაბნევით ოდნავ ყეფა დაიწყო და შემდეგ უფრო მოეხშირა, რადგანაც მეზობლების ძაღლებმაც ხმა მისცეს...

„მე კი, განთავისუფლებული ამ ტანჯვისგან, დედა-ჩემისკენ გადავგორდი, რომელმაც ფეხები გამიზილა, ჩავეკარ და. ალარა გამიგიჟ-რა, რაკი ფეხებში სისხლმა თავისუფლად მო-

ძრაობა დაიწყო... ღრმად ჩამეძინა. მგონი, ჩემმა და-ძმებმა გამოიღვიძეს და შეიტყეს, რომ მეორე დღეს ალერსით დამცინოდნენ...

„სოფელში რაც უნდა გვიან დაიძინო, მაინც დილა-ადრიანად გამოგეღვიძება. ისეთი რა მძინარა უნდა იყვე, რომ ყურში მოსაწველი ძროხა ჩაგბღაოდეს და ხბოს თავისკენ იწვევდეს, ხბო კიდევ მოუსვენრად იბრძოდეს და ბღაოდეს, ძაღლი გამვლელს საშინელის ყეფით ზედ ჰვარდებოდეს და ქათმები კიდევ, ნამეტნავად თუ გარედ სწეხარ, ზედ თავ-პირზე გახტებოდნენ საკენკის მოლოდინში, რომ არ გამოგეღვიძოს?!.

„მართალია, ძილის-გუდა ვიყავი, მაგრამ ამ ხმაურობამ მაინც გამომაღვიძა. თვალები გავახილე თუ არა, მაშინვე ეზოში ოთხი ბოძი დავინახე, და სწრაფ თავში აზრმა გამიელვა: აი, იმ ბოძებზე რომ დაიძინო ხოლმე, მურა აღარ შეგაწუხებს!..

„ეს აზრი რომ არ მომსვლოდა, უეჭველად გვერდს ვიცვლიდი და ისევ ძილს მივსცემდი თავს. მაგრამ ეხლა კი ძილი სულ გამიფრინდა. საჩქაროდ ჩავიცვი. ბოძებთან მივირბინე და გარს შემოვუარე...

„კარგად მახსოვს, რომ ამ ბოძებზე სიმინდის ძარი იდგა, ეხლა კი მარტო ბოძებიღა ერჭო; სიმინდის ძარი როდის შესკუპდებოდა ზედ, ამის წარმოდგენა ძნელი იყო. მანამდის კი შინდოდა მესარგებლნა, ზედ ჩემი საწოლი გამემართა, და ამ გვარად მურას გადავრჩენილიყავ...

„განვიზრახე და განზრახვის ასრულებასაც შევუდექი. მაშინვე ცული, წალდი და ხერხი გარედ გამოვიტანე. ბოძებს შუა ადგილები გადავზომე და ფიჩხიდგან ბოძებზე გასადებ ოთხი ხის გამორჩევა დავიწყე...

„ერთი ხე უკვე გავსხიპე, რომ ნაცნობი ხმა შემომესმა:

— „დილა მშვიდობისა, ბაბალე!!.

— „ღმერთმა გაგაბედნიეროს, შვილო! — უპასუხა დედა-ჩემმა და ძროხა ნახირისკენ წინ გაიგდო.

„ნაცნობ ხმის გაგონებაზე კინალამ გავქანდი, მაგრამ ჩქარა თავი შევიკავე და შუბლ ქვევიდგან გავიხედე; ხის ჩორკნა კი არ შემიწყვეტია.

„ნუნუ დედაჩემს ელაპარაკებოდა, მაგრამ თვალები ჩემსკენ ჰქონდა...

„— კაცი, აი, ნუნუ გკითხულობს!—ხმა-მაღლივ დამიძახა დედაჩემმა და ძროხას ჯოხი დაარტყა, რომელმაც ისარგებლა დედიჩემის შეფერხებით, რომ თავის ხბოსთვის ძუძუ კარგად მიეცა.

„ძროხა მძიმედ შეინძრა; ხბო უკან მოიგდო. ხბომ კი ლაჯებ შუა თავი შეჰყო და ისე უკან დევნით წოვა დაიწყო. დედაჩემიც მძიმედ აჰყვა ძროხას...

„ნუნუ?..

„ნუნუ ადგილიდგან არ იძვროდა და თვალს მე არ მაშორებდა. არც მე ვაშორებდი თვალს. თუმცა შუბლის ქვეშიდგან კი გავსცქეროდი და ხის ჩორკნას თავს არ ვანებებდი. ნუნუ მძიმედ ჩემკენ წამოვიდა, ჩქარა შორი-ახლოს შესდგა და:

„— რას აკეთებ, კაცი?..—გაუბედავად შემეკითხა.

„მეტად ველარ შევსძელ თავის შეკავება. მაშინვე მივუახლოვდი და:

„— გამარჯვება, ნუნუ!.. სიხარულით მოვიკითხე.

„ცოტა კიდევაც ვუსაყვედურე, რომ წინა საღამოს სათამაშოდ არ გამოვიდა.

„ნუნუც მომხიარულდა. დაწვრილებით ავუხსენი ჩემი საწოლის გეგმა და ორივენი გულმოდგინეთ შევუდექით მუშაობას. არც კი გაგვიგია, როგორ გავდევით ოთხი კეტი კაპიან ბოძებზე, წნელით როგორ დავამაგრეთ და ზედ შემდეგ როგორ გავაწყეთ წვრილი ჯოხები, წვრილი ფიჩხი და ფუჩეჩი... ლოგინის გაშლა-ღა უნდოდა ზედ, მეტი არაფერი...

„— აბა, ეხლაც ამოვიდეს ჩემ ლოგინზე მურა!..—მედიდურად წამოვიძახე, როდესაც ნუნუმ უკანასკნელი ფუჩეჩის კონა მომაწოდა და ზედ გავშალე...

„— რა მურა?!—ცნობის-მოყვარეობით შემეკითხა ნუნუ.

„შემრცხვა. თავი ჩავლუნე,—ვითომც არ გამიგონია...

„— კაცი, მოდი პური ჭამე, თორემ...

„— ეხლავე, დედი, ეხლავე!..—სიხარულით შევაწყვეტინე დედას სიტყვა და ძირს გადმოვხტი...

„მე და ნუნუ შევედით სახლში. იმას კიდევაც დაავიწყდა თავისი კითხვა.

„დედა-ჩემმა კი ორი ჯამი „ჩაფაშრული დო“ *) წინ დაგვიდგა... სიცილ-კისკისით დავიწყეთ ჭამა. დედა-ჩემმაც თავისთვის მოიდგა ჯამი და ისიც ჩვენთან ერთად შეექცეოდა...

„— ნეტავი თქვენ ბედნიერებას შემასწრო, შვილებო!

„მე და ნუნუმ ერთმანეთს შევხედეთ, ორივე გავწითლდით და ორივემ თავები ჩავლუნეთ... თითქოს, ისე სიამოვნებითაც აღარ ვჭამდით დოს...

„დოს ჭამაში გავაპარეთ სირცხვილი; ჩქარა ისევ მხიარულად, სიცილით დავიწყეთ ლაპარაკი და სიცილით ორივე გარეთ გავცვივდით, როდესაც ჯამები დავაცალიერეთ.

IV

„ნუნუ და მე შევრიგდით. ის ნაკლების ცოდნით არ უკადრისობდა და მე კიდევ მეტით არ ვამაყობდი... თითქოს ორივეს დაგვავიწყდა ყველაფერი, რომ ერთხელაც არ გვიხსენებია ჩვენი უზრახობა... ნუნუზე არას გეტყვით, და მე კი ერთხელაც არ გამხსენებია მთელი ზაფხულის განმავლობაში. მე მხოლოდ ის მიხაროდა, რომ ნუნუს ყოველ დღე ვხედავდი.

„რად?..

„არ ვიცი! ეხლაც, ვამბობ, ვერ ამიხსნია, მისი გაღვიებული თვალები, მისი სახე სიხარულს რად მგვრიდა და რად მინდოდა მუდამ ჩემთან ყოფილიყო, ან კიდევ მე მასთან

*) ქოთანში ხმელ პურს ჩაამტვრევენ და შემდეგ დოს ჩაასხამენ. ერთი-ორი საათის შემდეგ შეიძლება იმისი ჭამა.

ვყოფილიყავი. ალეც იყო. ჩვენ ერთმანერთს მხოლოდ ძილი გვაშორებდა. ის ოთავის სიძის სახლში იძინებდა და მე კიდევ ჩემ სიმინდის ძარის ბოძებზე გამართულ ტახტზე. მურა ალარ მაწუხებდა, და მეც თავისუფლად ვსუნთქავდი... ისე სიამოვნებით არას დროს არ მძინებია, როგორც იმ დღეებში...

„ნუნუს ძალიან მოსწონდა ჩემი საძილო... „ნეტავი შენა, რომ მაგისთანა კარგ ადგილას გძინავსო“ ხშირად მეტყოდა ხოლმე ნუნუ. მისს სიტყვებზე მე მხოლოდ ვიღრიჯებოდი...

„ერთ საღამოს, როდესაც ადრე ვახშამი ვქამეთ, და ჩვენები დასაძინებლად ლოგინში ჩაწვნენ, მე და ნუნუ ჩემ საწოლთან მივედით და ვლაპარაკობდით, ვიცინოდით. მიდგმულ კიბეზე ავედით და ჩემ ლოგინზე გულ-ალმა გადავგორდით. ორივენი გავჩუმდით და მოქათქათე ვარსკვლავებს მზერა დავუწყეთ...

„უმთვარო ღამე იყო. ცა მოწმენდილი. უხვად მობნეული ვარსკვლავები უფრო მკაფიოდ მოკრთოდნენ, ციმციმობდნენ და ჩვენ თვალს აცეცებდნენ... სარტყლად გადავლებული „ხარის ნავალი“ გადაჭიმოდა ზედ შუაზე ცას. „ირმის ნახტომი“ კი შუა ცაზე სწყდებოდა...

„თვალები მითამაშებდნენ. ყველაფერს თვალს ვაყოლებდი. ცა ხან ღრმად-მუქ-ლურჯად მეჩვენებოდა, ხან კიდევ ცრიაგად... ერთი ვარსკვლავიდან მეორეზე გადახტოდა ჩემი თვალი და...

„— ნეტავი შენა, კაცი, რომ ცის ქვეშ გძინავს!..

„უეცრივ წამოიძახა ნუნუმ და თავი ჩემკენ გადმოხარა.

„ძაშინვე მეც მისკენ გადავხარე თავი და, ძმობას გეფიცებით, ცაზე არც ერთი ვარსკვლაკი ისე მოელვარე და მიმზიდველი არ იყო, როგორიც იმ წამს მისი თვალები...

„— თუ გინდა, აქ დაიძინე, ნუნუ!..— უნებურად წამოვიძახე და მთლად მისკენ გადავბრუნდი.

„ისიც გადმობრუნდა. მარჯვენა მკლავი მის კისერ ქვეშ გავატარე და მარცხენა კიდევ ზევიდან გადავავლე. ნუნუ ჩემ ხელს მოჰყვა. იმანაც გადმომხვია ხელი. მეც და იმანაც თვა-

ლები დავხუჭეთ. უფრო მივიწიეთ ერთმანეთისკენ, და მისი სუნთქვა ლოყას მიორთქლავდა, ისე ახლოს ვიწექით...

„— ადრე გელვიძება ხოლმეე, კაცი?—დამეკითხა ნუნუ ცოტა სიჩუმის შემდეგ.

„— ძალიან!—ვუპასუხე და უფრო იმისკენ მივიწიე.

„იმანაც მოიწია.

„— არა მგონია, ჩემზე ადრე გელვიძებოდეს!

„— ღმერთმანი, ძალიან ადრე მელვიძება!..

„— დღეს დედა-შენმა არა თქვა, ფეხით რო დაითრიოს ვინმემ, ვერ გაიგებსო!..

„— ეგ მხოლოდ ღამოობით... დილით კი...

„ნუნუმ ამ დროს თავი ოდნავ მაღლა ასწია, მისი ლოყა ჩემ ლოყას შეეხო. მაშინვე დაუშვა თავი და სწრაფად ჩემი ტუჩები მისას შეეხნენ. მისებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ...

„— ღმერთმანი, ადრე მელვიძება!..

„— მე უფრო ადრე მელვიძება!..—დაიჟინა ნუნუმ.

„— დავნაძლევდეთ!..

„— დავნაძლევდეთ!..

„ორივენი წამოვჯექით ლოგინში...

„— როცა მე გამელვიძება, დედა არ მომიკვდება, სიძეს ისევა სძინავს ხოლმე!..

„— მე მაინც შენზე ადრე მელვიძება!.. აი, გუშინ დილას ხბო გამოიქცა თქვენკენ; უკან დავედევნე, და თქვენი კარი ჯერ ისევ მოხურული იყო...—ცოტათი ვიმტყუვნე...

„— დედა არ მომიკვდება, გუშინ ნახირიც არ დამდგარიყო, რომ ავდექი!..

„— მაშ დავნაძლევდეთ!

— დავნაძლევდეთ!

— რაზე?..

— თუ გინდა კოცნაზე!

— კარგი!

„— ბაბალეე!..—ამ დროს გაისმა ხმა ჩვენს ახლოს და ჩვენც ლაპარაკი შევწყვიტეთ.

„მურამ ალარ დაგვაცადა. იმან გასცა პასუხი და წინ გადუხტა.

„ჩვენებმა ვერც კი გაიგეს, ისე დასძინებოდათ.

„— ჩვენი ბიჭია!..—მაშინვე წამოიძახა ნუნუმ და ძირს ჩავიდა.

„მეც უკან ჩავყევი.

„— გადი, შე ვერანავ!—უტევდა ბიჭი მურას, რომელიც გამალებით ზედა ჰვარდებოდა.

„— ვინა ხარ?—დავეკითხე მე და ნუნუს წინ გადვურბინე.

„მურა გაჩუმდა ჩემ ხმაზე.

„— ნუნუ მანდ არის?..

„— აქა ვარ!..—უპასუხა ნუნუმ...

„— დრო არის, წამოდიო „ფოფოდიამ“!..

„— მოვდივარ!..

„— კაცი,—მერე მე მომიბრუნდა,—მაშ, აბა, დილაზე ვინ უფრო ადრე ადგება!

„— კარგი!..

„...დავიძინო?.. არა!... დავიძინო?!. არა... არა... ჰო... არა.... ვეკითხებოდი ჩემ თავს და „ჰო“, “არას“ გავიძახდი, როდესაც ფეხის ხმა მისწყდა, და საბანა წავიხურე:

„არა...არა... ჰოოო.... არაააა...

„ჟრიამული გააქვთ ჩვენ ეზოში ხეებზე ფრინველთ, საქპთმეში მამლები და დედლები ფრიალობენ, გარედ გამოსვლას ჰლამობენ; ძროხები ბღავიან და ხბორები ხომ...

„ჰოო... არა... არა... ჰო!..

„წამოვჯექი ლოგინში. თვალები მოვიფშვნიტე...

„არა... არა... ჰო... ჰოოო... არაააა.....—ვიმეორებდი უგონოდ....

„ცა გაცრიაგებულიყო. ფრინველი ჟივილს უფრო უმატებდა... ხმაურობა გამეფებულიყო. მაგრამ ჩვენები დერეფანში ისევ იწვნენ. მურაც ხმას არ იღებდა...

„— დილა-მშვიდობისა, კაცი, რა ადრე გაგიღვიძნია?..

„მივხედე. ჩვენი მიზობლის რძალი იყო. კოკა მხარზე ედო. წყლის მოსატანად მიდიოდა. ჩემ პასუხს არ მოუცადა. ქალის ჩუსტებს მიაწკაპუნებდა...

„ჰო.... არა....

„...მართლა!..—უეცრივ წამოვიძახე და საჩქაროდ ჩაცმა დავიწყე.

„სწრაფად ჩემ გონებას ბინდი გადაეყარა, და ყველაფერი შომაგონდა. მომაგონდა, რომ ნუნუს დავნაძლევდი და...

— ძალიან სულელი ჰყოფილხარ, ჩემო კაკი, მაშინვე!..— შეაწყვეტინა კიდევ ანდრო დარახველიძემ...—შენ ადგილას, რომ ვყოფილიყავ, კარგად გამოვიძინებდი... შენ აკოცებდი, თუ ის გაკოცებდა, სულ ერთი არ იქმნებოდა შენთვის?..

— კოცნა კი არა, ჯობნა მინდოდა!—გულ-უბრყვილოდ უპასუხა კაციამ...

— ჰო და, აკი გეუბნები: პატარაობითვე სულელი ჰყოფილხარ!..

— კარგი, ხმა გაიწყვიტე!:.—შევუტიეთ თითქმის ყველამ ერთად ანდროს და შემდეგ კაციას შევთხოვეთ, რომ განეგრძო...

„ანდროს დიდი გონება—დაიწყო კაციამ:—ბავშვის მოქმედებას, აბა, როგორ მიაქცევს ყურადღებას და გამოიკვლევს?!. მე კი, როგორც სულელს, „მაშინვე“ გამარჯვება მინდოდა. მხოლოდ ამ აზრით დავიწყე ფაცი-ფუცით ტანისამოსის ჩაცმა და კოცნა სრულებით არ გამხსენებია...

„ყველაფერი ავხსენი, მაგრამ ის კი ველარ გამოვიკვლიე: შეძინა იმ ღამეს, თუ არა?.. თუ მეძინა, მაშ რა კითხვითაც დამიძინია, იმავეთი გამომღვიძებია.—„ჰოო... არა...“„ ვიძახდი ღამეც და დილითაც...

„— შვილო, კაკი, საით გამგზავრებულხარ?.. დამიძახა დედა-ჩემმა დერეფნიდან, როდესაც ჩემი საწოლიდან გადმოვხტი.

„მიდგმულ კიბეზე არც-კი ჩამოველი, ისე გადმოვხტი...

„— არსად, ეხლავე მოვალ!..

„— მოდი, გენაცვალოს დედა, შვილო, ხბო დამიჭირე, ძროხას ჩამოვწველავ...

„— სანამ შენ ადგები, მეც მოვალ! ვუპასუხე და მოვკურცხლე.

„დედა-ჩემის ხმა მომესმა და სიტყვები კი აღარა. უკან რა სიტყვები დამადევნა, არ გამიგონია.

„გზაში დამხვდა ვინმე თუღა, არ ვიცი. სწრაფად ჩვენი მღვდლის კარებთან მივირბინე. შევაჭრიალე თუ არა ეზოს კარი, მღვდელი დავინახე, რომელიც ის-ის იყო ოთახიდან გამოვიდა. ეტყობოდა, ჯერ პირიც არ დაებანა, რომ თმა და წვერი ისევ აბურძგნული ჰქონდა...

„— კაცი, რა ამბავია?!—გაკვირვებით დამეკითხა მღვდელი.

„— ნუნუს ღვიძავს?!—გულის ფანცქალით ვკითხე პასუხად.

„უეცრივ—მღვდლის დანახვაზე—შევკრთი, და გული ამიფანცქალდა. მეგონა, ნუნუც ამდგარი იქნებოდა...

„— არა!.. რა იყო?...

„— ვაჯობე!.. ვაჯობე!..—სიხარულით ტაში გავკარ და სიცილით მღვდელს მოვეხვიე.

„— კაცი, ვერა გავიგე-რა... აბა, შვილო, დალაგებით მითხარი, რა ამბავია — დამეკითხა მღვდელი და თან ალერსით თავზე ხელს მისვამდა, როდესაც სიხარულით მის წინ ვხტოდი და ხელებს ვაფათურებდი მის კაბის ნაოჭებზე.

„— წუხელის მე და ნუნუ დავნაძლევდით, ვინ უფრო ადრე ადგებოდა...

„— ჰო, ეხლა კი მივხვდი, ნუნუმ რად მითხრა დილაზე ადრე გამაღვიძეო! მე კიდევაც დამავიწყდა.

„— ეგ რა ჯობნება იქნებოდა, თქვენ რომ გამოგეღვიძებინათ!..

„ — განა შენ თითონ გამოიღვიძე?

„— მაშ!.. არ ვიცი, მთელ ღამეს მეძინა, თუ მეღვიძა!

„— როგორ?

„— ისე!..

„— ჰმ!.. მერე სანაძლაოში რა გერგება?..

„— ერთხელ კოცნა

„— ხა, ხა, ხა, ხა!... მართლა?!

„— თქვენი მადლი არ მრისხავდეს, მართალს მოგახსენებ (ამ სიტყვებს დედა-ჩემი ჰხმარობდა ხოლმე მღვდელთან ლაპარაკის დროს, და მეც ეს სიტყვა-სიტყვით გავიმეორე).

— „ხა, ხა, ხა, ხა!.! უფრო გულიანად გადიხარხარა და დაუმატა ჩემთვის გაუგებარი სიტყვები: „ო, სანკტა სიმპლიციტას“!...

„შემდეგში, როდესაც ილოვაისკისაგან შეთხუპნულ ისტორიის სახელმძღვანელოს „ვკბილავდი“ და ეს ლექსი შემხვდა, მომაგონდა მღვდელი, ნუნუ, და მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ რადა სთქვა. მაშინ კი ვერა გავიგე-რა...

„— ღმერთმანი, ძარტო ერთხელად კოცნაზე დავნაძლევდით!. —წავილუღლუღე, რადგანაც მღვდლის ხარხარზე და გაუგებარ სიტყვებზე შევკრთი...

„— ეეჰ, ჩემო კაცი, რატომ მაგრე შეჰკრთი?!.. უეცრივ ხარხარი შესწყვიტა მღვდელმა და თავზე ხელის სმით ოთახში შემიყვანა.

„მღვდლის ღარბაზი ფარდით ორად იყო გაყოფილი. კარგად ვიცოდი, სადაც იძინებდა ნუნუ. დარბაზში შევიდოდით თუ არა, მაშინვე პირველად ნუნუს საწოლს დავინახავდით. ფარდის იქით კი მღვდელი და მისი ცოლი იძინებდნენ...

„— აჰა, ნუნუ აგერ არა წევს!..

„— ჰა, ისევ სძინავს!..—სიხარულით წამოვიძახე, როდესაც ნუნუს ლოგინში თვალი მოვკარი, და საჩქაროდ იმასთან მივირბინე.

„სრულებითაც არ შეეშკრთალვარ, რომ ნუნუ თითქმის უსაბნოდ და უარარაოდ იყო. ის იყო მის შიშველ მკლავისთვის ხელი უნდა წამეევლო და გამელვიძებინა, რომ მღვდელმა წამოიძახა:

„— აბა, კაცი, სანაძლევო ეხლავე უნდა აიღო და ძალიან მაგრადაც აკოცო მძინარეს...

„— რა ამბავია, მღვდელო?!.—ფარდის იქითგან დაეკითხა მღვდლის ცოლი ნამძინარევის ხმით და ტახტი შეაჭრიალა. უთუოდ გვერდი იცვალა.

„— ვინაა?—ნუნუმ უეცრივ თვალები მოიფშვნიტა და წამოიწია.

„უკან დავიწიე...

„— იცი, „ფოფოდია“, ნუნუ კაციას დაჰნაძლევებია ერთ კოცნაზე!..

„— რაოო?.

„ამ დროს ნუნუს თვალები და ჩემები ერთმანეთს შეჰხვდნენ და... ნუნუ სწრაფად წაეხვია საბანში და პირქვე წაწვა. თვალი მოვკარ, რომ მისი სხეული აწითლდა, და მეც მხოლოდ მაშინ ამეწო ლოყები და ყურები.

„— რაოო?!.—უფრო გამორკვევით იკითხა მღვდლის ცოლმა.

„— ვინც ადრე ადგებოდა დღეს, იმას უნდა ეკოცნა და, აი, კაციამ აჯობა. ეხლა...

„— არა, ღმერთმანი, არა!..—მწუხარებით გამოიკნავლა საბნის ქვეშიდგან ნუნუმ.

„ამ ხმაზე ხომ სულ ჩემი დამემართა. სხეული სულ შემიტენიანდა, ამიცახცახდა; ყურებმაც კიღევ შეილი დამიწყეს. თაგვის სორო ძვირფასად გამიხდა... უეცრივ გავტრიალდი და შურდულის ქვის სისწრაფით გარედ გავვარდი...

„— სანაძლეო აქა გრჩება, სად გარბიხარ?!—სიცილით გაშომაყოლა ეს სიტყვები მღვდელმა...

„უკანაც აღარ მიმიხედნია. მოვრბოდი, და სირცხვილისაგან ვიწოდი; სახე მეხრუკებოდა...

„დედაჩემი ის-ის იყო საწველლით ხელში სახლიდგან გამოვიდა და ძროხასთან მივიდა, როდესაც მე მივირბინე დასწრაფად ხბოსკენ გავქანდი. ხბო ბლავილით გაჰქანდა, კარი გავუღე თუ არა, და საჩქაროდ ცურს დაეტაკა...

„— ოჰო, ჩქარა დაჰბრუნდი, შვილო!—გაკვირვებით დამეკითხა დედაჩემი და ხბოს მოსაგერისებლად იქავე ჩაჯდა.

„არა ვუპასუხე-რა...

„ხბო ბოძზე გამოვაბი, დედაჩემმა საწველელი ყრუთ აახმაურა: მე კი სახე მეწოდა, თვალწინ სულ მღვდლის სახლი მედგა და ყურებში ხომ მხოლოდ მღვდლის სიცილი...

„— უი, დამიდგეს თვალები!! აქნობამდის ხბო არ შიგიშვია! მწუხარებით წარმოსთქვა დედა-ჩემმა და ხბო აუშვა..

„თურმე დედა-ჩემს ჩამოეწველა ძროხა, რძე შინ შეეტანა და ცეცხლზე შემოედგა. მე კი ისევ ისე გარინდული ვიდექი და მეგონა, რომ ჯერ ისევ ჰსწველავდა.

„ხბო გიჟივით ძროხის ცურს ეძგერა და თავის ჯლაგუნით საჩქაროდ პირის ნაპობის კუთხეები აიქაფა...

„ორმა კვირამაც გაიარა, რომ მღვდლის სიცილი ისევ ყურებში მედგა. ყოველ ამ ხმაზე ვწითლდებოდი, და ჭირის ოფლს მასხამდა. იმის სახლს თოფის სროლაზე ვერიდებოდი და ნუნუსთვის ხომ თვალიც აღარ დამიკრავს. არ ვიცოდი, სად იყო და სად არა. ვფიქრობდი: „უთუოდ გარედ აღარ უშვებენ-მეთქი“. ეს გარემოება სულ ტანში მშლიდა...

„ერთად ერთი ჩემი გართობა ვენახში სიარული იყო. დილა ადრიანად ნახევარ პურს იღლიაში ამოვიდებდი და ვენახისკენ მივეშურებოდი. იქ შუა ვენახში თუთის ქვეშ ვგორაობდი და მარტო ნუნუზე ვფიქრობდი.

„რაკი ტფილისის სკოლაში ვსწავლობდი, დედა-ჩემი ამისთვის დიდ თავისუფლებას მაძლევდა. ჩემ სულიერ ვითარებაში არ ერეოდა... „დაისვენოს, ქა!..—იტყოდა ხოლმე დედა-ჩემი, როდესაც მის დაკითხვაზე: „სად მიხვალ?“ მოკლედ ვუპასუხებდი: „ვენახში“...—მთელ ცხრა თვეს სულ აწი... აწი უდგას...“

„მესამე კვირაც გადიოდა, რომ ნუნუს შესახებ არა გამიგია-რა. განა ვერ გავიგებდი, მაგრამ მრცხვენოდა, დავკითხებოდი ვისმე... ვერა ვბედავდი...

„სწორედ მესამე კვირის პარასკევ დღესაც ჩვეულებრივ ვენახში თუთის ქვეშ გულ-ალმა ბალახებში გადაწოლილი ვიყავი, და ჩემი გონება დამწყვდეულს, ხელ-ფეხ შეკრულ ნუნუს თავს დასტრიალებდა, რომ უეცრივ ვაზის ფოთლებმა შრიალი დაიწყეს, ბალახიც ახმაურდა, და ფეხის ხმა მოისმა...

„ყოველივე ეს მეუცხოვა... თითქმის სამი კვირის განმამავლობაში აქ ვიწექი, ყოველ წამს ერთსა და იმავე არსებაზე ვფიქრობდი, და არც ერთხელ ჩემი მყუდროება არას დაურღვევია. გული ამიტოკდა... შიშმა შემიპყრო, უნებურათ წამოვდექ და იქით მივტრიალდი, საიდგანაც შრიალი მოშეს მა...

„ვაზის ხშირი ფოთლები გაირღვა და... შევკივლე კიდევაც... ნუნუ გამოჩნდა... ჩემ დანახვაზე ის აწითლდა. მწვანე ფოთლებ შუა იგი ღვიოდა...

„— ნუნუ!

„— კაცი!...

„და... ორივენი... არა, ორნი, ერთ არსებად გარდაქმნილნი, ჩავეხვივენით თუთის ქვეშ...

„მხოლოდ გონს მაშინ მოვედით, როდესაც ბინდი შემოგვეპარა. ნუნუ ვენახს გავაცილე და მოვშორდი, რომ ერთად არავის არ ვენახეთ...

„ამის შემდეგ მე და ნუნუ თუთის ქვეშ ყოველ დღე ვხედავდით ერთმანეთს რამდენიმე წუთით მაინც, თუ დიდ ხნობით სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ერთად ყოფნა არ შეგვეძლო...

„შევფიცეთ ერთმანეთს საუკუნო სიყვარული, ცოლქმრობა აღუთქვით ერთმანეთს... ყოველ დღე ერთსა და იმავეს ვიმეორებდით, და ერთმანეთისადმი გრძნობა უფრო გვიძლიერდებოდა... ღამე ჩვენთვის სასჯელი იყო, დღე კი—სანატრელი...

„ამასობაში ენკენისთვემაც მოატანა. გადავსწყვიტეთ ტფილისისაკენ ერთად მოგზაურობა, მაგრამ სრულებით სხვა-და-სხვა დროს მოგვიხდა წასვლა...

„ტფილისში ნუნუ ველარ ვნახე. განა კი არ ვიცოდი, სადაც იყო, მაგრამ მისვლას ვერა ვბედავდი, მერიდებოდა, და მგონი კიდევაც რომ გამებედნა მისვლა, არ მაჩვენებდნენ, რადგანაც მოსწავლე ქალების ნახვა მხოლოდ ნათესავებს შეეძლოთ. რა გაეწყობოდა, უნდა გარემოებას დავმორჩილებოდი და კიდევაც დავმორჩილდი. იმედი ისევ ზაფხულზე დავამყარე. ზაფხულის მოსვლა ასე არას დროს არ მომნატრებია, როგორც ამ ზამთარს. ყოველი განვლილი დღე ზაფხულს მიახლოვებდა და სიხარულს მგვრიდა. დღესასწაულების დროს კი სახლში არ მიშვებდნენ, რადგანაც მგალობელთა გუნდში ვიყავი.

„წინად—სოფელში—თითქმის ყოველ ღამეს სიზმარშიაც ვხედავდი, და აქ კი—წარმოიდგინეთ ჩემი გაბრაზება—ერთხელაც აღარ მესიზრმა...

VI

„..— შვილო, ეხლა ახალი მღვდელი მოგვივიდა. ის თავის სოფელში გადიყვანესო...—მიპასუხა დედა-ჩემმა, როდესაც მისვლის უმალ მღვდელზე ვკითხე.

„პირს კატა მეცა. მაგრამ რაღა გაეწყობოდა... ეხლა ნუნუს ნახვის იმედი სულ დავკარგე. როგორღა მოვხვდებოდი?.. მე ჩემი სოფლის მეტი სხვა სოფელი არ მენახა, და, აბა, ვინ წამიყვანდა მღვდლის სოფელში. ერთხელ კიდევაც ვკითხე დედა-ჩემს: „შორს არის მეთქი ის სოფელი“, და „მგონი ზღვის იქით არისო“ მიპასუხა...

„..ნუნუ... ნუნუ... სულ თვალ-წინ მედგა ნუნუ. თუთის ხე მოწმე იყო. იქ... იქ ვებაასებოდი, ვეალერსებოდი ნუნუს ლანდს. . ლანდიც იგრეევე მხიარულობდა, როგორც ნამდვილი... ეხლა ლანდს დავუმეგობრდი და ტკბილად, ნეტარად

ვატარებდი დროს. ის ყოველთვის ჩემთან იყო. დღეცა და ღამეც ჩემთან იყო, და არავინ გვაშორებდა ერთმანეთს...

„ერთხელ, მხოლოდ ერთხელ კინაღამ არ დამაშორეს ჩემ მეგობარს!. მარიამობის თვის ნახევარში დარჩენილ კოდის ჰურის ასაღებად მოვიდა ჩვენ სოფელში ის მღვდელი და ნამდვილი ნუნუ ჩაერია ჩვენ შორის... მღვდლის დანახვამ ნამდვილი ნუნუ მომაგონა და სიხარულით მივეგებე მღვდელს. იმანაც მხიარულად მიმიღო. მაგრამ არც მე და არც იმას ნუნუ არ გვიხსენებია.... ნამდვილი ნუნუ ისევ მიიმალა და მეგობრები უფრო დავკავშირდით. მეგობრები ენკენისთვეში ერთად წავედით. ერთად ვსწავლობდით და ერთმანეთს ვამხნევებდით...

სამმა წელიწადმა ისე გაირბინა, რომ ვერც კი გავიგე. ამ წელს მითხრეს, რომ ნუნუ დაინიშნა და ჯვარს ენკენისთვეში იწერსო. ეს ჩემთვის მოულოდნელი არ იყო. თითქოს ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა. სრულებით არა მწყენია. სამაგიეროდ ჩემი გრძნობა უფრო მეტკბილა. ჩემი მეგობარი, რომელიც ჩემთან განუშორებელი იყო, უფრო შემიყვარდა. ჩემი ნუნუ უფრო მეგრძნობიერა.

„ამის შემდეგ ნამდვილ ნუნუზე აღარა მსმენია-რა. თითქოს ის ჩემთვის მომკვდარიყოს, ისე მიმავიწყდა. აღარც ვკითხულობდი... და, აი, დღეს, სწორედ დღეს სურამიდან დილის მატარებელით წამოველი და გორში, თუმცა მშიოდა, როგორღაც მეზარებოდა, ვაგონიდან არ გავსულვარ, კარების პირდაპირ ვიჯექი და გამსვლელ-შემომსვლელს დაღვრემილი თვალს ვადევნებდი; მაგრამ გონება კი, არ ვიცი, სად დაფრინავდა. ამ დროს კარებში გამოჩნდა ჩემი ნუნუ, განხორციელებული ჩემი ნუნუ, რომელსაც ამ თვრამეტის წლის წინად დავუმეგობრდი. ის ისევ ისე ღვიოდა, ისევ ისე თვალებს აბრიალებდა, როგორც ამ თვრამეტის წლის წინად, ომაც კი ისევ ისე გაკრეჭილი ჰქონდა. წელიწადებს იმაზე არ ემოქმედნა...

„სწორედ ისევ-ისე ამიცქრიალდა გული, როგორც მაშინ თუთის ქვეშ, როცა მისი ფეხის ხმა შემომესმა, და ვაზის ფოთლებ-შუა ღვიოდა.

„— ნუნუ!..—წამოვიძახე და სწრაფად გულში ჩავიკარ...

„რალაც ჭყივილი, რალაც ყვირილი, ტირილი შემომესმა. მე გაგიჟებით ვუკოცნიდი ჩემ ნუნუს თვალებს, ლოყებს, გაღვიებულ ტუჩებს, ყელ-ყურს...

„— ეს ვინ ოხერი ჰკოცნის ჩემ ქალს!..—მკაფიოდ შემომესმა ვილასიც ხმა და ვიგრძენ, რომ ვილაც სასტიკად თმას მაგლეჯს.

„მემწვავა... მხოლოდ ეხლა მოვაშორე ჩემი ტუჩები ნუნუსას და თვალები დავაშტერე... ვგრძნობდი, თმას მაგლეჯდნენ, მაგრამ ნუნუს გაციებულმა სახემ გადამრია. გული წასვლოდა. სწრაფად ავიტაცე და სკამზე დავასვენე...

„— ნუნუ!.. ჩემო ნუნუ!.. გონს მოდი!.. ჩემო!.. ჩემო!.. შენი კაცია ვარ, ჩემო ნუნუ!..—ვემუდარებოდი და თან ვანჯღრევდი, ცრემლს ვაფრქვევდი...

„— კაცი, შენა ხარ?!.

„— მე ვარ, მე!.. მაგრამ ნუნუ არა მცნობს!.. წყალმ მომეცით!.. მოვაბრუნოთ!..

„ჩქარა წყალი გაჩნდა. ვილაც დედაკაცი აპკურებდა და ეხვეოდა ჩემთან ერთად.. ნუნუმ თვალები გაახილა... თავს ორი ჟანდარმი გვედგა... მაშინ ვერას მივხვდი. ეხლა კი კარგად ვგრძნობ, ვგრძნობ კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ ჟანდარმები მოიწვიეს ოქმის შესადგენად. მაგრამ ისინიც ვერას მიჰხვდინენ. მე და ის დედაკაცი გულ-წასულ ქალს ვეხვეოდით. ადროს მატარებელიც შეირყა... ჟანდარმებმა ვერა გაიგეს-რა და გავიდნენ. მხოლოდ გარს ხალხიც დამშვიდდა, როდესაც ნუნუმ თვალები გაახილა და დედაკაცმა გულში მიიკრა... დავრჩით ჩვენ სამნი და ორი კიდევ თვალ ცრემლიანი ცხრა ათი წლის ყმაწვილი...

„— ნუნუ, რა და დაგემართა, რომ...

„— კაცი...—მომიბრუნდა ის დედაკაცი, რომელმაც ნუნუ გულში ჩაიკრა:—ამას ნუნუ არა ჰქვიან... ეს ნათელაა!..

„— როგორ?!.. ეგ ნუნუა და არა...

„— ჩემი ქალია და მე უფრო კარგად ვიცი, რაცა ჰქვიან! ამას ნათელა ჰქვიან და მე კიდევ ნინო, რომელსაც ამ თვრამეტის წლის წინად კაცია კაციაშვილი ნუნუს ეძახდა!.

„— რად გიკვირს, კაცი?!.—განაგრძო ნამდვილმა ნუნუმ, ოც და ათის წლის ნუნუმ, რაკი ხმის ამოუღებლივ თვალებ დაჭყეტილი შევცქეროდი ამ დარგვალებულ, გაბებღილ, ლეშს...

„აღარაფერი არა უგვანდა-რა ნუნუს...

„— ნუ გეშინიან, შვილო, აიხედე მაღლა, ეს ჩვენი კაციაა!..

„— უკაცრავად!.. მე...—მე მხოლოდ ეხლა შემრცხვა ჩემი საქციელისგან.

„— ბევრჯერ ამაზე უარესი გადაჰხდება ხოლმე ადამიანს. ამისთვის... სხვა, როგორ მოეწყე ცხოვრების ტალღებში? ხომ მკვიდრ ნავში ჰზიხარ და დამსხვრევისა არ გეშინიან?!—უეცრივ შეცვალა ლაპარაკი...

„— ეხლა, ქალბატონო...

„— ოჰო, ე ქალბატონობით მოხსენება როდის დაიწყე?...

„— აი, ეხლა, როცა ჩემი ნუნუ უეცრივ დავკარგე...

„— კაცი, შენი ნუნუ ეხლა კი არა, დიდიხანია, რაც დაჰკარგე!..

„— ნინო, გულ ახდით გეტყვი, რომ ნუნუ ყოველთვის ჩემთან იყო ისეთი, როგორიც გავიცანი. ის ჩემ ხსოვნაში არ შეცვლილა, და მიზეზიც ეს იყო, რომ შენი ნათელა აგრე შევურაცხყავ... ახ, რა მგზავსება აქვს ჩემ ნუნუსთან... როგორც ვაშლი გასჭრა...

„—ჰო, ძალიანა ჰგავს...

„— ჰგავს და... მაგრამ მიამბე, ნინო, სად, როგორ... მთლად შენი ცხოვრება...

„— რა ცხოვრება, ჩემო კაცია, აი, შენ თვალ-წინ არის მთელი ჩემი ცხოვრება. დედა სამი შვილისა და...

„თვალი მივავლე და მხოლოდ ეხლა-ღა შევნიშნე, რომ ნათელას გარდა ორი ვაჟი კიდევ გვერდით უჯდა...

— „ნათელა ჩემი სიყრმის შვილია. ესენიც ერთი-ერთმანეთის მომდევნონი არიან. ნათელა ეხლა თოთხმეტის წლისა შესრულდა, და მეც ამათ წლოვანებას ვადევნებ თვალს... ჩემისთანა ქალი როცა გათხოვდება, იგი სარჩულად ედება ოჯახს... და მუდმივ სარჩულად რჩება... შენ?.. არა გკითხავ, რადგანაც კარგად დავინახე, რომ შენ ოცდა ათის წლისაც ისევ თორმეტი წლის ბავშვის სული გაქვს... აი, შენ სახსოვრად ჩემ უფროს ვაჟს შენი სახელი დავარქვი...

„მაშ,—უნებურად გავიფიქრე,—ესეც ჰფიქრობდა ჩემზე მაშინაც კი, როდესაც სხვისა იყო, როდესაც... მაგრამ რად მინდოდა, რომ ჰფიქრობდა. ხომ ეს სულ სხვა არსებაა და ჩემი ნუნუ კი...“ უეცრივ დავლონდი და ნათელას შევხედე, რომელსაც თავისივე ფერი მოსვლოდა და დაღონებული თვალები ჩემთვის მოეპყრო...

„მატარებელი შედგა. მცხეთას მოვსულიყავით. ბუფეტში შევედი, ღვეზილები და კამფეტები ვიყიდე და ისევ ვაგონში შევბრუნდი. თვალები გაუბრწყინდათ ბავშვებს... ჩქარა ღრუბელი სულ გაიფანტა. ჩემი იქ ყოფნა აქნობადის თუ ლოდსავით ბავშვების გონებას აწვებოდა, ეხლა სასიამოვნოდ აღიზიანებდა მათ გრძნობას... ნათელამაც კი მორთო ტიტინი, სიცილი... „ჩემი ნუნუა, ჩემი“... გატაცებით უსიტყვოდ გავიძახდი და თვალს აღარ ვაშორებდი..

„ტფილისში ჩამოსვლა ველარც კი შევიტყე. სახლამდის მივაცილე, და მე და ნათელა მეგობრულად გავშორდით ერთმანეთს...

„სწორედ თქვენ შეგხვდით, როცა იმათ მოვშორდი და დანარჩენი დღევანდელი ამბავი თქვენც კარგად იცით...

ასე დააბოლოვა კაცია კაციაშვილმა თავისი „პირველი სიყვარული“-ს ამბავი...

— მაშ გაუმარჯოს შენ ორთავიან ნუნუ-ნათელას!..— უეცრივ წამოიძახა ანდრო დარახველიძემ სიცილით და სავსე

ჭიქა აიღო... კაციამ შუბლი შეიჭმუხნა. ხმა არ ამოუღია ანდროს ოხუნჯობაზე...

—

ორი წელიწადი არ გასულა, რომ ქუჩაში ვიღამაც დამიძახა. მივიხედე და კაცია დავინახე. ჩემკენ მოეშურებოდა...

— ორი დღეა დაგეძებ, კიდევ კარგი, ქუჩაში შეგხვდი; თორემ შენი ბინისა ვერა გავიგე-რა...

— რა ამბავია?!.

— ისეთი არაფერი, მაგრამ მაინც საჭირო იყავი ჩემთვის.

— მიმსახურე...

— კვირას მეჯვარედ უნდა გამომყვე, ეგება ანდროც ვიპოვოთ სადმე.

— როგორ, განა ცოლს ირთავ?.. მერე შენი „პირველი სიყვარული?“

— „ჩემი პირველი სიყვარული“ უკანასკნელად დარჩა...

— ვერა გამიგია-რა!

— „ორთავიან „ნუნუ-ნათელაზე“ ვიწერ ჯვარს!..

ბ. ჩაგელიშვილი

ვაი ჭკუისაგან*)

(დასასრული)

მოქმედება მეოთხე

(დამე. ფამუსოვის სახლის შესავალი, დიდი კიბეა, რომელიც მიდის მეორე სადგომისკენ და ამ სადგომიდან აქეთ-იქეთ ბევრი განსავალი მოსჩანს, ძირს, მარჯვნივ დერეფანზე განმოსავალია და შვეიცრის ბინა! მარცხნით მალჩადინის ოთახია. მკრთალი სინათლეა. ლაქიები მოელიან ოვეიანთ ბატონების განმოსვლას, ზოგს ჩასძინებია, ზოგიც ფუსფუსებს).

განმოსვლა პირველი

(გრაფინია ბებია და გრაფინია შვილიშვილი, წინ ლაქია მოუძღვით).

ლაქია. კარეტა გრაფინია ხრუმინას!

გრ. შვილ. (ვიდრე ჩაცმევდნენ). ეჰ, ამ ფამუსოვს რა ბალი ჰქონდა!
ხმა ვერვის გავეცა, ვერც ვითამაშე!
ყველა იქ მყოფი ჯოჯოხეთ ჰგავდა!

გრ. ბებია. წავიდეთ, შვილო, ღონე აღარ მაქვს!
ბებრები თქვენდენს კი ვერ შესძლებენ!
ერთხელ მოხდება, რომ მე ბალიდან
სასაფლაოზედ წამასვენებენ (ორივე კადის).

---

*) იხ. „მოამბე“ № 12.

გამოსვლა მეორე

(გორიჩები ერთი ლაქია იმათ გვერდით ფუსფუსებს, მეორე კიბის კარებიდან გასძახის).

ლაქია. კარეტა გორიჩისა!

ნატ. დმ. გენაცვა,
რას მოგწყენია, ჩემო სულიკო!
(ჭკოტნის ქმარს შუბლზე)
ჩემო სიცოცხლევ, ფამუსოვისას
ხომ მხიარულად გაატარე დრო?

ბლატ. მიხ. ნატაშა ჩემო, ხომ კარგად იცი,
რომ მე ბალებში მუდამ ვთვლემ და ვთვლემ,
არ მიყვარს, მაგრამ შენი მონა ვარ
და რაც შენა გსურს, იმას ვასრულებ.
ხომ ხშირად არის, გათენებამდი
ძილ-მორეული შენთვის ვდარაჯობ.
ზინდა გაამო და თუმცა არ მსურს,
მაგრამ ხან ვხტუნავ, ბუქნას ვთამაშობ.

ნატ. დმ. გინდა იცრუო და ვერ ახერხებ
ვითომ სიბერე შემოგერია (კადია, ლაქია თან მიუვლის).

ბლ. მიხ. (გულ გრიდათ) დიახაც, ბალი კარგი რამ არის,
მაგრამ მონება მწარე ხვედრია!
ძალას ვინ გვატანს, ცოლი შევირთოთ?..
ეჰ, ბედის წერას ვერ გადაუხვალ...

ლაქია. (კიბიდგან) ქალბატონი ზის კარეტაში და
თქვენზედა ჯავრობს.

ბლ. მიხ. აჰა მოვდივარ (მიდიან).

გამოსვლა მესამე

ჩაცკი. აბა გასძახე ჩქარა კარეტას! (ლაქია გადის)
აი, ეს დღეცა მსწრაფლ გაიპარა.
და მასთან გაჰქრა ჩემი იმედიც,
ჩემი ოცნება და სულის ძალა...
რას მოველოდი? რას ვეძებდი აქ
და რისი პოვნის მქონდა იმედი?.
ვინ შემხვდა გრძნობით, და ან რომელმა
გაიზიარა ჩემი სვე-ბედი?
ხმა სიხარულის, ხვევნა და კოცნა.—
ფარისევლური და უმნიშვნელო!
ამას ჰგავს, როცა ტრიალ მინდორზე
გზას დასდგომიხარ და უნდა განვლო
თვალის წინ გიძევს ვაკე გაშლილი,
მიდი ერთ ადგილს და დაისვენე,
მაგრამ რას ჰხედავ: იგივ მინდორი
და ირგვლივ იგივ სიცარიელე.
სითაც გაჰხედავ: მარჯვნით, თუ მარცხნით—
სამარის მსგავსად სდუმს ყველაფერი...
რაც მეტსა ვფიქრობ, უფრო გულს მიკლავს
და ჩემს გაჩენას ზიზღით ვუცქერი.
მზად არის? (ლაქია მობრუნდება)

ლაქია. არა! თურმე მეეტლე
სადღაც წასულა და იმას ვეძებ.

ჩაცკი. გასწი საჩქაროდ, იპოვნე სადმე,
ამალამ აქ ხომ არ დავიძინიებ. (ლაქია მიდის)

გამოსვლა მეოთხე

ჩაცკი და რეპეტილოვი.

რეპეტილოვი (შემოიერბენს კიბიდან, ძირს დაეცემა და წამოდგება).
ფუ! ვერ ვიმარჯვე! ოჰ, ღმერთო ჩემო!
თვალებს მოვ-ფშვნეტ... აქ როგორ გაჩნდი?
ჩემო ძვირფასო! ჩემო კეთილო!
ჩემო სულის დგმავ! რა დროზე შეგხვდი!..
ნეტა იცოდე ჩემზე რა არ სთქვეს:
სულელიაო, დაჩერჩეტობსო,—
ცრუ-მორწმუნეა, ბრიყვი და სჯერა
ვითომც მომავალს წინადვე ჰგრძნობსო.
ბი, ამ წუთშიც... გთხოვ შენვე ახსნა:
თითქო ვიცოდი: გამოვეჩქარე...
უცბათ წამოვდე ფეხი რაღაცას
და მთელის ტანით ძირს გავიშალე...
გინდა დამცინე, რა მენაღვლება,—
რეპეტილოვი ცრუაო, ყბედი,—
მე კი მიყვარხარ, სული და გული
შენკენ მომიწევს, შენკენ მოვილტვი.
მთელი ქვეყანა რომ დაიარო,
ჩემებრ მეგობარს ვერსად მონახავ,
ჩემსავით ერთგულს, ჩემებრ სარწმუნოს,
ღმერთს გეფიცები, ცოლშვილს ვიფიცავ;
თუ რომ ვცრუობდე, მთელმა ქვეყანამ
დამგმოს, განმაგდოს და შემაჩვენოს,
აქავე მოვკვდე უზიარებლად,
ციური რისხვა გადმომევლინოს.

ჩაცკი. კმარა ამდენი სიბრიყვის ჩმახვა!

რეპეტილ. შენ არ გიყვარვარ! ცხადი საქმეა!
სხვებთან ისიც ვარ და ესეც, მაგრამ

შენთან სიცრუვე როდი მარგია.
მე საწყალი ვარ, დასაცინარი,
უსწავლელი და ყოვლად სულელი...

ჩაცკი. აი საკვირველად თავის დამცრობა!

რეშეტ. გამლანძღე; ჩემს ბედს მე თითონ ვწყევლი,
როცა ვიგონებ უქმად გავლილ დროს!
მითხარ, რომელი საათი არის?

ჩაცკი. საათს რად მკითხავ? არ გეძინება?
დროა შინ წასვლის და მოსვენების;
თუ ბალისათვის მობრძანებულხარ,
შეგიძლიან, რომ უკან მიბრძანდე.

რეშეტ. რის ბალი, ძმაო! ვისა სცალიან
დალამებიდან გათენებამდე.
თავს ვერ დაახწევ, სულ საქმეში ვარ...
ერთი წიგნია არ წაგიკითხავს...

ჩაცკი. შენ წაგიკითხავს? რეპეტილოვი
ხარ შენ, თუ არა? რალაც ეჭვი მაქვს!

რეშეტ. გინდ ავაზაკი მიწოდე, ვიცი,
მე ეს სახელი დავიმსახურე:
ბრიყვებს ავყევი, დავუმეგობრდი
და ჩემი დღენი უქმად ვატარე...
ვფიქრობდი მხოლოდ ბალ-სადილებზე,
შვილს ვივიწყებდი, ცოლს ვატყუებდი,
თან მოცეკვავე ქალები მყავდა,
და ბანქოშიაც მუდამ ვაგებდი...
ბევრჯელ ზედი-ზედ მთელი კვირითაც
არ მიძინია! სულ მთვრალი ვეგდე,
ვგმობდი სამართალს, სჯულს, სინდისს...

ჩაცკი. გესმის!
იცრუე, მაგრამ ზომა იცოდე.
მაგეებს გარდა სხვაც ბევრი ზნე გჭირს,
რისთვისაც თავი უნდა მოგძულდეს.

რეშეტ. მაშ, მომილოცე! ახლა მე მხოლოდ

ვუმეგობრდები გონიერ კაცებს.
მთელ ღამეს მუქთად როდი ვწანწალებ.

ჩატკი. ვთქვათ, მაგალითად, როგორც ამალამ?

რეშეტ. ეს ერთი ღამე რა სათქმელია!
სამაგიეროდ მკითხე—სად ვიყავ?

ჩატკი. განა ვერ გატყობ: უთუოდ კლუბში!

რეშეტ. დიახ! გიამბობ ჩემს აღსარებას:
ინგლისელთ კლუბში ვიყავი ახლა,
რომ დავსწრებოდი საერთო კრებას.
თუ ღმერთი გწამდეს, კი ნურა გრჯის-რა!
სიტყვა მივეცი, რომ არვის ვეტყვი.
ჩვენ შევადგინეთ ამხანაგობა
და ჩუმათა გვაქვს ხოლმე კრებები.
თავს ვიყრით ყოველ ხუთშაბათობით,
ჩვენი კავშირი საიდუმლოა.

ჩატკი. ეჰ, ძმავ, მე ვშიშობ! როგორ? კლუბში ხართ?

რეშეტილო. დიახ!

ჩატკი. კარგია მაგგვარი ზომა,
რომ ყველას კისრის მტვრევით გაგრეკვენ
თქვენს კავშირსა და თქვენს საიდუმლოს.

რეშეტილო. უბრალოდ შიშობ! ისე ვლრიალებთ,
რომ ვერ გაიგებს, ვინც უნდა იყოს...
მე თითონ როცა სასამართლოზე,
ან მსაჯულებაზე სჯას მოჰყვებიან,—
ხმასაც არ ვიღებ, არა მესმის რა
და კარგადა ვგრძნობ, რომ უგნური ვარ.
ეჰ ალექსანდრე!—შენ-ღა გვაკლიხარ!..
გთხოვ, გამახარე და წამომყევი.
ეხლავ წავიდეთ, რაღას უყურებ?
თუ დაიჯერებ, კარგ ზედს ეწევი.
იცი რა კაცებს გაგაცნობ იქა!
მე კი არ მგვანან! ვის ეკადრება!
რანი არიან! ახალ გაზრდობის
სიამაყე და ქება-დიდება!

ჩაცკი. ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ სუყველას,
მაგრამ წამოსვლით კი ვერ წამოვალ.
რისთვის წამოგყვე შუა ღამეში?
სჯობს დავიძინებ—სახლისკენ წავალ.

ფამუსოვ. ხელი აიღე! რა დროს ძილია?
ახლანდელ დროში ვინ-ღა იძინებს?
რაღასა ჰფიქრობ, ნუ იგვიანებ,
ბარემ წამოდი, თუ ღმერთი გწამდეს.
გაჰბედე... ჩვენც ხომ გამბედავნი ვართ:
იმ გვარად ვყვირით თორმეტი კაცი,
რომ გაიგონო, ასე იფიქრებ,
თითქო ერთი ხმით ყვირისო ასი.

ჩაცკი. მაგრე საშინლად რატომა ყვირით?

ფამუსოვ. ვყვირით ძმობილო, ვყვირით და ვყვირით.

ჩაცკი. ყვირილის მეტსა არას აკეთებთ
და მაგისათვის კლუბში თავს იყრით?

ფამუსოვ. აქ ვერას გეტყვი... არცა მცალიან...
ეს სახელმწიფო საქმეს ეხება...
ხომ კარგად იცი, ჯერ ახალია
და ასე უცბათ არ შეიძლება...
სამაგიეროთ რა კაცებია!
გეტყვი: ერთია კნიაზ გრიგორი,
სულ სიცილით გვხოცს. ერთად ერთია,
როს სიბრიყვეში არა ჰყავს ტოლი.
მთელი სიცოცხლე ინგლისელებთან
გაატარა და იმათაც ჰბაძავს:
რომ ლაპარაკობს, კბილს კბილზე აჭერს
და მათებურათ იკრეჭს ხოლმე თმას.
განა არ იცნობ? ოჰ, ჩემო კარგო,
უნდა გაიცნო! ეს ხომ გითხარი...
მეორე—ევდოკიმ ვარკულოვი,
მომღერალია გასაოცარი.
თუ არ გსმენია იმის სიმღერა,—

საჭირო არის, რომ გაიგონო.
განსაკუთრებით მღერის ამ ერთ ხმას,
ანონ ლა—შიარ მი ნო-ნო-ნო ნო!
ჩვენ გვირევია კიდევ ორი ძმა:
ლევან და ბორინკ, რა ვაჟებია!
უნდა გამოვტყდე, იმათ შესახებ
ვერც-კი ვახერხებ, რომ რამე გითხრა.
და თუ ნიჭს ბრძანებ—ძლიერი ნიჭი
მხოლოდ იპოლიტ მარკელიჩსა აქვს!
მისი საკუთარ თხზულებისაგან
თუნდ წვრალმანი რამ არ წაგიკითხავს?
წაიკითხე, ძმავ! თუმცა ალარ სწერს!
აი, ეგენი უნდა გასცოცხონ,
და მერე ცოდვის მოსანანებლად
გადაეწყვიტოთ: სწერონ და სწერონ.
შეგიძლიან, რომ მისი ნაწერი
ჟურნალებშიაც იპოვნო სადმე,
ნაწყვეტებია! სათაურათ აქვს:
„შეხედულება“ და „ერთი რამე“.
მერე რაზეა ეს „ერთი რამე“?
სუყველაფერზე, ყველას ეხება!
ბევრი რამ იცის! ჩვენც ვუფრთხილდებით;
შავი დღისათვის გამოგვადგება...
ერთიც გვყავს კიდევ, რომ მთელს რუსეთში
მისთანა გოგრა არავისა აქვს.
სახელს არ გეტყვი, ისეც მიხვდები,
როცა აგიწერ იმის ღირსებას....
ღამის რაინდი, ხმალში გამწვევი,
ნაციმბირალი... ზორბათ ხელ-მრუდობს.
ასეა, ძმაო, არ შეიძლება,
ჭკვიანმა კაცმა არ იცულლუტოს...
როცა ეხება მაღალ ზნეობას,
დემონის მსგავსად მოგვაჯადოვებს,

თვალთაგან ცეცხლს ჰყრის, სახე ენთება,
თითონაც სტირის და ჩვენც გვატირებს.
აი კაცები! ამათ შესადარს,
იპოვნე სადმე? არა მგონია!
ვზივარ მათ შორის და, რა თქმა უნდა,
რომ ჩემი თავი ბრიყვი მგონია.
ცოტათ ჩამოვრჩი.—ჩემს სიზარმაცეს
რომ მოვიგონებ—გული მიკვდება,
მაგრამ ხან ჭკუას ძალას დავატან
და სულ უეცრად ზმა წამომცდება.
ექვსი ჩემ სიტყვებს გაიზეპირებს,
და სასიმღეროდ შეადგენს კილოს,
მეორე ექვსი ნოტებს ამზადებს,
რომ სამუსიკოდ შეახმატკბილოს.
იცინე, ძმაო, რაც მიყვარს-მიყვარს!
ღმერთმა ხომ ნიჭი არ მიწყალობა,
სანაცვლოდ მომცა კეთილი გული,
და ამით ვპოვე სხვის თანაგრძნობა!
ვცრუობ კი, მაგრამ მაპატიებენ...

ლაქაა. (კიბის კარებთან) კარეტა სკალოზუბის!

რეშეტ. ვისიო?

გამოსვლა მესუთე

იკინიგე და სკალოზუბი. (კიბიდან ჩამოდის)

რეშეტ. ოჰ, სკალოზუბო! ჩემო სიცოცხლევ?
მოიცა! საით! გთხოვ დამეხმარო!.. (მაგრათ ეხვევა)

ბაცკა. სად დავემალო? (შედის შვეიცრის ოთახში)

რეშეტ. (სკალოზუბს) დიდი ხანია
შენი ამბავი არა ვიცი რა!
სთქვეს, პოლკშიაო! იცნობთ ერთმანეთს?

ოჰ ეს ჯიუტი, რა რიგად გაჰქრა!
რა საჭირო... რაკი შენ შეგხვდი...
გთხოვ წამოხვიდე, უარი არ თქვა!
თავად გრიგორთან აი, ამ წუთში
ორმოცი კაცი ერთად დაგხვდება.
მერე რა ჭკუის პატრონებს ნახავ!
არ მოგწყინდება! მთელ ღამეს სჯიან.
ჯერ დაგაბრობენ შამპანით, მერე
ისეთ რამეებს დაგასწავლიან,
რომ ჩვენ იმგვარებს რა მოგვაფიქრებს.

სკალოზ. გამშორდი! ეგ მე თვალს ვერ ამიხვევს,
სხვებს დაუძახე და მე თუ გინდა,
გამოგიგზავნით ერთს ჩემ ფეთვებელს
ის მოგარჯულებთ ბქვენ და თქვენს თავადს,
ყველას სამ რიგად ჩამოგამწკრივებსთ,
თუ ბიჭია და კრინტს დასძრაბს ვინმე—
ყველას მუცელში ენას ჩაუგდებს.

რეშეტ. სულ სამსახურზე ჰფიქრობ შენ, „მონშერ“!
ყური დამიგდე რაები გითხრა:
მეც მივიღებდი ჩინს და ორდენებს,
მაგრამ ამისი ბედი არ დამყვა!
ვერ წარმოიდგენ, რა უბედო ვარ?!
სამოქალაქო ნაწილში მქონდა
თანამდებობა. ბარონ-ფონ კლოკი
მაშინ მინისტრის ადგილს ელოდა,
მე კი ვსცდილობდი იმის სიძობას.
ორივე ცოლ ქმარს დავუახლოვდი,
და ღმერთმა მტერსაც კი ააშოროს,
რასაც მე მათზე ფულებს ვფლანგავდი!
ის ფანტანკაზე ცხოვრობდა მაშინ,
მეც იმათ გვერდით სახლი ავაგე,
სახლი, რა სახლი! უზარ-მაზარი
და კლოკის ქალი ცოლად შევირთე.

მერე რა მომცეს მზითვად?—ბრაწები!
სამსახურის მხრით—სულ არაფერი.
რა ვქნათ სიმამრი რომ ნემეცი მყავს!
ამით სიკეთეს რას გამოველი?
იცი, საყვედურს ერიდებოდა,
ვითომ მიდგომა არ შემწამონო,
ნათესავს აძლევს თანამდებობას
უყვარს და სწყალობს—ეს არა სთქვანო.
ადგილს აძლევდა ყველა ტუტუცსა,
ზნეობით გახრწნილს, ლოთს და საზიზღარს,
ახლა სუყველა კაცები გახდნენ:
ერთი ჩახედე ადრეს-კალენდარს,
ფუ, სამსახური საძაგლობა!
რა კარგად უთქვამს ეს ლახმატიევს
„წამალს ვთხოულობთ, მხოლოდ წამალსო,
რადგანაც კუჭი ველარ ინელებს“...

(გაჩერდება, საიდანაც შეგხვდავს, რომ უეცრად სკალოზუბის ადგილი ზაგორეცკიმ დაიჭირა).

გამოსვლა მეექვსე

რეპეტილოვი და ზაგორეცკი.

ზაგორ. გთხოვთ რომ განაგრძოთ, გულ-ახდით გეტყვით:
მეც თქვენისთანა ლიბერალი ვარ:
პირდაპირ ვიტყვი, რაც სათქმელია
და ამით ბევრჯელ წამებული ვარ.

რეპეტ. (მწუხარედ). როგორ ჩუმ-ჩუმად იპარებიან!
ერთი გამშორდა, მეორეც გაჰყვა:
ჯერ ჩაცკი იყო, გაჰქრა უეცრად
და სკალოზუბიც ხელიდან დამსხლტა.

ზაგორ. რა აზრისა ხართ ჩაცკის შესახებ?

რეპეტ. ჩაცკი არაა უჭკლო კაცი.
აი, ამ წუთში ერთად ვიყავით
და საქმეებზე გვქონდა ბაასი.
ვილაპარაკეთ ერთ ვოდევილზე...
დიახ ვოდევილს რა შეედრება!
ჩვენ... მე და იმას... ერთნაირი გვაქვს
გემოვნება და შეხედულება.

ზაგორ. მერე და განა ვერ შეამჩნიეთ,
რომ იმას ტვინი არეული აქვს?

რეპეტ. რა სიცრუეა?

ზაგორ. ყველასა აჯერა!

რეპეტ. სულ ტყუილია!

ზაგორ. ჰკითხეთ სუყველას.

რეპეტ. მოგონილია!

ზაგორ. აი,—რა კარგ დროს
მოდის თავადი თავის ცოლ-შვილით!
ამათა ჰკითხეთ.

რეპეტ. სულ სიცრუეა!

გამოსვლა მეშვიდე

(რეპეტილოვი, ზაგორეცკი. ნინა. ზი და ნეინა თავის ექვსი ქალით, ტოტახანს შემდეგ შალჩალინს ხლესტოვისა ჩამოჰყავს მკლავი-მკლავში გაყრილი. ლაქია ფუსფუსებს)

ზაგორ. გთხოვთ, ნინაჟენებო, თქვენი აზრი სთქვით,
შეშლილი არის ჩაცკი, თუ არა?—

1) ნინაჟენა. რა საეჭვოა?

2) ნინაჟენა. ქვეყანა ატყობს.

3) ნინაჟენა. დრანსკებს, ხვოროვებს, ვორლინსკებს, ყველას
გაგებული აქვს!

4) ნინაჟენა. მერე ვინ ეჭვობს?

ზაგორ. აი, არ სჯერა ამ ვაჟ-ბატონს!
ნ) კნიაგინა. თქვენ?
ყველანი. თქვენა, ბატონო რეპეტილოვო?
თქვენა მუსიო! თქვენ არა გჯერათ?
რატომ არ გჯერათ, რაა საეჭვო?
განა რიგია უმრავლესობას
წინააღუდგე, არ დაერწმუნო?
ეს როგორ მოხდა? მაგ გვარი ქცევა
სასირცხვილოა და სასაცილო!
რეპეტ. (ეურებს დაიტობს). გთხოვთ მაპატიოთ, მე არ ვიცოდი,
რომ ეს ხმა ხალხში გავარდნილია.
კნეინა. რას დამალავდენ! ახლა იმასთან
ლაპარაკისაც კი გვეშინია.
აქამდინაც კი დრო იყო, რომ ის
შეშლილათ ეცნოთ და დაემწყვდიათ.
რომ მოუსმინოთ, იმის ნეკიც კი
სხვა კაცზე უფრო ბრძენი გგონიათ;
ასე გასინჯეთ, კნიაზ პეტრეზეც
უფრო ჭკვიანათ თავს მოგაჩვენებს.
მე კი მგონია, ეგ თქვენი ჩაცკი
უფრო მხარს უჭერს იაკობელებს...
წავიდეთ, კნიაზ! ერთს კარეტაში
შენა, კატო და ზიზი ჩასხდებით.
ხლესტ. კნეინავ, ბანქოს ვალი მიგყვებათ.
კნეინა. ჩემზედვე დარჩეს, დედავ!
ყველანი (ერთმანეთს ემშვიდობებიან). მშვიდობით!
(თავადის ოჯახობა და ზაგორეცკი კადიან).

გაძოსვლა ძერწვე

რეპეტილოვი, ხლესტოვისა და მალჩალინი.

რეპეტ. ღმერთო მაღალო!.. ანჭის ნილოვნა!..
რა მოუვიდა უბედურ ჩაცკის!

ერთი მიბრძანეთ, რაში გვრგებს ჭკუა!
ათას გვარ შრომას ვეწევით რისთვის!

ხლესტ. ღვთის განგებაა! თუმცა, ვინ იცის,
ეგებ უწამლონ და კიდეც მორჩეს!
მაგრამ შენა კი, ჩემო კეთილო,
მაგრე დარჩები, ვერ-რა მოგარჩენს!
რა დროს მობრძანდა! მალჩალინ, აგერ
მივუახლოვდით შენს საკუჭნაოს.
მე ალარ მინდა გაყოლა, წადი,
მადლობელი ვარ, ღმერთმა გიშველოს!
(მაღჩალინი მიდის თავის ოთახისაკენ)
მშვიდობით, შვილო, დროა დაწყნარდე (მიდის).

გამოსვლა მეცხრე

რეპეტილოგი. (თავის დაქცევს)

თენდება კიდეც! საით წავიდე!
აქ მოდი, ჩამსვი მეც კარეტაში...
და სადაც გინდა, იქ წამიყვანე!
(მიდის კარეტით. უკანასკნელი დამპა ჭქრება)

გამოსვლა მაეთე

ჩატკი. (შეეცარის ოთახიდან გამოდის)

ჩატკი. რა ამბავია! ნუ თუ ჩემს ყურებს
სუყველაფერი ნამდვილად ესმა!..
არა, ხუმრობა როდი არის ეს!...
ცხადი შურია და ბოროტება!
რა ჯადოსნობით! ჩემზე რა რიგად
იმეორებენ ამ სისულელეს!

ზოგი უზომოდ მხიარულია
და ზოგიერთიც ვითომ მიბრალებს!
ოჰ, რომ გვაქცია გულთა მხილავად
და შევიძლებდეთ კაცთა გასინჯვას,
ნეტავი მათში უფრო ბოროტსა
რას ვიპოვიდით:—სულსა თუ ენას?
ვინ შესთხზა ესა? სჯერათ სულელებს!
ბებრუხანებმაც დაჰკრეს ნაღარა!
აი მიხვედრა ჩვენის ხალხისა!
აი სამშობლო ჩემი ქვეყანა!..
არა, აქ ყოფნა ეხლავ მომბეზრდა:
ნეტავ სოფიოს თუ ვინმემ უთხრა?
უეჭველია, რომ უამბობდნენ,
ისიც სიცილსა და ხარხარს მოჰყვა!..
განა თუ ჩემი დამცირება სურს!
ან გულში უდევს ცუდი განზრახვა!
არა!—ტყუილს და მართალს არ ეძებს,
მისთვის ერთია—მე ვარ ეს თუ—სხვა.
მას მტკიცე გრძნობით არავინ უყვარს,
მაგრამ ის შიში! ის გულის წასვლა!
რის ნიშანია? მაგრამ ამაებს
იწვევს სისუსტე, ძარღვების აშლა!...
არეულ ძარღვებს მცირე აშფოთებს,
მცირეც ეყოფა მის დაწყნარებას.
მე კი ეს ტრფობის ძალა მეგონა...
მაგრამ მოვტყუვდი... სულაც არ უყვარს!
ნაზი გრძნობა აქვს და დიდი რამე
როდი სჭირია იმის გულ-წასვლას:
გრძნობას დაჰკარგავს, ძაღლს ან და კატას
კუდზე რომ ვინმემ ფეხი დაადგას?!..

სოფიო (მეორე სართულის კარებიდან გამოჩნდება, ხელში სანთელი უჭირავს).

მალჩალინ თქვენ ხართ?

(სარჭაროთ მოხურავს კარებს)

ჩაცკი. ის არის! ისა!
ოჰ! თავბრუ მესხმის! სისხლი მიღელავს!
გამოჩნდა! გაჰქრა! ნუ თუ მე მხოლოდ
თვალი მოვკარი არჩდილ-ჩვენებას?
იქნება მართლაც გადავირიე!
საშინელს რამეს ელის ეს გული!.
არა! ჩვენება არ იყო ესა!
აქ პაემანი აქვთ დანიშნული!
თავს რად ვიტყუებ? მალჩალინს უხმო!
აი, აქვეა მისი ოთახი!

ლაქია (კიბიდან). კარე..

ჩაცკი (ხელს ჭკრავს). დაჩუმდი!.. ვიქნები აქა,
თუნდაც ვიცადო გათენებამდი!..
რაკი ნაღველს ვსვამ, სავსე ფიალას
ბოლომდე დავცლი! რაღას ვუცადო?
მოცდა განსაცდელს ვერ აგვაშორებს!
აი, ვილაცამ კარიც გააღო! (ეფარება სვეტს.)

გაბოსველა მეთერთმეტე

ჩაცკი დამალულია. ლიზა გამოჩნდება ხელში სანთელი უჭირავს

ლიზა. ოჰ ალარ ძალ-მიძს! ბნელს დერეფანში!..
შუა ღამისას... გული მისკდება!
შიშით ვკანკალებ! კაცსაც რომ შევხვდე,
ღამის ალ-ქაჯად მომეჩვენება!..
ღმერთმა მშვიდობა მისცეს ქალბატონს!
ძლიერ კი უყვარს კაცის წვალება!
სულ ჩაცკის სახე უდგას თვალის წინ,
საცა არ გინდა, ის ეჩვენება!
დავინახეო! იქ იყო, ძირსო!
დიახ! არ ნებავს! აქ რამ ჰქნა ამ დროს!

სწორედ ძალიან კი უნდა ჩაცკის,
რომ ამ ჯურღმულში სხვას უდარაჯოს!
რახანი არის, ჭისკარს გასცილდა;
ეგება ახლა გულ და გულ ხვრინავს!
მოსვენებული არის ლოგინში
და სახვალიოდ ინახავს ტრფობას...
მაგრამ მიბრძანა, მის გულის ყვავილს
შევატყობინო! (ურჯუნებს მალჩალინს) გესმით თუ არა!
ახლავ მოდიო—ქალბატონმა სთქვა,
არ შემოგესწრონ! გეძახისთ, ჩქარა!..

გამოსვლა მეთორმეტე

(ჩაცკი სვეტზე მიფარებული. ლიზა, მალჩალინი იზმორებიან და ამთქნარებენ, სოფია ზემოდან მოიპარება.)

ლიზა. ბატონო ჩემო, თქვენ სწორედ ქვა ხართ!
ან ყინული ხართ!
მალჩალ. შენ ხარ, ლიზინკა?
შენ შენდა თავად მოხველი ჩემთან?
ლიზა. მე ქალბატონმა გამომაგზავნა!
მალჩალ. ვინ მოიფიქრებს, რომ ჯერ შენს ლოყებს
ტრფობის ალ-მური არ მოსდებია;
ხომ არ მოგცლია, რომ იქით-აქეთ
წასვლა-წამოსვლა აგირჩევია!
ლიზა. თქვენ კი, ბატონო ცოლის მძებნელო,
რას ინაზები და რა გამთქნარებს!
უკეთესია, ვინც ჯვრის წერამდე
გულს არ მოიძლებს და არ იძინებს...
მალჩალ. რის ჯვრის წერაო, მერე ვის ვირთავ?
ლიზა. ვის და ქალბატონს!
მალჩალ. იქით გამშორდი!

უქორწილოთაც კარგად ვქეიფობ
და ჯერ წინ მიძღვის ბევრი იმედი.

ლიზა. რას ამბობთ, რასა, მერე სასიძოთ
სხვა ვილანა გვყავს ამორჩეული?

მალჩალ. რა მოგახსენო! მე როცა ვფიქრობ,
სულ მიყინდება მთელი სხეული,
რომ ჯერ თუ არა, როცა იქნება
თვით ფამუსოვი ხელში ჩაგვიგდებს,
შეიტყობს ამ ჩვენს კუდა-მელობას,
სახლიდან გაგვრეკს და შეგვაჩვენებს.
ესეც არ იყოს, გაგიტყდე, გითხრა?
სოფი პავლოვნა დიდად არ მომწონს,
მაინც და მაინც, ვერას ვპოულობ
მასში მიმზიდველს, სახარბიელოს.
ღმერთმა ჰქნას, რომ ის თავისი დღენი
არ მოჰკლებოდეს ბედნიერებას!
ჩაცკიც უყვარდა ერთ დროს, მაგრამ დღეს
ხომ აღარ უყვარს!—მეც ისე მიზამს.
ჩემო მშვენებავ! ნეტა ნახევარს
ვგრძნობდე იმასთან, რასაც შენთან ვგრძნობ...
მოვემზადები, ჭინდა რომ გულით
მივუალერსო და მოვეფერო
და რომ შევხედავ—გული არ მიმდის

სოფია (განზე). რა სიმდაბლეა!

ჩაცკი (სვეტის იქიდან). ოჰ! საზიზღარო!

ლიზა. მერე და განა არა გრცხვენიათ?

მალჩ. მამამ ანდერძათ ეს დამიბარა:
თავდაპირველად ყველას ვაამო,
განურჩევლად, მინდა თუ არა:—
სახლის პატრონსა, ვისთანაც ვდგავარ,
და სამსახურში ჩემსავე უფროსს,
იმის ბიჭს, ეზოს დარაჯს, მეკარეს
და ეზოს ძაღლსაც, რომ არ დამყეფოს.

ლიზა. დიდათ საზრუნი საქმე გქონიათ!
მალჩ. და მუც ამიტომ ვიკატუნებ თავს,
მიყვარხარ მეთქი, ვარწმუნებ, რადგან
მინდა ვაამო დიდი კაცის ქალს.
ლიზა. იმ კაცის ქალსა, ვინც გაჭმევს, გასმევს,
ხანაც გიბოძებს ჩინსა და ჯილდოს...
წავიდეთ, კმარა, ბევრი ვიყბედეთ....
მალჩ. წავიდეთ. უნდა დავმორჩილდეთ დროს.
მაგრამ დამაცა, გულში ჩაგიკრავ, (ლიზა არა ნებდება).
ნეტა ის შენათ შეიცვლებოდეს (უნდა წასვლა, სოფია
არ უშვებს).
სოფია (თითქმის ჩურჩულით)
ფეხი არ დაძრათ!.. ყველა შევიტყუ...
და რაც კაცი ხართ—გამოცხადდა ეს...
თვით ჩემი თავის და ამ კედლების
მრცხვენია!...
მალჩ. როგორ!... სოფი პავლოვნა!—
სოფია. კრინტი არ დასძრათ, დაჩუმდით, თორემ
არ შემიძლიან მეტის მოთმენა!..
მალჩ. (დაუჩოქებს. სოფია ხელს ჭკრავს)
ოჰ, მოიგონეთ... ნუ მირისხდებით.
სოფია. არას ვიგონებ და ნურც იღებთ ხმას!
ეჰ, სულ-მდაბლო! ეგ მოგონება,
ვით ბასრი დანა, გულ-მკერდს მილაღრავს...
მალჩ. (ფეხებში ჩაუვარდება). გთხოვთ მაპატიოთ!
სოფია. ნულარ საზიზღრობთ!
ადექით ჩქარა, არა გთხოვთ პასუხს.
მე კარგად ვიცი თქვენი პასუხი:
ჩვეულებრივად მოიგონებთ ტყუილს.
მალჩ. გთხოვთ შემიწყალოთ და მაპატიოთ!
სოფია. არ შეიძლება, არა და არა!...
მალჩ. ვხუმრობდი! მე ხომ საიმისო რამ
მაინც და მაინც არა მითქვამს-რა...

სოფია. მომშორდი მეთქი! თორემ ამ წუთში
მთელს სახლს ყვირილით გამოვაღვიძებ!
შევატყობინებ ყველას ამ ამბავს,
თქვენც დაგლუპავთ და თავსაც წავაგებ!
(მალჩალინი ადგება)
დღეიდან ვითომ ვეღარც კი გიცნობთ,
ჩემს ცრემლებს, თხოვნას და გულწრფელ ალერსს
ამ საათიდან ნულარ მოელით:
არ ღირს მივუძღვნა ეს თქვენისთანებს.
გახსოვდეთ-კი, რომ თქვენთვის ამ ჭერ ქვეშ
უკანასკნელი განთიადია.
წადი აქედან. თქვენი დანახვა
და ხმის მოსმენა—არ შემიძლია.

მალჩ. როგორც მიბძანებთ.

სოფია. და თუ არ წახვალთ,
ყველაფერს მამას შევატყობინებ,
ჯავრს ამოვიყრი, თქვენც კარგად იცით,
რომ მე ჩემს თავსა არად ვაფასებ.
წადით!..—დაიცათ... ჰმადლობდეთ ღმერთს, რომ
ეს ყველაფერი დღისით არ მოხდა!
და ბნელმა ღამემ თქვენს უზნეობას
თავისი კალთა გადააფარა.
მეც ვმდლობ ღმერთს, რომ ღამით ვიპოვე
ბოროტი სულის მახე და კვალი.
თავს დროზე ვიხსნი შერცხვენისაგან,
რადგან ვერ მხედავს მქირდავის თვალი,
როგორც დღეს დილით გულ შემოყრილი
რომ გავიშხლართე! ვამე და ვაგლახ!...
ჩაცკი აქ იყო და შემამჩნია...

ჩაცკი. ახლაც აქ არის, ცბიერო!

ლიზა და სოფ. ახ! ახ!

(ლიზას შიშისაგან სახთელი გაუვარდება. მალჩალინი თავის ოთახში გადის)

გამოსვლა მეცამეტე

იგინივე, მალჩალინს გარდა.

ჩატკი. ჩქარა გულ-წასვლა! ახლა შეგფერისთ
გრძნობის დაკარკვა, სირცხვილ-სიმხდალე!
აი, ავხსენი ეს გამოცანა
და დავინახე, ვიზეც გამცვალე!
მიკვირს, სიბრაზემ არ გადამძლია
და მოთმინების ძალ-ღონე მქონდა!
თვალიდ ვხედავდი ყველაფერს ამას,
ვხედავდი, მაგრამ არა მჯეროდა.
და სატრფო იგი—ვისთვის შეჰბღალე
დედათ სიწმინდე, უმანკოება,
ვისთვის ხელ ჰკარ სიყრმის მეგობარს—
პასუხს ეკრძალვის, კარს ეფარება...
ოჰ, ცრუ სოფელო! როგორ ბურთივით
ალმა და დალმა აგვათამაშებ!
გულ-კეთილთ დასჯი შეუბრალებლად
და მალჩალინებს კი ანეტარებ!...

სოფია (ტრემდ-მორეული) ნულარ განაგრძობთ! მე ვარ შემცოდე,
სუყველაფერში მევე ვიდებ ბრალს;
მაგრამ რა რიგად მოვიფიქრებდი,
თუ ცბიერებით ამიხვევდა თვალს!..

ლიზა. ბრალუნი ისმის! ხმაურობაა!
მგონი, სუყველა აქეთკენ მოდის,
მამა თქვენია! ახლა რალა ვქნათ!
აი, ეგ სწორეთ მადლობას გეტყვის!

გამოსვლა მეთოთხმეტე

(იგინივე, ფამუსოვი და აუარებელი მსახურები სანთლებით)

ფამუს. აქეთ წამოდით, ჩემთან! საჩქაროთ!
ჩქარა სანთლები! ჩქარა ფარნები.
სად დაიმალნენ ალ-ქაჯნი? ოჰო!
მემცნაურება ეს სახეები!
ჩემი ასული! სოფი პავლოვნა!
ჩემო შემრცხვენო, რა ჩაიდინე?
აქ ვისთანა ხარ? რა გინდა ამ დროს?
დედაშენს ასე რად დაემგვანე?
განსვენებული ჩემი მეუღლეც
ხომ ასე იყო: არ დამინდობდა;
როგორც ერთ წუთას თვალს დამაცდენდა,
გვერდით სხვა კაცი გაუჩნდებოდა.
არა გრცხვენია? არც ღვთის გეშინის!
რა რიგად მოხდა? რითი მოგხიბლა?
შენ არ იყავი სულელს ეძახდი
და სხვებს უამბე მაგისი შეშლა?
მე გავსულელდი და მე დავბრმავდი,
ეს შეთქმულობა რომ ვერ გაგიგეთ!
თქვენც და სტუმრებიც მე მატყუებდით.

ჩაცვი. ჩემი სიგიჟეც თქვენ მოიგონეთ?

ფამუს. ძმობილო, სიტყვას ბანზე ნუ აგდებ,
ახლა ადვილად ვერ მომატყუებთ!
რისთვის დამსაჯა განგებამ, თორემ
თქვენ თუნდ იჩხუბეთ—ვერ დამარწმუნებთ.
შენ, ფილკა, შენ ხომ ნამდვილ კუნძი ხარ!
კარის მცველობა რისთვის მოგეცი!
ვერაფერს ჰხედავ, ვერაფერს ამჩნევ!
სად იყავ, სადა? საით წახვედი?

რატომ კარები არ გადარაზე?
რათ არ იფიქრეთ, რატომ ვერ მიხვდით?
ყველას ციმბირში გაკვრევინებთ თავს!..
თქვე ვერაგებო! გროშზე გამყიდით!..
შენ რაღას ბრძანებ, თვალებ სრიალავ!
ეს ყველაფერი შენ მოახდინე...
კუზნეცკის ხიდზე რომ ეგდე მუდამ,
ეგ მაჭანკლობაც აქ შეისწავლე!
მაგრამ, დამაცა! მე გაგასწორებ!
გასწი შენს ქოხში და იქ დაეგდე!
აქ პრანჭვა-გრეხვის სამაგიეროდ,
წაეთერი და ქათმები ზარდე.
შენც, ჩემო ქალო, ორის დღის შემდეგ,
კარგად იცოდე, აქ არ დაგტოვებ,
შენც ბარგს აგიკრავ, გაგიყენებ გზას
და მოსკოვისკენ არც მოგახედებ.
რომ აღარ შეხვდე ამ მატრაკვეცებს,
შორს, ყრუ სოფელში სადმე გაგგზავნი!
მამიდა-შენთან, სარატოვისკენ,
იქ მოინანე შეცოდებანი.
თქვენ კი, მოწყალე ხელმწიფევ, გთხოვთ, რომ
იქითკენ წასვლა არ განიზრახოთ!
და ამას შემდეგ ნულარც მოელით,
რომ სახლის კარი ვინმემ გაგიღოთ!
ნალარას დავკრავ და მთელ ქვეყანას
შევატყობინებ დღევანდელ საქმეს,
მთელ მოსკოვს შევყრი და საჩივარსაც
მივართმევ სენატს, მინისტრს, ხელმწიფეს!

ჩაცკი. გონს ვერ მოვსულვარ... უკაცრავად ვარ!
მესმის და ვერა გამიგია-რა!
თითქო უნდათ რომ კიდევ ამიხსნან...
რაღაცას ველი... აზრი მერევა...
ბრმა ჩემო თავო! ვის შეჰხაროდი?

ვისგან ელოდი სრულს ნეტარებას?
ფრთა-გამოსხმული ვისკენ მოჰქროდი?
ვის ახლოს ჰგრძნობდი ბედნიერებას?!
ვის უმსხვერპლიდი ამ ნარნარ სიტყვებს?
ვის აღმერთებდი?—რამ შეგაცდინა!
მაგრამ ამათაც მართლ-მსაჯულებამ
ღირსი სასჯელი გადმოუვლინა.
ოჰ, ღმერთო ჩემო, თავბრუ მეხვევა!..
ვინ მამჯობინეთ, ვინ აირჩიეთ?
რა მტრობა გქონდათ, რომ გამიტაცეთ
და ტანჯვის ქსელი შემომახვიეთ?
რატომ პირდაპირ არ გამიცხადეთ,
რომ ყოველივე გადაივიწყეთ,
წარსული გრძნობა, ჩვენ გულთა ძგერა
სასაცილობად გადააქციეთ,
რაც ჩემში ვერცა თქვენგან სიშორემ
და ვერც გართობამ ვერ შეასუსტა!
შორს ვიყავ, მაგრამ თქვენით ვცოცხლობდი,
თქვენზე ვფიქრობდი განუწყვეტელათ!
გეთქვათ, თუ ჩემი მოსვლა, შეხედვა
და ლაპარაკი აგრე შეგზიზღდათ.
მეც იმავ წუთას მოგშორდებოდით
და საუკუნო განშორებისას,
იმის შეტყობას არ ვეცდებოდი,
ვინ არის იგი, ვინაც თქვენ გიყვარსთ! (დაცინვით)
რომ დაფიქრებით, შეურიგდებით:
ან კი ღირს, თავი რომ შეიწუხოთ?
თქვენ შეგიძლიანთ რომ მოუაროთ,
გამოზარდოთ და გამოიყენოთ.
თუ დაგჭირდებათ, გაჰგზავნით სადმე,
წახვალთ,—იქნება უკან მდეველი,—
ქმარი-მსახური, მონა ცოლისა
და მისი კაბის კუდის მწეველი.

ჰკმარა მე კიდეც ვამაყობ ამით,
რომ სამუდამოდ ჩამოგეცალეთ.
და თქვენ კი, მამავ, ჩინის მოყვარევ,
მაგ უმეცრების ძილით იძინეთ.
ნუ გეშინიანთ, ქალს აღარა გთხოვთ,
სხვას გამოსძებნით ჩემზე უკეთესს:
მდაბლად ქედ-მოხრილს, უფრო ღირსეულს,
რომ სუყველაფრით სიმამრსა ჰგვანდეს.
ჰა! გამოვფხიზლდი, თვალთ ამეხილა,
განქრა ოცნება და შავი ნისლი,
აწ დაჰკრა ჟამმა, გადმოვანთხიო
შეგუბებული ნაღველ-შხამ-გესლი!
ვტყორცნო ისარი მამას, ქალიშვილს,
და ბრიყვს საყვარელს, ვიზეც გამცვალა,
დავგმო სიმუხთლე წუთი-სოფლისა
და სამსალის წილ, მოვცხო სამსალა.
ვისთან ვიყავი? სად ჩამოვვარდი?
სულ-ყველა მდევნის, ყველა მაგინებს!
მთელი ბრბო მტანჯავს და სიყვარულშიც
ვხედავ გამცემელს და მოღალატეს!..
სიცრუე, შური, გესლიანობა
ძვალ რბილში უზის აქ ბერი-კაცებს
და ბებრუხანაც, ლაშ-ახეული,
ერთ ჭორის გუდას ათასად აქცევს.
გიჟი მიწოდეთ? მართალიცა სთქვით!
თქვენთან რომ ერთ დღეს კაცმა იცხოვროს,
თუ არ გაგიჟდა, იმასაც შესძლებს,
რომ ცეცხლის ალში უვნებლად განვლოს...
შორს მოსკოვიდან! ნუთუ ცის ქვეშე
ერთს კუნჭულს ვერსად ვიპოვი, ნეტა,
სად დევნილ გრძნობას შევაფარებდე!
კარეტა, ჩქარა! ჩემი კარეტა!

(ჩქარა გადის. ფამუსოვი დიდხანს გაშტერებული დგას)

გაძოსვლა მეთხუთმეტე

ოგინივე, ჩაცკის გარდა.

ფამუსოვი. ახლაც არ გჯერა, რომ გიჟი არის?!
არა, სწორედ სთქვი! რა არ მოჩმახა!
„მდაბლად ქედ-მოხრილს, სიმამრის მსგავსსო“!!
და მოსკოვზედაც რა მუქარა სთქვა!
შენ ხომ დამმარხე! განა არ არის
საგლოვ-საზარი ჩემი გაჩენა?
ვაი სირცხვილო! ახლა რას იტყვის
კნეინა მარი ალექსეევნა!...

განდეგილი.

ხ ე ნ თ ი*)

რუს-ოსმალოს (1877—1878 წ.) უკანასკნელ ომის
დროის ისტორიული რომანი

რ ა ფ ფ ი ს ა

(თარგმანი სომხურიდან)

XXVII

ვიდრე თომას-ეფენდი და ნახევარ ასის-თავი ოდაში ამ ვერაგულ თათბირში იყვნენ, ეზოში ჯარის-კაცნი სულ სხვა გვარ ბაასით ერთობოდნენ.

— მაჰმად,—ჰკითხა ერთმა თავის ამხანაგს,—ამალამ რომ აქ მოგვიხდეს დარჩენა, ამ სომხის რძლებში რომელს აირჩევ?

— ოჰ, წითელ ლოყებიანი პატარა-რძალი რომ არის, ის ძალიან მომეწონა! —მიუგო აღტაცებულმა მაჰმადმა.

— ჩემი ჭკუა და გონება კი სულ იმ შავთვალა ლამაზოამ წაიღო!—სთქვა ისევ პირველმა არა ნაკლები აღფრთოვანებით.

ეტყობოდათ, გაჩხრეკის დროს ჯარის კაცები თავიანთ მოვალეობაზე იმდენს არ ფიქრობდნენ, რამდენსაც მოხუცის რძლებზე. ასეა: ქალის სიახლოვეს მაჰმადიანი ყველაფერს ივიწყებს ხოლმე.

ზოგიერთის ყურადღება კი უფრო მოხუცის მდიდარ მოწყობილობას მიეპყრო.

---

*) იხ. „მოამბის“ მე-12 №-რი.

— ჩემმა ცოლმა ზაჰლა წამართო,—დაიწყო ერთმა მოხუცმა პოლიციელმა,—დღე მუდამ მოსვენებას არ მაძლევს და ჩამჩიჩინებს: გინდა თუ არა რძის ასადუღებელი დიდი ქვაბი მიყიდეო. აქ ერთი ქვაბი ვნახე, სწორეთ ისეთია; როგორსაც ჩემი ცოლი თხოულობს! წასვლისას უეჭველათ თან წავიღებ.

ერთმა ახალგაზდა ჯარის-კაცმა სთქვა:

— აქ ერთი მშვენიერი ხალიჩა ვნახე; სწორე გითხრათ მაძლარს სადილის შემდეგ ზედ წამოგორება და ახალგაზდა ცოლის ხელით მომზადებული ყალიონის გაბოლება რათაც უნდა ღირს!

მოხუცმა პოლიციელმა, რომელიც ნადავლს უფრო გამორჩომისა და სარწმუნოებრივის თვალით უყურებდა,—ახალგაზდა ჯარის კაცს შენიშნა:

— მაგგვარი ხალიჩები უფრო ნამაზის „საჯჯადას*)“ მაგიერობას უნდა ეწეოდეს.

ერთმა შურითა და ცრუმორწმუნოებით აღსავსე ჯარის-კაცმა სთქვა:

— საკვირველია სწორეთ! „გიაური“ და ამისთანა ლამაზი ცოლები?!. „გიაური“ და ასეთი მდიდარი?!.. ჩვენ სახლში ერთი დაგლეჯილი ფალასის ნახევიც არა გდია, რომ ღამე ყმაწვილები დაწვნენ, და ამათ კი ამოდენა სიმდიდრე აქვთ!.. „გიაურს“ წელზე დაკონკილი ქამარი უნდა ეკრას, რომ ხველების დროს ათ ალაგას წყდებოდეს...

ეს უკანასკნელი სიტყვები ყოველ მაჰმადიანს პირზე აკერია. აღმოსავლეთში ქამრის სიმკვიდრე ანუ სიმაგრე და ცოლის სილამაზე სიმდიდრისა და პატივის ნიშანია. მაჰმადიანის აზრით სომეხი როგორც „გიაური“, ისეთი ღარიბი უნდა იყოს, რომ წელზე დაკონკილი ქამარი ეკრას, რათა ხველებისა თუ ცხვირის ცემინების დროს ველარ სძლებდეს და წყდებოდეს...

*) „საჯჯადას“ იმ საფენს ეძახიან, რომელსაც ლოცვის დროს მაჰმადიანები ქვეშ იშლიან. თუ ლოცვის დროს სახლში არიან, მაშინ საუკეთესო საფენს ირჩევენ ხოლმე.

ავტორი.

სომეხს არც ლამაზი ცოლის ყოლის ნება აქვს, რადგან ჯერ ერთი „გიაურია“ და მეორეც—რაც რომ მშვენიერი და კარგია, ყველაფერი მაჰმადიანის საკუთრებას უნდა შეადგენდეს...

ზოგიერთნი ჯარის კაცთაგანნი მოხუცის მშვენიერ ბალჩაში შესულიყვნენ და იქაურობას ისე სთლახნიდნენ, თითქო ბოსტანში დათვი და ღორი შეუშვიათო. ფეხ-ქვეშა სთელავდნენ, ანადგურებდნენ იმ მშვენიერ ფერად-ფერად ყვავილებს, რომლის მოყვანაზე მოხუცის რძალ-ქალიშვილებს იმდენი შრომა და ჯაფა გაეწიათ. ხეხილის ტოტებს იწვდიდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ძირს ეწეოდნენ, ამტვრევდნენ, რომ ხილი მოეკრიფათ. ჰკრეფავდნენ, შემოსულს სჭამდნენ და მკვახეს კი ფეხქვეშა სრესავდნენ. ამ სისაძაგლეს საბრალო მოხუცი შორიდან უყურებდა და გული ეთუთქებოდა. ყოველი ტოტის მოჩეხის ხმა გულში ლახვარივით ესობოდა, რადგან ხეხილი შვილებივით უყვარდა. გონიერი თავი გაიქნ-გამოიქნია და თან ძველი სპარსული ანდაზა გაახსენდა: „ჯარის სარდალმა რომ მებაღეს ერთი ვაშლი მოსტაცოს, ჯარი მთელ ბაღს ამოაგდებსო“. ასეთივე მტარვალობის მომქმედია ოსმალოც. ვისაც მცენარის შებრალება არა აქვს, ადამიანის შებრალებაც არ ექნება. ოსმალომ ოღონდ ხილი მოკრიფოს, თორემ იმისას არას დაგიდევს, ხე გახმება თუ რა დაემართება. ადამიანს სარჩოსაბადებელს წაართმევს და სიცოცხლესაც მოუსპობს... როგორი შეუბრალებლობითაც ოსმალომ თავისი ქვეყნის ტყეები გაჩეხა და გაანადგურა, ისეთივე შეუბრალებლობით გაანადგურა და ანადგურებს კიდეც თავისი ქვეყნის სხვა ერებს...

ამ გვარსავე მტარვალობას უცქეროდა მოხუცი თავის საკუთარ სახლში, მაგრამ ხმის ამოღება კი არ შეეძლო. ბოლოს სამწუხარო სურათის ყურება ველარ აიტანა და სამზარეულოში შებრუნდა, სადაც დედაკაცები სადილს ამზადებდნენ. საბრალო მოხუცი! თავის საკუთარ სახლში იყო დატუსალებული და ამ „სატუსაღოს“ მცველ-დარაჯთა წინ სტუმარ-მოყვარეობის წმიდა მოვალეობას ასრულებდა!

— ეს რა ხალხია? რას ეძებენ, აქაურობას რათ ანგრევენ?—ჰკითხა ცრემლმორეულმა სარამ.

— მაღალმა ღმერთმა უწყის!... —მიუგო ნაღვლიანათ მოხუცმა და უთხრა, რომ სადილი ჩქარა მოემზადებინათ.

დედაკაცები საშინელ შიშის ზარს შეეპყრო. ყველანი სახლში შემალულიყვნენ, რომ ჯარის-კაცთა უმსგავს თვალს დამალვოდნენ. ოსმალები ისე ულირსად ექცეოდნენ მათს ოჯახს, რომ უნებურად ფიქრობდნენ—აქ რაღაც არა ჩვეულებრივი რამ უნდა მომხდარიყოსო. მართალია, ამგვარი სტუმრები მრავალჯერ ჰყოლიათ, მაგრამ მოხუცის ოჯახის პატივი ყოველთვის ხელ-შეუხებელი ყოფილა.

ჰაირაპეტა და აპო, რომელნიც დილით ვარდანთან ერთათ ბ. სალმანის საძებნელად გასულიყვნენ, ჯერაც არ დაბრუნებულიყვნენ. დანარჩენმა ძმებმა კი რაწამს ოსმალოთა უწესოება შეიტყეს, მაშინვე სახლს მიაშურეს. საქმის გარემოება რომ შეიტყეს, საშინლად გაბრაზდნენ, მაგრამ ოსმალებზე კი არა, არამედ... თავიანთ უდანაშაულო მამაზე! მონები ჯავრს მუდამ ულონოებზე ყრილობენ. ბატონის მტარვალობა ბუნებრივათა და კანონიერათ მიაჩნიათ და თავისავე მსგავს მონებს ამტყუნებენ—„ალა რათ გააჯავრეთო?“... ამგვარათვე შვილების მამისადმი ლანძღვა-თრევასა და კიცხვას საზღვარი არა ჰქონდა. საბრალო მოხუცი მუნათითა და საყვედურით აავსეს: ვარდანისა და ბ. სალმანისთანა საეჭვო პირთ სახლში რათ უშვებდიო. იმავე დროს მზად იყვნენ ნახევარ ასის-თავისთვის რაც კი რამ იცოდნენ, ყველაფერი შეეტყობინებინათ, თითქო ამით დანაშაული შეუმსუბუქდებოდათ!

— შენი ოჯახი შენივე ხელით დააქციე და მიწასთან გაასწორეო,—ეუბნებოდნენ შვილები.

— დეე დაიქცეს, თუ კი შიგ თქვენისთანა ულირსი შვილები იქნებიან!..—მიუგო ბრაზმორეულმა მოხუცმა.—ვიდრე თავმოყვარეობისა, პატიოსნებისა და თავისუფალი აზრის ყოველი გრძნობა თქვენში მკვდარია და უსიცოცხლო, თქვენ მარტო შეჩვენებისა და არარაობის ღირსნი ხართ!.. ჩემი ნამ-

დვილი შვილებიც სწორედ ისინი არიან, ვისაც წყევლა-კრულვას უგზავნით, და არც თუ ძალიან ვინაღვლი თუნდა მათი მიზეზით ყველაფერიც დავკარგო...

მოხუცის უკანასკნელი სიტყვები ბ. სალმანსა და ვარდანს შეეხებოდა. შვილები უფრო გაცეცხლდნენ. გონიერმა მამამ იფიქრა, ვაი თუ რაიმე სისულელე ჩაიდინონ, ან მოუფიქრებლობით ცუდი რამ წამოროშონო, ამიტომ დაამშვიდა იგინი და უთხრა: აქ საშიშო არაფერია, რამდენიმე ოქროთი ოსმალოს მოხელის პირში „ბურთის ჩაჩრა“ ძალიან ადვილიაო და ბოლოს დაუმატა, რომ თომას ეფენდი დამპირდა, ყოველ საშუალებას ვიხმარ და მოსალოდნელ უბედურებას თავიდან აგაშორებთო. შვილები ცოტა დამშვიდდნენ. ამგვარ ადამიანებზე რომელიმე „დიდი კაცის“ სახელის გაგონებას დიდი გავლენა აქვს. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო! თომას-ეფენდი დაჰპირებოდა, მაშასადამე—ყველაფერს მოაგვარებდა.

ამ დროს ეფენდი ოდის კარებზე გადმოდგა და მოხუცს ხმა მისცა:

— მამასახლისო! ჩქარა სადილი, თორემ ამ მკბენართ შიანთ.

— მზად გახლავთ, ეფენდი,—მიუგო მოხუცმა,—ამ საათში სუფრას გაშლიან.

მოხუცის შვილები სუფრის შლას შეუდგნენ: ოდაში უფროსთათვის, გარეთ, ხეების ჩრდილში კი—ჯარის კაცთათვის. ეს უკანასკნელნი უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდნენ. ამგვარ შემთხვევის დროს ოსმალოს ჯარის-კაცი სომხის ოჯახში მცირეთი არ კმაყოფილდება; გემოვნებაც მაშინ უნაზდება და მადაც მაშინ ეხსნება; იმგვარ საჭმელებსა და სასმელებს თხოულობს, რომელთა სახელი ძლივს გაუგონია, ნახვით კი თავის დღეში თვალით არ უნახავს. თანაც, თუ მასპინძელმა უპასუხა: „არა გვაქვსო“, უშვირათ ილანძღება. მართალია ამ ხელათ ლანძღვა-გინება არა ყოფილა, მაგრამ მოხუცის შვილები მაინც საშინლად გაიტანჯნენ, ვიდრე უსირცხვილო სტუმრების ამა თუ იმ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდნენ.

ოდაში სადილს მარტო თომას-ეფენდი და ნახევარ ასრსთავი შეექცეოდნენ. მოხუცი მასპინძელი იმათთან არ დაჯდა და მსახურსავით ფეხზე ტრიალებდა, რითაც სურდა სტუმრებისთვის განსაკუთრებული პატივი მიეცა. შვილები კი ჯარისკაცებს დასტრიალებდნენ თავს. ჯერ ხნობით ყველა არყითა და მასპინძლის სამზარეულოს ჩინებული საჭმელებით იყო გართული. მოხუცმა ამ გარემოებით ისარგებლა, სარა გვერდზე გაიხმო და ჩუმად უთხრა:

— აჰა, შვილო, გასაღებები, წადი და რაც სახლში ძვირფასი რამ არის, ყველაფერი დამალე. ხომ იცი, სადაც უნდა დამალო?

— ვიცი...—მიუგო საბრალო დედაკაცმა და თვალები ცრემლით აევსო. ეს გაფრთხილება იმის ნიშანი იყო, რომ ოჯახს თავზე რაიმე უბედურება დასტრიალებდა.

— ყური დამიგდე, შვილო, გული მაგრათ შეინახე,— განაგრძო მოხუცმა:—ამგვარი განსაცდელი ჩვენ ოჯახს ბევრჯერ განუცდია. ღვთით, ყველაფერი გაივლის, მხოლოდ მოთმინებაა საჭირო. როცა ყველაფერი დამალო, რძლები ყმაწვილებითურთ თავ-თავიანთ მშობლების სახლში დაგზავნე; შენა დალალა კი ჩვენ ნათლია ზაქოს სახლში გადახვალთ და იქ იქნებით, ვიდრე ვნახავდეთ, ეს ამბავი რითი დაბოლოვდება.

ხაჩოს რძლები ზოგი იმავე სოფელ ო...დან იყო, ზოგი მახლობელ სოფლებიდან, ამიტომ დროებით მათი დაბინავება მშობლების სახლში ძნელი არ იყო. მარტო ერთი სარა იყო შორიდან მოყვანილი: მისი მშობლები ბაიაზეთში ცხოვრებდნენ, სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ მოხუცმა ურჩია ნათლია ზაქოსთან გახიზნულიყო, რომელსაც ყველაფერში ენდობოდა.

— კიდევ ერთი რამა მაქვს სათქმელი, სარა, ყური დამიგდე,—განაგრძო მოხუცმა:—ჰაირაპეტა, აპო და ვარდანი ბ. დუდუკჩიანის საძებნელად არიან წასული; იქნება ჯერ არ იციან, რა ამბავია ჩვენ თავს, არგონობით სახლში დაბრუნდებიან და იგინიც ხაფანგში გაებმიან. ამიტომ რაც შეიძლება საჩქაროდ კაცი გაგზავნე, რომ სადაც იყვნენ, მონახოს და

უთხრას სადმე დაიმალონენ, ვიდრე აქედან რამეს შეეატყობინებდეთ.

უკანასკნელმა სიტყვებმა საბრალო სარას უფრო გული მოუკლა. „მაშ ჩემ საყვარელ მეუღლესაც განსაცდელი მოელის?—ამბობდა გულებაში—რა დააშავა, საიმისო რა მოიქმედა?“-ო. ეკითხებოდა თავის თავს, თუმცა სარა იმდენად გონიერი იყო, რომ ქმრის მოქმედება-განზრახვანი არ გამოეპარებოდა. ამ მოქმედება-განძრახვათაგან კი ცუდ შედეგს გამოელოდდა.

— ვინ წავა?.. —ჰკითხა მოხუცს მწუხარე ხმით და გონიერი თვალები ცრემლით აევსო.

სარას კითხვა უადგილო არ იყო. განსაცდელის დროს კაცს სხვისი იმედი როგორღა უნდა ჰქონდეს, როდესაც ძმა თავის ძმას ივიწყებს და მტრათაც კი უხდება?... რამდენიმე წუთის წინ სარამ თავის ყურით გაიგონა, ძმები ჰაირაპეტას როგორი კბილების კრაჭუნითა და მძულვარებით ახსენებდნენ.

სარას სამართლიან უკმაყოფილების მიზეზს მოხუცი ძიუხვდა და ნაღვლიანათ მიუგო:

— ვიცი, რომ არავინ წავა... ვიცი, რომ განსაცდელის დროს ყველა ჩამოგვშორდება!.. მაგრამ ვარდანის მსახურნი, საქუა და ელო, გამბედავი და ერთგული ბიჭები არიან, ეცადე საქმის გარემოება ჩქარა ჩაგონო, მაშინვე წავლენ, ჰაირაპეტას, აპოს და ვარდანს მონახავენ და რაც საჭიროა, ეტყვიან. საკმაოა გაიგონ, რომ ბ. დუდუკჩიანი დაჭერილია და ჩვენც სახლს გვიჩხრეკენ — დანარჩენს თითონ მიხვდებიან.

მოხუცი რომ ამ რჩევა-დარიგებას ნორჩა, საქალებოდან გარეთ გამოვიდა დარწმუნებული, რომ გონიერი და მოხერხებული სარა ყველაფერს დარიგებისამებრ შეასრულებდა.

ეზოში მოხუცმა შენიშნა, რომ მთავრობის წეს-რიგისა, კანონისა და სამართლიანობის ფარმომადგენელნი (ჯარის კაცნი, რომელნიც გლეხის გულ-უხვი სადილით ძალზე გამაძღარიყვნენ და არყითაც ლაზათიანათ გამობრუჟულიყვნენ) უწესოების ნამ-

დვილ ბაბილონს წარმოადგენდნენ. საბრალომ თვალები დახუჭა და ისე გაიარა; არ უნდოდა ენახა აშკარა ლირფობა, უსირცხვილობა, რომლის დასჯის ნებაც-კი არა ჰქონდა...

ოსმალოს სამსახურის კაცნი თავიანთ სარწმუნოების წესებს არც ისე გულ მოდგინეთ ასრულებენ, ამიტომაც არის, რომ არყის ხმარება ჩვეულებრივ საგნათ გადაქცევიათ. აკრძალული ნაყოფი ტკბილია ხოლმე. მუსულმანმა ჩვეულებრივი შეზარხოშება არ იცის, იგი სმის დროს მხეცათ გარდაიქცევა ხოლმე. თუ-კი საჭირო იყო, რომ მაჰმადი უუდიდეს წინასწარმეტყველათ წოდებულიყო, მარტო ისიც კმარა, რომ მუსულმანებს მაგარი სასმელის ხმარება აუკრძალა.

იმავე დროს ნაკლებ საყურადღებო საუბარი არც თუ ოდაში იყო. ნახევარ ასის-თავსაც ლაზათიანათ გადაეკრა და, სადილ წინ რომ ეფენდის ოფიციალური კილოთი ელაპარაკებოდა, ეხლა შინაურ-მეგობრულათ ექცეოდა.

— რამდენი ცოლი გყავს? ჰკითხა ეფენდის.

— „ვირსა ჰკითხეს, რამდენი ცოლი გვყასო და პასუხათ მთელ ნახირზე მიუთითაო“.

ეფენდი რომ ლაპარაკში ვირების არაკებს ჩაურთავდა, ცხადი იყო, რომ ჩინებულ გუნებაზე ბრძანდებოდა.

— მაგრამ, ვგონებ, ქრისტიანებს ერთი ცოლის მეტის ნება არ უნდა ჰქონდეს? შენიშნა ნახევარ ასის-თავმა.

— მაჰმადიანებსაც აკრძალული გაქვთ ღვინო-არყის სმა, მაგრამ დღეს-კი ჩემზე მეტი დალიეთ, მიღგო გახარებულმა ეფენდიმ, რომ შესაფერი პასუხი მიახალა.

ამ დროს ოდაში შევიდა მოხუცი, თან რახათ-ლოხუმითა (ფქვილითა და თაფლით მომზადებული ხავიწის მსგავსი სატკბილობელია) და სმირნის ლეღვით სავსე ორი ტაბაკი შეიტანა, სუფრაზე დააწყო და წარმოსთქვა:

— სადილს შემდეგ პირის ჩატკბანურება კარგია ხოლმე.

ესა თქვა და საჩქაროთვე ერეთ გამოვიდა.

— მოხუცი საკმაოთ კეთილი ვინმე ჩანს, თქვა ნახევარ ამის-თავმა,—ამიტომ მიკვირს, სახლში როგორ შეუშვა იმის-

თანა საეჭვო პირები, როგორიც რუსეთის ჯაშუში და სტამბოლელი მოჯანყეა.

— „ვირს ყურები გძელი აქვს, ჭკუა-კი მოკლეო“ მიუგო ეფენდიმ თავისებურათ.—თუ-კი ქვეყნად სულელები ჯერ კიდევ მოიპოვებიან, ეგ, უეჭველათ, შენი „კეთილათ“ წოდებულები უნდა იყვნენ. მოხუციც სწორეთ ამ გვართა რიცხვს ეკუთვნის.

ოსმალო ნახევარ ასის-თავი ბევრათ უფრო პატიოსანი გრძნობის მექონე იყო, ვიდრე სომეხი ეფენდი.

— მე მგონია, ახალი სამხედრო საქმეთა მაწარმოებელი მაგ საბრალოს მაგრა მოსწველავს... უთხრა ეფენდის გულმტკივნეულათ.

— არაფერიც არა უშავს-რა... უჭკუო იქნება ის კაცი, ვინც ამისთანა მეწველ ფურს ჩაიგდებს და არ მოსწველის!

— ფაშას იცნობ? როგორი კაცია? მე პირველათა ვხედავ.

— ძალიან კარგათ, მიუგო ეფენდიმ საქმიან კაცის კილოთი;—მე იმ დღიდან ვიცნობ, როცა ჯერ ისევ ტიგრანაკერტის მაზრის უფროსობა ებარა. ათ წელზე მეტი სძარცვავდა მაზრას, კარგა გამდიდრდა, შემდეგ სტამბოლში წავიდა და ფაშობა გაიკრა.

— როგორი კაცია?

— „მკვდარ ვირს ეძებს, რომ ნალები აჰყაროს“.

ვიდრე ეფენდი და ნახევარ ასის-თავი ამ ლაპარაკში იყვნენ გართულნი, ეზოში კიდევ სიმთვრალისაგან გონება დაკარგული ჯარის კაცები მღეროდნენ, ხარხარებდნენ და თამაშობდნენ,—მოხუცის რძლებს ზოგი ყმაწვილი ხელში აეყვანათ, ზოგისთვისაც ხელი მოეკიდნათ და სახლის უკანა კარიდან მშობელთა სახლებისკენ მიემართებოდნენ. საბრალოებს ცრემლი ღვარივით ჩამოსდიოდათ, თითქო ტყვეთ მიჰყავთ და გრძნობენ, რომ შემდეგში ველარ იხილავენ იმ სახლს, სადაც იმდენი ბედნიერება და სიყვარული ენახათ!...

ამ დროს თავით ფეხამდინ შეიარაღებული საქო და ელო იმავე კარებით ქუჩაში გამოვიდნენ, მოასხდნენ ცხენებს და

გაჰკურცხლეს. ეშმაკობითა და ვერაგობით გატენილ ეფენდის სრულიათ აზრათ არ მოუვიდა დაეტუსაღებინა ეს ორი ავაზაკი, რომელნიც ვარდანის მარჯვენა ხელს წარმოადგენდნენ და რომელთაც ადვილათ შეეძლოთ მისი (ეფენდის) განძრახვებისთვის ხელი შეეშალათ...

XXVIII

თომას-ეფენდი მიზნის მხოლოთ ნაწილს თვლიდა მიღწეულად; უმთავრეს მიზანთან-კი ჯერ შორს იყო. სტეფანიკას ქალობა დიდი ხანია იცოდა; მომნათლავ მღვდლის, ტერ მარუქასაგან ჰქონდა გაგონილი. ერთხელ მღვდელი ეფენდისთან იყო დაპატიჟებული და, როდესაც სიმთვრალისგან ალარაფერი გაეგებოდა, მაშინ წამოროშა, თუმცა ფიცი ჰქონდა მიცემული ხაჩოსთვის, რომ საიდუმლოთ შეინახავდ. აი, სწორეთ ამ დღიდან შეუყვარდა ლალა.

გარნა ამ ზნეობრივათ დაცემულ ადამიანისთვის სიყვარული რას წარმოადგენდა?—მხოლოთ მშიერ-მწყურვალის ბუნებრივ გრძნობას. ჭამა, სვა, გაძღა—და საჭიროებამაც განვლო, ეფენდი კმაყოფილი იყო, როცა წყურვილი მოკლული ჰქონდა. სიყვარულის სულიერი, იდეალური მხარე-კი მისთვის მიუწვდომელი იყო. სიყვარულს მხოლოთ პირუტყვულ გრძნობათ სახავდა. მთელი თავისი სიცოცხლე მაჰმადიანობაში დაელამეებინა და მათი ზნეობრივი ავლა-დიდება ერთიანათ შეეთვისებინა. მაჰმადიანისთვის ლამაზი ქალი ისეთივე ბიმზიდველი საგანია, როგორც ბავშვისთვის—სათამაშო. ბავშვი სათამაშოთი მხოლოთ იმ დრომდე ერთობა და ნეტარებს, ვიდრე მოსწყინდება, შემდეგ-კი გასტეხავს, გადააგდებს და სხვას მოინდომებს.

თომას-ეფენდი ქალს მხოლოთ დროებით გართობა-კმაყოფილებისათვის იგდებდა ხელში; შემდეგ-კი, როცა სხვა ქალი უფრო მეტათ მოწონებოდა, მზათ იყო პირველი გაეშო და მეორის ხელში მოგდებას შესდგომოდა. მისი უკანასკნელი არჩევანი ლალაზე გაჩერებულიყო. მაგრამ რა იყო მიზეზი, რომ

მიზნის მისაღწევათ იმ გვარ უპატიოსნო და ჯოჯოხეთურ ხრიკებსა ხმარობდა? ნუ თუ არ შეეძლო მოხუცისთვის პირდაპირ მიემართნა და ქალი ეთხოვნა?

მაგრამ ტომას-ეფენდი თანდა-თანობით, მალულათ მოქმედებდა. ცხოვრებაში ყოველი საჭირო საგნისა და მოთხოვნილების მისაღწევათ ეფენდი სულ სხვა ჰანგზე მოქმედებდა.

იგი მყვლეფავი, სხვისი ოფლითა და სისხლით მცხოვრები წურბელა იყო. ამგვარი ადამიანი-კი მიზნის მისაღწევათ აშკარათ არ მოქმედებს, არამედ მიხვეულ-მოხვეული ბილიკით დაბძანდება. მყვლეფავი იმ გვარი მონადირეთაგანია, რომელიც მსხვერპლის ხელში მოსაგდებათ ათას ხრიკებს ხმარობს: მახეს, ხაფანგს, ბადესა და სხ. ვისიმე ზნეობრივათ გასათახსირებლათ ეფენდი სწორეთ ასე იქცეოდა. უმანკო ქალის სიყვარული ჯოჯოხეთური, ქაჯური ხრიკებით უნდოდა ხელში მოეგდო; ამიტომ ცდილობდა მისი მოხუცი მამა ისეთს საშინელ მგომარეობაში ჩაეგდო, რომ მეტი ღონე ეღარ ჰქონოდა და იძულებული ყოფილიყო ქალი ეფენდისთვის მიეთხოვებინა.

ეფენდი ლალას ისე უცქეროდა, როგორც შშობელი მამის საკუთრებას და როგორც მისი შრომის ნაყოფს. ხარჯის ამკრები იყო და ამიტომ კარგათ იცოდა, რა საშუალებაც უნდა ეხმარა, რომ გლეხის შრომის ნაყოფი ხელში ჩაეგდო. იცოდა, რომ გლეხს სანამ არ აწვალებ, არ დასტანჯავ და წინააღმდეგობის ყოველ საშუალებას არ მოუსპობ,—ვერაფრით მოსდრეკავ, ოფლით მონაგარს ვერ დაათმობინებ. მოხუც ხაჩოსაც ამავე თვალით უყურებდა, ამიტომ საბრალო მოხუცი არტახებით ისე შებოჭ-დაშარტა, რომ მისი გახსნა-განთავისუფლება მხოლოთ თითონ შეეძლო.

თომას ეფენდი რომ მოხუცსა და მის შვილებს აბეზღებდა (აბეზღებდა, როგორც პოლიტიკურ დაინაშავეთ, მოჯანყე კაცის თანამოაზრეთა და ომიანობის დროს უცხო ქვეყნის ჯაშუშის დამფარველთ), ერთი სხვა მიზანიც ჰქონდა, სახელდობრ, მთავრობის ნდობისა და ერთგულების დამსახურება უნდოდა. გარდა ამისა, როცა ყველაფერს სურვილისამებრ მო-

აწყობდა, მოხუცს ეტყოდა: „თქვენი სული ჩემ ხელთ არის, ამიტომ იცოდე, თუ ლალას არ მომცემ, შენა და შენ შვილებს ჩამოხრჩობა არ აგცდებათ, თქვენს სახლს გადაჰბუგავენ და სარჩო-საბადებელს-კი სახაზინოთ გადასდებენ... ყველა ამის თავიდან აშორება მხოლოთ მე შემიძლია და კიდეც ავასრულებ, თუ ჯილდოთ მშვენიერ ლალას მომცემთო“...

ბოროტ-მომქმედ ეფენდის შეეძლო ყველა ეს სისრულეში მოეყვანა, რადგან ხელში ისეთი საბუთი ეჭირა, რომ მთავრობასთან დასასმენათ უკეთესი საჭირო აღარ იყო. ეს საბუთი სწორეთ ის უბედური ხურჯინი გახლდათ, რომელიც ეფენდიმ მოხუცის სახლის საკუჭნაოში დამალა და რომელიც ბ. სალმანის ქალალდებით იყო სავსე. საკუჭნაოს რკინის კარების გასაღები-კი თითონ ეფენდისვე ედო ჯიბეში.

გარნა ჯერ კიდევ არ უნდოდა ბოროტი განძრახვა უმწვერვალესს ხარისხამდე აეყვანა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მოხუცის დათანხმება არც ისე ძნელი იყო. მაგრამ იმავე დროს ხედავდა, რომ წინ უფრო მძლავრი მოწინააღმდეგე—ვარდანი—ედგა. იმ დღიდან, როდესაც ეფენდის მისართმევათ გამზადებული ჩიბუხი ვარდანმა ხელიდან გამოჰგლიჯა სტეფანიკას და ფანჯრიდან გადისროლა; აგრეთვე კიდევ იმ დღიდან, როდესაც ვარდანი სტეფანიკასავე მიზეზით ისე გაცეცხლებული მივარდა ეფენდისა—იმ დღიდან ეს უკანასკნელი დარწმუნებული იყო, რომ ვარდანსა და სტეფანიკას შორის რაიმე კავშირე არსებობდა და უეჭველათ ერთმანეთიც უნდა ჰყვარებოდათ. გარდა ამისა იცოდა, რომ ვარდანი მოხუცის სახლში კარგათ იყო მიღებული და მის სიძობასაც სიხარულით მიეგებებოდნენ. თუგინდ ქალიშ ნებით არ მიეცათ, ისიც კმაროდა, რომ ლალას უყვარდა: კონდრაბანდისტი ვარდანი ისე მოექცეოდა, როგორც აკრძალულ საქონელს, ე. ი. ერთ ღამეს მოჰკიდებდა ხელსა და გაიტაცებდა. ამისთვის ვარდანს არც გმირობა აკლდა და არც გამბედაობა. — ყველა ეს ეფენდიმ ძალიან კარგათ იცოდა. მაშასადამე როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ახალგაზდა კაცის განძრახვა ჩაეფუშნა?—საჭირო

იყო მისი თავიდან მოშორება, და ეს მოშორება უეჭველათ მთავრობის ჯარის კაცთა მხედველობის ქვეშ უნდა მომხდარიყო, რომ ლალას წაყვანა ვეღარ შესძლებოდა. აი, ვარდანიც ამიტომ მონათლა ჯაშუშის სახელით და მთავრობასთან დააბეზღა.

რა მიზეზი იყო, რომ მოხუცის შვილებთაგან მარტო ჰაირაპეტასა და აპოს ატუსაღებინებდა? ნუ თუ ისიც იცოდა, რომ ეს ორი ძმა ბ. სალმანს მიმხრობოდა? თავის დღეში ეფენდის თავში არ გაუვლიდა, რომ სომხის გლეხს თავისუფლების უბრალო ფიქრის უნარი მაინც ექნებოდა. ეფენდიმ მხოლოთ ის იცოდა, რომ მოხუცის შვილები „ყურ-ყურა ვირები“ იყვნენ, და თუ მათში გამოერეოდნენ იმისთანები, რომ ეფენდი სასიძოთ დაეწუნებინათ და უარი ეთქვათ,—უეჭველათ ჰაირაპეტა და აპო უნდა ყოფილიყვნენ, რადგან წინათვე ჰქონდა შენიშნული, რომ ეს ორი ძმა ცუდი თვალით უცქეროდნენ მას, ამიტომაც, რომ ესენიც გზიდან ჩამოიშოროს, უბრძანა დაეტუსაღებინათ...

აი ასეთს გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო ლალას ბედ-იღბალი. ერთსა და იმავე დროს საბრალო ქალზე სამს ეჭირა თვალი. სამივე თავისებურათ ცდილობდა ხელში ჩაგდებას. ქურთ ფათთაჰ-ბეგს, როგორც უშიშარსა და ცნობილ ავაზაკს, უნდოდა თავისი მხხვერპლი ისე აშკარათ მოეტაცნა, როგორც ღრუბლების სამეფოში მონავარდე არწივი კლდეებზე მხტუნავ შვლის ნუკრს მოიტაცებს ხოლმე. სომეხი ხარჯის მკრებავი-კი ცდილობდა შხამიანი გველივით შემოხვეოდა, მაგარი მუხრუჭი მოეჭირებინა და დაეხრჩო, რომ შემდეგ ისე გადაეყლაპა. გარნა გულადი და მოურიდებელი კონდრაბანდისტი ვარდანი, როგორც ზევითა ვთქვით, იმის ფიქრში იყო, რომ თუ ნებით არ მისცემდნენ, ძალით გაეტაცნა. ამ სამში ლალას რომლისთვის უცემდა გული—ეს უკვე ვიცით.

ფათთაჰ-ბეგი ამ ჟამათ საომარ სამზადისში იყო და ამიტომ ლალა აღარც-კი აგონდებოდა; ვარდანი ბ. სალმანის განთავისუფლების ფიქრით იყო მოცული. მარტო ერთათ ერთი

ეფენდი იყო მოცლით და საქმეც ისე მოეწყო, რომ გამარ-ჯვება აუცილებლათ მიაჩნდა.

კარგათ გადაკრულმა ნახევარ ასის-თავმა ნასადილევს ხვრინვა ამოუშვა. ჯარის კაცთ ისევ მცველების ადგილი ეჭირათ. მოხუცის ორი შვილი, ჰაირაპეტა და აპო ჯერაც არსად სჩანდნენ. თომას-ეფენდიმ იფიქრა, ლალას შესახებ მოსალაპარაკებლათ ამაზე უკეთეს დროს ველარ ვიხელთებო, ამიტომ მძინარე მოხელეს თავი მიანება და გარეთ გამოვიდა. „რაკი დავიწყე, ბოლოც უნდა გავადევნოვო, ფიქრობდა იგი.—ვირზე შეჯდომა ერთი სირცხვილია, ჩამოვარდნა-კი ორიო“...

მოხუცი სევდიანი და ჩაწყვეტილი დახვდა: მარტოთ მარტო მიმჯდარიყო კედლის ძირას და გაყინულ ძვლებს მყუდროზე ითბობდა. შორი ახლო ჯარის კაცნი ლირფულათ ხარხარებდნენ, იცინოდნენ და საზიზღარი ხუმრობით ერთობდნენ თავს. მოსამსახურე ქურთ დედაკაცებს რომ მოიხელთებდნენ, კაბაზე ხელსა სტაცებდნენ, აჩერებდნენ და აძალადებდნენ, რომ ისინიც ხუმრობაში ჩარეულიყვნენ. ხან-კი მსახურებს დაიჭერდნენ და უწყალოთა სცემდნენ, რომ ესა თუ ის ბრძანება აღესრულებინათ. მოხუცი მაშა-მთავარი შეჰყურებდა ამ უსირცხვილობას იმ სახლში, სადაც ოჯახობრივი სიწმინდე მუდამ ხელ შეუხებელი ყოფილა, სადაც უცხო კაცის ერთ, ურიგო ღიმილსაც-კი დაუსჯელათ არ ჩაუვლია!.. ეხლა-კი თვალ-წინ ედგა გარყვნილ-გარეცხილთა ხროვა, რომელიც სხვა-და-სხვა ბრძანება-განკარგულებას იძლეოდა, თითქო თავიანთი სახლიაო... „ეს რა ამბავია ჩვენ თავს? ფიქრობდა მოხუცი,—რისთვის ვცხოვრობთ?.. რატომ მიწა არ გასქდება, რომ თან ჩაგვიტანოს?!.. რატომ ცა არ ჩამოინგრევა და ქვეშ არ მოგვიტანს?!.. ეს რა სიცოცხლეა?.. შენს გაუპატიურებას შენივე თვალით უყურებდე, და ხმას-კი ვერ იღებდე?.. ჯოჯოხეთის ცეცხლი ღმერთს მაშ ვილასთვის გაუმზადებია?.. ცის მეხი მაშ ვილასთვის არის დანიშნული?.. რატომ უსამართლონი და საძაგელნი არ ისჯებიანო?...“ საბრალო მოხუცი ასე ოხრავდა და თან ცრემლით ავსებულ თვალებს ცაში აპყრობდა. მაგრამ ციდან არავითარი

პასუხი არ ისმოდა... ალბათ, იმოდენა ტანჯვა-ვაება არ კმა-
როდა, რომ ყურადღება მიექცია...

გაჰხედა სახლს და ნახა, რომ ჯარის კაცებს სახლიდან
სხვა-და-სხვა ნივთები გამოჰქონდათ. სარა-კი, რომელსაც დანარ-
ჩენი რძლები მშობლების სახლებში დაეგზავნა და თითონ ჯერ
არ წასულიყო, ცდილობდა ხელიდან გამოეგლიჯნა დიდი ქვა-
ბი. მაგრამ ერთმა პოლიციელმა გულში ხელი წაჰკრა და საბ-
რალო დედაკაცი მიწაზე გააგორა... „ჩემი სახლის ავეჯს ჩემ
თვალ წინ იყოფენ და მე-კი არაფრათ მაგდებენ!.. ამბობდა
მოხუცი გუნებაში.—რისთვის, რა დავაშავე? ნუ თუ ის, რომ
სახლში მივიღე იმისთანა სტუმარი, რომელიც აღიარებდა—
გლეხის ნაშრომ-ნაღვაწი, გლეხის საკუთრება უზრუნველ ყო-
ფილი უნდა იყოსო? მსჯიან, დანაშაულობათ მითვლიან, რომ
ბინა მივეცი იმისთანა კაცს, რომელიც ძალ-მომრეობის, შეუ-
ბრალებელ ძარცვა-რბევისა და მხეცურ მოქმედებათა წინააღ-
მდეგ ლაპარაკობდა!.. რომელიც გვიქადაგებდა, რომ უნდა
ეცადნეთ მამა-პაპათა ნაანდერძევ მიწას თქვენვე ჰფლობდეთ,
თქვენ საქმეებს თქვენვე განაგებდეთ და აგრეთვე მონობის
უღლის დამსხვრევასაც ცდილობდეთო... ამ გვარ ფიქრებსა
თუ აზრებს ჩვენში რა ჰბადებს, თუ არ ძალ-მომრეობა და
უსამართლობა? ჩვენი მყუდროება რომ არ დაერღვიათ, ჩვენი
ოჯახი არ გაეუპატიურებინათ, ჩვენი მონაგარი არ გაეტაც-
ნათ, ადამიანურათ მოგვპყრობოდნენ და პირუტყვებივით არ
ვეტანჯნეთ, მაშინ ჩვენც კმაყოფილი და მადლიერნი ვიქნე-
ბოდით.—„თავისუფლების სიყვარულის გრძნობისა მამაო, ი-
ყოდა ხოლმე ბ. დუდუკჩიანი, — ძალმომრეობაა, დედა - კი—
უსამართლობაო“. ამ სიტყვების აზრი, სამწუხაროთ, მხოლოთ
ახლა მესმის. ძალმომრევი თითონვე იმრავლებს მტრებს... ოს-
მალო ხომ ჩვენი სისხლი და ხორცი არ არის, მაგრამ ასე
ცუდათ რომ არ მოგვპყრობოდა, არ ავიძულებდით და იქნება
კიდეც შეგვყვარებოდა“...

ასეთს სავალალო ფიქრებში იყო გართული მოხუცი, გული
ძალზე უღელავდა და აქეთ-იქით ისე ეხლებოდა, თითქო მფრ-

თონავი ზღვის ტალღებიაო. მაგრამ ქანც-გამოლეული ლომი იმოდენა მგლებთან აბა რას გააწყობდა? თავის მწარე მდგომარეობას ძალიან კარგათა გრძნობდა, მაგრამ ვერაფერი გაეგებედნა. მარტო ოხრავდა და გულ დაწყვეტით ცნობილ თქმულებას იმეორებდა: „ერთი ხელი ტაშს ვერ დაუკრავსო“.— ყოველ ჩვენ გლეხს რომ ისე ეფიქრა, ვინ უწყის, იქნება ჩვენც რამ გვშველებოდა...

ამ დროს ეფენდი მიუახლოვდა, მელაძუა ხარჯის ამკრებმა შეატყო რა მდგომარეობაშიც იყო და, გული რომ უფრო ღრმათ დაუკოდოს, შორიდანვე მიმართა:

— მამასახლისო, საქმე ცუდათ, ძალიან ცუდათ მიდის!— ვირი ტალახში ისე ღრმათ დაფლულა, რომ ამოყვანა შეუძლებელია...

მოხუცმა ვერა გაიგო რა, მხოლოთ რა წამს ეფენდის თვალი მოჰკრა, მაშინვე ფეხზე წამოდგა.

— დაჯექი,—უთხრა ეფენდიმ და მეგობრულათ მხარზე ხელი დაადო,—მეც შენთან დავჯდები. სალაპარაკოთ ამაზე კარგს ადგილს ველარ ვიპოვნით.

იქვე ერთ ფალასის ნაჭერზე დასხდნენ.

— ესენი როდის წავლენ? ჰკითხა მოხუცმა და აკანკალებული ხელი ჯარის კაცებისკენ გაიშვირა, რომელნიც ჯერაც ისევ უგვანო საქციელში იყვნენ გართულნი.

—„გიჟი ქორწილში წავიდა, ჩემს სახლს ესა სჯობიაო“.— სადა და ან რათ უნდა წავიდნენ? საჭმელი აკლიათ თუ სასმელი? მიუგო ეფენდიმ უგულო ღიმილით.

მოხუცის იგრეც მოკლული გული ამ ღიმილმა უფრო შეტათ დაკოდა.

ეფენდიმ რომ ეს შენიშნა, ლაპარაკის კილო შესცვალა.

— შენ დარდი ნუ გაქვს, მამასახლისო! თომას-ეფენდი ცოცხალი იყოს, თორემ თავიდან ერთ ღერო ბალანსაც ვერავინ მოგაკლებს.

— რაღა ერთი ბალანი?..—უპასუხა მოხუცმა ცოტა არა გაჯავრებული კილოთი,—ვერა ხედავ სახლს თვალ წინ მინ-

გრევენ? ჩემს სარჩო-საბადებელს ჩემ თვალ წინ იყოფენ და შე-კი ხელიც ვერ შემიშლია!..

— რა ვქნათ, ჩვეულება ასეთი აქვთ. — „ძაღლი რომ საყასბოში შევა, ერთს ძვალს მაინც დაითრევსო“ ნათქვამია. შენც ხომ კარგათ იცი, მამასახლისო, რომ ოსმალო სომხის ოჯახიდან ხელ-ცარიელი არ გამოვა? ეგ კიდევ არაფერი. ღმერთს მადლობა უნდა შესწიროთ, რომ ვნება მარტო შენს ქონებას ადგება და არა ადამიანთა სიცოცხლეს....

მოხუცი მთლათ კანკალმა აიტანა. ნერვები ისე აშლოდა, რომ ყოველ უსიამოვნო სიტყვის გაგონებაზე თავისი ემარ-თებოდა.

— რა არის, რა ამბავია? წამოიძახა მოთმინება დაკარ-გულმა ხაჩომ,—თუ კიდევ გაქვს რამე სათქმელი, მალე თქვი, რალასა მტანჯავ? თუ სასიკვდილე ვარ, უმჯობესია ჩქარა მოვკვდე!

— გეტყვი, მამასახლისო, ყველაფერს გეტყვი. შენ მხო-ლოთ მოთმინება იქონიე, მიუგო ეფენდიმ უფრო დამშვიდე-ბით და განგებ სერიოზული სახე მიიღო.

და მოუყვა: „თუ ვირს ფეხის მოტეხა არ უნდა, რკინას წიხლი არ უნდა ესროლოსო“... ამ ანდაზიდან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ სომხები ფთხილათ უნდა იყვნენ და ოსმა-ლეთის საწყენი არაფერი ჩაიდინონ, მეტადრე ამ ომიანობის დროსო. მაგალითისთვის ვანის გადაბუგვა მოიტანა და იმის დამტკიცებას შეუდგა, თუ ოსმალეთისადმი ორგულობა დიდი „ხენთობაა“ (სისულელეა). ვანის რამდენიმე ათასი სომხის დუქანი იმიტომ გადაბუგეს და გაძარცვეს, რომ იქაური სომ-ხები რუსების სასარგებლოთ ჯაშუშობდნენო და დაუმატა: სომ-ხები ამ ომის დროს რუსებისგან არავითარ სარგებლობას არ უნდა გამოელოდნენო. შემდეგ კვალათ ერთგულობის საჭი-როებას შეეხო და სთქვა: ოსმალო არც ისეთი ცუდია, რო-გორც ჩვენა გვგონია, და ამიტომ ყოველი აჯანყებისა თუ წინააღმდეგობის აზრი სისულელეთ უნდა ჩაითვალოს. აი, სწო-რეთ ეს არის მიზეზი, რომ ბ. სალმანის საქციელი შეშლი-

ლობის ნაყოფათ მიმაჩნია და ამიტომ არც თუ ძალიან ვიდარ-დებ, თუ დიდ სასჯელს მიიღებს. მე მხოლოთ ის მაწუხებს, რომ მისი მიზეზით რამდენიმე სხვაც დაისჯებაო...

— ვინ სხვა? სიტყვა გააწყვეტინა მოხუცმა და თან სახეზე ნაცრის ფერმა გადაჰკრა.

— შენ და შენი ორი შვილი—ჰაირაპეტა და აპო, აგ-რეთვე შენი მეორე სტუმარი ვარდანიც, მიუგო ეფენდიმ.

ჭრილობა ისეთი საშინელი იყო, რომ ადვილ შესაძლები იყო დამბლათ ჩავარდნილიყო. მაგრამ ტანჯვა-ვაებით სავსე ცხოვრებას, მუდამ განსაცდელის მოლოდინსა და შეწუხებას მისი გული ისე გაეკაჟებინა, რომ ეფენდის საშინელ სიტყვ-ებსაც გაუძლო, აღშფოთება შეიკავა და ჰკითხა:

— ჩვენ რაღა დავაშავეთ?

— მამაცხონებულო, ისე გულ-უბრყვილოთ მეკითხები, რომ ბავშვსაც-კი არ ეპატიება! თითქო არ იცოდე, რაც დაა-შავეთ! მწარე დაცინვით მიუგო ეფენდიმ.—რომელიმე სრუ-ლიათ ჯანსაღი კაცი რითია დამნაშავე, რომ ავადმყოფათ მხო-ლოთ იმიტომ მიაჩნიათ, რომ ჟამიან, ან ხოლერიან საზოგა-დოებას გამოჰქცევია—რა არის ჭირი თავიდან ავიცილოვო. მა-გრამ საზღვარზე იჭერენ, რაღაც ხვრელში აგდებენ და იმდენს უბოლებ-უხრჩოლებენ, ვიდრე გაიგუდებოდეს...

— მაშ ჩვენც ხვრელში უნდა შგვყარონ? წამოიძახა მო-ხუცმა და სახის ნაოჭები საშინლათ აუთრთოლდა, რაც წრეს გადასულ სიბრაზეს ამტკიცებდა.

— სწორეთ, მიუგო ეფენდიმ გულ გრილათ.

მაგრამ ეფენდი ხომ იმისთვის მივიდა, რომ ლალას გამოთ მოელაპარაკნა, სიყვარული გაემჟღავნებინა და მისი ხელი ეთ-ხოვნა? ყველა ეს რათ დაავიწყდა? რა მიზეზი იყო, რომ საბ-რალო მამას ასე შეუბრალებლათ სტანჯავდა? როგორც ზე-ვითა ვთქვით, თომას-ეფენდი ცდილობდა მოხუცი ისეთს მდგო-მარეობაში ჩაეგდო და იქამდინ მიეყვანა, რომ ძალა-უნებუ-რათ ეფიქრა: „ჩვენი ხსნა მხოლოთ თომას-ეფენდის შეუძლია და ამ ხსნას მსხვერპლათ ლალა უნდა შეეწიროსო.“ ამას იმი-

ტომ ცდილობდა, რომ ძალიან კარგათ იცოდა, მოხუცი ქალს ისე ადვილათ არ მიათხოვებდა მეტადრე იმ სიტყვების შემდეგ, რაც ვარდანისგან გაიგონა—ეფენდის მრავალი ცოლი ჰყოლია და ყველასთვის თავი მიუნებებიაო. ეფენდიმ-კი ეს ჭეშმარიტი ბრალდება ვერაფრით დაარღვია.

მაგრამ ცოტა ფიქრის შემდეგ ეფენდი დარწმუნდა, რომ მოუფიქრებლობით საზღვარს გადასცილებოდა და არც საჭირო იყო მოხუცის ასეთ სასოწარკვეთილებამდინ მიყვანა, ამიტომ დამშვიდება დაუწყო:

— მართალია, რამდენიმე დღით დაგაპატიმრებენ, მაგრამ აინუნშიაც ნუ მოიტან, რადგან ეგ მხოლოთ თვალის ასაბმელათაა საჭირო. თომას-ეფენდი საქმეს ისე არ დაიჭერს, რომ ცუდი რამ შეგემთხვეთ.

მოხუცმა არა უპასუხა-რა. კარგათ ჰხედავდა, რომ ეფენდის დილანდელსა და ახლანდელ ლაპარაკის შუა დიდი საზღვარი იდო, და გულში რაღაც ფარული ეჭვი დაებადა ..

XXIX

დილით ადრე სახლიდან გამოსულმა ვარდანმა, ჰაირაპეტამა და აპომ ჯერ არაფერი იცოდნენ, მათს შინ. არყოფნის დროს სახლში რა ამბებიც მომხდარიყო. არ იცოდნენ თომას-ეფენდის რა ჯოჯოხეთური ქსელი ჰქონდა გაბმული, არც ნანახევარ ასის-თავის მიერ სახლის გაჩხრეკისა და არც ჯარის კაცთა წრეს გადასულ უმსგავს საქციელის ამბავი.

დადიოდნენ სოფლიდან სოფლათ, ეძებდენ ბ. სალმანს, ყოველ გამვლელ-გამომვლელს მის ამბავს ჰკითხავდენ, მაგრამ ვერაფერი გახდნენ, ბოლოს, როგორც იყო, იმ სოფელსა და იმ სახლს მიაგნეს, სადაც ბ. სალმანს უკანასკნელი ღამე გაეტარებინა. სახლის პატრონი გულ-კეთილი კაცი აღმოჩნდა და გულდაწყვეტით უამბო: მე თითონ არ ვიცი საბრალოს რა შეემთხვა. მხოლოთ ის ვიცი, რომ წუხელ შუაღამემდის სოფლის ახალგაზდობას რაღაც საგნებზე ელაპარაკებოდა.

ახალგაზდობა რომ წავიდა, ყმაწვილი კაცი მარტო დარჩა; ვახშამი მივართვით, შემდეგ ლოგინი გავუშალეთ და ოდაში მოისვენა. დილით ადრე ვნახეთ, რომ ყმაწვილი კაცი აღარსად სჩანდა: ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ—ველარაფერი გავიგეთო.

ვარდანი და მისი ამხანაგი იმ ოთახში შევიდნენ, სადაც ბ. სალმანს ღამე გაეთია. ოთახში იატაკზე დაგდებული ქაღალდის ნახევი იპოვნეს, რომელზედაც ჩქარი ხელით შემდეგი ეწერა: „დატუსაღებული ვარ“, ქვეშ ორი ასო ჰქონდა მიწერილი: „ლ. ს.“

ვარდანმა ქაღალდს დახედა, ჰაირაპეტას გადასცა და სთქვა:

— დიდი ხანია გული მითხრობდა...

სამნივენი გაქვავებულსავით გაჩერდნენ. ამ ამბავმა ყველაზე საშინელი შთაბეჭდილება იქონია. თვალწინ წარმოუდგათ ორი დიდი დანაკარგი: ერთი ისა რომ მაღალი სურვილებით გატაცებული ყმაწვილი კაცი გამოუცდელობის მსხვერპლი შეიქნა და მეორეც—შესაძლებელი იყო ამ გარემოებას გამოემჟღავნებინა და ბოლო მოეღო იმ საერთო საქმისათვის, რომლისთვისაც აღთქმა ჰქონდათ დადებული არასდროს ეღალატნათ და, თუ საჭიროება მოითხოვდა—თავიც გაეწირათ.

სახლის პატრონი გაოცებული შეჰყურებდა და ვერ გამოერკვია იმ ქაღალდის ნახევმა ყველა ისე რათ დააღონა. კარგა ხანი ისე იყვნენ გაშტერებულნი, ბოლოს გარეთ გამოვიდნენ და სახლის პატრონს ისე გამოემშვიდობნენ, რომ საქმის გარემოებისა არაფერი უთქვამთ.

საღამო იყო. საქონლის ჯოგი ბღავილითა და ხტუნაობით მინდვრიდან ბრუნდებოდა და ჭუჩებში მტვრის კორიანტელს აყენებდა. ამგვარადვე უხაროდათ სოფლელებსაც: მინდორში მუშაობა გაეთავებინათ და სიცილ-ხუმრობით სახლში ბრუნდებოდნენ. არც ერთს მათგანს ფიქრათ არ მოსდიოდა, რომ წინა ღამეს ორი ბოროტ-მოქმედება მომხდარიყო: ახალგაზდა კაცი დაეტუსაღებინათ და ერთი ქალი გაეუპატიურებინათ... და ეს ორივე ბოროტ-მოქმედება ერთსა და იმავე კაცს

ჩაედინა, რომელიც სომხის სახელს ატარებდა და რომელსაც სომხის ბრბო პატივსა სცემდა!..

— გლეხი,—უთხრა ვარდანმა ამხანაგებს,—იგივე ბავშვია, მხოლოთ ჰასაკმოსული ბავშვი-კი. ვთქვათ ბავშვი გაგორდა, კოტრიალობს მიწაზე, ამ კოტრიალში უცებ ქვას ანუ კედელს ახლის თავს და იმ დრომდე ტირის, ვიდრე რაიმე ტკივილსა გრძნობს; შემდეგ-კი, როცა ტკივილი უყუჩდება, ყველაფერს ივიწყებს და კვალათ კუნტრუშ-ხტუნვას მოჰყვება, თითქო ერაფერიც არა მომხდარა...

— ამ გვარ მორდილ ბავშვებთან საქმის დაჭერა ძალიან ძნელია,—დაუმატა ვარდანმა.—საუკუნოებით ერთსა და იმავე ტალახში გორავენ, მაგრამ მაინც ვერაფერს გრძნობენ:— დღევანდელს შემთხვევას ხვალ სრულიათ ივიწყებენ... ისევ ისე მხიარულებენ, ისევ ისე უდარდელათ შრომობენ და იმას კი აღარ ფიქრობენ რა აქვთ გასახარელი ანუ ვისთვის შრომობენ?..

— თომას-ეფენდის,—განაგრძო მან,—ძლიერ კარგათ გაუცვნია ეს ხალხი: გლეხებს „ვირებს„ ეძახის და იმათ-კი, ვინც ხალხისთვის ფიქრობს—„ხენთებს“ (სულელებს)... მოდი ეხლა შენა და მაგათ აუხსენი, რომ წუხანდელი ყმაწვილი კაცი, რომელიც ისე დალაგებით უმტკიცებდა ადამიანის პიროვნულ უფლების მნიშვნელობას, რა არის შრომა და ადამიანის ცხოვრება როგორ უნდა მოეწყოს, რომ უზრუნველ ყოფილი იყოსო; უთხარი, რომ ეს ყმაწვილი კაცი წუხელ დააპატიმრეს და ხვალ სახრჩობელაზე ჩამოაკონწიალებენ-და, დარწმუნებული ვარ, ყველასგან ერთსა და იმავე პასუხს გაიგონებ—„ხენთი“ იყოვო!..

— მე მგონია,—სთქვა ისევ ვარდანმა,—ბ. სალმანის დასმენაში თომას-ეფენდისაც წილი უნდა ედოს.

— მეც მაგრე მგონია, მიუგო ჰაირაპეტამ.

— ეს უნდა როგორმე დანამდვილებით შევიტყოთ.

ბინდდებოდა. სალამოს ლოცვა გამოსულიყო და სოფლის მოხუცი კაცები თუ დედაკაცები საყდრიდან სახლებში ბრუნ-

დებოდნენ. ვარდანი და მისი ამხანაგები ცდილობდნენ სოფელს ჩქარა გაშორებოდნენ.

— კარგი ნემსები... ჭრელ-ჭრელი ძაფები.. ბჭყვრიალა ლი-ილები-ი!.. გაისმა კოჭლი ჩარჩის ნაცნობი ხმა.

ჩარჩი ქუჩის მეორე მხრიდან მოდიოდა ისევე რწევითა და კოჭლობით, როგორც რამდენიმე დღის წინათ ვარდანს ენახა; ზურგზე იგივე უშველებელი ყუთი ეკიდა და ხელშიაც იგივე უზარმაზარი კეტი ეჭირა, რომელიც ჰერკულესის ლახტს უფრო მეტათ გავდა, ვიდრე ხელ-ჯოხს. ვარდანი და მისი ამხანაგები რომ დაინახა, მიმართა:

— ბატონებო, ლოთიანათ იყიდეთ რამე, საღამოს სიფთაა, იაფათ მოგცემთ

— აბა რა გაქვს?

— ყველაფერი, შენი ჭირიმე... მიუგო ჩარჩმა და ყუთი მიწაზე დადო.

ვარდანმა საწვრილმანოს ვითომდა თვალიერება დაუწყო და თან ხელში ის ქაღალდის ნახევი ჩაუდო, რომელიც გლეხის ოთახში იპოვნეს. ჩარჩმა ქაღალდს საჩქაროთ თვალი გადაავლო და ძლივს გასაგონი ხმით მიუგო:

— მე უკვე ვიცი...

— რა უნდა ვქნათ?..

ცოტა ხნის შემდეგ შეგხვდებით და მოვილაპარაკებთ...

— სადა?

— გზა განაგრძეთ .. გიპოვნით.

ყველა ეს ისე უცებად და შეუნიშვნელათ მოხდა, რომ იქ მდგომ ჰაირაპეტასა და აპოს არა გაუგიათ-რა.

ჩარჩმა თავისი ყუთი კვალათ შეჰკრა, ზურგზე მოიკიდა,— „ტყუილათ ჩამომაღებინოთო“—სთქვა ხმა მაღლა და ერთი გლეხის სახლისკენ გასწია. თან გუნებაში ამბობდა: დღეს გვარიანათ ვივაჭრე, ახლა-კი უნდა შევისვენოო...

ვარდანმა და ამხანაგებმა გზა განაგრძეს. გლეხთა ქოხებში ჭრაქები ინთებოდა.

ოსტატ პეტრეს სახლის წინ გაიარეს, კარებში მეზობელი ოჰო იდგა. როცა-კი შებინდებისას სომხის გლეხები ვინმე

უცხოს მოჰკრავენ თვალს, ნაცნობი იყოს, გინდ უცნობი, ჩვეულებათა აქვთ სახლში მიიწვიონ: „გვესტუმრეთო.„ ამ გვარი შეპატიჟება ბევრისგან გაიგონეს, მაგრამ ყველას მადლობას ეუბნებოდნენ და წინ მიდიოდნენ. გარნა ოსტატ პეტრეს ქოხის წინ-კი გაჩერდნენ. მაგრამ მიტომ-კი არა, რომ ოჰოს შეპატიჟება გაიგონეს, არამედ იმიტომ, რომ სახლიდან რაღაც არა ჩვეულებრივი ხმა შემოესმათ, თითქო ვიღაც შველას თხოულობსო. მაშინვე ეზოში შევიდნენ. ხმა მოისმოდა საქონლის გომიდან, სადაც სიბნელისგან არაფერი სჩანდა. აპო ქოხში შევარდა, ანთებული ჭრაქი გამოარბეინა და და სამნივ გომისკენ გაეშურნენ. შიგ რომ შევიდნენ, თვალწინ შემდეგი სურათი წარმოუდგათ: ახალგაზდა ქალს ყელზე თოკი გადაეგდო და ჭერში იყო ჩამოკიდებული; ერთი დედაკაცი-კი ფეხებზე მოხვეოდა და ცდილობდა მაღლა აეწია, რომ ქალს თოკი არ გასჭირებოდა. „გამიშვი, გამიშვი!“... გაიძახოდა ქალი მიხრწნილი ხმით; დედაკაცი-კი მწუხარებით შეჰღრიალებდა: „ბარბარე-ჯან“-ო...

მაშინვე მისცვივდენ, თოკი ჩამოსჭრეს და ცოცხალ-მკვდარი ქალი თავისივე ხელით დამზადებულ სახრჩობელადან ძირს ჩამოიღეს. ერთი წუთი კიდევ რომ დაგვიანებულიყო, ყველაფერი გათავებული იქნებოდა, რადგან დედაკაცს ხელები ძალზე დაღლოდა და იმდენი ღონე აღარ შესწევდა, რომ ქალი დაეხსნა.

ასწიეს საბრალო ქალი და ქოხში ამოიტანეს. ჯერაც გონზე არ მოსულიყო. მაშინვე ლოგინი გაუშალეს და ჩააწვინეს. შელურჯებული სახე დრო-გამოშვებით უთრთოდა, მოკუმული ტუჩები-კი ხამუშ ხამუშ მოძრაობაში მოდიოდა და ერთსა და იმავე სიტყვას იმეორებდა—„გამიშვი!“. იქვე მდგომი შუშანა ტიროდა, ძალზე იცრემლებოდა და თან წყევლა-კრულვას უგზავნიდა ვიღაც უცნობს, რომლის სახელიც აღარ ახსოვდა. საბრალო დედაკაცი ჩქარ-ჩქარა ავადმყოფთან მიდიოდა, მის ლამაზ თავს გულში იკრავდა და თან მწუხარეთ ეუბნებოდა: „ბარბარე-ჯან, რაზე იკლავდი თავს?... შენ ხომ არა ხარ

დამნაშავე?... დეე იმ უსირცხვილოს მაგიერი ღმერთმა მისცესო“...

ვარდანი და მისი ამხანაგები მიხვდნენ, რომ აქ რაღაც საიდუმლოება იფარებოდა. მაგრამ მისი გამოცნობა გაუძნელდათ, რადგან შუშანა არას ამბობდა და სახლში-კი ბავშვების გარდა მეტი აღარავინ იყო. ამ სახლის მამაკაცს ჰაირაპეტა კარგათ იცნობდა, რადგან ოსტატი პეტრე იმათსა ხშირათ დაიარებოდა სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღების შესაკეთებლათ. ცოლს-კი პირველათ ხედავდა. მაგრამ გინდ ბევრჯელაც ენახოს და თუნდა ნაცნობიც ყოფილიყო, მაინც უცხო მამაკაცთან გაბედულათ ვერ ილაპარაკებდა, მეტადრე იმ გვარ შემთხვევის შესახებ. შუშანამ მხოლოთ დალოცა, დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა და შეეხვეწა, თუ შეიძლებოდა, პეტრესთვის შეეტყობინებინათ.

— სად არის პეტრე? ჰკითხა ჰაირაპეტამ.

— მახლობელ სოფელშია წასული სამუშაოთ, მიუგო დედაკაცმა.

ის იყო გარეთ უნდა გამოსულიყვენ პეტრესთან კაცის გასაგზავნათ, რომ ავადმყოფმა თვალი გაახილა და წყალი მოითხოვა. გახარებულმა შუშანამ მაშინვე მიურბეინა. ავადმყოფმა წყალი ხარბათ დალია, ქალის გალურჯებული სახე ნაცრის ფრათ შეცვლილიყო და თვალებიც დასწითლებოდა, რაც, უეჭველია, სისხლის აღელვებისაგან უნდა წარმომდგარიყო. ქალმა რომ წყალი დალია, თავი ისევ ბალიშზე მიდო და სახეზე საბანი წაიფარა. საბნის ქვეშიდან ჩუმი ქვითინი მოისმა... ეტყობოდა, ქალი გონზე მოსულიყო და მწარე სინამდვილე გახსენებოდა. მართალია, მწარე და ნაღვლიანი ქვითინი ადამიანს გულ უკლავდა, მაგრამ ვარდანსა და მის ამხანაგებს სახეზე სიხარულის შუქმა გადაჰკრა, რადგან დარწმუნდენ, რომ ქალი სიკვდილს გადარჩენილიყო.

გარეთ ერთი ბიჭი მონახეს, შავი ფული აჩუქეს და პეტრეს დასაძახებლათ გაგზავნეს. მეზობელი ოჰო ისევ თავის სახლის კარებთან იდგა და არხეინათ აქეთ-იქით იყურებოდა,

თითქო არაფერიც არა მომხდარა-რაო. მიმავალი ვარდანი და მისი ამხანაგები რომ დაინახა, კვალათ შეიპატიჟა:

— მამაცხონებულნო, ამ ბნელ ღამეში სადღა მიხვალთ? ჰეი, რომ იცოდეთ წუხელ რა ქეიფში ვიყავით!—დაუმატა მან:—ამალამაც რამეს მოვაგვარებდით.

— რა ქეიფში? ჰკითხა ჰაირაპეტამ.

მეზობელი ოჰო დიდის აღფრთოვანებით მოუყვა, რომ წუხელ თომას-ეფენდი ოსტატ პეტრეს სახლს ესტუმრა და მეც იქ ვიყავ დაპატიჟებული; დიდი მხიარულება გვქონდა, „ჩალკეები“ საამურათ უკრავდნენ, ქალები ცეკვავდნენ, ბევრი ვჭამეთ და ბევრიც დავლიეთ. ერთი სიტყვით დიდი მხიარულება გვქონდაო. თავისი ნაამბობი შემდეგი სიტყვებით დააბოლოვა:

— მედა ჩემმა ღმერთმა, თომას-ეფენდი ძალიან კარგი კაცია! იმდენი არაყი მოატანია, რომ შიგ ბანაობაც-კი შეიძლებოდა!

— და ყველანი დაგათროთ, არა? ჰკითხა ვარდანმა.

— მამაცხონებულო, იმოდენა სმისგან ვინ არ დაითვრებოდა? მიუგო ოჰომ სიცილით,—ლაზათიც დათრობაშია.

— პეტრე შინ იყო?

— არა, იმის მაგიერობას მე ვეწეოდი.

— შენი დათრობის შემდეგ-კი შენი ადგილი თომას-ეფენდიმ დაიჭირა... არა?

— მე აღარაფერი მესმოდა, სახლში თურმე აკიდებული მივეტანეთ ვიღაცეებს.

ოჰოს ზიზღით გაშორდნენ და თავიანთი გზა განაგრძეს.

— ახლა-კი მესმის საბრალო ქალის საქციელის მიზეზი, წარმოსთქვა ვარდანმა.

— მე-კი იმასაც მივხვდი, ბ. სალმანი ვისი დასმენილია...— სთქვა ჰაირაპეტამ.

— უეჭველია,—მიუგო ვარდანმა, — თომას-ეფენდის საქმეა. ეგ ისეთი მელაძუა რამ არის, რომ შეუძლებელია ბ. სალმანის მოქმედების მიზანს არ მიხვედრილიყო და არ დაესმინოს, რათა მთავრობას თავისი ერთგულება და დიდი სამ-

სახური დაუმტკიცოს. და რადგან თითონაც ამავე სოფელში ყოფილა, ადვილათ მისახვედრია, რომ თითონვე დააჭერინებდა. როგორც ჩვენ ეფენდის ვიცნობთ, ყველა ეს ისე ადვილი შესაძლებია, რომ უბრალო ეჭვიც-კი არ უნდა გვქონდეს.

ამხანაგთა შორის სიჩუმე ჩამოვარდა, მარტო მათი წყნარი ნაბიჯის ხმა-ღა ისმოდა. დაფიქრებული წინ მიდიოდნენ; ყველა ერთი აზრით იყო გამსჭვალული, რომ ახალგაზდა კაცის გამოსახსნელათ რაიმე საშუალება გამოენახათ.

— რაცა სთქვი, ვარდან, ყველაფერი მართალია, — სიჩუმე დაარღვია ჰაირაპეტამ, — ეხლა როგორ უნდა მოვიქცეთ?

— ოსმალეთის მოხელეთა სუსტი მხარე ისე მაქვს შესწავლილი, როგორც ჩემი ხელის გული. რამდენათაც უსამართლონი და უგულონი არიან, იმდენათვე დაუდევრები არიან, — მიუგო ვარდანმა. — ამიტომ მგონია, რომ ბ. სალმანის განთავისუფლება არ გამიძნელდება. ჩემ მსახურთა გმირობა ხომ თქვენთანაც ცხადია, ცხენებიც მზათა გვყავ, ამაღამვე მოვასხდებით და უკან დავედევნებით. სადაც უნდა წაეყვანოთ, იმედი მაქვს, ვიპოვნით და, თუ სხვაფრივ მისი განთავისუფლება არ მოხერხდა, ჩვენ საკუთარ ძალ-ღონესაც გამოვიჩენთ. ოსმალოს მცველთა სიმხდალეს დიდი ხანი შევჩვევივარ.

— ჩვენც მზათა ვართ გამოგყვეთ, მიუგეს ძმებმა, — მარტო როგორ გაგიშვებთ?

— თქვენი გამოყოლა არა თუ მეტია, არამედ საშიშოც არის, მიუგო ვარდანმა. -ამასობაში ჩარჩის სიტყვა გაახსენდა „მოგეწევითო“ და ფეხი შეაყენა. თან ამხანაგებს მიმართა: — ცოტა ხანს დავსხდეთ, თორემ სიარულში ლაპარაკი და რისამე მოფიქრება ძნელია.

თითქო დაქანცულიყო, დარდი და სევდა საშინელი სიმძიმით დასწოლოდა გულზე, რომელშიაც რაღაც ფრთონა, რაღაც მღელვარება იბადებოდა და ეს ფრთონა თანდა-თან უფრო ძლიერდებოდა...

გზას გადაუხვიეს, ნესვის ბოსტანში შევიდნენ და ერთ პატარა წამოხურულ ქოხში დასხდნენ. ბოსტანში მცველთაგა-

ნი არავინ სჩანდა, რადგან ნესვი ჯერ არ იყო შემოსული და ამიტომ ქურდის შიში არა ჰქონდათ. ამ გვარი ქოხი დაქანცულ მგზავრთათვის სწორეთ მისწრებაა ხოლმე: სიცხეშიაც შეიძლება თავის შეფარება და ნიაღვარშიაც, ეს უკანასკნელი კი იმ მხარეს ხშირი მოვლენაა

კარგი მოწმენდილი და ნათელი ღამე იყო, თუმცა მთვარე არსად სჩანდა. შორიდან მოჩანდა სოფელ ო—ში ანთებულ ჭრაქების შუქი, დრო - გამოშვებით ძაღლების ყრუ, გამაფრთხილებელი ყეფა მოისმოდა.

ვარდანმა შეწყვეტილი ლაპარაკი განაგრძო. გაიმეორა, რომ ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ ბ. სალმანის გასანთავისუფლებათ, თორემ სიკვდილი არ ასცდებაო. ამ საქმეში თქვენი ჩარევა კი სახიფათოდ მიმაჩნია, მით უფრო, რომ ეს ცდა ან კეთილათ დაგვირგვინდება, ან ყოველი შრომა ამაოთ ჩაგვივლის და ორსავე შემთხვევაში-კი ოსმალთა ჯავრის ამოყრა არ აგცდებათო. რადგანაცაო,—განაგრძო მან,—ვინ იცის, იქნება ეს საქმე უბრძოლველათ არ დაბოლოვდეს, იქნება მკვლელობაც მოხდეს და ამ საქმეში რომ თქვენც მონაწილეობა შიიღოთ, მაშინ, როგორც აქაურებს, დაუსჯელათ არ დაგტოვებენ, თქვენს გარდა თქვენი ნათესაობაცა და მთელი თქვენი ოჯახიც დაისჯებაო. მე-კი არაფრის შიშიცარ უნდა მქონდეს, რადგან უცხოელი ვარ, სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომი, შემიძლია, ყოველი ჩემი განძრახვა სისრულეში მოვიყვანო, შემდეგ დავკრა ფეხი და გავიქცე. პოვნით მე ვერავინ მიპოვნის, მეტადრე ამ ომიანობის დროსაო.

ათას ქარ-ცეცხლში გამოვლილ ვარდანის დალაგებული მსჯელობა რომ მოისმინეს, ძმებმა უპასუხეს:

— ტანისამოსს გამოვიცვლით და ვეღარ გვიცნობენ.

— სულ ერთია, როგორც უნდა მოიქცეთ, არაფერი და— იმალება. თომას-ეფენდისთანები აქ ბევრნი არიან, დაბეზღება არ გაუჭირდებათ. ოღონდ ოსმალების გული-კი რითიმე მოიგონ, თორემ აქაური სომხები არავის დაინდობენ, თუნდა ამით

თავიანთი მოძმენიც დაიღუპნენ... სომეხს თავისზე დიდი მტერი სხვა არავინა ჰყავს...

უკანასკნელი სიტყვები ისეთი კბილების ღრჭენით წარმოსთქვა, თითქო ვისიმე გაგლეჯა უნდაო. იმ დღის მომხდარი ამბების მწუხარე შთაბეჭდილებას მისი ნერვები საშინლათ აღეძრა. ერთი მხრივ საყვარელი მეგობრის დატუსაღებისა და საერთო საქმისადმი ხალხის უზომო გულ-გრილობისა, მეორეს მხრივ საბრალო ბარბარეს სამწუხარო ამბისა და ეფენდის სხვა მრავალ ბოროტ-მოქმედებისა გამო გული საშინელი სიბრაზით გავსებოდა, თუმცა ჯერაც არა იცოდა-რა, რაც იმ დღეს ამ საზიზღარ კაცს სისაძაგლე და ათასი უწესობა ჩაედინა მოხუცის სახლში. ისე იყო აღელვებული, აღშფოთებას იქამდინ მიეყვანა, რომ ლალა თითქმის აღარც-კი ახსოვდა; დავიწყებოდა ის ნაზი არსება, რომელსაც ვარდანის გულში პირველი ადგილი ეჭირა. უცებ მისი სახე თვალ წინ წარმოუდგა, მისი დაღონებული და მუდარებით სავსე თვალები ისე გამოიყურებოდა, თითქო ეუბნება: „სად მიხვალ? მარტოს რათ მტოვებ? საყვარელ მეგობრის გამოსახსნელათ მიდიხარ, მაგრამ განა მე - კი შენი საყვარელი არსება არა ვარ?! სიტყვა არ მომეცი, წაგიყვან, ამ ქვეყანას გაგაშორებო? აქ ველარ გავძლებ... მეშინია, ძალიან მეშინია ქურთებისაო!“...

ვარდანის გრძნობათა შორის საშინელი ბრძოლა იყო ატეხილი. წინ ედგა ორი არსება: საყვარელი ქალი და გულითადი მეგობარი. ორივეს დახმარება ესაჭიროებოდა, ორივეს სიცოცხლე განსაცდელში იყო ჩავარდნილი.

ფათთაჰ-ბეგის განძრახვა ვარდანმა ჯერ დანამდვილებით არ იცოდა. ის-კი ძალიან კარგათ იცოდა თომას - ეფენდი საბრალო ქალს რა ვერაგულ მახეს უგებდა; კარგათ იცოდა, რომ საზიზღარი მიზნის მისაღწევათ ეფენდი არავითარ საშუალებას არ დაიშურებდა.

პატარა ჩალურ ქოხში ერთხანათ სიჩუმე ჩამოვარდა. ჰაირაპეტაც იმავე ფიქრს გაეტაცნა. ვარდანისა და ლალას სიყვარულის ამბავი იცოდა და ამიტომ იგი, ვარდანი, თავის სიძედ

ჰყავდა დასახული. ეხლა-კი ვარდანი შორდებოდა, მეგობრის გამოსახსნელათ მიდიოდა. ან როგორმე ოსმალებს ხელიდან გამოჰგლეჯდა ან კიდევ შეაკვდებოდა. ორსვე შემთხვევაში-კი ლალას დაღუპვა არ ასცდებოდა. ვინ იყო თავდები, რომ ვარდანის დაბრუნებამდინ ლალას ფათთაჰ-ბეგი არ გაიტაცებდა? იქნება ვარდანმა ეს გარემოება არ იცის, ფიქრობდა ჰაირაპეტა,—და არც ეცოდინება, რადგან ბეგის განძრახვა არ შეგვიტყობინებია. ეხლა რატომ არ უნდა შევატყობინო? მაგრამ როგორ ვუთხრა? ვარდანს არც ერთ ჩვენი ოჯახის წევრისთვის არაფერი უთქვამს, რომ ლალა მიყვარს და მისი შერთვა მინდაო. ეს საიდუმლო მარტო სარამ იცოდა, ისიც შემთხვევით. ერთი ერთმანეთზე მომხდარმა ამბებმა ვარდანს დრო აღარ მისცა, გული გაეხსნა და ყველაფერი გამოემჟღავნებინა. ეს ახალი და საშიშარი გადაწყვეტილება ხომ ლალას სრულიად აშორებდა. ჰაირაპეტას იმედი, რომ ვარდანი ლალას წაიყვანდა, ისეთ შორს ქვეყანას წაიყვანდა, სადაც სისხლის მსმელ ფათთაჰ-ბეგს ხელი ვერ მისწვდომოდა, ეხლა უწყალოთ ინთქებოდა.

მეორე მხრივ ნაკლებათ გულს არც თუ ბ. სალმანის დაკარგვა უკლავდა. ეს თავ-განწირული ახალგაზდა ვარდანზე ნაკლებ არ შეუყვარდა და პატივსაცა სცემდა. ამიტომ მისი თავის განებება ოსმალების ხელში, რომელნიც ციხეში ჩალპობას, ტანჯვა-წამებასა და შემდეგ სიკვდილს არ ააცდენდნენ,—უგულობათ მიაჩნდა და ეს უგულობა მის თვალში უფრო გაათკეცდებოდა, ვარდანისთვის რომ შეეტყობინებია, ლალას რა უბედურობაც მოელოდდა ქურთი ბეგის მხრივ, რადგან ვარდანს კეთილ განძრახვაზე ხელს ააღებინებდა და მით ბ. სალმანის დახსნის საქმეს ერთიან ჩაშლიდა.

ამ გვარათ ვარდანი და ჰაირაპეტა საქმეთა აწეწ-დაწეწასა და სამწუხარო გარემოებას ფიქრების ხაოსში შეეცურებინა. ლალაცა და დატუსაღებული ახალგაზდაც ჩქარ დახმარებას საჭიროებდნენ. მაგრამ ჯერ რომელს უნდა დახმარებოდნენ?—ამის გადაწყვეტა უძნელდებოდათ.

რალას ჰფიქრობდა მესამე ამხანაგი აპო, ეს აშენებულ ოჯახის გაუფუჭებელი და გულადი წევრი?—შეიძლება ითქვას, რომ არაფერს. იგი იმ გვარ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც რა მხარესაც უნდა გასწიოთ, წამოგყვებიან. განსხვავება მხოლოთ იმაში მდგომარეობდა, რომ ცუდ მხარეს ვერ წაიყვანდით. აპო კარგი და მარჯვე იარაღი იყო ცეცხლიდან რაიმე საგნების გამოსაღებათ, მოხმარება-კი პატრონის შნოებაზე იყო დამოკიდებული.

ვარდანის გულწრფელმა აღსარებამ საქმე ცოტა გამოარკვია. არაფერი არ დამალა—ლალასადმი სიყვარულის ამბავი დაწვრილებით უამბო და უთხრა, რომ ლალას სიტყვა მივეცი, გაგიტაცებ მეთქი და ლალაც დამთანხმდა. იძულებული ვარ ეს უწესო განძრახვა სისრულეში მოვიყვანო, რადგან იმედი არა მაქვს, რომ მოხუცმა ქალი ნებით მომათხოვოს. მე კიდეც შემინიშნავს და დარწმუნებულიცა ვარ, რომ მამათქვენს ეფენდიზე უჭირავს თვალი, სასიძოთ ის უნდაო.

— ეფენდიზე ლაპარაკიც-კი მეტია, განაგრძო მან,—რადგან ორივენი კარგათ იცნობთ და დღეს ხომ უფრო უკეთ გაიცანით.— იმაზე ქალის გათხოვება იმას ეგვანება, რომ აიღოთ და მგელს ანუ ძაღლს ჩაუგდოთ კლანჭებში. მაგრამ მე ისევ ის ფიქრი მტანჯავს: როგორც გითხარით, ბ. სალმანის დასახსნელათ უნდა წავიდე, ამ განძრახვაზე ხელის აღება არ შემიძლია. ასეთი მეგობრისა და ამხანაგის დახსნის სურვილი მძიმე ვალათ მაწევს. გარდა ამისა, მისი ამ გვარ განსაცდელში ჩავარდნის მიზეზათ, სხვათა შორის, ჩემ თავსაცა ვთვლი: ვამხნევებდი, ვაქეზებდი და მის გულში უიმისოთაც ანთებულ ცეცხლს უფრო ვაღუებდი. ამით მისი დაღუპვა უფრო დავაჩქარე, ამიტომ უნდა ვეცადო, რომ როგორმე დავიხსნა.

— მეორე მხრივ, ხანაგრძო მან,—წინ უშველებელი დაბრკოლება მეღობება და აღარ ვიცი რა ვქნა? არ ვიცი შევიძლებ თუ არა ლალას დატოვებას? ვინ უწყის, იქნება ეფენდიმ საქმე ისე დაატრიალოს, რომ ლალა იმ საძაგელს ჩაუვარ-

დეს ხელში?—მაშინ როგორი უნდა იყოს ლალას მდგომარეობა?. .

ჰაირაპეტამ მიუგო, რომ ლალამ ჩემ ცოლს, სარას ყველაფერი უამბო, ცოლმა კიდევ მე გადმომცა, ამ გვარათ თქვენი სულიერი ურთიერთობა ჩემთან ცხადია. ამიტომ მეცა და, ვგონებ, ჩვენი ძმებიც ძლიერ მოხარულნი ვიქნებით, თუ დაეჩქარები და ლალას გაიტაცებო.

— არა თუ ეფენდის მიზეზი, - დაუმატა მან,—არამედ სხვა უფრო უეჭველი მიზეზი გვაიძულებს, ლალა, რაც შეიძლება, ჩქარა მოვაშოროთ აქაურობას...

— სხვა რომელიღა მიზეზია? ჰკითხა ვარდანმა და სიბრაზისგან თვალები აენთო.

ჰაირაპეტა მოუყვა და ქურთი ბეგის განძრახვა დაწვრილებით უამბო. უამბო აგრეთვე, რომ ბეგის ცოლი ხურშიდა საშინლათ ეწინააღმდეგება ქმრის სურვილს, სარას საიდუმლოთ მოელაპარაკა და ურჩია, ლალა შორს სადმე გაგზავნეთო. ერთი სიტყვით, ყველაფერი უამბო, რაც ლალას შესახები რამ მომხდარიყო და რაც ჯერ ვარდანმა არ იცოდა.

ღრმა სევდით მოცული ისმენდა ვარდანი ჰაირაპეტას ლაპარაკს და ყოველი მისი სიტყვა გულში შხამიან ისარივით ესობოდა.

— ყველა ეგ იცოდით და მაინც მიმალავდით?—წამოიძახა ვარდანმა საშინელი სიბრაზით,—მოლოდინში იყავით, რომ ქურთი ბეგი მობძანებულიყო არხეინათ, თქვენი და გაეტაცნა და თქვენ-კი თვალებ-დაჭყეტილი გეცქირნათ თქვენი საკუთარი გაუპატიურებისათვის?!...

ვარდანს ეხლა კი ესმოდა ლალას იმ ნაღველითა და სასო წარკვეთილებით სავსე სიტყვების მნიშვნელობა, რომელიც დღევანდლამდინ ვერ აეხსნა;—ესმოდა, რომ იმ შუალამისას, როცა მოხუცის ბაღჩაში ერთმანეთს პირველად შეხვდნენ, ნაცვლათ იმისა, რომ განმარტოების წუთები ხვევნა-კოცნითა და სიყვარულის სანეტარო ლაპარაკით დაეტკბოთ,—ლალა მშვენიერ თვალთაგან მწუხარე ცრემლს აფრქვევდა და საში-

ნელი აღელვებით გაიძახოდა: „არა, სონასთან არ წავალ!.. სამარისა მეშინია!.. ქურთებისაც მეშინია,—დამიხსენ, უცხო ქვეყანაში წამიყვანე!“ ო .. როგორც სჩანს, სოდნია რა სამწუხარო ბედიც მოელოდდა და მიტომაც ისეთი სიბრალულით მიამბობდა თავის ტოლ-ამხანაგ ნარგიზას ხვედრს, თუ ქურთებმა როგორ მოიტაცეს, როგორ წაიყვანეს და როგორი უბედური შექმნილიყო.

არის ხოლმე იმ გვარი წუთები, როდესაც ადამიანს უბედურებისა, განსაცდელისა და მწარე შემთხვევათა უსასტიკეს ქარცეცხლშიაც-კი გული უფრო მეტს შეუდრეკელობას ღებულობს და როდესაც წყეული ბედის მუხანათობა უმაღლეს წერტილს მიაღწევს, მაშინ ყველა ამას აღარაფრათ აგდებს და თითქმის კიდეც დასცინის ხოლმე.

ვარდანიც სწორეთ ამ გვარ მდგომარეობაში იყო; ფიქრებს, გრძნობასა და სულიერ ტანჯვას აღარ ებრძოდა და ისე გამოიყურებოდა, თითქო დამშვიდებულაო. ყველაფერი ერთბაშათ გადაეწყვიტა, ასე რომ უკვე მოფიქრებული ჰქონდა, როგორც უნდა მოქცეულიყო.—მეგობრის სიყვარულს სატრფოს სიყვარული დაეჩრდილა.— მეგობრის დაკარგვასთან ერთათ უნდა დაკარგულიყო აგრეთვე იდეალი, დაბეჩავებული და გატყავებული გლეხის განთავისუფლების იდეალი, რომელზედაც იყო დამოკიდებული არა თუ მარტო ლალასი, არამედ მრავალ ათასის დედაკაცისა და ქალიშვილის პატიოსნება და ხსნა. „მარტო ლალასთვის რათ უნდა ვიზრუნო? ფიქრობდა ვარდანი, — საერთო საქმე დავტოვო და კერძოს გამოვუდგე?“-ო...

— ყველა ამის შემდეგ—სთქვა მან,—იგივე უნდა გაგიმეოროთ, რაც ამ რამდენიმე წუთის წინათ გითხარით. ბ. სალმანს ასე არ დავტოვებ, უნდა ვეცადო, რითაც იყოს გავანთავისუფლო. რალა თქმა უნდა, უყურადღებოდ არც ლალას დავტოვებთ: მის შესახებ რამე უნდა ვიღონოთ. აი ჩემი რჩევა, ყური დამიგდეთ...

— არავითარი ლონისძიებაც არ არის საჭირო... გაისმა ბოხი ხმა და ქოხის გვერდით კოჭლი ჩარჩის უშველებელი ტანი გამოჩნდა.

ვარდანმა რომ კოჭლი ჩარჩი დაინახა, გული რალაც გამოურკვეველი სიხარულით აღევსო; ჰაირაპეტასა და აპოს-კი სახე უსიამოვნოთ მოეხუშათ, რადგან დარწმუნდნენ, რომ ეს მატანტალა ჩუმათ ყურს უგდებდა. ამ უცხო კაცის ამბისა არაფერი იცოდნენ, მაგრამ როცა ნახეს, რომ ვარდანმა ხელი შეგობრულათ მოჰკიდა და გვერდით მოისო, მაშინ ცოტა დამშვიდდნენ, მეტადრე როდესაც ვარდანმა გამოუცხადა—ნუ გეშინიანთ, ჩვენიანიაო...

გარნა მელიქ-მანსური ახლა ის აღარ იყო, რაც რამდენიმე საათის წინ მატანტალა ჩარჩის ტანისამოსით ენახათ. ისე გამოცვლილიყო, რომ თვით ვარდანმაც-კი ძლივს იცნო. ლაზების ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილიყო და თავიდან ფეხებამდინ იარაღში იყო ჩამჯდარი.

— დიდხანს დარჩენა არ შემიძლია, თქვა მან საჩქაროთ,— ხომ იცით, რომ ჩვენი „მედუდუკე“ მახეშია გაბმული? უნდა როგორმე დავიხსნათ.

— ჩვენც სწორეთ მაგაზე ვლაპარაკობდით, მიუგო ვარდანმა.

— თქვენ იმის დარდი ნუ გაქვთ: ხვალ თუ არა, ზეგ მაინც თავისუფალი იქნება, თქვა მელიქ მანსურმა და ფეხზე წამოდგა.—თქვენ მხოლოთ ჩვენი საერთო საქმე განაგრძეთ. ახლა-კი ღამე მშვიდობისათ.

— მარტოკა მიდიხარ? ჰკითხა ვარდანმა.

— არა, აგერ იქ ამხანაგები მელიან.

ესა სთქვა და ხელი გაიშვირა მახლობელ მთებისკენ, სადაც ღამის სიბნელეში ცხენოსანთა გუნდი ოდნავ მოჩანდა.

— ვინ არიან? ჰკითხა ვარდანმა.

— რამდენიმე მთიელი ახალგაზდაა.— ნახვამდის.

ვარდანს კიდევ რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მელიქ მანსური უკვე შორს იყო წასული,

ჰაირაპეტა და აპო გაშტერებული იყვნენ. ჯერ არაფერი იცოდნენ, ვინ ანუ რა ხელობის კაცი იყო ეს საიდუმლოებით მოცული ჩარჩი ვარდანმა ყველაფერი უამბო, რაც-კი მის შესახებ იცოდა; ძმები ეხლა-კი მიხვდნენ ყველაფერს და თან დარწმუნდნენ, რომ ეს მოხერხებული და გამოცდილი ადამიანი ბ. სალმანის დახსნას მოახერხებდა.

ამის შემდეგ დასტოვეს სადარაჯო ქოხი და სახლისკენ გაემართნენ.

მოხუცის მიერ გაგზავნილმა საქომა და ეღომ, ვარდანის ერთგულ თანამგზავრთ, ბევრი იარეს, იქაურობა გადააბრუნეს, მაგრამ ვარდანი და მისი ამხანაგები ვერსად იპოვეს, რომ შინ მომხდარი ამბები შეეტყობინებინათ და მოხუცის დანაბარები გადაეცათ.

— ეღო, უთხრა საქომ, — საქმე ცუდათ დრის, ძალიან სიფრთხილე გვმართებს, რომ, თუ ვინიცობაა ბატონს ცუდი რამ შეემთხვეს, დახმარება არ დავახანოთ.

— მეც მაგ აზრისა ვარ, მიუგო ეღომ.

ამხანაგებმა გარდასწყვიტეს ხაჩოს სახლის შორი - ახლო დამალულიყვნენ და იქიდან ეთვალიერებინათ, რომ ვარდანის და მისი ამხანაგების მოსვლა არ გამოჰპაროდათ.

ХХХ

შუა ღამე გადასული იყო, როდესაც ვარდანი, ჰაირაპეტა და აპო სახლში დაბრუნდნენ. ჯერაც არაფერი იცოდნენ მათს შინ არ ყოფნის დროს სახლში რა ამბებიც მომხდარიყო. ეზოს კარები არხეინათ შეაღეს და შევიდნენ. იქვე მდგომმა მცველებმა კარები მაშინვე ჩაკეტეს. ნახევარ ასისთავი თავისი საზიზღარი გუნდით ოდაში ბრძანდებოდა. ზოგიერთი საძაგელი ზაფთები-კი ჯერაც ისევ ეზოში დაეთრეოდნენ და მონადირე ძაღლებივით დასუნსულებდნენ, რომ ხელში მოეგდოთ რამე.

სახლის ქალ-რძლები აღარსად ჩანდნენ, ეტყობოდათ, სადმე გახიზნულიყვნენ. ამ გვარ შემთხვევების დროს, როცა რომე-

ლიმე სახლს რაიმე ბრალი ედება და სამხედრო მხედველობის ქვეშა ვარდება, ქალ-რძლებს ყოველთვის სახლს აშორებენ.

ვარდანი და მისი ამხანაგები გაოცებული იდგნენ და ვერ გამოერკვიათ,—ეს დომხალივით არეული ბრბო რას ნიშნავდა. საქმის სინამდვილე აზრათაც არ მოსდიოდათ, რადგან მამასახლისისა და, საზოგადოდ, ყოველი სომხის გლეხის სახლში ჯარის კაცთა დაბინავება გუნდებათ იმ მხარეში ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა. ყოველთვის, როცა-კი გლეხი ამ გვარ სტუმრებს იღებს, იძულებულია, ცოლი, ქალი თუ რძალი სახლს მოაშოროს, რათა სტუმართა ვნებათა-ღელვის მსხვერპლი არ შეიქმნენ, რასაკვირველია, თუ სტუმარი იმდენათ პატიოსანია, რომ მასპინძელს ხმალს არ დააჭერს და არ დააძალებს—შინ დასტოვე ჩემდა სამსახურათო...

ცოტა ხნის შემდეგ ერთი ძმა გამოჩნდა და ჰაირაპეტას ზარდაცემული ხმით მიმართა:

— ნახე იმ „პამპულამ“ რა ოინები გვიყო?.. მოდი ეხლა და მთავრობას პასუხი გაეცი!.. იმ ლაწირაკს პირველ დღესვე ამოვკრავდი პანღურს და აქედან გავუძახებდი, მაგრამ მაცდურივით ჩაერია და ნება არ მომეცი... წადი ეხლა და პასუხიც შენ გაეცი...

ჰაირაპეტამ არაფერი უპასუხა; მიხვდა, რომ ძმის ლანძღვა-თრევა ბ. სალმანს შეეხებოდა და რაღაც სამწუხარო ამბავი მომხდარიყო...

— ძმაო, მახეში ჩვენც გავებით .. წარმოსთქვა ვარდანმა სიცილით.—ესლა გვაკლდა!..

ზაფთებმა აღარ დააბანეს. მისცვივდნენ სამივეს, ხელი ჩაავლეს და ნახევარ ასის-თავთან შეიყვანეს. თომას-ეფენდი აღარსად სჩანდა. საჭირო განკარგულების მიცემის შემდეგ წასულიყო და სოფლის მღვდელ, ტერ-მარუქასა სწვეოდა. ოდაში მარტო მოხუცი და ნახევარ ასის-თავი იყვნენ, კარებში-კი რამდენიმე ჯარის კაცი ატუზულიყვნენ. ვარდანი შეეიდა თუ არა, ოსმალოს მოხელის ნებართვისთვის აღარ მოუცდია, მივიდა და ხაჩოს გვერდით დაჯდა. ჰაირაპეტა და აპო-კი ფეხზე დადგნენ.

— სადაური ხართ, სომეხო?

სიტყვა „სომეხო“ რაღაც ზიზღიანი კილოთი წარმოსთქვა; ვარდანი აენთო, მაგრამ მაინც თავი შეიკავა და მიუგო:

— რუსეთელი.

— აქ რა საქმისთვისა ხართ მოსული?

— სავაჭროთ.

— ბაშფორთი გაქვსთ?

— მქონდა, მაგრამ დამეკარგა.

— მაგის შეტყობა ადვილია: თქვენ მხოლოთ ის მითხარით, საზღვრის რომელ საბაჟოზე გამოიარეთ? ბაშფორთის გამოთ შევეკითხებით, თქვენი ვინაობა იქ ცხადი იქნება.

— მე კონდრაბატისტი ვარ, ჩემი ხელობის კაცს საბაჟო ჭირივით ეჯავრება და შორს გაურბის. ამასაც გეტყვით, რომ ბაშფორთი არასოდესაც არა მქონია.

— მარტო კონდრაბანტისტი რომ ყოფილიყავით, იქნება გვეპატიებინა, მაგრამ თქვენ უფრო მძიმე ბრალი გედებათ.

— რა ბრალი?

— თქვენ ჯაშუში ყოფილხართ.

— მართალია... უეჭველია, თომას-ეფენდი გეტყოდათ... მართლაც და იგი ჭეშმარიტი მოლაპარაკეა... — მიუგო ვარდანმა დაცინვით.

— ვისაც უნდა ეთქვას, ეგ სულ ერთია, წარმოსთქვა ნახევარ ასის-თავმა ისეთი კილოთი, რომ სამსახურის კაცის გულ-გრილობა არ შეუცვლია; — საეჭვო პირებს, მეტადრე ამ ომიანობის დროს, ჩვენი ქვეყნიდან ვაძევებთ. ამაღამ აქ დაგამწყვდევთ, ხვალ დილით-კი სამხედრო საქმეთა მწარმოებელთან გაგგზავნით და თითონ იცის, როგორც მოგეპყრობათ.

— თუ ჩემი ბედი სამხედრო საქმეთა მწარმოებელთან უნდა გადაწყვეტილიყო, მაშ ჩვენების დაწვრილებით ჩამორთმევა რაღა საჭირო იყო? თქვენი მოვალეობა იყო მარტო დაგეტუსაღებინეთ, ეგ არის და ეგ. მაგრამ თქვენ სულ მაგრე იცით. აქ უკანასკნელი ზაფთი რომ რომელიმე დამნაშავეს გამოუყენო, ყველა იმის კვლევა ძიებას შეუდგება, რაც მხოლოთ უმაღლეს სასამართლოს საქმეა.

თუმცა ნახევარ ასის-თავმა ამ გვარი კილო შეურაცხებათ შიილო, მაგრამ მაინც არაფერი უპასუხა. ოთხ ზაფთს უბრძანა, რომ ვარდანი წაეყვანათ და დაემწყვდიათ. ვარდანმა არავითარი წინააღმდეგობაც არ გაუწია და თავის ნებით გაჰყვა.

ვარდანი რომ გაიყვანეს, ჯერი ახლა ჰაირაპეტასა და აპოზე მიდგა.

— ამათი ჩვენების ჩამოართმევა საჭიროა არ არის, ბრძანა ნახევარ ასის-თავმა: — მაგათი დანაშაული იგრეც ცხადია. წაიყვანეთ, დაამწყვდიეთ და ფთხილათ იყავით.

მოხუცი ისე გაშტერებულიყო, თითქო ბურანშიაო, მის თვალ წინ მომხდარი ამბები სიზმარი ეგონა. რათ მომატყუა ეფენდიმ? ჰფიქრობდა იგი. ნუ თუ ყველა ეს მართლა მარტო მოსაჩვენებლათა და თვალის ასაბმელათ არის მოხერხებულიო?

ვარდანი, ჰაირაპეტა და აპო წაიყვანეს და ერთს შენობაში ჩაამწყვდიეს, რომელიც ბელლის მაგიერობას ეწეოდა. იატაკი და კედლები ქვით იყო ნაგები, ქვები ისე იყო დაწყობილი, რომ სადმე ჭუჭრუტანა არ დარჩენილიყო და თაგვი არ შეპარულიყო. ფანჯრები ვიწროები ჰქონდა დატანებული და ზედაც წვრილათ დახვრეტილი რკინა ჰქონდა აკრული, რომ ფრინველი ვერ შემძვრალიყო. ერთი სიტყვით ხორბლისთვის დანიშნული შენობა იმ ლამეს მკვიდრ ციხეთ გარდაიქმნა. კუთხეში ზეთის ჭრაქი ბჟუტავდა და ბნელ თაღებიან ბეღელს ოდნავ ანათებდა.

ჰაირაპეტა და აპო სდუმდნენ, სახეზე მწარე სასოწარკვეთილება და უიმედობის სევდა დამჩნეოდათ. ოსმალოს მოხელეთა შეუბრალებლობა კარგათ ჰქონდათ გაცნობილი. საკმაო იყო სულ უბრალო რამ, ხშირათ მცთგანვე გამოგონილი, როგ სრულიად უდანაშაულო კაცი დამნაშავის სკამზე წამოესკუპებინათ. მზათ იყვნენ უდანაშაულო ეწვალებინათ, სისხლი გამოეწოვათ და მთლათ გაენადგურებინათ, როდესაც ეს უდანაშაულო ცოტათ თუ ბევრათ შეძლებული სომეხი იყო. ეხლაკი დამწყვდეულთა დამნაშავის სკამზე წამოსასკუპებლათ ბევრი საბუთი მოეპოვებოდათ. მაგრამ ეს საბუთები საიდან წარმოს-

დგა; ანუ ვისი დაბეზღებული იყვნენ—ამის შესახებ-კი გარკვეულ აზრს ვერ დასდგომოდნენ.

ვარდანი-კი, თითქო არაფერიაო, დამშვიდებული გამოიყურებოდა და ეს მისი სიმშვიდე, მისი სიწყნარე მღელვარე ზღვის იმ გვარ დამშვიდებას მოგაგონებდათ, რომელიც საშინელ ფრთონას მოსდევს ხოლმე.

— რას დაფიქრებულხართ, ყველაფერს ერთი არაკით აგიხსნით,—უთხრა მან თავის თანა ტუსაღთ,—ტყის ხეებმა თავიანთ მეფეს ამბავი წაუღეს და მოახსენეს: ერთი რაღაც წყეული იარაღი გაჩნდა და შეუბრალებლათ მუსრს გვავლებსო. მეფემ იკითხა: „იმ იარაღს სახელათ რა ჰქვიან?“ „ო.—ცულიო—მიუგეს ხეებმა. მეფემ კვლავ იკითხა: „რა გვარი მოწყობილობისაა?“ — თავი რკინისა აქვს, ტარი-კი ხისაო, მიუგეს ხეებმა. მეფემ თავი გაიქნია და ნაღვლიანათ წარმოსთქვა: „ტარი რომ ჩვენთაგანი ჰქონია, ძალიან საშიშო იარაღი იქნებაო“.

ტარი ჩვენთაგანია!.. — გაიმეორა მწუხარედ ვარდანმა;— ჩვენი გამძარცველი, ჩვენი მტანჯველი, ჩვენი დამმონავებული, ჩვენი გამათახსირებელი და ჩვენი სახლის დამქცევი იარაღის ტარი ჩვენივე სომეხთაგანია. თომას-ეფენდები, სოფლის მულთეზიმიდან მოკიდებული, ვიდრე ბრწყინვალე პორტის სომხის ბობოლებამდინ, მტრის ხელში სულ ამ გვარი ტარები არიან. ამ გვარი წყეული, დამღუპველი ტარები სომხეთის ისტორიის არც ერთ ხანას არა ჰკლებია. ჩვენი ისტორიის გადათვალიერების დროს თუ შეხვდეთ, რომ სამშობლო და ერი მტრის ხელში ჩავარდნილიყოს,—იცოდეთ, შიგ სომხის ხელი ერევა. თუ ნახოთ, რომ სომხის მეფე ტახდიდან გადმოგდებულიყოს და მისი კვერთხი უცხოს ხელში გადასულიყოს, — იცოდეთ შიგ სომხის ხელი ერევა; როცა შეხვდეთ, რომ სომხის მეფე ღალატით გაეძევებინოთ და მისი სატახტო ქალაქის კარები მტერს ღია დახვედროდეს,—იცოდეთ შიგ სომხის ხელი ურევია; როცა შეხვდეთ, რომ სამშობლოს მიწა სომხის სისხლით მორწყულიყოს, ადგილ-საცხოვრებელი ცეცხლს გაენადგურებინოს და მცხოვრებნი ტყვეთ წაეყვანოთ,—იცოდეთ შიგ სომ-

ხის ხელი ურევია; როცა შეხვდეთ, რომ სარწმუნოებისა, ეროვნობისა და წმინდა ეკკლესიის ღალატი მომხდარიყოს,—იცოდეთ შიგ სომხის ხელი ურევია... ერთი სიტყვით, ყოველ ჩვენს უბედურებას, ყოველ ტანჯვა-ვაებას და მტრისგან მოყენებულ ძალმომრეობა-მტარვალობას ტარათ ჩვენივე სომეხი ჰქონია გაკეთებული. სომეხი თვითონვე ანგრევს თავის ეროვნულ საძირკველს, თავის ხელითვე ანადგურებს თავის წმიდათა-წმიდას და ყოველ გვარ ეროვნულ ძვირფას განძს... სხვას რაღათ ვამტყუნებთ?

ჰაირაპეტა და აპო ღრმა მწუხარებით უგდებდნენ ყურს. ბოლოს ჰაირაპეტამ ჰკითხა:

— მაშ ჩვენი იმედები მთლათ დაინთქა?.. მაშ დაწყებული შენობა ისე ჩაგვეშალა, რომ მიწას აცილებაც-კი ვერ ეღირსა?...

— თითქო წინასწარმეტყველის წინათ-გრძნობა ჩამძახოდა, იმთავითვე ვგრძნობდი, რომ საქმე ამით დასრულდებოდა, და სხვა რომელიმე შედეგის მოლოდინი ნამდვილი სისულელე იქნებოდა, მიუგო ვარდანმა.—თვით ბ. სალმანიც კი ყოყმანში იყო და დაწყებული საქმის კეთილი ნაყოფის მოლოდინი სავსებით არა სწამდა. სიტყვა-სიტყვით მახსოვს მისი უიმედო სიტყვები, როდესაც იმედებით აღსავსე ახალგაზდა მეუბნებოდა:—„როცა ხალხის მოძრაობის რაიმე იდეალი მხოლოთ რამდენიმე პირთა ოცნებაა, არ გასაზოგადოებულა და ბრბოს ერთ ნაწილსაც-კი არ შეუგნია, — ერთის დაკვრით განაცარ-მტვერდება, თუ-კი მოწინავე პირები აღარ იქნებიან. გარნა სულ სხვაა უმრავლესობა, ბრბო: თუ ბრბოში რაიმე აზრძა გაიდგა ფესვი, მისი აღმოფხვრა შეუძლებელია.

—„ჩვენაო,—ამბობდა იგი,—ახლა მხოლოთ მთესველთა მოვალეობას უნდა ვასრულებდეთ და არა მომკალთა. სამკალი მომავალ თაობას უნდა დავუტოვოთო“. და აი სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ უკანასკნელ დროს უფრო მკვიდრის, უფრო დროისა და მიზნის შესაფერ დაწესებულებათა დამკვიდრებას შეუდგა, სახელდობრ—სასწავლებლების აგებას. ბ.

სალმანის მოქმედებას მიზნათ აჯანყება არა ჰქონია: მის მოღვაწეობას პირველში უფრო რევოლიუციონური ელფერი სდევდა, შემდეგში-კი წინასწარ მომზადების იერი დაეტყო. ერთხელ ისეთი მხიარული ღიმილით მომმართა, როგორიც მის გაციებულ სახეზე არასოდეს არ შემინიშნავს: ვარდანო, მითხრა, —ჩვენ რომ ხალხის განათლების საქმეს ვკისრულობთ, არა რომ ჯერ ჩვენც გაუნათლებლები ვართ, ჯერ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, თვით იმავე ხალხისგანაც-კი, რომლის მოძღვრობასაც ჩვენა ვკისრულობთ. ხალხი უდიდესი მასწავლებელია. ყოველ მის გარდმოცემა-თქმულებაში უსაზღვრო სიბრძნე იხატებაო. აბა მოისმინეო, მითხრა, ჩვენი და ოსმალების დამოკიდებულებას ხალხი როგორ ახასიათებს: „ძაღლს დაუმეგობრდი, მაგრამ ჯოხს-კი ხელიდან ნუ გააგდებო“. მართლაც ეს არაკი უმთავრესს საშუალებას შეიცავს, თუ მაჰმადიანებთან როგორი დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ. ოსმალები მკბენარნი არიან: ჯოხი ყოველთვის ხელთ უნდა გვეპყრას, რომ მათმა ბასრმა კბილებმა არაფერი გვავნონ. და აი სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ბ. სალმანი სულ იმის ცდაში იყო, ხალხი შეეიარაღებინა და თავის დაცვის ფარგალში ჩაეყენებინა.

ვარდანის ლაპარაკს ჰაირაპეტა და აპო დიდის ყურადღებით ისმენდნენ. საკუთარი წყლული დავიწყებოდათ, დავიწყებოდათ ის მწარე ხვედრი, რომელიც მეორე დილით მოელოდდათ, და მთლათ საზოგადო წყლულების ფიქრს მისცემოდნენ. მართალია, ბ. სალმანისაგანაც ბევრჯელ გაეგონათ ამ გვარი აზრები, მაგრამ ასე საფუძვლიანათ-კი არასოდეს არ შეუგნიათ.

ვარდანი ხომ მთლათ მჭევრ-მეტყველებათ გარდაქცეულიყო; თითქო საპყრობილეს აღუფრთოვანებიაო, დაუყენებლივ ლაპარაკობდა. მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ციხეში მრავალჯერ მჯდარიყო, მაგრამ ციხიდან მუდამ ნაღვლიანი შთაბეჭდილება გამოუტანია; ეხლა კი ფითქო უხაროდა, რაღაც კმაყოფილებასა გრძნობდა. იმ დროს იგი სასიკვდილოთ გამზადებულ ტუსაღს მოგაგონებდათ, რომელიც სასიკვდილო

ბოძზეა აღმართული, მაღლიდან უსამართლო ქვეყანას ღრმა მწუხარებითა და ზიზღით გაჰყურებს და ბოროტ, უგულო ადამიანთა ჭკუა-მოკლეობას დასცინის, თან-კი გუნებაში გაიძახის: „აი მთელი თქვენი ძალა! ამაზე მეტი ხომ აღარაფერი შეგიძლიათ?!.. თქვენ მხოლოდ ჩემს სხეულსა ჰკლავთ, მაგრამ ჩემი დათესილი ფიქრებისა და აზრების მოკვლა-გაქრობა-კი არ შეგიძლიათო“...

—„ძაღლს გაუმეგობრდი, მაგრამ ჯოხს-კი ხელიდან ნუ დააგდებო“!.. განაგრძო ვარდანმა.—ცხოვრების ამ გვარი ვითარება ელ-ქაჯებსა ჰბადებს ხოლმე — ჩემისთანა ელ - ქაჯებს (чудовище)... ჩემო მეგობრებო, თქვენ, უეჭველია, ისეთი არა ბგონივართ, როგორიც ნამდვილათა ვარ. მაგრამ რადგან შესაძლებელია ამის მეტათ ველარ შეგვხვდეს ლაპარაკი (ვინ იცის რა მოგველის!), ამიტომ ყური დამიგდეთ. მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელნიც ავის ავით მიწყვას პატარაობითვე ეჩვევიან. ჩემი ხელები მრავალჯერ შეღებილა ადამიანის სისხლით, მაგრამ უდანაშაულოს სისხლით კი—არასდროს. ერთხელ სასულიერო წოდებათა რიცხვშიაც ვიყავი შერიცხული, მაგრამ დაბადებიდან (ბიბლია) მხოლოთ ეს ვისწავლე: „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილო“. როცა ამოვიკითხე, რომ იეღოვას წინასწარმეტყველმა, მამულის სიყვარულით გატაცებულმა მოსემ ურიის მტანჯველი ეგვიპტელი მოკლა და მისი გვამი ნილოსის ლამში დაფლაო,—გული განუსაზღვრელი ზიზღით ამევსო და წყევლა-კრულვას ვუთვლიდი ამ ერებს, რომლებიც სომხებს ისევე სტანჯავდნენ, როგორც ეგვიპტელნი-ურიებს. როცა ამოვიკითხე, რომ იეღოვას წინასწარმეტყველმა მოსემ რამდენიმე უცხო ტომი გაანადგურა, ვიდრე აღთქმულ ქვეყანას უცხოელთაგან გაანთავისუფლებდა და ზედ ისრაელის შვილებს დაასახლებდაო,—ვიფიქრე: ასევე უნდა მოვეჭცეთ ოსმალებს, ქურთებსა და ჩერქეზებს, რომელნიც ჩვენ მამა-პაპათაგან ნაანდერძევ მიწა-წყალზე გაბატონებულან-მეთქი. ეს იგივე ბუნების კანონია, რომელსაც ბ. სალმანი მცენარეთა მაგალითებით გვიხსნიდა. მცენარეთა

ერთი მოდგმა მეორესა სჩაგრავს, სულს უხუთავს და სპობს და მის ადგილს თითონ იჭერს. თუ არ გვინდა, რომ ამ არსებობისთვის ბრძოლამ დედა-მიწის პირიდან აღგვგავოს, წინაალმდეგობის უნარი უნდა გვქონდეს; ამ თვისებას, ამ შნოსა და უნარს სახელათ თავის დაცვა ეწოდება. ბ. სალმანის უმთავრესი მიზანიც სწორეთ ის იყო, რომ ხალხს ეს თვისება შეესისხლ-ხორცებინა.

— ეს თვისება მე ადრევე შევითვისე. იქნება მორალისტმა უზნეო, სისხლის მსმელი მხეცი მიცოდოს, ღვდელმა კიდევ—ცოდვილი დამიძახოს,—მაგრამ არაფერია, დეე რაც უნდათ, ის მიწოდონ, მე მაინც ისე მოვიქცევი, როგორც ცხოვრება მოითხოვს. მაგრამ თუ ოდესმე ადამიანები ბოროტ-მოქმედებას დაეხსნებიან, ქვეყნადაც მშვიდობიანობა და ქრისტიანული ძმობა-სიყვარული დამყარდება, მაშინ მზათა ვარ ყველაფერი დავივიწყო, ყველაზე გულ-კეთილი შევიქნე და ჩემი დღევანდელი მტრები ძმურათ გადავკოცნო...

ასე და ამ გვარათ ჩვენი ტუსაღნი ჯერ კიდევ დიდხანს საუბრობდნენ, ვიდრე ჭრაქში ჩასხმული ზეთი გამოილეოდა. რამდენსამე წუთს კიდევ ციმციმებდა, შემდეგ შიშხინი დაიწყო და კიდეც ჩაქრა. ციხე-ბეღელში კუმეტი სიბნელე გამეფდა.

XXXI

სწორეთ იმავე ღამეს, რა ღამესაც ვარდანი, ჰაირაპეტა და აპო ციხე-ბეღელში ფილოსოფოსობდნენ, უბედური მამულის უბედური ხალხის ჭირ-ვარამს მოსთქვამდნენ, — თომასეფენდი სოფლის მღვდელ ტერ-მარუქასთან გაბრტყელებულიყო; ვახშამი გაეთავებინა და სიამოვნებისაგან სახე გაბწყინებული ტერტერას ემასლაათებოდა.

ეს სწორეთ ის ტერტერა იყო, რომელმაც ბ. სალმანს იმდენი უსიამოვნება მიაყენა; ეხლა-კი მისი დაღუპვის ამბავი აწუხებდა, მაგრამ აწუხებდა არა იმიტომ, რომ ერთი შესა-

ნიშნავი პირი საზოგადო სამოღვაწეო ასპარეზს უნდა ჩამოშორებოდა, არამედ—საზოგადოთ ყოველი სომხის დაღუპვა სამწუხაროთ მიაჩნდა. ტერ-მარუქა ბოროტი კაცი არ იყო, და თუ მოძრაობას ეწინააღმდეგებოდა და ბ. სალმანის სასწავლებლების დაარსების საქმესაც ხელს უშლიდა, ესეც მხოლოთ გულკეთილობით მოსდიოდა, რადგან მავნებლათ მიაჩნდა.

ვიდრე მღვდლათ ეკურთხებოდა, იგი ერთი უბრალო გლეხი ყოფილიყო, ცოტათ თუ ბევრათ წერა-კითხვა ბავშვობისას წმ. იოვანეს მონასტერში ესწავლა. მიწათ-მოქმედება, ანუ სოფლის მეურნეობა ვერ მოუხდა, გაღარიბდა და ბედის საძიებლათ უცხო მხარეს მიმართა. არც თუ ბედის მაძიებლობამ შესძინა რამე. ბევრი იარა, ბევრს საქმეს მოჰკიდა ხელი, მაგრამ ყველგან საქმე ცუდათ წაუვიდა, ბოლოს ვანში ამოჰყო თავი, ყავა-ხანა გახსნა, მაგრამ, რადგან აქაც საქმე ცუდათ წაუვიდა, უგროშ-კაპეიკოთ სამშობლოშივე დაბრუნდა. ცხოვრებისთვის რომ სხვა საშუალება ვერაფერი იპოვა, ტერტერათ ეკურთხა.

იმ ღამეს მღვდელთან სოფლის შესანიშნავი პედაგოგი სიმონა დიაკვანიც იყო დაპატიჟებული, როგორც სახლის სიძე-ბატონი. სიმონა თავის თავს დიდ სწავლულათ სთვლიდა (ღვთის წინაშე, სოფლელნიც ამავე აზრისანი იყვნენ) და თავი უფრო იმითი მოჰქონდა, რომ ტერტერას სიძე იყო.

სალაპარაკო საგნათ მოხუც ხაჩოს სახლში მომხდარი ამბები გამხდარიყო. ამ ამბავმა მთელს სოფელს თავზარი დასცა და უფრო მეტათ-კი ტერტერა სწუხდა.

—„ვირი ფიქრს უნდებ, ცხენი-კი შეექცევაო“, ნათქვამია, მამაო, განაგრძო ეფენდიმ წუთის წინ გაწყვეტილი ლაპარაკი.—ქვეყნის წესი სულ ასეთი ყოფილა და ასეც იქნება. რაც რომ ღმერთს დაუდგენია, ადამიანი ვერ შესცვლის. ღმერთს ერთი ბატონათ გაუჩენია, მეორე—მუშათ. ერთი ფიქრსა და შრომას უნდება, მეორე-კი სჭამს. სომეხი შრომას არის დაჩვეული, ოსმალო და ქურთი-კი ჭამას. მშრომელი, მომგები რომ არ იყოს, მჭამელი ვერ იცხოვრებდა. აგრეთვე მჭამელი რომ არ

იყოს, მშრომელიც ვერ იცხოვრებდა. ოსმალები და ქურთები ხმლით გვიფარავენ, ჩვენ-კი იგინი ჩვენი შრომით უნდა შევინახოთ. ღმეთს ოსმალოსთვის ხმალი მიუცია, სომხისთვის - კი გუთანი, ამიტომ ერთი მეორის ადგილს ვერ დაიჭერს.

— ეგ მართალია, ეფენდი,—მიუგო მღვდელმა და თან პირჯვარი გამოისახა,—უფალი ჩვენი იესო ქრისტეც წმინდა საზარებაში სწორეთ მაგასვე ბრძანებს: თუ ღვთის ნება არ იქნება, ხიდან ფოთოლიც-კი არ ჩამოვარდება; მის უნებლივ თავზე ერთი თმაც არ გათეთრდება,—ყველა მისი ნებაა.

— მართალია, სრული ჭეშმარიტებაა... დაადასტურა სიმონა დიაკვანმა პირჯვრის წერითვე.

ლაპარაკი ახლა ომიანობისა გამო გლეხთა საშინელ ძარცვა-რბევაზე ჩამოვარდა. მღვდელი არსებულ ძარცვა - გლეჯას საკუთარ ანგარიშების თვალთა ხედვის ისრითა ზომავდა და ამიტომ დაიჩივლა: მთავრობის გადასახადები ისეა გაძლიერებული, რომ გლეხის მთელი შემოსავალი ძლივს ასდის და თუ რამ გადარჩება, იმასაც ქურთები სტაცებენო,—ამიტომაო, განაგრძო ამოოხვრით,—ჩემი შემოსავალი ძალიან მცირეა; ხშირად ქორწილისა, ნათლობისა და დამარხვის წესს ისე ვასრულებ, რომ ჩემ ჯიბეში ერთი ფარაც კი არ ჩადის. გლეხები მპირდებიან—შემდეგ მოგცემთო, მაგრამ ან მოცემის სახსარი არა აქვსთ, ან კიდევ მატყუებენ; ეს არის მიზეზი, რომ ბევრი ნისია მაქვსო. ახლა კი გადავსწყვიტე, რომ ამის შემდეგ არც მოვნათლო, არც ჯვარი დავწერო და არც დავმარხო, ვიდრე ფულს არ ჩამაბარებენ, რადგან მეც ადამიანი ვარ და ცხოვრება მეჭირვებაო.

— მამაო,—მიუგო ეფენდიმ საქმის მცოდნე კაცის კილოთი,—გლეხს თქვენ ჩემსავით არ იცნობთ: „ღმერთს მისთვის ერთი სული მიუცია და ისიც ველარ გამოურთმევია“, მაგრამ როცა მიქელ-გაბრიელი ცელით თავზე დაადგება, მაშინ კი, გაგიხარიან, აძლევს. ჩვენც ამ ანდაზით უნდა ვიხელმძღვანელოთ. გლეხი ვიდრე „კურთხეულ ჯოხს“ არ იგემებს, ფულს არ იძლევა. თქვენ ეგ ნისიების ანგარიში დაამზადეთ, ქალალ-

დი მე გადმომეცით, მე კიდევ ერთ-ერთს ზაფთს გარდავცემ და ის შეგიგროვებს. არავის ნებას არ მივცემ, რომ შენი ერთი გროში შეჭამოს.

— კურთხეულ იყვენით, ეფენდი, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, — მიუგო მღვდელმა, — ანგარიში ახლაც მზათა მაქვს.

— წაიკითხეთ, ვნახო რამდენია.

ტერტერამ უბიდან გამოიღო ერთი გაჭუჭყიანებული, გაქონილ გაპოხილი და გაყვითლებული ქაღალდი, რომელიც დიდხანს უბეში ტარებისაგან მთლათ მიფხრეწილ-მოფხრეწილიყო და პირველ ყოფილ ფერსაც გამოსთხოვებოდა. ეს ქაღალდი მისი ანგარიშის დავთარი გახლდათ. დავთრის ოთხ გვერდზე მსხვილი ასოებითა და ბრუდე ხელით მღვდლის ნისიები იყო ჩამწკრივებული. ქაღალდი თვალებთან მიიტანა, წაკითხვას შეეცადა, მაგრამ, რადგან ვერ შეიძლო, სიმონა დიაკვანს გადასცა და ეთხრა:

— დაიჭი, დიაკვანო, წაიკითხე, თორემ თვალთ აღარ მიჭრის.

სიმონა დიაკვანმა დავთარი ჩამოართო, რამდენჯერმე ჩაახველა, თანაც კისერი მოიფხანა, შემდეგ წელში გაიმართა, თვალებთან მიიტანა და ისეთის მჭევრმეტყველური კილოთი წაიკითხა, თითქო ეპისტოლესა კითხულობსო.

— „კოჭლ მუკოს ქალი მოვუნათლე, ფული დარჩა 5 ყურუში; ერთი კვირის უკან ქალი გადაეცვალა, დავმარხე, ფული დარჩა 7 ყურუში. ხულოს ბიჭს ჯვარი დავწერე, ფული დარჩა 10 ყურუში; მივიღე 30 კონა ბალახი, დაიჭერს 3 ყურუშს. ფანოს ცოლი რომ ავათ იყო, წაველი სახლში, სამი თავი სამკურნალო სახარება წავუკითხე, ფული დარჩა 3 ყურუში. საგოას ბიჭს წყლიდან ჯვარი ამოვაღებინე (წყალკურთხევის დღეს), ბარსოა 30 ყურუშს იძლეოდა—მე ამოვაღებინეო; საგოას ვუხათრე, 20 ყურუშათ მოვურიგდი, ფული დარჩა 20 ყურუში; მითხრა კალოობას ხორბალს მოგცემო, მიველი და ვთხოვე, მაგრამ არ მომცა,—გზირიც მოწამეა“...

ასე და ამ გვარად ერთი გაუთავებელი ისტორია იყო გაჭიანურებული. სისწორით რომ ვთქვათ, ეს დავთარი მარტო ნისიების დავთარი არ იყო: იგი ნამდვილი სარკე იყო მღვდლის რამდენიმე წლის მოღვაწეობისა; მართალია რიგზე ვერ იყო დაწყობილი, მაგრამ მაინც საკმაო საბუთებს შეიცავდა იმისას, თუ სოფლის მღვდელი რა საქმეშია გართული.

— რიგიანი ანგარიშია, – სთქვა ეფენდიმ და კითხვა გააწყვეტინა, რადგან მოთმინება წაერთო.—მამაო, როგორც გითხარით, ეგ ანგარიში მე გადმომეცით, მთელს შევაკრებინებ. ნ...შენის სოფლის გლეხებიც მაგრე აგვიანებდნენ სამონასტრო „ნაყოფს“ (ღალა), თავის დროზე არ აძლევდნენ; არქიმანდრიტმა წერილით მომმართა – შემიკრიბეთო, მაშინვე დავგზავნე ჩემი ზაფთები და ერთს დღეში მთელი შევაკრებინე; შემდეგში მონასტრისგან ლოცვა-კურთხევა მივიღე.

ნისიების ამგვარ საშუალებით მოკრება ტერტერამ კანონიერად დაინახა, ეფენდის წინადადება სიხარულით მიიღო, კვლავ მადლობა გადაუხადა და მისი ძვირფასი სიცოცხლეც ლოცვა-კურთხევით მოიხსენია.

გარნა რა იყო მიზეზი, რომ ეფენდიმ ამგვარი საქმის შესრულება იკისრა? იგი იმგვარ კაცთაგანი იყო, რომ თუ არა რაიმე მიზანი, ანუ გამორჩომა, ამგვარ სიკეთეს არავის უზამდა. მაშ ეხლა რაღამ აიძულა იმდენი გულ-კეთილობაც კი ეხმარა, რომ შეჰპირდა—მეათედს არ ავიღებო, იმ მეათედს, რომელიც ოსმალეთში კანონიერ გარდასახადათ ითვლება, როდესაც რომელიმე ვალი მთავრობის მოხელის ბრძანებისამებრ ნაღდდება.

— მამა აბრამის ლოცვა-კურთხევა იყოს თქვენზე, ეფენდი, ღმერთმა გაგაძლიეროთ,—უთხრა მღვდელმა, როდესაც უკანასკნელი დაპირება მოისმინა.

ნისიების ერთი ამგვარი დავთარიც სიმონა დიაკვანსა სდებოდა უბეში; იმასაც ჰქონდა თავის შეგირდებისაგან მისაღები ნისიები და აზრად ჰქონდა ანგარიში ეფენდისთვისვე გარდაე-

ცა. მაგრამ სიმამრმა—მღვდელმა—ყურში წასჩურჩულა: „მოიცა, ჯერ ჩემი შეაგროვოს, შენი შემდეგისთვის იყოსო“...

ტერ-მარუქას ოჯახი რიცხვით ძლიერ პატარა იყო; მისი ერთათ-ერთი ვაჟიშვილი გარდაცვლილიყო და ცოლი და ორი ბალღი დარჩენოდა. რძალი მეორეთ აღარ გათხოვილიყო, მამამთილის სახლში დარჩენილიყო და თავის უმადურ სიცოცხლეს ბავშვების აღზრდასა სწირავდა. თითონ მღვდელი დიდი ხანია დაქვრივებულიყო და სრულიად განმარტოებულ ცხოვრებას მისცემოდა.

ხსენებულ ღამეს რომ რძალი ვახშმის მირთმევას მორჩომილიყო, თავის ავადმყოფ შვილს მისჯდომოდა და მის მოვლაში იყო გართული. საბრალო დედაკაცი ბავშვის საწოლთან შიმჯდარიყო, ავადმყოფის ფერ-მკრთალ სახეს მწარე სევდით დაჰყურებდა, გახურებულ შუბლსა და მაჯებს ჩქარ-ჩქარა უშინჯავდა და თან მის მძიმე სუნთქვას ყურს უგდებდა. ამ ბავშვის ყურებით თვალ წინ იყენებდა იმის სურათს, რომელიც გულით ჰყვარებოდა; დაკარგული ქმრის ნუგეშს უბედური იმ ბავშვში ჰპოვებდა და დარდსა თუ ვარამსაც მითი იქარვებდა. მთელი ყურადღება მაზედ ჰქონდა მიპყრობილი, ამიტომ სრულიად არაფერი ესმოდა, რასაც სახლში ლაპარაკობდნენ: ერთიან მშობლიურ გრძნობათა და სიბრალულათ გარდაქცეულიყო და თვალ წინ მარტო ავადმყოფს ბავშვს-ღა ხედავდა.

ეფენდის დანაპირებით გახარებულმა მღვდელმა მოისურვა, რომ მხიარულებისთვის უფრო მეტი სიცოცხლე მიეცა, რძალს უბრძანა, გამოჟურული ბოთლი კვლავ არყით აევსო და, გარდა ამისა, „მაზაც*)“ მოემზადებინა. მართალია, ვახშამი კიდეც გაეთავებინათ, მაგრამ ადგილობრივ ჩვეულებათა მიხედვით, საპატიო სტუმრის განსაკუთრებული პატივისცემა იმაში გამოიხატებოდა, რომ სმა ვახშმის უკანაც გაგრძელებულიყო.

---

*) „მაზა“ ევრედ წოდებულ „დესერტსა“ ნიშნავს, ანუ ჩაროზს, რომელსაც გამხმარ ხილეულისგან ამზადებენ.

რძალი ისე იყო აღშფოთებული, რომ მღვდელს ორჯელ განმეორება დასჭირდა, ვიდრე გააგონებდა, რასაც თხოულობდა. არყის შოვნა ძნელი არ იყო, ვინაიდან ეს საგანი ტერტერას სახლის განუშორებელ სტუმარს წარმოადგენდა; რძალმა შუშა მაშინვე გაავსო. მაგრამ „მაზა“ რიღათი უნდა მოემზადებინა? სახლში ტკბილეული არაფერი მოიპოვებოდა. ამის გამოაშკარავება-კი, სხვა არა იყოს-რა, სირცხვილათ მიაჩნდა. სომხის სახლში სტუმრის დასახვედრად ყველაფერი უნდა იპოვებოდეს. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა სასესხებლად მეზობელთან გასულიყო.

გარეთ საშინელი სიბნელე სუფევდა, თან კოკისპირული წვიმა ასხამდა. საბრალო დედაკაცი ეზოში გავიდა, ნიაღვარი გატოპა და ბანზე ავიდა, რომ მეზობლისას გადასულიყო. ამ დროს საშინელი რახა-რუხი შემოესმა, მეზობლის კარებს არა ხუნებდნენ, ოსმალურათ რაღაც მუქარას უთვლიდნენ და უბრძანებდნენ კარები გაეღოთ; შიგნიდან კი ძალზე ეფიცებოდნენ, რომ ვისაც დაეძებთ, აქ არ არიანო... ვის დაეძებდნენ? ან ეს რა ჯურა ოსმალები იყვნენ, რომ ასე უდროოთ სომხის სახლში შევარდნასა ცდილობდნენ?

ამ ჟღავი-ჟღუვზე ზულო (ტერტერას რძლის სახელი ზულო იყო) ძალზე შეშინდა; ველარც მეზობლისას გადასულიყო, ველარც უკან მობრუნებულიყო, უძრავად იქვე ბანზე გაჩერდა. ამ დროს რაღაც ჩურჩული შემოესმა; მოჩურჩულეთ ეტყობოდათ, რომ ბანის კიბეზე ამოდიოდნენ და არ იცოდნენ, რომელ მხარეს გაქცეულიყვნენ.

— წყნარად, სტეფანიკ...

— საით წავიდე, სარა?..

ზულომ მაშინვე იცნო, ვინც იყვნენ. როცა ნახა, რომ ეს საბრალონი შველას საჭიროებდნენ, გული მიეცა და შიშიც სადღაც გაუქრა. მოხუც ხაჩოს სახლში მომხდარი ამბები ზულოსაც გაეგო. კარგად იცოდა, რომ იმ სახლის რძლები და ქალიშვილები სხვა-და-სხვა სახლებში უნდა ყოფილიყვნენ გახიზნულნი. ეხლა კი, როგორც ჩანდა, იმათ დაეძებდნენ ოსმა-

ლები. რათა, რა აზრით? —ამასაც მიხვდა... მაშასადამე ქუჩაში რომ ოსმალები იყვნენ და გახელებული კარებს არახუნებდნენ, სწორეთ იმ ჯარის კაცთაგანნი უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც მოხუცის შვილები დაატუსაღეს.

ცოტა ხნის შემდეგ სარა და სტეფანიკა მღვდლის სახლის ბანზე იყვნენ და, თითქო მონადირეთაგან გაწვალებული, ალყა შემორტყმული და გზა-კვალ არეული ირემიაო, არ იცოდნენ, რომელ მხარეს გაქცეულიყვნენ. წვიმა-კი ისევ კოკიპირულათ ასხამდა. სოფლის გლეხებს სახლის კარებიჩაერაზნათ და ლრმა ძილს მისცემოდნენ. შუაღამე კარგა გადასული იყო.

უცებ ძალზე გაიელვა და მის წამიერ სინათლეს საშინელი ქუხილი მოჰყვა. ელვის შუქზე ზულოს აჩრდილი გამოჩნდა. სტეფანიკამ რომ ეს აჩრდილი შენიშნა, იფიქრა, ოსმალთაგანი იქნებაო, შიშისაგან თავ-ბრუ დაესხა და სარას გულზე შიესვენა. ზულომ აღარ დაუცადა, მიუახლოვდა და უთხრა:

— მე ვარ, ნუ გეშინიათ!

— ოჰ, ზულო, შენა ხარ?!. მიუგო სარამ ცახცახით,— თუ ღმერთი გწამს, სადმე დაგვმალე, თორემ ახლავ დაგვიჭერენ... გაგვიტაცებენ!..

ზულო გაშტერდა და არ იცოდა, რა მოეგვარებინა. ეს საბრალონი სად უნდა წაეყვანა ან სად უნდა დაემალნა? შინ საეჭვო სტუმრები ეგულებოდა ამ გვარ ლტოლვილებს ძნელათ თუ მღვდელი მიიღებდა. მიუხედავათ ამისა, იფიქრა ზულომ, ამ საბრალოებს რითიმე უნდა დავეხმაროო. კარგათ იცოდა, რა უპატიურებაც მოელოდდათ, ოსმალებს რომ ხელში ჩავარდნოდნენ. მეორე მხრით-კი საშინელი პასუხის გება მოელოდდა, სამალავი ადგილი რომ მიეცა იმ დამნაშავეთათვის, რომელთა დანაშაულიც მხოლოთ იმაში მდგომარეობდა, რომ ქალებათ დაბადებულიყვნენ... დიაღ, ყველა ეს კარგათ იცოდა, მაგრამ სიბრალულმა მაინც დასძლია შიში და ყოყმანი, მოახლოვებულმა განსაცდელმა-კი შველისა და ხსნის საშუალება გამოანახვინა.

— წავიდეთ, თქვა ზულომ და სტეფანიკას ხელი მოჰკიდა. მაგრამ რადგან საბრალო ქალი ჯერაც გონს ვერ მოსულიყო, ამიტომ ორივემ ხელი მოსჭიდეს და თითქმის აყვანილი წაიყვანეს.

ბანიდან ძირს ჩამოვიდნენ. საშინლათ ბნელოდა, თვალში თითი რომ ეტაკებინათ, ვერაფერს დაინახავდით. უცებ გაისმა საშინელი რახვანი, რომელიც წვიმისა და ქარის ხმაურობამ მაშინვე შთანთქა. როგორც ეტყობოდა, ოსმალებს მეზობლის კარები შეემტვრიათ.

ტერტერას სახლს გვერდით ერთი საბძელი ჰქონდა მიდგმული, რომელსაც ეზოდან კარები ჰქონდა დატნებული; ზულომ ლტოლვილნი სწორეთ იქ დამალა. საბძელში თივა ყოფილიყო და სტეფანიკა და სარა შიგ ჩაიმალნენ.

კიდევ დაგხედავთ, უთხრა ზულომ, საბძლის კარები გამოკეტა და გამობრუნდა.

წვიმის ხმაურობისა გამო ტერტერამა და მისმა სტუმრებმა გარეთ მომხდარი ჟმბისა ვერაფერი შეიტყეს. ზულომ კი არაფერი შეატყობინა. მხოლოთ ტერტერას მიუახლოვდა და ყურში წასჩურჩულა, რომ მეზობლებსა სძინავთ, ამიტომ „მაზას“ მოსამზადებლათ ვერაფერი ვიშოვნეო.

— მე თითონ ვიპოვნი რამეს, სთქვა მღვდელმა და წამოდგა; საკუჭნაო ოთახში გავიდა და იქაურობას ქოთება დაუწყო.

ეფენდიმ ამ გარემოებით ისარგებლა, ზულოს მიუახლოვდა და ჩუმათ უთხრა:

— შენ თითონ „მაზა“ ხარ... სხვა „მაზა“ რაღათ გვინდა?..

სიმონა დიაკვანი ისე ჩამთვრალიყო, რომ ვერაფერი გაიგო. ეფენდის უზნეობით გაბრაზებულმა ზულომ-კი პასუხათ უთხრა:

— აი შე ლირფო, უსირცხვილო, შენა!..

სომხის დედაკაცი ყოველ გვარ შეწუხებას, ყოველგვარ უსამართლობას უჩუმდება, ითმენს, მაგრამ როდესაც მის ზნეობასა და პატიოსნებას შეეხებიან, მაშინ-კი მოთმინება ეკარგება. გაწიწმატებული ზულო გამოშორდა და ავადმყოფ შვილს

გვერდით მოუჯდა; შვილს გამოღვიძებოდა, ცოტა არა დამ-შვიდება ეტყობოდა. დედა რომ დაინახა, უთხრა:

— დედილო, თოროსასა სცემე, კოჭებს მართმევს.

თოროსა ავადმყოფის უფროსი ძმა იყო, უეჭველია, ავადმყოფს სიზმარში ენახა, რომ კოჭებს ართმევდა.

დედამ დასამშვიდებლათ უთხრა:

— აი, ჩემო თვალის სინათლევ, თოროსამ კოჭები უკანვე დაგიბრუნა! უყურე, შვილო, აი აქ არის.

დედამ ლეიბის ქვეშიდან ბავშვის კოჭები გამოიღო და-ხელში მისცა. ბავშვმა მისუსტებული ხელებით თამაშობა დაუწყო. დედა სიხარულით შეჰყურებდა. ეფენდის შეურაცხება სადღაც მიმალულიყო, ყველაფერი დავიწყებოდა, რადგან საყვარელ ბავშვს უკეთესობა ეტყობოდა. გარნა ამ გვარმა მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა, საბრალო დედა ახლა სხვა უსიამოვნებამ დააღონა. ტერტერას საკუჭნაო ოთახი მთლათ აექოთებინა, მაგრამ შენახული საგანი მაინც ვერ ეპოვნა; ამიტომ ზულოს მიუახლოვდა და ჰკითხა, რომ საკუჭნაოში შაქარი მქონდა შენახული და აღარსადა სჩანსო. რძალმა უპასუხა: მე ავიღე და, რადგან იმდღეს ბავშვს დიდი სიცხე ჰქონდა და გამოსანელებელი სასმელი უნდა დამელევინებინა, შარბათი მოვუმზადე და ის დავალევინეთ.

— აი შხამი და ნაღველიმც დაულევია!.. შეჰყვირა გაცეცხლებულმა სულის მამამ.—არ იცოდი, რომ შაქარი სტუმრისთვის იყო? აბა, ახლა რაღა ვქნათ?

ზულომ არაფერი უპასუხა, მაგრამ ნაღვლიან თვალთაგანკი მწარე ცრემლი ღვარივით ჩამოსქდა.

ნამდვილი რომ ვთქვათ, ტერმარუქა ცუდი გულის კაცი არ იყო, თითქმის გულ-კეთილიც-კი იყო, მაგრამ გულ-კეთილობა უვიცთა ხელში ხშირათ ბოროტებათ გარდაიქცევა ხოლმე. გარდა ამისა, თანამდებობას მისი გული ცოტა არა გაეკაჟებინა. რადგან მღვდლები, ექიმები და ჯალათები სამსახურისა გამო მკვდრებს ხშირათ ხვდებიან, სიბრალულის გრძნობაც ნაკლებათა აქვთ. სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ შვილის-შვილის

ავადმყოფობას უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე სტუმარ-მოყვარეობის სურვილს, რათა თომას-ეფენდისთან სტუმრისთვის თავი მოეწონებინა, მით უფრო, რომ ნისიების მოკრებას დაჰპირებოდა.

— დედილო, რათა ტირი? ჰკითხა ავადმყოფმა გულმტკივნეულათ და აცრემლებულ თვალებში შეაცქერდა,—ნუ ტირი, დედი, ახლა კარგათა ვარ!

ამ სიტყვებზე დედას დარდები გადაავიწყდა და ცრემლი მოიწმინდა. მშობელს იმაზე მეტათ არა ანუგეშებს-რა, როგორც საყვარელი შვილის ერთი ტკბილი სიტყვა, უმანკო ტიტინი. ზულოს ახლა-კი სტეფანიკა და სარაც გაახსენდა და გაიფიქრა: ოსმალები რომ შემოვიდნენ, მოძებნონ და იპოვნონ, იმ საბრალოებს რაღა ეშველებათო. ამიტო ჩქარობდა, უნდოდა, რომ სტუმრებს ვახშამი ჩქარა გაეთავებინათ, დაეძინათ და თითონ-კი სარასა და სტეფანიკასთან გასულიყო, მაგრამ აუტანელი სტუმრების ლოთობას ბოლო არ ეღებოდა.

ზულოს უნდოდა ის მაინც როგორმე შეეტყო, მეზობლის სახლის აყალ-მაყალი რითი დაბოლოვებულიყო. ველარ მოითმინა; ეს აზრი მოთმინებას უკარგავდა. რაღაც მოიმიზეზა, წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა, რომელსაც „გალტიკ“-ს უწოდებდნენ და რომელიც საკუჭნაოს მაგიერობას ეწეოდა. ეს ოთახი და მეზობლის სახლის ოთახი პატარა ჭუჭრუტანით იყო შეერთებული. ამ გვარი ჭუჭრუტანები საზოგადოთ ყოველ სახლსა ჰქონდა დატანებული და გაჭირვების დროს საქმის გარემოებას ერთმანეთს ატყობინებდნენ. მეზობლისას რომ რამე მომხდარიყო, ჭუჭრუტანიდან ხმას მისცემდნენ მეორეს და ასე ამ გვარად მთელს სოფელს შეატყობინებდნენ. ე ჭუჭრუტანა ნათესავებისა და ახლო მეგობრის სახლებ შუა უფრო დიდი იყო, ასე რომ შეეძლოთ ერთმანეთში წვრილმანი ნივთები გაეწოდებინათ. ხშირათ რომ ვისმე სპიჩკა შემოაკლდებოდა, ანთებულ ჭრაქებს აწვდიდენ ერთმანეთს.

ზულო ამ ჭუჭრუტანიდან იცქირებოდა, სახლის ერთ ნაწილს კარგად ჰხედავდა და თან ლაპარაკი მოესმოდა:

— ყველას გაგწყვეტავთ, თუ არ გამოაჩენთ!.. რა იქნენ?.. ჩვენ გვითხრეს, რომ აქ არიანო... თქვენ დაგიმალავთ... მოგვეცით ჩქარა!.. თორემ თქვენ ქალებს წავიყვანთ... იმუქრებოდნენ ოსმალები.

მეზობელი ზაქო კი ფეხ ქვეშ ჩავარდნოდათ და ხვეწნა-მუდარით ეუბნებოდა:

— ღმერთი, ცა და დედამიწაა მოწამე, რომ აქ არ არიან... ნუ მომკლავთ!.. აი ჩემი სახლი თქვენ ხელთაა... რაც გინდათ, უყავით...

ეს სანახაობა სწორეთ იმ ამბავს მოგაგონებდათ, რომელიც ძველათ სოდომში მოხდა, როცა ღოვტიას სახლში ქალაქის მაწანწალები მივიდნენ და თხოულობდნენ—თქვენ სახლში მყოფი სტუმრები დაგვანებეთო. გულ-კეთილი მამამთავარი-კი ემუდარებოდა, რომ სტუმრებს ხელს ნუ ახლებთ და სანაცვლოთ, თუ გინდათ, ჩემი ქალები წაიყვანეთო... ისრაელის იეღოვა (ღმერთი) გულზვავი და მაგიერის მიმწყველი იყო და ამიტომ კაცთა ბოროტებაც დასაჯა: უზნეო ქალაქი ცეცხლითა და გოგირდით ამობუგა. სომხეთის ღმერთი-კი გულგრილათ დაჰყურებდა სოდომის ბოროტებაზე უფრო სასტიკს ბოროტებას და ბოროტ-მომქმედთ დაუსჯელათ სტოვებდა...

ზულო შიშის ზარმა აიტანა, ძალზე ცახცახებდა, მაგრამ ცქერასა და ყურის გდებას მაინც განაგრძობდა. უცებ რაღაც ბრაგვანი მოისმა და ნახა, რომ ზაქო იატაკზე გაგორდა... ჭრაქი ჩააქრეს.. ახლა-კი აღარაფერი სჩანდა, ბოროტ-მოქმედების მფარველი სიბნელე გამეფდა... მარტო ოდენ ხვეწნა-მუდარის ხმა-ღა მოესმოდა: „ვაიმე!.. გამიშვი!.. ნუ მკლავ!.. მოვკვდები!.. სად მიგყევარ?“...

ეს ხმაურობა ზაქოს სახლის ქალ-რძალთა ოხვრა-ვედრების ხმა იყო...

— „ჩუმათ, საძაგელო!“... ვაისმოდა ოხვრა-გმინვის პასუხათ.

ბ. ევანგულოვი

(შემდეგი იქნება)

„ს ა მ ნ ი“

მ. გორკისა

თარგმნილი ივ. პოლუმორდვინოვის მიერ

მეორე დღეს ილია ხმაჩაკმენდილი დადიოდა ქალაქის ერთ უმთავრეს ქუჩაზედ. ის ეხლა აღარ იწვევდა მუშტრებს თავისი სუფთა, წკრიალა ხმით და ხმა-მაღლა აღარა სთვლიდა თავისს საქონელს, მხოლოდ გაბოტებული ჩაჰყურებდა ყუთს და გულში კი უნძრევლივ რაღაც მძიმე და შავი გრძნობა ლოდსავით აწვებოდა. მას სულ მოხუცის გესლიანი და ოლიმპიადას მშვიდი ცისფერი თვალები ელანდებოდნენ; მას ჯერ ვერ დაევიწყა ოლიმპიადას ხელის მოძრაობა, როცა მან ფული გაუწოდა. ხმელს, ყინვიან ჰაერში თოვლის ფერფლები დასცურავდნენ და ილიას სახეს უჩხვლეტდნენ...

მან ეს იყო ამსაათში გაუარა პატარა დუქანს, რომელიც ეკკლესიასა და ვაჭარ ლუკინის ვეებერთელა სახლს შუა მიკუნჭულიყო. დუქნის შესავალის ზევით ძველი, დაჟანგებული თუნუქი ეკიდა, რომელზედაც კიდევ ამოიკითხავდა ადამიანი:

„ფულის დახურდავება ვ. გ. პოლუეკტოვი. ვყიდულობ წონით ოქრო-ვერცხლს, ხატების მორთულობას, ძვირფასს რამეებს და ძველ ფულებსა“.

ილიას მოელანდა: როცა ჩამოვიარე და დუქანში შევიხედე, კარების შუშის იქით მოხუცი იდგა და დამცინავი ღი-

---

*) იხ. „მოამბე“ შე-12 № რი 1902 წ.

მილით თავისს პატარა თავს მიქანდურებდაო. ლუნევს დუქანში შესვლა და მოხუცის დანახვა მოუნდა. მიზეზიც მალე იპოვნა, — როგორც ყველა მეწვრილმანე, ესეც აგროვებდა ხოლმე ძველ ფულებს და მერმე მანათს ექვს აბაზათა ჰყიდდა. ჯიბეში ეხლაც ბევრი ჰქონდა ილიას ძველი ფული.

ილია დაბრუნდა, გაბედულად შეაღო კარები, ძლივს გაძვრა თავისი ყუთით ვიწრო კარებში და ქუდ-მოხდილი მოხუცს მიესალმა:

— გამარჯობათ თქვენი!

მოხუცი დახლს იქით იჯდა, ხელში ხატი ეჭირა და რიღაცით ვერცხლსა ხსნიდა. ამ მუშაობას, როგორც ეტყობოდა, ძალიან გაეტაცნა მოხუცი: მან გაკვრით შეხედა შემოსულს ყმაწვილს, ისევ დაუშვა თავი და უმადურად წაილაპარაკა:

— გმადლობ... რა გინდა?...

— ვერ მიცანით?—თითონაც არ იცოდა, რად დაეკითხა ილია.

— იქნება გიცანი კიდეც... რისთვის გარჯილხარ?

— ძველ ფულს იყიდით?

— აბა მაჩვენე...

ილიამ ყუთი გვერდზე მოიქცია და ხელი ჯიბისკენ გაიწოდა, რომ პორტმანი ამოეღო. მაგრამ საკვირველი იყო— ჯიბე ვერ ეპოვნა, რადგან მოხუცის სიძულვილით და რიღაცის სურვილით შეშფოთებული ხელიც გულსავით უცახცახებდა. ხელს აფაცურებდა ჯიბეში და თან მოხუცის პატარა მოტვლეპილ თავს ჩასჩერებოდა; ტანში ისე აჟრიალებდა, თითქოს ზურგზე ათასი და ათი ათასი ჭინჭველა დაუცოცავსო.

— გეშველება რამე დროზე თუ არა? — უცბად დაეკითხა მოხუცი გაჯავრებულის ხმით.

— ამ საათში!.. — ძალდატანებით, ჩუმათ წარმოსთქვა ილიამ.

ძლივს მოახერხა პორტმანის ამოღება; შემდეგ დახლს მიუახლოვდა და წამოჰყარა, რაც კი პორტმანში ფული ჰქონდა. მოხუცმა თვალი გადაავლო.

— ეგ არის მარტო? ჰმმ.— მერმე წაატანა ხელი და ფულებ სინჯვა დაუწყო:

წვრილი, გაყვითლებული თითებით აიღებდა, დიდხანს სინჯავდა დაბეჯითებით და ცხვირში ჰბუტბუტებდა:

— ეკატერინესი... ანნასი... ეკატერინესი... პავლეს დროისა... ესეც... ოცდა მეთორმეტე წლისა... მმ... ეშმაკმა იცის ეს რა დროინდელია! წაიღე—ეს არ მინდა, გაცვეთილია სულ მთლად...

— ხომ მაინც ეტყობა, რომ ხუთშაურიანია,— მკაცრად წაილაპარაკა ილიამ.

— სამ შაურად თუ გინდა, ავიღებ...

მოხუცმა გადუგდო ფული, ხელის ჩქარი მოძრაობით გამოსწია უჯრა და ქექა დაიწყო მასში.

ილია შეეჯოლდა: გაყინულ რკინასავით მწვავმა ბრაზმა მოიცვა მთლად მისი არსება,— მან ხელი მოიქნია და მისი მძლავრი მუშტი მოხუცს საფეთქელში მოხვდა. მოხუცი კედელს ეცა, და თუმცა მძლავრად დაეჯახა მას თავით, მაინც იმ წამსვე დახლს ეცა, ზედ გადაეფაფხა და წვრილი გამხდარი კისერი ილიასაკენ გაიშვირა. ლუნევი კარგათ ჰხედავდა, როგორ უბრწყინავდნენ მოხუცს პატარა, მოლუშვილს პირი სახეზედ, თვალები და ესმოდა მაღალი, მაგრამ ხრინწიანი ჩურჩული:

— შენი ჭირიმე... შენი...

— აა, საძაგელო!—სთქვა ჩუმად ილიამ და ზიზღით წაუჭირა მოხუცს ყელში. წაუჭირა და შეარყია, მოხუცი კი მიეყრდნო მას ხელებით გულში და ხრიალებდა. თვალები გადმოუცვივდა, დაუწითლდა და ცრემლთა ნაკადული გადმოღვარა, მისი ჩაშავებული პირიდან გადმოვარდნილმა ენამ რაღაც საოცარი მოძრაობა მორთო, თითქოს მკვლელს ახელებსო. ილიას მოხუცის თბილი ნერწყვით დაუსველდა ხელები და მოხუცის ქრიტინი და ხრიალი მოესმა. უცბათ, მომაკვდავის ყინულსავით ცივი და დაგრეხილი თითები ლუნევის კისერს შეეხნენ, ილიამ კრიჭა მოუჭირა, თავი მეორე მხარეს გადიხარა და უფრო მძლავრად შეარყია მოხუცის მსუბუქი ტანი. ეხლა ვინც უნდა

მოსულიყო და რა ღონეც უნდა ეხმარა, მაინც მოხუცის სუსტ კისერს ხელიდან არ გაუშვებდა და არ დაზოგავდა მას. ზიზღით, სიძულვილით და შიშით გულში შეჰყურებდა ილია თვის მსხვერპლს და ამჩნევდა, რომ მისი მღვრიე თვალები თან და თან უფრო დიდრონდებოდნენ, მაგრამ უფრო მაგრა უჭერდა კისერში, და იმისდა მიხედვით, რომ მოხუცი უფრო მძიმდებოდა, ილიას გული თან-და-თან უმსუბუქდებოდა და უფრო თავისუფლადა ჰგრძნობდა თავსა. დაბოლოს ჰკრა თვის მსხვერპლს ხელი და მოხუცი რბილად დაეშვა იატაკზედ.

ილიამ მხოლოდ მაშინ მოიხედა: დუქანში არავინ იყო და სიჩუმე იდგა; კარებს იქით, ქუჩაში თოვლი ჰბარდნიდა. იატაკზედ, ილიას ფეხ ქვეშ ორი საპნის ნაჭერი, პორტმანი და ერთი ხვევა ძაფი ეგდო. ის იმ წუთსვე მიხვდა, რომ ესენი ჩემი ყუთიდან ამოცვივნულანო, აჰკრიფა და ისევ ყუთში ჩააწყო. მერმე გადიზნიქა და მოხუცს დახედა: ის დაჰხლსა და კედელს შუა ჩამჯდარიყო და თავი ძირს ჩამოჰქინდროდა, ისე რომ ზეიდან მისი ყვითელი კეფა-ღა მოსჩანდა. მხოლოდ ეხლა მოჰკრა ილიამ ღია დახლს თვალი და უეცრად ოქრო-ვერცხლმა და დასტებათ დალაგებულმა ქაღალდის ფულებმა გაუღიმეს... სიხარულით აცახცახებულმა, აჩქარებით ჩაიქანა მან უბეში ჯერ ერთი დასტა, მერმე მეორე და ზარ დაცემულმა უკან მიიხედა...

ქუჩაზე აუჩქარებლივ გამოვიდა. ჯერ სამი ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ გაჩერდა, ყუთს ფრთხილად ტილო გადააფარა და ისევ თოვლისგან ჩამობნელებულ ჰაერში შეერია. ირგვლივ ისევე ჩამობნელებულიყო, როგორც მის გულში. ილია ჩასჩერებოდა ამ სიბნელეს, მაგრამ ხშირ თოვლის მოძრაობის შეტს ის ვერაფერს ჰხედავდა. უცბათ თვალებში ტკივილი იგრძნო და როცა შეეხო მას მარჯვენა ხელით, ზარ-დაცემული გაშეშდა, თითქოს ფეხები დედამიწას მიეყინვენო, მას მოხუც პოლუეკტოვსავით ეგონა თვალები გადმომცვივნია შუბლიდან და სამუდამოთ ასე დამრჩებიანო; არასოდეს აღარ დამეხუჭებიან და ყველა ცხადათ დაინახავს მათში კაცის მკვლელს

და ქურდსაო. ისინი თითქოს დახოცილიყვნენ. როცა ეხებოდა მათ ხელით, ტკივილს კი ჰგრძნობდა, მაგრამ დახუჭვით კი ველარა ჰხუჭავდა; რაც უფრო მეტს აკვირდებოდა და მეტს ყურადღებას აქცევდა თვის გარეგნობას, უფრო მეტი ეშინოდა და სუნთქვა ეკვროდა. ბოლოს, როგორც იყო, მოახერხა თვალების დახუჭვა. ის ეხლა სიხარულით სტკბებოდა გამეფებულ სიბნელით და უნძრევლად გაჩერებული ერთს ადგილას ნესტიან ჰაერს ღრმათა სუნთქავდა... შეიძლება დიდი ხანი ყოფილიყო ასე გარინდებული, რომ ვიღაცა მგზავრი არ დასჯახებოდა.—გონს მოსულმა ილიამ ფიცხლავ მოიხედა, — მის გვერდით ვიღამაც თბილ ქურქში გამოწყობილმა, მაღალი ტანის კაცმა გაიარა. ილია იმ დროამდინ შეჰყურებდა მას უკანიდან, სანამ უცნობი მგზავრი ხშირ თოვლის ფერფლში სრულად არ მიიმალა. მაშინ კი გაისწორა ლუნევმა ქუდი და ფილაქნით დაგებულ გზას გაუდგა; თვალებში კი ისევ ისევ ტკივილსა ჰგრძნობდა და თავში სიმძიმეს. მხრები უთრთოდნენ, თითები ნება-უნებლიეთ ეკუმშებოდნენ და გულში კი რაღაც უცნობი თავხედი გრძნობა ებადებოდა, რაც შიშის გრძნობას ჰკლავდა მასში და ანადგურებდა

ჯვარედინ ქუჩაზედ გავიდა თუ არა, ილიამ პოლიციელს მოჰკრა თვალი და ანგარიშ-მიუცემლათ, ნელის და დინჯის ნაბიჯით მისკენ გასწია. მიდიოდა, მაგრამ გული კი უკვდებოდა...

— რა თოვლია!—წაელაპარაკა ილია, როცა მიუახლოვდა პოლიციელს და თვალები ჩააჩერა.

— ჰო, ძალიან ჰბარდნის! ეხლა კი, მადლობა შენთვის ღმერთო, ცოტა დათბება!—სიამოვნებით უპასუხა პოლიციელმა. სახე დიდი და წითელი ჰქონდა და ნახევარზედ მეტი წვერებითა ჰქონდა დაფარული.

— რა დროა ეხლა?—ჰკითხა ილიამ.

— ვნახოთ!—პოლიციელმა მკლავიდამ თოვლი ჩამოიბერტყა და უბეში შეიყო ხელი. ლუნევს კი ერთის მხრით

თუმცა ეშინოდა, მაგრამ მეორეს მხრით ესიამოვნებოდა ამ კაცთან დგომა. მას უცბათ ხმელი, ძალ - დატანებული სიცილი წასქდა.

— რა გაცინებს?—დაეკითხა პოლიციელი და თან ფრჩხილით საათის თავსახურს დაუწყო ხდა.

— როგორ გაუთეთრებიხარ თოვლსა!—შესძახა ილიამ.

— მა რა ხეირს დააყრის ადამიანს ამოდენა თოვლი! ორის ნახევარია ეხლა... ხუთი წუთი უკლია ნახევარსა. გასთოშავს, ძმაო, ყინვა... შენ ეხლა შეხვალ დუქანში და დაგთბება, მეკი ექვს საათამდინ უნდა ვერჭო კიდევ აქა...

შეხე შენი ყუთისთვისაც რამდენი შემოუყრია თოვლი... პოლიციელმა ამოიოხრა და საათს დაჰხურა თავი.

— დიაღ, მე კი დუქანში წავალ,—სთქვა ილიამ და ღიმილით დაუმატა:

— აი, სწორედ იმ დუქანში შევალ...

— ნუ კი მაჯავრებ...

დუქანში ილია ფანჯარასთან დაჯდა. ამ ფანჯრიდან ის ეკკლესია მოსჩანდა, რომლის გვერდით პოლუეკტოვის დუქანი იყო. მაგრამ ეხლა კი ჰაერში ისე ირყეოდა თოვლი, რომ აღარაფერი მოსჩანდა. ის იჯდა და თოვლის ფერფლს ადევნებდა თვალს, რომელიც დინჯათ მოსცურავდა ჰაერში და ძირს რომ დაეცემოდა, რაღაც საუცხოვო ქსოვილსავით ეფარებოდა ადამიანთა ნაფეხურებს. მას მძლავრად და აჩქარებულად უცემდა გული, მაგრამ თავს კი თავისუფლადა ჰგრძნობდა. ის იჯდა და უაზროთ ელოდა, რითი გათავდებოდა საქმე და შემდეგ რა მოხდებოდა; დრო კი ზლაზნით მიდიოდა...

როცა მოსამსახურემ ჩაი მოუტანა, ილიამ ვერ მოითმინა და ჰკითხა:

— ქუჩაში რა ამბავია... არაფერი?

— ცოტა მოთბა!.. მიუგო აჩქარებულად მოსამსახურემ და გაიქცა; ილია კი ისევ ელოდა და ჰგრძნობდა, რომ დაიღალა და ბურანში მიდიოდა. მან დაისხა ჩაი, მაგრამ არცა სვამდა, არც ინძრეოდა და არც თუ რამეზედ ჰფიქრობდა. მე-

რმე დასცხა უცებ, და როცა პალტოს გასხნა დაიწყო, ნიკაპზე ხელი მოიხვედრა, შეკრთა—მას ეგონა ეს ჩემი კი არა, სხვისი მტრული და ყინულსავით ცივი ხელები შემეხნენო. შემდეგ ხელები გაისინჯა და თუმცა სუფთები აღმოჩნდნენ, მაინც გაიფიქრა: ცუდი არ იქნებოდა, რომ საპნით გამებანაო...

— პოლუეკტოვი მოუკლავთ!—დაიყვირა უცებ ვიღამაც: ილია ისე წამოხტა, თითქოს ამ შეძახებით ამას დაუძახესო. მაგრამ სამიკიტნოში სუყველაფერი აირია, ყველა კარებისკენ მიეჩქარებოდა, ზოგი ქუდს დაეძებდა, ზოგი პალტოს. ილიამ მაგიდაზედ უზალთუნიანი დააგდო, გადიკიდა თავისი ყუთი და ისეთისავე ჩქარის ნაბიჯით გაჰყვა ხალხსა, როგორათაც ყველანი მიდიოდნენ ახალი ამბის შესატყობათ.

მოხუცის დუქანთან ხალხი შეგროვებულიყო კიდეც. მათ შორის პოლიციელებიც დაძრწოდნენ და შეშფოთებულნი ჰყვიროდნენ. სხვათა შორის, ის დიდ წვერა პოლიციელიც იქ იყო, რომელსაც წელან გამოელაპარაკა ილია. ის დუქნის კარებში გაჩერებულიყო, დუქანში არავის უშვებდა და შეშინებულის თვალებით ხალხს შეჰყურებდა და მარცხენა ლოყას ისრისავდა სულა, რომელიც უფრო წითელი ჰქონდა, ვიდრე მარჯვენა. ილია ისეთ ადგილას დადგა, რომ მას დაენახა და ხალხის ყაყანს წაუგდო ყური. მის გვერდით მაღალი, შავ-წვერა ვაჭარი იდგა და წარბებ მოღუშული, სახის მკაცრი გამომეტყველებით პატარა ტანის მოხუცის ლაპარაკს უგდებდა ყურსა.

— ბიჭს, ალბათ, ეგონა ბატონი ცუდათ არისო და პეტრ სტეპანოვიჩთან მისულა და ეუბნება—წამობრძანდით, ბატონი ავათ არისო. ის, რასაკვირველია, იმ წუთსვე გამოქანებულა და მოხუცი კი უკვე მკვდარი დახვედრია! არა, შენ ერთი ეს იფიქრე, რა გაბედულებაა და! შუა დღისას, ამისთანა დიდს ქუჩაზედ... ღმერთო, ღმერთო!..

შავ-წვერა ვაჭარმა ხმა-მაღლა ჩაახველა და ბოხი, მკაცრი ხმით წარმოსთქვა:

— ეს ღვთის განჩინებაა. ალბათ, არ უნდოდა მისგან მონანიების მიღება... და ამისთანა სიკვდილით მოჰკლა...

ლუნევმა ვაჭრისკენ გაიწია, უნდოდა ერთი კიდევ შეეხედა მისთვის სახეში და ამ წინ წაწევაში ყუთი გამოსდო მასა.

— შენ, ეი! — შეჰყვირა ვაჭარმა, ხელის კვრით მოიშორა და მკაცრად შეხედა ილიას: — სად მიძვრები?

და ისევ თავის თანამესაუბრეს მიუბრუნდა:

— ნათქვამია: ბეწვაც კი არ ჩაჰმოვარდება ადამიანს თავიდან უღვთისნებოთაო...

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა! — თავის ქნევით დაეთანხმა მოხუცი და ნახევარი ხმით და თან თვალის ჩაკვრით დაუმატა: — ეგ ვინ არ იცის? ღმერთი ყველაფერს ჰხედავს, ბევრს ითმენს, მაგრამ ავ-სულს მაინც აღნიშნავს ხოლმე... ღმერთო მაპატიე! ცოდოა ამაზედ ლაპარაკი, მაგრამ გაჩუმებაც ძნელია... ძნელია, დიაღ, ძნელია!..

— აი, დაიხსომე ჩემი სიტყვა, — განაგრძო სასტიკმა ვაჭარმა, — დამნაშავეს ვერ იპოვნიან... თორემ ნახავ...

ლუნევმა ჩაიცინა. ის ყურს რომ უგდებდა ამ ლაპარაკს, თავისს გულში რაღაც ძალას და ენერგიას ჰგრძნობდა და თავს მამაცათ იგულებდა. ასე რომ ვისმეს რომ ეკითხნა ეხლა:

— შენ დაახრჩე?

მას ისე ეგონა შეუდრეკლად და დამშვიდებით მიუგებდა:

— დიაღ, მე დავახრჩეო...

ამ გრძნობით ილია გაძვრა ხალხში და პოლიციელს ამოუდგა გვერდში. იმან გადმოხედა, გაბრაზებულმა წაჰკრა ხელი და დაუყვირა!

— სად მოძვრები? რა შენი საქმეა აქ ყოფნა, ჰა? გასწი, დაიკარგე!

ილიამ წაიბორძიკა და ვიღაცას დაეჯახა. აქ კიდევ ვიღაცამ წაჰკრა ხელი და დაიყვირა:

— წაარტყით ერთი მაგას კისერში!

მაშინ კი გამოვიდა ლუნევი ხალხიდან, ეკკლესიის საფეხურზედ ჩამოჯდა და გულში დასცინოდა ყველას. თოვლის ჭრაჭუნსა და ხალხის გუგუნში მას ხშირად მოესმოდა ხოლმე

ცალ-ცალკე წამოძახილი სიტყვები და ზოგჯერ მთელი ლაპარაკიც:

— ე, დასწყევლოს ღმერთმა, რაღა ჩემ მორიგეობის დროს მოუნდა იმ ოხერს...

— მაგისთანა წვრილი ხმა არავისა ჰქონდა ქალაქში.— ამბობდა ვიღაცა.

— ჟოოხ...

—თოვლი ჰბარდნიდა... დუქანი ისეც შეჭუჭკვნილია საღლაც... რას დავინახავთ? .

— ტყავს აძრობდა ხალხსა, ტყავს... შებრალება არავისი ჰქონდა...

— ეჰ, რაც გინდა იყოს, მაინც ადამიანი იყო,—მებრალება...

— რასაკვირველია... ეგეც შეიძლება კაცმა შეიბრალოს.

— ყველა გაუმაძღარია და ხარბი...

— შეხე, შეხე—ცოლი მოუიდა...

— აჰა...

— ეეჰ, უბედური!—ხმა მაღლა ამოიოხრა ვიღაცა დაგლეჯილმა გლეხმა.

ლუნევი წამოდგა ფეხზე და დაინახა, რომ დათვის ტყავ გადაფარებულ მარხილიდან შუა ხანს გადასული სქელი დედაკაცი გადმოდიოდა. ბოქაული და ვიღაც წითელ ულვაშება კაცი ჰშველიდნენ მას მარხილიდან გადმოსვლას.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო!.—გაისმა ჰაერში მისი შეშინებული და აცახცახებული ხმა. სუყველანი გაჩუმდნენ. ილია უყურებდა მოხუცს და ოლიმპიადას იგონებდა...

— შვილი კი არა ჰყავს?—ჩუმად იკითხა ვიღაცამ.

— ამბობენ, მოსკოვში ჰყავსო...

— ვინ იცის, რა მოუთმენლად ელოდა ამისთანა შემთხვევას...

— მაშ არა და!

ლუნევს ესმოდა ყველა ეს და გული უცახცახებდა. იმას სასიამოვნოდ რჩებოდა, რომ პოლუეკტოვს არავინ იბრალებდა,

მაგრამ იმავე დროს ყველანი, შავ-წვერა ვაჭრის გარდა, სულ-ლებათ და საზიზღრებად მიაჩნდა. იმ ვაჭარში რაღაც მკაცრი სიწრფელე გამოიხატებოდა, დანარჩენები კი კუნძებსავით იდგ-ნენ ერთ ადგილას, მუჯლუგუნებს სცემდნენ ილიას და საძა-გელი ენით საზიზღარ სიტყვებს ამბობდნენ.

ილიამ იმდენი ხანი იცადა, სანამ მიცვალებული კარში არ გამოასვენეს, მაშინ კი გაყინულ-გათოშილი მოქანცული, მაგ-რამ დამშვიდებული, დაბრუნდა შინა. შინ რომ მივიდა, კარი ჩაიკეტა და ფული დასთვალა: ორ დასტაში ხუთას ხუთასი მა-ნათი აღმოჩნდა, მესამეში კი რვაას ორმოცდა ათი მანათი იყო. ამათ შორის კუპონების ერთი პატარა დასტა იპოვნა კიდევ, მაგრამ იმათ თვლა აღარ დაუწყო, გაახვია ყველა ეს ქაღალდ-ში, მაგიდას დაეყრდნო და ჩაჰფიქრდა—სად დავმალოვო? ფიქ-რის დროს მან იგრძნო, რომ თავი მეტის-მეტად დამძიმებოდა და ძილი მოსდიოდა. ფულის დამალვა მაღლა ჩარდახ ქვეშ გა-დასწყვიტა და იმ წუთსვე გასწია იქითკენ, ქაღალდში გახვეუ-ლი ფულები კი ხელში ეჭირა. დერეფანში იაკობს წააწყდა.

— ოო, მოსულხარ კიდეცა!—უთხრა იაკობმა, თვალი რომ მოჰკრა ამხანაგს.

— მოველი...

— რამ გადაგაფითრა... ავად ხომ არა ხარ?

— ცოტა შეუძლოთა ვარ...

— ეგ რა გიჭირავს?

— ესა?—დაეკითხა ილია და თან ფულებს დაჰყურებდა. და უცბათ შემკრთალმა, არ წამომცდესო, აჩქარებით უპასუხა და გაიქნია ჰაერში ქაღალდში გახვეული ფულები:

— ეს... ყაითანია... ისე მიმაქვს...

— ჩაის დასალევათ ხომ მოხვალ?—დაეკითხა იაკობი.

— მე? ამ საათში მოვალ, ამ საათში...

და აჩქარებულის ნაბიჯით გასწია დერეფნიდან; ფეხებს გაუბედავად ადგამდა დედამიწაზე, თავი ტყვიასავით დამძიმ-ებოდა და მთვრალსავით არეოდა. კიბეზე რომ მიდიოდა, ფრთხი-ლობდა—არ ვიხმაურო და არავის წავაწყდეო. იმ დროს კი,

როცა ბუხრის ძირში ჰფლავდა ფულებს მიწაში, მას ეგონა ბნელ კუნჭულში ვიღაცა მიმალულა და თვალს მადევნებსო. მას უცბათ იმ კუნჭულისკენ აგურის გადაგდება მოუნდა. მაგრამ მალე მოვიდა გონს და ფრთხილად ჩამოვიდა ეზოში. ის ეხლა შიშს აღარა ჰგრძნობდა, თითქოს ფულებთან ერთად ისიც დამარხა მიწაშიო,—მაგრამ გულში კი ახალი გრძნობა დაებადა:

— „რად დავახრჩე?"—ეკითხებოდა თავისს თავს.

სარდაფში როცა ჩავიდა, მაშო, რომელიც ბუხართან მიდგმულ სამოვარს ჩასცქეროდა, მხიარული შეკივლებით მიეგება:

— ო, რა ადრე მოსულხარ დღესა!

— თოვს,—მიუგო ილიამ და იმ წუთსვე დასძინა გაჯავრებულმა:

— რაღა ადრეა? მოველი როგორც ყოველთვის... სულელი!.. ვერა ჰხედავ ჩამობნელებულია კიდეც.

— აქ შუადღისასაც ბნელა ხოლმე, რა... რა გაღრიალებს?

— იმასა ვღრიალებ, რომ სუყველანი ჩამციებიხართ გაშომძიებელსავით—ადრე მოსულხარ, სად მიდიხარ, რა მიგაქვს... რა თქვენი საქმეა მერე?

მაშო დააცქერდა და ნიშნის მოგებით უთხრა:

— ეჰ, ჰე, ჰე, ილო, როგორ გაამპარტავნდი.

— ეჰ, დამეკარგეთ ერთი თავიდან, — შეიგინა ლუნევმა და მაგიდას მიუჯდა. მაშომ ამოიოხრა წყენით, ზურგი შემოაქცია და სამოვარს დაუწყო ბერვა. სუსტი და პატარა გოგო ხშირად შეირხევდა შავ ხუჭუჭ თმას, ახველებდა და ბოლისაგან შეწუხებული თვალებს ბეუტავდა. სახე გამხდარი ჰქონდა და ლურჯი რკალები, რომლებიც ირგვლივ შემორტყმოდნენ მის გრძნობიერ თვალებს, ერთი ორად აორკეცებდნენ მათ სიბრწყინვალეს; ისეთი რაღაც იყო მასში, რაც ერთ იმ ყვავილთაგანს წააგავდა, რომელნიც ბაღის მიყრუებულს და მივარდნილ კუთხეებში ჰხარობენ ხოლმე უვარგის ბალახ-ბულახთა შორის. ილია შეჰყურებდა და ჰფიქრობდა: აი, ეს პატარა

გოგო მარტოკა სცხოვრობს ორმოში. დიდ ადამიანსავით ჰმუშაობს, ყოველგვარ სიხარულს მოკლებულია და ძნელად თუ როდისმე გაუღიმებს მას ბედი; უფრო ჭკუაზედ ახლოა, რომ ისევ ასეთი ცხოვრება ექნება და ჭუჭყს და სივიწროეში დააღამებს თავის წუთი სოფელს. თითონ კი, თუ მოისურვა, ისე იცხოვრებს, როგორც დიდი ხანია უნდოდა და ენატრებოდა—სუფთად, თავისუფლად და პატიოსნურად. მან სიამოვნება იგრძნო ამ ფიქრისაგან, მაგრამ იმავე დროს დამნაშავედაც იგრძნო თავისი თავი მაშოს წინ და ნელის, ალერსიანის ხმით შეეხმაურა:

— მაშო!

— რა იყო... ბრაზიანო!.. უპასუხა გოგომ.

— იცი... მე—საძაგელი კაცი ვარ,—სთქვა ლუნევმა და ხმა შეუცახცახდა; გულში კი ჩიტსავით შეუფრთხიალდა კითხვა: „უთხრა თუ არა?“ მაშო გაიმართა წელში და ღიმილით გადახედა ილიას.

— ეჰ, არავინ არის, რომ გცემოს, აი რას გეტყვი! შე მაიმუნო, შენა!..

— დაიცა!—დაუყვირა ილიამ.

— რაღა დაცდა უნდა —უთხრა მაშომ, მიუახლოვდა და ხვეწნით უთხრა:

— ილოჯან, შენი ჭირიმე, უთხარი ბიძა შენს მეც წამიყვანოს, უთხარი, შენი ჭირიმე, მუხლებს დაგიკოცნი!

— სადა?—დაეკითხა საკუთარ ფიქრებში გართული ლუნევი. მას ჯერ არ ესმოდა მაშო რას ელაპარაკებოდა და მით უმეტეს ასე ძლიერად ეხვეწებოდა.

— თან წამოიყვანოს! უთხარი!

გოგომ ხელები გულზედ დაიწყო და ისე იდგა ილიას წინ, როგორც ხატის წინა სდგანან ხოლმე ვედრების დროს, თვალებზედაც კი ცრემლებმა შეუთამაშეს.

—ოჰ, რა კარგი იქნებოდა,—ამოოხვრით ამბობდა გოგო:— გაზაფხულზედ მინდვრებზედ და მთებზედ ვივლიდი და ვივლიდი განუწყვეტლივ! მთელი დღეები სულ მაგაზედ ვფიქრობ, სიზმარ-

შიაკ კი სულ გზასა და მგზავრობასა ვხედავ. შენი ჭირიმე, ილოჯან. ოჰ, რა კარგი იქნებოდა... შენ უარს არ გეტყვის— უთხარი წამიყვანოს! ჩემზედ არაფერი დაეხარჯება... მე ვიგლახავებ და იმას არ შევაწუხებ! ხელ ცალიერს არავინ გამიშვებს—პატარა ვარ, ყველა შემიბრალებს... ილოჯან! გინდა ხელებს დაგიკოცნი?

უცბად აიღო გოგომ ილიას ხელი და თავი დაიხარა მისკენ. ილიამ ხელი ჰკრა და ფიცხლავ წამოხტა სკამიდან.

—სულელო!—დაუყვირა ილომ:—განა შესაძლებელია ეგა... მე კაცი დავახრჩე...

მაგრამ იმას თითონვე შეეშინდა თავისი სიტყვებისა და დაუმატა:

— იქნება მეთქი... მე იქნება ისეთი რამე ჩავიდინე, რომ... და შენ კი გინდა ხელზედ მაკოცო?

— რა უშავს!—ეუბნებოდა მაშო და თან და თან უახლოვდებოდა.—ღმერთმანი გაკოცებ — რა დიდი რამე ეგ არის! პეტრუხა რამდენჯერ ცუდია შენზედ, მაგრამ ყოველი ლუკმა პურისთვის ვკოცნი ხოლმე ხელზედ.. მე მეზიზღება, მაგრამ მიბრძანებს ხოლმე—მაკოცეო! მერე დიმიჭერს და მჩქმეტავს ხოლმე... საძაგელი!

იმის მიზეზით, რომ წარმოსთქვა საშინელი სიტყვები, თუ იმის მიზეზით, რომ თავი შეიკავა და არ დააბოლოვა, ილიამ უცებ კარგათ იგრძნო თავი და გამხიარულდა. მერმე ალერსიანის ხმით მიუბრუნდა გოგოს:

— კარგი, გაგირიგებ მაგ საქმეს! ღმერთმანი, გაგირიგებ! შენც წახვალ სალოცავად... გარდა ამისა, საგზაო ფულსაც მოგცემ... და ბიძასაც ვეტყვი—მიეცი მეთქი...

— ოჰ, შენი ჭირიმე! — შეჰყვირა გახარებულმა მაშომ, ერთი შეიკუნტრუშა და კისერზედ შემოეხვია ილოს.

— დაიცა! დამანებე თავი! — უხუმრად უთხრა ლუნევმა. გითხარი—წახვალ მეთქი ჩემთვისაც კი ილოცე, კარგი?..

— შენთვისა? ღმერთო!..

კარებში იაკობი გამოჩნდა და გაკვირვებული დაეკითხა მაშოს:

— რა გაუკვირებს? ეზოშიაც კი ისმის შენი ხმა...

— იაშა!—შეჰკივლა გახარებულმა გოგომ და ისეთი ჩქარი ლაპარაკი დაიწყო, რომ ძლივსღა იბრუნებდა პირში ენას.

— მივდივარ, მეც მივდივარ, მშვიდობით! აი ილო დამპირდა მე დავიყოლიებ კუზიანსა და წაგიყვანსო!

მაშომ გადიხარხარა.

— დაიყოლიებ?—დაეკითხა ამხანაგს დაფიქრებული იაკობი.

— რა დიდი საქმეა მერე? ეს რას დაუშლის იმასა... ამისთვის კი კარგია. აბა შეხედე, რასა ჰგავს—ადამიანის ჩრდილად გადაქცეულა...

— მართალია!—სთქვა იაკობმა და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ჩუმად დაუსტვინა.

— რა იყო?—დაეკითხა ილია.

— დავიღუპე და დავნელდი! ეხლა დავიწყებ მარტოდ-მარტო ცხოვრებას, მარტოდ, როგორც მთვარე ზეცაზედ...

ძიძა დაიჭირე!—სიცილით ურჩია ილიამ.

— არაყის სმას დავიწყებ,—თავის ქნევით დაუმატა იაკობმა. მაშომ შეხედა და თავ-ჩაღუნულმა კარებისკენ გასწია. მხოლოდ იქიდან მოისმა მისი ნაღვლიანი ხმა.

— რა სუსტი რამე ყოფილხარ, იაკობ!..

— თქვენა, ძლიერებო? სტოვებთ ადამიანს უმწეოდ... საძაგლები! თუ კი ვერ გავძლებ მე უთქვენოთ?—სთქვა და მწარედ დაღვრემილი მაგიდას მიუჯდა. შეხედა ილიას და, თითქოს თავისთვის ამბობსო, წაილაპარაკა:

— მეც გავიპარო ჩუმად ტერენტისთან ერთად?

— წადი, მაშ... მე კი წავიდოდი და...

— შენ კი წახვიდოდი! მე რომ წავიდე, მამა ჩემი პოლიციას შეჰყრის და საცა უნდა ვიყო, მიპოვნის.

სუყველანი გაჩუმდნენ. ცოტა ხნის შემდეგ იაკობმა ძალდატანებული სიმხიარულით დაიწყო:

— ეჰ, რა კარგია, როცა მთვრალი ხარ! არც არაფერი გესმის, არც არაფერზედ ჰფიქრობ... და ხარ მხიარულად...

მაშომ დასდგა მაგიდაზედ სამოვარი და თავის ქნევით უთხრა:

— ი , უსირცხვილო!

— შენ ეი, ხმა ჩაიკმინდე!—დაუყვირა გაჯავრებულმა იაკობმა. შენ თითქმის, რომ არც კი გყავს მამა... მე შენ გითხრა, მამაჩემსავით ხელს გიშლის ცხოვრებაში!..

— მშვენივრადა ვცხოვრობ!—მიუგო მაშომ:—რომ შეესაძლებელი იყოს, ისე გავექცევოდი ამ ცხოვრებას, რომ უკან არც კი მოვიხედავდი...

— ეჰ სუყველას გვიჭირს! - ხმა-დაბლა სთქვა ილიამ და ისევ ჩაფიქრდა.

ახლად ჩამოვარდნილი სიჩუმე ისევ იაკობმა დაარღვია. გადიხედა ფანჯარაში და ოცნებით წარმოსთქვა:

— ეჰ, რა კარგი იქნებოდა, მართლა რომ სუყველაფერს მოშორებოდა ადამიანი.—დავმჯდარიყავით სადმე ტყის პირას ან მდინარესთან და გადაგვეფიქრა სუყველაფერი...

— ცხოვრებისგან გაქცევა დიდი სისულელეა!—სთქვა ნაწყენმა ილიამ.

იაკობმა დააშტერა მას თვალები და რაღაც შიშითა და კრძალვით უთხრა:

— იცი, მე ხომ ვიპოვნე ის წიგნი...

— რა წიგნი?—

— ძველის ძველია... ტყავის ყდაში არის ჩასმული და დავითნსა ჰგავს, და... მგონი მწვალებლებისა უნდა იყოს, თათარმა მომყიდა სამ უზალთუნადა...

— რა სათაური აქვს?—გულცივად დაეკითხა ილია. იმას სრულიად არ უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ ჰგრძნობდა, რომ სიჩუმე არ ევარგებოდა და საშიში იქნებოდა, ამიტომ ძალას ატანდა თავსა და ამხანაგს კითხვებს აძლევდა.

— პირველი ფურცელი მოხეული აქვს,—ხმის დაკლებით განაგრძო იაკობმა,—მაგრამ შიგ ქვეყნიერობის გაჩენის შესახებ

არის ლაპარაკი. ძნელი საკითხია... და საშინელიც არის... იქა სწერია—ქვეყნის გაჩენაზედ პირველად მილესიელი ფალესი დაჰ-ფიქრდაო: „წყლისაგან ყოველი გამოვალს ⁄ იბადების“, ღმერთს კი ფალესმა თურმე ჰაზრი უწოდა, რომელსაც წყლისგან ყოველი გამოჰყავს‘. კიდევ ლიაგორი ყოფილა ურჯულო, იმას თურმე ღმერთი არა სწამდა. კიდევ ეპიკური ყოფილა. ის თურმე ამბობდა: „ღმერთი ჭეშმარიტებასა შიგან არის და არცა რას მისცემდის ადამიანს, არცა კეთილ ჰყოფდეს, არცა სწუხდეს“... მაშასადამე—ღმერთი თუმცა ყოფილა, ადამიანთან მას საქმე არა ჰქონია... მე ასე მესმის. როგორც გინდა იცხოვრე, მე შენზედ თავს არ ვიწუხებო... და შენთან საქმე არა მაქვსო...

ილია წამოდგა სკამიდან და შუბლ-შეკრულმა სიტყვა შეაწყვეტინა ამხანაგს:

— უნდა აიღოს კაცმა ის წიგნი და თავი გამოგიგელოს იმითი!

— რისთვის? შესძახა გაკირვებულმა და ნაწყენმა იაკობმა.

— რისთვის და იმისთვის, რომ აღარც კი ჩაიხედო იმ წიგნში, არამც თუ იკითხო. შენც სულელი ხარ და წიგნი კიდევ სხვა სულელს დაუწერია!

ლუნევმა მაგიდას მოუარა, მჯდომარე ამხანაგისკენ დაიხარა და გატაცებით დაიწყო ლაპარაკი; ყოველი სიტყვა მკვახედ და მედგრად გამოდიოდა იმის ბაგეთაგან და ისე ისმოდა, თითქოს მისდგომია იაკობის დიდ თავს და ჩაქუჩს უკაკუნებსო

— ღმერთი არის! ის სუყველაფერსა ჰხედავს და ყველაფერი იცის. იმის გარდა — სხვა არავინაა! გესმის? ცხოვრება გამოსაცდელადა გვაქვს მონიჭებული... ცოდოთი გვცდიან ჩვენა. აბა, დაიჭერ თავსა თუ ვერაო? თუ ვერ შეიკავე თავი—დაისჯები—იცოდე და ელოდე! ხალხისგან კი ნუ ელოდები—იმისგან... გესმის? ელოდე!

— დაიცა!—დაიყვირა იაკობმა:—მერე მე განა მაგას გეუბნებოდი?

— სულ ერთია! ელოდე! შენ ადამიანთა მსაჯული ხარ—ერთი მითხარი? ჰყვიროდა ლუნევი, რაღაც მისთვისაც გაუ-

გებარ სიბრაზისა და ღელვისგან ვერ წასული.—ერთი ბეწვიც კი არ ჩამოვარდება კაცს თავიდან, უიმისნებოთ! გესმის? და თუ მე შევცოდე—იმის ნება ყოფილა, მაშა! ტუტუცო!

— გადირიე, თუ როგორ არის შენი საქმე — შეჰყვირა შეშინებულმა იაკობმა და კედელს მიეკრა. რა შესცოდე?

ლუნევმა ყური მოჰკრა ამ კითხვას და, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, უცბათ გამოფხიზლდა. იმან ეჭვის თვალით გადახედა იაკობსა და მაშოს, მათაც შეშინებოდათ მისი ყვირილისა და აღელვებისა.

— მაგალითად გეუბნები,—ყრუდ წაილაპარაკა ილიამ და ისევ თავისს ადგილზედ დაჯდა.

— შენ ავათა ხარ, მგონი,—კრძალვით უთხრა მაშომ.

— თვალებიც ამღვრეული გაქვს,—დაუმატა იაკობმა და ჩააცქერდა ამხანაგს.

ილიამ ნება-უნებურად გადისვა თვალებზედ ხელი და ჩუმის ხმით უპასუხა:

— არა უშავს-რა... გაივლის...

რამდენიმე წუთს შემდეგ მან იგრძნო, რომ ადამიანთა შორის ყოფნა უმძიმდა და ჩაიზედ უარი სთქვა და თავისს ოთახში წავიდა.

მაგრამ ის იყო მიწვა ლოგინზე, რომ ტერენტიც შემოვიდა. მას შემდეგ, რაც კუზიანმა სალოცავად წასვლა გადასწყვიტა თვალებმა მხიარულად დაუწყეს ბრწყინვა, თითქოს უკვე განთავისუფლდა ცოდვისაგანაო. ნელის ნაბიჯით და ტუჩებზე შეჩერებული ღიმილით კუზიანი ძმისწულის ლოგინს მიუახლოვდა და თხელი წვერის ძიძგნით ალერსიანი ხმით გამოელაპარაკა:

— დაგინახე, შინ რომ შემოხველი... ვიფიქრე, მოდი წავალ და ვილაყბებ პატარასა-მეთქი. დიდიხანი აღარ დაგვრჩენია ერთად ცხოვრებისა.

— შიდიხარ?—გულ-გრილად დაეკითხა ილია.

— მოთბება თუ არა პატარა, დავიძვრები უკვე... მინდა ვნებათა კვირას კიევში ვიყო...

— იცი რას გეტყვი—მოდი, მაშიკოც წაიყვანე თანა...

— სადა?—შეჰყვირა კუზიანმა და ხელები გაპარჭყა.

— შენ ყური დამიგდე,—დაბეჯითებით უთხრა ილიამ:— აქ რა გააკეთოს... საქმე არაფერი აქვს... და იმ ხანში კია, რომ... იაკობი, პეტრუხა... და სხ... გესმის? ეს სახლი მახეა სწორედ ყველასთვის... დასწყევლოს ღმერთმა! წავიდეს... იქნება აღარც დაბრუნდეს და ასცდეს უბედურებასა.

— მე სად შემიძლიან...—დაიწყო საბრალოთ ტერენტიმ.

— წაიყვანე-მეთქი გეუბნები!—თავისას გაიძახოდა ილია— ის ასი მანათიც მაგისთვის წაიღე... მე შენი არა მინდა-რა... ის კი შენთვისაც ილოცებს... იმის ლოცვა-ვედრება გზას არ დაჰკარგავს...

კუზიანი დაფიქრდა და გამოხმობასავით გაიმეორა:

— გზას არ დაჰკარგავს... მართალია! ემაგას... შენ მართალს ამბობ... მე შენ ფულებს ვერ გამოგართმევ... ის ისე დავტოვოთ, როგორც გადავწყვიტეთ უკვე.. მაშიკოზედ კი... მოფიქრება უნდა...

აქ უცბათ თვალები გაუბრწყინდნენ კუზიანს და ილიასკენ დახრილმა გატაცებით დაიწყო:

— ოო, რო იცოდე, რა კაცი ვნახე გუშინა! შესანიშნავი კაცია პეტრე ვასილიჩი... სიზოვი გაგიგონია? შესანიშნავი ბრძენი რამ არის! და სწორედ რომ ღმერთმა გამომიგზავნა... ჩემ ტანჯვათა შესამსუბუქებლად და ჩემ იჭვთა გასაქარწყლებლად...

ილია გაჩუმებული იწვა. იმას უნდოდა, რომ ბიძა მალე წასულიყო. ნახევრად მოხუჭული თვალებით ის ფანჯარაში იყურებოდა და მეზობლის სახლის მაღალს და ჩაშავებულ კედლის მეტს არასა ჰხედავდა.

— ცოდვებზედ და სულის ცხონებაზედ ვლაპარაკობდით, აღტაცებული განაგრძობდა ტერენტი ჩურჩულს.—მეუბნება: როგორც საჭვრეტელისთვის ქვაა საჭირო, რომ მოჩლუნგებული წვერი წაილესოსო, ისეც ადამიანისათვის საჭირო ცოდვა,

რომ სული გაიღვიძოს და ყოვლად მოწყალე ღვთის ფერხთა წინ მიიტანოს მსხვერპლად და შეავედროსო...

ილიამ გადაჰხედა ბიძას და გესლიანი ღიმილით დაეკითხა:

— ის კაცი ეშმაკს ხომ არა ჰგავს, სწორედ მითხარი?

— როგორ შეიძლება, ილო, ეგრეთი ლაპარაკი?—შეჰყვირა ტერენტიმ და ცოტას ჩამოშორდა ძმისწულს.—ის მეტის-მეტი წმიდა ადამიანია და კეთილმსახური... იმას ჯერ ეხლავე უფრო დიდი სახელი აქვს გათქმული, ვიდრე პაპაშენს... ეჰჰე, ჩემო ძმაო!

დამდურებით თავი ჩაიქნია და ტუჩები ააცმაცუნა ტერენტიმ.

— კარგი, კარგი!—გესლიანად უთხრა ილიამ:—სხვა რაღა გითხრა კიდევ? და უცებ რაღაც უსიამოვნო, უხეში სიცილით გადიხარხარა. ბიძა გაკვირვებული მოერიდა და დაეკითხა:

— რა იყო, რა დაგემართა?

— არაფერი. არა, კარგათ უთქვამს და იმ წმინდან კაცსა... სწორეთ საჩემოთ უთქვამს... ოჰ, თქვე ოხრებო! მეც სწორედ მაგ აზრისა ვარ... სწორედ მაგ აზრისა ვარ!

ის გაჩუმდა, დაშტერებით შეჰხედა ბიძას და კედლისკენ გადაბრუნდა...

— კიდევ მითხრა—ისევ დაიწყო ტერენტიმ ფრთხილის ხმით:—ცოდვა მონანების ფრთებს შეასხამს ხოლმე ცოდვილის სულსა და ღმერთთან აღიყვანსო. .

— შენ ცკი ეშმაკსა ჰგევხარ, ღვთის წინაშე!—შეაწყვეტინა მოულოდნელად ილიამ და ისევ ჩუმი სიცილი მორთო.

კუზიანმა ხელები ააქნია, როგორც დიდი ფრინველი ფრთებს აიქნევს ხოლმე გაფრენის წინ, და შეშინებულ-ნაწყენი ჩაკვდა ერთ ადგილას. ლუნევიკი წამოჯდა ლოგინში, ჰკრა ბიძას ხელი და მკაცრად უთხრა:

— გამატა!

ტერენტი წამოხტა ფიცხლავ და ოთახის შუა ადგილას გაჩერდა. ის რაღაცნაირად გაშტერებული შეჰყურებდა ტახ-

ტზედ წამომჯდარ და ხელებით დაბჯენილ ძმისწულს, მის შეწეულ მხრებს და დაქინდრულს თავს.

— თუ მონანიება არ მინდა, მაშინ?—მკვახედ დაეკითხა ილია.—იქნება მე ესე ვფიქრობ: მე არ მინდოდა შეცოდება, აზრადაც არა მქონდა... თავის-თავად გამოვიდა ყველაფერი... ყველაფერზე ღვთის ნებაა... მაშინ მე რაღათ უნდა შევიწუხო თავი? იმან ყველაფერი იცის ყველაფერს ხელმძღვანელობს... თუ არ უნდოდა ასე მოვქცეულიყავ, დამიჭერდა, რა... იმან კი არ დამიჭირა... მაშასადამე მე მართალი ვყოფილვარ ჩემ საქმეში. ხალხი სულ ცბიერებითა და ტყუილით ცხოვრობს, მაგრამ ვინ ინანიებს? აბა, რას მეტყვი ამაზედ?

— არ მესმის მე შენი სიტყვები!—წარმოსთქვა დაღვრემილმა ტერენტიმ და ღრმათ ამოიოხრა.

ილიამ ჩაიცინა.

— არ გესმის და ნურც მელაპარაკები... დიაღ... ის ისევ გადაწვა ლოგინზედ და უთხრა ბიძას:

— მე ცოტა უქეიფოთა ვარ...

— მეც გატყობ...

— ძილია ეხლა ჩემთვის საჭიროა... შენ წადი... მინდა პატარა დავიძინო...—მარტო რომ დარჩა, ილიას ეგონა, თავში ქარი მიქრისო. რაც კი გამოევლო ამ რამდენიმე საათის განმავლობაში, ყველაფერი აერია თავში, რაღაც საოცარ ცხელ ორთქლად ექცა და ტვინსა სწვავდა. მას ისე ეგონა დიდი ხანია, რაც ესრე ცუდათა ვგრძნობ თავსა და დღეს კი არა, როდისღაც წინათ დავახრჩე მოხუციო.

თვალებ დახუჭული უნძრევლივ იწვა და ყურებში კი მოხუცის სუსტი ხმა უწიოდა:

— „გეშველება რამე დროზედ თუ არა“?

და უცბად გაისმოდა ხრინწიანი:

— „შენი ჭირიმე... შენი“...

შავწვერა ვაჭრის მკაცრი ხმა მაშიკოს მუქარას უერთდება, მწვალებელთა წიგნის ძველის-ძველი სიტყვები ტერენტის დამრიგებელ ბრძნის სიტყვებში ერეოდა. ილიას ეგონა, ჩემ

ქვეშ ყველაფერი ირყევა, საოცრად ცახცახებს და მეც ქვეით, უფსკრულისკენ მიზიდავსო. შიშს კი აღარა ჰგრძნობდა, მაგრამ დასვენების სურვილი არჩობდა.—მას უნდოდა რაც შეიძლება მალე დაეძინა და დაევიწყა ყველაფერი. ძართლაც ჩაიძინა...

მეორე დღეს, გაახილა თუ არა თვალები და მზის სხივებით განათებულ კედელს მოჰკრა თვალი, მიხვდა, რომ დღე კაშკაშა და ყინვიანი უნდა ყოფილიყო. თავი ნისლებითა ჰქონდა მოცული, მაგრამ გული კი დამშვიდებოდა. ილიამ მოიგონა გუშინდელი დღე, ყველაფერი გაითვალისწინა, თავისს თავს ყური წაუგდო და მიხვდა, რომ ძან უკვე იცოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო და როგორ დაეჭირა თავი. ნახევარ საათს შემდეგ ის, ყუთ-გადაგდებული, უკვე მიდიოდა მზის სხივებისაგან განათებულ ქუჩაზე და, თოვლის ბრწყინვისაგან შეწუხებული, თვალების ბჟუტვით, თავისუფლად ათვალიერებდა გამვლელ-გამომვლელს. ეკკლესიას რომ გაუვლიდა, ის ჩვეულებრივ ქუდს მოიხდიდა და პირჯვარს ისახავდა ხოლმე. ეგრევე მოიქცა იმ ეკკლესიასთანაც, რომელსაც პოლუეკტოვის დაკეტილ გაუქმებული დუქანი ამოჰკვროდა გვერდში, და ისე ჩაუარა მას, რომ არც შიში, არც სიბრალული და არც თუ შემაშფოთებელი რამე მას არ უგრძვნია. სადილის დროს, დუქანში, გაზეთში მოხუცი პოლუეკტოვის თავხედური მკვლელობის ამბავი ამოიკითხა. როცა იმ სიტყვებამდინ მივიდა: „პოლიციამ მი...ო ყოველი ზომები ბოროტ-მომქმედის აღმოსაჩენადაო“,—მან ღიმილით ჩაიქნია თავი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მკვლელს ვერასოდეს ვერ აღმოაჩენენ, თუ შან თითონ არ მოისურვა, რომ დაიჭირონო...

—

საღამოზე ოლიმპიადასაგან კაცი მოვიდა და ილიასთვის ბარათი მოიტანა. ოლიმპიადა იწერებოდა:

„ცხრა საათზე კუზნეცკის ქუჩაზე გამოდი, აბანოებთან“.

რომ წაიკითხა, ილიამ იგრძნო, რომ მას გულში რაღაც უთრთოდა და თითქოს სიცივისაგანა იკუმშებოდა. მის წინ

საყვარლის მედიდური სახე გამოსცურდა და ყურებში მისი მკვახე, საწყენი სიტყვები მოესმნენ...

— არ შეგეძლო სხვა დროს მოსულიყავ?

ის დაჰყურებდა ბარათს და არ ესმოდა—რად ეძახდა ოლიმპიადა? რაც მეტს უფიქრდებოდა—უფრო ეშინოდა და იქამდის მივიდა, რომ იმისიც კი შეეშინდა—არ გავიგო რად მიძახისო და გულმა საოცარი ფრიალი დაუწყო. ცხრა საათზე მივიდა დანიშნულს ადგილს და როცა მრავალ სხვა ქალებში, რომელნიც წყვილ-წყვილად თუ ცალ-ცალკე დასეირნობდნენ, მალალს, წერწეტა ტანს მოჰკრა თვალი, შიშმა უფრო მძლავრად ჩაუჭირა მას კლანჭები და უფრო შეაშფოთა. ოლიმპიადას რაღაც ძველი ქურქი ეცვა და თავზე თავსახვევი ეხვია ისე, რომ ილია მის ცისფერ თვალების მეტს ვერაფერსა ჰხედავდა. ილია მივიდა და ხმა-ამოუღებლივ ქალის წინ გაჩერდა...

— წავიდეთ! — უთხრა ქალმა და იმ წუთას დასძინა:

— სახეზე საყელო მოიფარე...

აბანოების გრძელი დერეფანი მათ ჩქარის ნაბიჯით გაიარეს და სახეს იმალავდნენ, თითქოს რცხვენიანთ არ გვიცნონო, და ცალკე ნომერში შევიდნენ. ოლიმპიადამ იმ წუთსვე თავსახვევი მოიხადა. ილიამ მოჰკრა თუ არა თვალი მის დამშვიდებულს და ყინვისაგან შეწითლებულ სახეს, ცოტა არ იყოს, გამაგრდა, მაგრამ იმ წუთშივე კი იგრძნო, რომ მას ქალის დამშვიდებული სახე არ ესიამოვნებოდა. ქალმა ჩამოჯდა მის გვერდით სავარძელზე, ალერსით შეჰხედა სანდეს და სთქვა:

— აბა, ჩემო ჟინო, საცაა მე და შენ გამომძიებელთან წაგვათრევენ...

— რადა?—დაეკითხა ილია და ულვაშზე შემდნარი თოვლი მოიწმინდა.

— ოჰ, რა ტუტუცი რამა მყავს... ვითომ და!—დაცინვით და ჩუმათ შესძახა ქალმა.

მერე შუბლი შეიჭმუხვნა და ჩურჩულით აუწყა ილიას:

— იცი—დღეს ჯაშუში იყო კიდეც ჩემთან. როგორ მოგწონს?

ილიამ შეჰხედა და ცივად უთხრა:

— მე შენს ჯაშუშებთან და სხვა შენ საქმეებთან საქმე არა მაქვს. პირდაპირ მითხარი—რისთვის დამიძახე აქა და მით უმეტესს, რა საჭირო იყო მაგდენი სიფრთხილე?

ოლიმპიადამ შეჰხედა სახეში, მედიდურად გაიღიმა და უთხრა:

— ჰოო? ჰხედავ... ეწყინა კიდეცა... მაშ კარგი! მაგრამ მაგეებისთვის არა მცალიან ეხლა... აი რას გეტყვი: გამომძიებელი დაგიბარებს და გამოგკითხავს როდის გამიცანი, ხშირად დაიარებოდი ჩემთან თუ არა და სხვა. სუყველაფერი მართალი უთხარი, არაფერი დამალო... ყველაფერი დაწვრილებით,—გესმის?

— მესმის...—უპასუხა ილიამ და ჩაიცინა:

— დაიცა! მოხუცზედ გკითხავს—შენ უნდა სთქვა, რომ ის არც-კი გინახავს არასოდეს. არც იცნობდი. არც კი გაგიგონია, რომ მე საყვარლად ვუჯექი ვისმეს... გესმის?

ქალი გაჯავრებული შეჰყურებდა, და ის კი რაღაც სიამოვნებასა ჰგრძნობდა. იმას ეგონა, ოლიმპიადას ეშინიან ჩემიო; მას ქალის წვალება მოუნდა და ნახევრად მობჟუტული თვალებით შეჰყურებდა სახეში და ჩუმად იცინოდა. მაშინ კი ფერი ეცვალა ოლიმპიადას, ერთი ნაბიჯი უკან გასდგა და ჩურჩულით დაეკითხა:

— რა იყო? როგორ იყურები? ილია, ილია?

— ერთი ეს მითხარ—რად უნდა ვსთქვა ტყუილი? — დაეკითხა კბილებ დაღრჭენილი ილია.—მე მინახავს შენთან მოხუცი, მინახავს, დიაღ!

მარმარილოს მაგიდაზედ დაყრდნობილი, ბრაზით და ნაღველით მორეული ილია დინჯათ და ნელა განაგრძობდა:

— შევყურებდი მე მაშინ და ვფიქრობდი: აი თურმე ვინა სდგას ჩემ გზაზედ, ვინ მომიწამლა სიცოცხლე-მეთქი და თუ მაშინვე არ დავახრჩე...

— სტყუი!—დაუყვირა ხმა მაღლა ოლიმპიადამ და ხელი მაგიდას დასცხო:—ტყუი-მეთქი! ის შენს გზაზედ სრულიადაც არ იდგა...

— ეგ როგორ გამოდის, რომ არ ვიცი?—მკაცრად დაეკითხა ილია.

— არ იდგა მეთქი. ოღონდ ერთი გეთქვა და ის იქ აღარ იქნებოდა... ყოველთვის არ გეუბნებოდი, როცა მინდა, გავაგდებ მეთქი? მე ამას შენ გაგონებდი, შენ კი ჩუმად იყავი და იცინოდი... შენ ხომ ეარასოდეს არა გყვარებივარ ადამიანურადა... შენ თითონ, შენი საკუთარი სურვილით მტოვებდი იმის ხელში... უსინიდისო!

— დაიცა, გაჩუმდი!—უთხრა ილიამ და ფეხზედ წამოდგა, მაგრამ იმ წუთსვე ისევ ჩაჯდა სავარძელზედ, რადგან თვისი საყვედურით ქალმა სრულიად დააუძლურა.

—მე არ მინდა გაჩუმება!—ეუბნებოდა ქალი ხმა მაღლა.— ეგრეთმა ყმაწვილმა... ჯან საღმა და ჩემმა საყვარელმა... რა ჰქენი? მოხველი და მითხარი?—აბა, ოლიმპიადა, ამოგვარჩიე: მე თუ ისა? მითხარი ეგა? არა, შენც ყველასავით კატა ხარ და მეტი არაფერი. .

ილია შეკრთა წყენისაგან, თვალთ დაუბნელდა, ხელები მუშტებათ მოკუმშა და ისევ წამოდგა ფეხზედ.

— დაიცა. როგორა ჰბედავ, შე...

— რა? გინდა მცემო? მცემე!—თვალების ელვით, მუქარით წარმოსთქვა ქალმა და იმანაც კბილები დააღრჭინა. აბა... დამარტყი! გავალებ ამ საათში კარებს და დავიყვირებ, რომ შენ მოჰკალ მოხუცი ჩემი ჩაგონებით... აბა ხელი მახელი!..

ილიას შეეშინდა პირველად, მაგრამ შიშმა მხოლოდ უკბინა გულზედ და გაჰქრა უცბათ, გაჰქარწყლდა. ის ეხლა ძლივსღა სუნთქავდა, თითქოს ვიღაცის უხილავმა ხელებმა ყელში წაუჭირეს და სუნთქვის ნებას არ აძლევენო.

ილია ისევ ჩამოჯდა სავარძელზედ... ცოტა ხანს გაჩუმებული იყო და მერმე ძალ-დატანებულის სიცილით გაიცინა. ის ჰხედავდა, რომ ოლიმპიადა ტუჩებს იკვნეტდა და თითქოს რაღასაც დაეძებდა თვალებით აბანოში, რომელიც საპნისა და ორთქლის სუნით იყო სავსე. აგერ ისიც ჩამოჯდა სავარძელ-

ზედ, აბანოში შესავალ კარებთან, თავი ჩაჰქინდრა და წაელაპარაკა:

— იცინე, იცინე... ტარტაროზო!

— კიდევაც, რომ ვიცინებ...

— პირველად გნახე თუ არა, გავიფიქრე: აი ეს არის, ეს მიშველის-მეთქი...

— ლიპა!—ჩუმად წამოიძახა ილიამ...

ქალმა პასუხი არ მისცა და არც შეინძრა ადგილიდან.

— ლიპა! —გაიმეორა ლუნევმა და იმ გრძნობით, თითქოს რაღაც უძირო უფსკრულში ჩაეშვაო, დინჯათ წარმოსთქვა:

— მოხუცი ხომ მე მოვკალი... ღმერთმანი!

ქალი შეკრთა, თავი მაღლა აიღო და ფართოდ დაღებული თვალებით დააჩერდა ილიას. მერმე ტუჩები შეუცახცახდნენ და, თითქოს სული უგუბდებაო, ძლივს წარმოსთქვა:

— რეგვენი... შეეშინდა...

ილია მიხვდა, ამას თითონვე შეეშინდა ჩემი სიტყვებისაო, მაგრამ მაინც არ სჯერა თუ მართალს ვეუბნებიო. ამ ფიქრით წამოდგა ილია, ქალს მიუახლოვდა და გვერდზე მიუჯდა, თან რაღაც დაფანტულად იღიმებოდა. ქალმა კი მოჰხვია უცებ ხელები, გულში ჩაიკრა და კოცნა დაუწყო, თან კი უხეში ხმით ეჩურჩულებოდა:

— ილოჯან, ილოჯან! რად მაჯავრებ? მე გამეხარდა, ბებერი გველი დაახრჩეს მეთქი...

— მე დავახრჩე, მე, — თავის ქნევით გაუმეორა ილიამ.

— გაჩუმდი! —მოუსვენრად დაუყვირა ქალმა,— ღმერთმანი მიხარიან, რომ დაახრჩეს, ახია მაგათზე, ეგრე უნდა მაგათ! ყველას, ვინც კი მეხებოდა ხოლმე მე! მარტო შენა ხარ მხოლოდ ცოცხალი ადამიანი, რომელსაც ადამიანური სული გიდგია,—მთელს ჩემს სიცოცხლეში მარტო შენ შეგხვდი ადამიანს, ჩემო ძვირფასო!

ქალის სიტყვები თან და თან უფრო ჰხიბლავდნენ ილიას, უფრო იზიდავდნენ თვისკენ; ის ეხლა მაგრა ჩაეკრა გულში და თუმცა სუნთქვა უძნელდებოდა, მაინც ვერ მოეშორებინა

თავი, ჰგრძნობდა რა, რომ ეს ერთად-ერთი ადამიანია, რომელსაც მეგობარი შემიძლიან ვუწოდო და რომელიც ეხლა უფროა ჩემთვის საჭირო ვიდრე წინადაო.

— როცა განრისხებული მიყურებ, ჩემო სუფთა, ფაქიზო და ქორფა მუხასავით საღო... მაშინ ცხადათა ვგრძნობ ხოლმე ჩემს საძაგელს, უსუფთაო ცხოვრებას და ვხედავ ჩემსა და შენს შორის რა დიდი განსხვავებაა და რამოდენით მაღლა სდგეხარ ჩემზე... აი, სწორედ ამ სუფთა ამპარტავნებისთვის მიყვარხარ ესრე...

ლუნევს ღაპა-ღუპით გადმოსცვივდნენ თავზე ოლიმპიადას ცრემლები და რომ იგრძნო მათი სასიამოვნო სითბო, თითონაც თავისუფლად და მსუბუქად მორთო ქვითინი.

ქალმა კი მოჰკიდა თავში ხელები, გრძნობით შეჰყურებდა სახეში და ცრემლებისაგან დასველებულ თვალებს, ლოყებს, ტუჩებს უკოცნიდა და ეუბნებოდა:

— განა არ ვიცი, ჩემი სილამაზე მოგწონს, მაგრამ გულით კი არ გიყვარვარ და მკიცხავ... არ მოგწონს ჩემი ცხოვრება, ვერ აგიტანია... და მოხუციც სწორედ იმიტომ...

— იმაზე ნუ ილაპარაკებ,—შეაწყვეტინა ილიამ, ოლიმპიადას თავსახვევით შეიწმინდა ცრემლები და ფეხზე წამოდგა.

— ეჰ, რაც იქნება, იქნეს!—ჩუმად, მაგრამ გადაწყვეტით დაიწყო ილიამ:—თუ მოისურვებს ღმერთი კაცის დასჯას, ადგილს და დროს ყოველთვის იპოვნის. იმას ვერავინ წაუვა. შენი სიტყვებისთვის კი მადლობელი ვარ, ლიპა, შენ მართალი სთქვი—მე შენთანაც მტყუანი ვარ... მე არ მეგონა, თუ ეგრეთი იყავი... შენ კი თურმე... ეჰ, კარგი... ერთი სიტყვით, მე დამნაშავე ვარ.

ილიას ხმა უწყდებოდა, ტუჩები უთრთოდნენ და თვალები სისხლით აევსნენ. მთრთოლვარე ხელით დინჯად გაისწორა აწეწილი თმა და უცბად ყრუდ დაიკვნესა:

— მე ვარ ყველაფერში დამნაშავე... ყველასთან... რადა? ოჰ, ეშმაკო...

ოლიმპიადამ წაავლო ხელი და თავისკენ მიიზიდა; ილია დაეშვა მის გვერდით სავარძელში და დაფიქრებით წარმოსთქვა:

— გესმის—მე დავახრჩე, მე, გჯერა თუ არა? მე მეთქი...

— ჩუ!—შეშინებულმა, ნახევარის ხმით დაუყვირა ოლიმპიადამ.—რას შვრები?

მაგრათ მოჰხვია მკლავები და შიშისაგან ამღვრეული თვალებით ჩააშტერდა სახეში.

— დამაცა, ისე... თითქოს უცაბედათ გამოვიდაო. ღმერთმა იცის... მე არ მინდოდა. მე მხოლოდ მინდოდა ერთი კიდევ დამენახა იმისი საზიზღარი პირისახე... და შევედი დუქანში. არაფერი არ მქონია აზრათ. მერე კი უცბად ეშმაკმა წამიტყუილა, ღმერთი არ წამომეშველა და... ფულები კი ტყუილად წამოვიღე... არ უნდა წამომეღო... ეჰ!

სთქვა ეს და ღრმად ამოიოხრა, ატყობდა, რომ ამ სიტყვებთან ერთად რაღაც სიმძიმე ეშვებოდა გულზე. ქალი შეძრწუნებული იყო მისი ნაამბობით; ცახცახით ის თან და თან უფრო მაგრა იკრავდა ილიას გულში და აკანკალებულის ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტად რაღაცას ეჩურჩულებოდა. უკანასკნელ სიტყვებზედ კი მაინც მიუგო:

— ფული რომ წამოგიღია ეგ კარგია. იტყვიან, გასაცარცვად მოუკლავთო... უმაგისოდ კი იფიქრებდნენ, მიზეზი იჭვიანობა იქნებაო.. მაშინ ხომ...

— გამოტეხით არ გამოვტყდები,—ლაპარაკობდა ილია დაფიქრებული:—არ მინდა... ისევ ღმერთმა დამსაჯოს... ადამიანნი რა მსაჯულნი არიან? უცოდვო კაცი მე ჯერ არ მინახავს... ერთი არ მანახავს... მე ჯერ მოვიცდი...

— ღმერთო!.—სთქვა ამოოხვრით ოლიმპიადამ.—ეს რა ამბავია, რა იქნება?.. ჩემო კარგო... მე აღარაფერი შემიძლიან... არც ლაპარაკი, არც ფიქრი, უნდა წავიდეთ აქედან, დროა!

ქალი წამოდგა, მაგრამ მთვრალსავით წაიბორძიკა. თავი რომ შეიხვია ხელსახოცით, მაშინ კი დამშვიდებული დაეკითხა:

— მაშ რა გვეშველება ეხლა? ნუთუ უნდა დავიღუპნეთ?

ილიამ თავი გაიქნია—არაო.

— გამომძიებელთან... სუყველაფერი სთქვი. სუყველაფერი კი არა...

— მითომც მითქვამს... შენა გგონია, თავს ვერ დავიცავ? გგონია, ი ბებრუხუნას გულისთვის და იმის ორი ათასის გულისთვის კატორგაში ამოვყოფ თავსა? უკაცრავად, ამ საქმით არ გავათავებ მე ჩემს ცხოვრებას. არ გავათავებ მეთქი, გესმის?

ვაჟი გაწითლდა აღელვებისაგან და თვალები ცეცხლივით აენთნენ. ქალმა კი დაჰხარა მისკენ თავი და ჩურჩულით დაეკითხა:

— ფული ორი ათასია მარტო?

— ორია და კიდევ რაღაც... ეჰ, ეშმაკმა წაიღოს...

— საწყალო, აქაც ვერ გაულიმნია ბედსა!—სთქვა ნაღვლიანად ქალმა და თვალებზედ ცრემლები შეუთამაშდნენ.

ილიამ შეხედა, გაიცინა და მწარედ წარმოსთქვა:

— მერე, განა ფულებისთვის ჩავიდინე მე ეს საქმე. არა, მიხვდი, რომ... დაიცა, მე პირველი გავალ... ვაჟი ყოველთვის პირველი მიდის ხოლმე...

— ჩემთან, რაც შეიძლება, მალე შემოიარე... დამალვა საჭირო არ არის ჩვენთვის... ჩქარა! —ეუბნებოდა აღელვებული ოლიმპიადა.

იმათ აკოცეს ერთმანერთს დიდის, ხანგრძლივის კოცნით და ლუნევი წავიდა. ქუჩაში რომ გავიდა, ეტლი დაიჭირა და როცა მოდიოდა, სულ უკან იყურებოდა—ხომ არავინ მომდევსო. ოლიმპიადასთან ლაპარაკმა ცოტა შეღავათი მისცა, შეუმსუბუქა ნაღველი და მისდამი უკეთესი გრძნობა გაუღვიძა გულში. ის არც სიტყვით, არც ქცევით არ შეჰხებია მის დაკოდილს გულსა და როცა გამოუტყდა კაცის კვლაში, ზიზღით კი არ მოიშორა, არამედ თითქოს თავის თავზედაც მიიღო ნაწილი დანაშაულისა. იმ ერთს წუთის წინ კი, როდესაც ოლიმპიადამ ჯერ არა იცოდა-რა, კინაღამ დაჰღუპა და დაჰღუპავდა კიდეცა, ეს ნათლად დაინახა ილიამ იმის სახეზედ...

ჰფიქრობდა მაზედ და სახეზედ ღიმი უქროდა. მეორე დღეს კი ილიამ თავი მხეცად იგრძნო, რომელსაც მონადირენი სდევნიან და მის კვალს ეძებენ.

ჯერ დილით პეტრუხა შეხვდა დუქანში და ილიას სალამზედ ოდნავ ჩაჰღუნა თავი და ამასთან რაღაც სხვანაირად გადახედა. ტერენტიც სულ თვალს ადევნებდა და უსიტყვოდ ოხრავდა. მაგრამ იაკობმა კი ჩაიყვანა მაშოსთან, სარდაფში და შეშინებულის სახით დაეკითხა:

— გუშინ სალამოზედ ბოქაული იყო და სულ შენზედ ელაპარაკებოდა მამაჩემს... რა ამბავია... არ იცი?

— რას ელაპარაკებოდა მერე?—მშვიდათ დაეკითხა ილია.

— რა ვიცი... როგორა სცხოვრობსო... არაყს ხომ არ სვამსო... ქალებზედაც ლაპარაკობდა... ვილაც ოლიმპიადაც ახსენა, ხომ არ იცით იმაზედ რამეო. რა ამბავია?

— ეშმაკმა იცის იმათი თავი და კისერი, რა ვიცი!—უთხრა ილიამ და წავიდა.

სალამოზედ კიდევ მიიღო ილიამ ოლიმპიადასაგან ბარათი—იწერებოდა:

„ჩვენება ჩამომართვეს შენს შესახებ,—სუყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. ეს სრულიადაც არ არის საშიში და კარგიც არის. ნუ გეშინიან. გაკოცებ ათასჯერ“.

ბარათი ცეცხლში დაწვა ილიამ. ფილიმონოვის სახლში და დუქანში ყველა იმ მკვლელობაზედ ლაპარაკობდა. ილია ყურს უგდებდა ამ ლაპარაკს და რაღაც სიამოვნებასა ჰგრძნობდა. მას ძალიან მოსწონდა იმ ხალხში სიარული, რომელიც მისი საქციელით იყო გატაცებული, მათთან ლაპარაკი და მათგანვე თხზვილი მკვლელობის დაწვრილებითი გადმოცემა, მას ძალიან მოსწონდა ის აზრი, რომ საკმარისია მან მოისურვოს და ერთს წუთს ყველას განაცვიფრებს.

— ეგ ხომ ჩემი ჩადენილი საქმეაო...

ზოგნი მის სიმარჯვეს და გულადობას აქებდნენ, ზოგნი ნანობდნენ ფულის წაღება მთლად ვერ მოუსწორიაო, სხვანი შიშობდნენ, ვაი თუ დაიჭირონო და მოხუცი ვაჭარი კი არავის

ებრალებოდა, ერთმა არა სთქვა იმაზედ თბილი სიტყვა. ის, რომ მოკლულისადმი სიბრალულს ვერა ჰხედავდა ხალხში, სწყინდა ილიას, თუმცა თითონაც არ ებრალებოდა, მას არც კი აგონდებოდა პოლუეევკტოვი; იმას ის აწუხებდა და ის აღონებდა, რომ მძიმე ცოდვა იდვა კისერზე და შემდეგში სამაგიეროს მოლოდინი უნდა ჰქონოდა. ეს აზრი კი არ აწუხებდა: ისე გაჩუმებულიყო მასში უნძრევლივ და თითქოს მისი სულის ნაწილად გადაქმნილიყო. მაგარი ნივთის დარტყმით გამოწვეულს სიმსივნესავით ის სრულიად არ აწუხებდა, სანამ თითონ არ შეეხებოდა ხოლმე. ილია ღრმათ იყო დარწმუნებული, რომ მოვა ჟამი და დრო და ღვთისგან სასჯელი უთუოდ გადახდება, მან ყველაფერი იცის და ადამიანის სისხლის დაღვრას არ აპატიებს. ის მზათ იყო ყოველ წუთს დამსახურებული სასჯელი მიეღო; აი, სწორედ ეს გრძნობა იყო იმის მიზეზი, რომ ილია ისევე გრძნობდა თავსა, როგორც მკვლელობის წინათ. ის ეხლა უფრო გაფაციცებით ადევნებდა ხალხს თვალსა და სიამოვნებით ამჩნევდა მათ ნაკლულევანებას.

ის უფრო მოიღუშა, ჩაჰფიქრდა, მაგრამ წინანდებურად მაინც დილიდან საღამომდის დახეტიალობდა ქალაქში თავის საქონლით. იჯდა სამიკიტნოებში, თვალ-ყურს ადევნებდა ხალხსა და ყოველ მათ სიტყვას ყურადღებით ისმენდა. ერთ ხელ როგორღაც მოაგონდა მიწაში ჩაფლული ფული და გაიფიქრა უნდა ადგილი გამოუცვალოო, მაგრამ მალე გადაიფიქრა:

— საჭირო არ არის, ისევ იქ იყვეს... თუ გამჩხრიკეს და იპოვნეს, გამოვტყდები...

მაგრამ არცა სჩხრეკავდნენ და გამოძიებელთანაც არ იბარებდნენ. მხოლოდ მეექვსე დღეს დაიბარეს. წასვლის წინ საცვლები გამოიცვალა, ჩაიცვა უკეთესი ტანთსაცმელი რაც კი მოეძებნებოდა, გაიპრიალა წაღები, მარხილი დაიქირავა და გასწია. მარხილი ხან ჩაექანებოდა ქუჩების უსწორ-მასწორო ადგილებში, ხან ზევით შეხტებოდა ხოლმე, მაგრამ ილია კი სცდილობდა უნძრევლივ და გაჭიმული მჯდარიყო, რადგან

ყოველი ძარღვი დაჭიმული ჰქონდა და ეგონა, თუ შევინძერი, რაღაც ცუდი დამემართებაო. გამომძიებლის კიბეზედაც აუჩქარებლივ და ფრთხილად ავიდა, თითქოს შუშის ტანთსაცმელი ეცვასო.

გამომძიებელი ახალგაზდა ყმაზვილი კაცი იყო, თავზედ ხუჭუჭი თმა ეყარა და კუზიან ცხვირზედ ოქროს სათვალეები ჰქონდა. ილიას დანახვაზე იმან ჯერ გამხდარი თეთრი ხელები დაისრისა, მერმე აუჩქარებლივ სათვალეები ჩამოისხნა და წმენდა დაუწყო, თან კი დაშტერებით უყურებდა ილიას სახეში. ილიამ ხმა ამოუღებლივ სალამი მისცა.

— გამარჯობათ! დაბრძანდით!... აი აქა...

და ხელით მაყვლის ფერ ხავერდ გადაკრულ სკამზედ ანიშნა ილია ჩამოჯდა და იდაყვით ფრთხილად გასწია რაღაც ქაღალდები, რომელნიც მაგიდის ნაპირას ელაგნენ. გამომძიებელმა შეამჩნია და ზრდილობიანად მოაშორა ქაღალდები; მერე ჩამოჯდა ილიას პირდაპირ მდგარ სკამზედ და ხმა ამოუღებლივ რაღაც წიგნს დაუწყო ფურცვლა, შუბლის ქვეშიდან კი ჩუმად ლუნევს უყურებდა. ილიას არ მოეწონა ეს სიჩუმე, მიბრუნდა ცოტას და ოთახს დაუწყო თვალიერება; ამისთანა სუფთად და კოპწიად მართულს ოთახს ის პირველადა ჰხედავდა. კედლები სულ მდიდარ ჩარჩოებში ჩასმულ სურათებით და ფერადი ხატებით იყვნენ სავსენი. ერთ მათგანზე ქრისტე იყო დახატული. ის ჩაფიქრებული, მწარედ დაღვრემილი და თავ-ჩაქინდრული მიდიოდა რაღაც ნანგრევებში; ირგვლივ მის ფერხთა ქვეშ ადამიანთა სხეულები და იარაღნი ეყარნენ და ცოტა მოშორებით რაღასაც შავი ბოლი ასდიოდა ზევით—ეტყობოდა, რაღასაც ცეცხლი ეკიდა. ილია კაი ხანს უყურებდა ამ სურათს, ძალიან უნდოდა გაეგო მისი შინაარსი და მნიშვნელობა და ის იყო დააპირა კიდეც გამომძიებლისთვის ეკითხნა—რა შინაარსისაა ეს სურათიო, მაგრამ იმ წუთას გამომძიებელმა უცბათ წიგნი დაჰკეცა. ილია შეკრთა და გადაჰხედა გამომძიებელს. მას სახე მოეღუშა და ტუჩები რაღაცნაირად ჩამოშვებოდნენ, თითქო რაღაცა სწყენიაო.

— აბა,—დაიწყო მან და თან თითებით აკაკუნებდა მაგიდაზედ,—ილია იაკოვლიჩ ლუნევო, ასეა?

— დიაღ...

— თქვენ მიხვედრილი ხართ, რათაც დაგიბარეთ?

— არა,—მიუგო ილიამ და ერთი კიდევ გადაჰხედა ფეერად სურათსა. ოთახში სისუფთავე და სიფაქიზე იყო. ლუნევს არასოდეს არ ენახა ასეთი სისუფთავე, ამდენი კოპწია და ლამაზი საგნები. გამომძიებელსაც რაღაც სასიამოვნო სუნი ასდიოდა. ყველა ეს ართობდა ლუნევს, ამშვიდებდა და შურიან აზრებს ჰბადავდა მასში.

„შეხე როგორა სცხოვრობს თურმე ხალხი... ალბათ, ხელსაყრელი ყოფილა ქურდების და მკვლელების მახეში გაბმა... რამდენი ჯამაგირი უნდა ჰქონდეს ნეტავი?“

— არა?—გაიმეორა გამომძიებელმა, თითქოს რაღაცამ გააკვირვაო.—განა ოლიმპიადა პეტროვნამ არაფერი შეგატყობინათ?

— არაფერი... მე დიდი ხანია ოლიმპიადა აღარ მინახავს.

გამომძიებელი გადაესვენა სკამის ზურგზე და ისევ ჩამოუშვა ტუჩები.

— როგორ დიდი ხანი?

— არ ვიცი, ღმერთმანი... რვა თუ ცხრა დღე იქნება, მგონი...

— ოჰო! მაშ ეგრე... ერთი ეს მითხარით, ხშირადა ჰხვდებოდით ხოლმე ოლიმპიადასთან პოლუეკტოვსა?

— აი რომ მოჰკლეს?.. დაეკითხა ილია და პირდაპირ თვალებში შეჰხედა გამომძიებელს

— დიაღ, დიაღ! იმასა...

— არასოდეს არ შევხვედრივარ...

— არასოდეს?! ჰმმ...

— არა...

გამომძიებელი კითხვას კითხვაზედ იძლეოდა, მაგრამ ისე გულცივად, თითქოს ყურადღებასაც არ აქცევს მის პასუხებსაო, და როცა ილია დინჯათ ლაპარაკით დაუგვიანებდა პასუხს,

მოხელე მოუთმენლათ მოჰყვებოდა ხოლმე მაგიდაზედ თითებით რაკა-რუკს.

— თქვენ იცოდით, რომ ოლიმპიადა პეტროვნა საყვარელი იყო პოლუეკტოვისა?—ჰკითხა მოულოდნელად გამომძიებელმა და სათვალეების ზევიდამ შიგ თვალებში ჩააცქერდა ილიას.

ამ გადმოხედვამ ლუნევი გააწითლა, ეს ეწყინა მას.

— არა,—ყრუდ მიუგო ილიამ.

— დიაღ, საყვარელი იყო იმ მოხუცისა,—გაიმეორა გამომძიებელმა,—ჩემის აზრით, ეს კარგი არ არის,—დაუმატა, რაკი დაინახა, რომ ილია არაფერს ეუბნებოდა პირველ შენიშვნაზე.

— კარგი რა არის ამაში?!—ხმა დაბლა წაილაპარაკა ილიამ.

— ხომ ეგრეა?

ილიამ ამ კითხვაზედაც არა უპასუხა რა.

— თქვენ დიდი ხანია იცნობთ იმ ქალსა?

— წელიწადზე მეტი იქნება...

— მაშასადამე, თქვენ პოლუეკტოვზე ადრე გაუცვნიხართ?

„დიდი გაიძვერა ხარ!“—გაიფიქრა ილიამ და დინჯად მიუგო.

— მე საიდან უნდა ვიცოდე ეგა, თუ ისიც არ ვიცი, რომ ოლიმპიადა იმისი საყვარელი ყოფილა?

გამომძიებელმა ტუჩები მოკუმშა, დაუსტვინა და რაღაც ქაღალდებს თვალიერება დაუწყო. ლუნევი ისევ სურათს დააცქერდა, ჰგრძნობდა, რომ იმ სურათზე ფიქრი ჰშველიდა და ამშვიდებდა. საიდანღაც ბავშვის მხიარული, წკრიალა სიცილი მოისმა. შემდეგ ქალის ალერსიანმა ხმამ გააბა:

„ჩემო კარგო საყვარელო ფუნჩულავ!“

— როგორცა ვხედავ, მაგ სურათმა ძალიან გაგიტაცათ! გაისმა გამომძიებელის ხმა.

— სად მიდის მაცხოვარი?—ნელის ხმით დაეკითხა ილია.

გამომძიებელმა შეჰხედა მოწყენილის, იმედ-გაცრუებულის თვალებით და, პატარა სიჩუმის შემდეგ, მიუგო:

— ჩამოსულა ქვეყნად და უყურებს ხალხი როგორ ასრულებს მის მცნებებს. ომის ველზე მიდის და ირგვლივ დახოცილ ხალხს, სახლების ნანგრევებს, ცეცხლ წაკიდებულ და დაბუგლს სარჩო-საბადებელს, ყაჩაღობას და მტაცებლობას ჰხედავს...

— განა ზეციდან კი ვერა ჰხედავს მაგეებსა, მერე?—დაეკითხა ილია.

— ჰმმ... მაგას ალლეგორიას ეძახიან... უფრო ადვილ გასაგებად არის დახატული... იმ აზრით, რომ უფრო აშკარად ჰყონ რამდენად განსხვავდებიან ნამდვილი ცხოვრება და ქრისტეს მცნებანი... ე. ი. მაგრამ, ცოტაოდენი რამე კიდევ მინდა გკითხოთ

ილიამ მოაშორა თვალი სურათს და გამომძიებელს დაუწყო ცქერა. უკანასკნელმა ისევ მიაყარა წვრილი უმნიშვნელო კითხვები, რომლებმაც შემოდგომის ბუზებსავით მოაბეზრეს ლუნევს თავი. ისინი ჰღალავდნენ მას, ყურადღებას უჩლუნგებდნენ და თავისს სიფუჭით და ერთგვარი რახარუხით თითქოს აძინებდნენ და სიფრთხილეს აკლებდნენ. მას ბრაზი მოსდიოდა გამომძიებელზე და ცხადათა ჰხედავდა, რომ უკანასკნელი ძალათი აძლევდა აშისთანა კითხვებს, რომ მიეყუჩებინა და მიეძინებინა.

— ვერ მეტყვით,—დაუდევნელად, მაგრამ უცბად დაეკითხა გამომძიებელი,—სად იყავით ხუთშაბათს ორსა და სამს საათს შუა?

— დუქანში, ჩაისა ვსვამდი,—მიუგო ილიამ.

— რომელ დუქანში, ხომ არ გახსოვთ? რომელ ქუჩაზე?

— პლევნაში.

— ეგრე დაბეჯითებით რად ამბობთ, რომ სწორედ ამ დროს დუქანში ვიყავიო?

გამომძიებელს სახე შეუკრთა, გულით მაგიდას გადააწვა და გაელვებული თვალები ლუნევს სახეში ჩააჩერა. ილიამ უცბად არ უპასუხა. ის რამდენსამე წამს ჩუმად იყო, მერე ამოიოხრა და აუჩქარებლივ მიუგო:

— დუქანში შესვლის წინ პოლიციელსა ვკითხე რომელი საათია მეთქი.

გამომძიებელი ისევ გადაწვა სკამის ზურგზე, ყარანდაშს წაავლო ხელი და ფრჩხილებზე კაკუნს მოჰყვა.

— პოლიციელმა მითხრა მეორე საათიაო... ოცი წუთიაო... თუ რაღაც...— დინჯად განაგრძო ილიამ.

— ის პოლიციელი გიცნობთ?

— მიცნობს...

— თქვენ კი არა გაქვთ საათი?

— არა...

— წინათაც გიკითხავთ როდისმე რომელი საათიაო?

— შემმთხვევია...

— ქალაქის მმართველობა ხომ იქვეა და რატომ კედლის საათს არ შეხედეთ?

— ხშირად დამავიწყდება შეხედვა...

— პლევნაში დიდი ხანი იჯექით?

— სანამ არ დაიყვირეს, კაცი მოჰკლესო...

— მერე სადღა წახველით?

— მოკლულის სანახავათ.

— გნახათ ვინმემ იქა... დუქანთან?

— იმავე პოლიციელმა მნახა... გამომაგდო კიდეცა... ხელი მკრა...

— კარგი!— მოწონებითი კილოთი სთქვა გამომძიებელმა და ლენევს არც კი უყურებდა, დაუდევნელად ჰკითხა:

— დროს შესახებ პოლიციელს მკვლელობის წინა ჰკითხეთ თუ შემდეგ?

ილია მიუხვდა კითხვის მნიშვნელობას. ის უცბად უკმეხად შეინძრა სკამზედ და გულში სიძულვილი და ბრაზი იგრძნო გამომძიებლისადმი, მის სპეტაკ თეთრ პერანგისადმი, წვრილ თითებისა, სუფთა ფჩხილების, ოქროს სათვალეების და მის შავ თვალებისადმი. კითხვაზედ კითხვითვე მიუგო.

— მე როგორ შემიძლიან მაგის ცოდნა?

გამომძიებელმა ხმელად ჩაახველა და ისე ძლიერ დაისრისა ხელები, რომ თითებმა ლაწა-ლუწი ასტეხეს.

— ჩინებულია!—უკმაყოფილოთ განაგრძო გამომძიებელმა.—ჩი-ნე-ბუ-ლია... დიალ. და ისევ გადაესვენა სავარძელში.

— მშვენიერია... რამდენიმე კითხვა კიდევ და გაგანთავისუფლებთ კიდეცა... მერე... იქნება.—მმ... რა გვარია პოლიციელი?

— ერემინი, მატვეი ივანიჩ...

ეხლა კი გამომძიებელი მოწყენილის ხმით დაუჩქარებლივ აძლევდა კითხვებს, ეტყობოდა, საინტერესოს აღარას მოელოდა; ილია კი უგებდა კითხვებზედ და თან კი ეშმაკურ კითხვებს მოელოდებოდა. ყოველი სიტყვა, ყოველი მისი დახმაურება ზარივით ისმოდა მის გულში, თითქოს დაჭიმულ სიმებს ედებიანო. მაგრამ გამომძიებელი აღარ იძლეოდა წინანდებურს კითხვებს.

— იმ დღეს, ქუჩით რომ მიდიოდით, ხომ არ შეგიმჩნევიათ მაღალი ტანის კაცი, ქურქში გამოწყობილი და შავი ფაფახით თავზედ?

— არა..—მკაცრად მიუგო ლუნევმა.

— კარგი. აბა გაიგონეთ თქვენი ჩვენება და მერე ხელი მოაწერეთ... მიიფარა სახეზედ დაწერილი ქაღალდი და აჩქარებით, გაბმით დაიწყო კითხვა. რომ გაათავა, ლუნევს კალამი მიაჩეჩა ხელში.—ილია ღაიხარა, ხელი მოაწერა, მერე აუჩქარებლივ წამოდგა ფეხზედ და მკვახედ უთხრა:

— მშვიდობით!..

გამომძიებელმა უკმეხად დაუკრა თავი, დაიხარა და ისევ წერას მიჰყო ხელი. ილია იდგა. იმას უნდოდა იმ კაცისთვის, რომელმაც ამდენი სტანჯა, რითიმე ჯავრი ამოეყარა. სიჩუმეში კალმის ჭრაჭუნი მკაფიოდ ისმოდა და რომელიღაც ოთახიდან სიმღერის ხმა მოდიოდა:

„იცეკვეთ, იცეკვეთ, ჩემო პატარა დედოფლებო“....

— რაღა გინდათ? — უცბათ აიღო თავი და დაეკითხა გამომძიებელი.

— არაფერი...—მკვახედ მიუგო ლუნევმა.

— მე გითხარით, მგონი—შეგიძლიანთ წახვიდეთ-მეთქი.

— მივდივარ...

— ჰო და ეგრე...

ორთავენი დაშტერებით უყურებდნენ ერთმანერთს და ლუნევმა იგრძნო, რომ გულში რაღაცა ეზრდებოდა მძიმე და საშინელი, მაგრამ დროზედ მიბრუნდა კარებისაკენ და გავიდა. ქუჩაზედ როცა ცივმა ქარმა შემოჰკრა, მან მხოლოდ მაშინ იგრძნო, რომ სულ მთლად დასველებულიყო ოფლისაგან. ნახევარ საათს უკან ილია ოლიმპიადასთან იყო უკვე. იმან თითონვე გაუღო კარები, რადგან ფანჯრიდანვე დაენახა, რომ ილიამ მარხილი გააჩერებინა და ჩამოდიოდა. ქალს სახე გაჰფითრებოდა, თვალები გაგანიერებოდნენ და მოუთმენლად, მოუსვენრად იყურებოდნენ.

— ჩემო ჭკვიანო!—შეჰყვირა იმან, როცა ილიამ უთხრა გამომძიებელისაგან მოველ ეხლაო.—ეგრე უნდა, ეგრე! რაო, რა მინდაო?

— გაიძვერა რამა ყოფილა! — სთქვა ბრაზით ილიამ.— სულ მახეებს მიგებდა...

— რა ჰქნას, იმას უმაგისოთ არ შეუძლიან, — დაბეჯითებით შენიშნა ქალმა, — რა იმის ბრალია, ეგრეთი საძაგელი სამსახური აქვს...

— სთქვი რაღა პირდაპირ—აი ესე და ესეა საქმე და თქვენ გაბრალებენო...

— მერე შენც ხომ არ ეუბნებოდი პირდაპირ?! —ღიმილით მიუგო ოლიმპიადამ.

— მე?—გაკვირვებული დაეკითხა ლუნევი,—მართლა, ეე! დასწყევლოს ღმერთმა!...—ის რაღაცამ ძრიელ გააკვირვა და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ სთქვა:

— იმასთან რომ ვიჯექი, ღმერთმანი, მართლადა ვგრძნობდი თავსა. და საზოგადოთ, მართალი რომ სთქვას კაცმა...

— ჰო და მადლობა ღმერთსა! — შესძახა გახარებულმა ოლიმპიადამ.—საქმე ხომ კარგათ დაგვიბოლოვდა!..

ილიამ ღიმილით გადაჰხედა და დინჯათ განაგრძო:

— ტყუილის თქმაც რომ ბევრი არ დამჭირდა... ეჰ, ბედი მაქვს, ლიპა, ბედი...

და საოცრად გაიცინა.

— მე ჯაშუშები ძალიან მადევნებენ თვალსა,— დაბალის ხმით აუწყა ოლიმპიადამ,—უსათუოდ შენც არ დაგტოვებენ უზრუნველად...

— მა-რა!—ბრაზიანად და დაცინვით შესძახა ლუნევმა. ძალიან დაძრწიან, უნდათ მგელსავით მიყენონ ყოველ მხრიდან და მერე გამთოკონ. ვერაფერს გახდებიან!.. იმათი საქმე არ არის! ამასთანაც მგელი კი არა, უბედური კაცი ვარ... მე არავის დახრჩობა არ შინდოდა, მე თვითონ მარჩობს ჩემი ხვედრი... პაშკა რომ ამბობს თავისს ლექსში, ისე... პაშკასაც ახრჩობს, იაკობსაც... სუყველას!..

— არა უშავს-რა, ილოჯან,—ამბობდა ქალი და თან ჩაის აკეთებდა.—სუყველაფერი კარგათ დაბოლოვდება...

— ლუნევი წამოდგა სავარძლიდან, მივიდა ფანჯარასთან, ქუჩაში დაიწყო ცქერა და ბრაზიანის, დაღვრემილის კილოთი განაგრძო:

— მთელი ჩემი სიცოცხლე სულ სასაძაგლეს ვეხეჩები... რაც არ მიყვარს, რაც შეჯავრება, სწორედ იმას უნდა შევხვდე, იმას უნდა წავაწყდე ცხოვრებაში. ერთი ისეთი კაცი ვერა ვნახე, რომ სიხარულით და სიამოვნებით შეეხედნა მისთვის კაცსა... ნუთუ არაფერია ქვეყნად წმინდა!.. აი, დავახრჩე ის. შენი... რისთვის? მხოლოდ ჩირქი მოვიცხე, სული შევიბღალე. ფულები წამოვიღე... ეს მაინც აღარ მექნა.

— ნუ დარდობ!—ანუგეშებდა ოლიმპიადა.—მის დამნანებელს გული არ უნდა ჰქონდეს:

— მე არ მენანება... მე... თავი მინდა გავიმართლო. ყველა ასე თუ ისე იმართლებს თავსა,—იმიტომ რომ ცხოვრება უნდა კაცსა!.. აგერ გამომძიებელი—სცხოვრობს, როგორც კანფეტი მშვენიერ კოლოფში... ის, რასაკვირველია, არავის დაახრჩობს. იმას შეუძლიან მართლით ცხოვრება... ირგვლივ სისუფთავეს ჰხედავს...

— დაიცა... მოდი წავიდეთ ამ ქალაქიდან...

— არა, მე არსად არ წავალ!—გადაწყვეტით მიუგო ლუ-

ნევმა და მობრუნდა ქალისკენ. შემდეგ მუქარის, კილოთი განაგრძო:

— არა, ჯერ დამაცადე! მე აქ მოვიცდი, ვნახოთ რა იქნება...

ოლიმპიადა ჩაჰფიქრდა ერთი წუთით. ის სამოვარს მოსჯდომოდა მაგიდასთან და განიერს, სუფთა კაპოტში ვარდსავით გამოიყურებოდა.

— მე ჯერ კიდევ შევეჯიბრები და შევებრძოლები ბედსა,—თავის ქნევით ამბობდა ლუნევი და ოთახის ერთის კუთხიდან მეორეში გადიოდა.

— ჰაა!—წამოიძახა გულ-ნაკბენმა ქალმა,—იმიტომ არ გინდა წამოსვლა, რომ ჩემი გეშინიან? შენა გგონია, სამუდამოდ დაგიჭერ ხელში, გგონია, რა კი ის... ვიცი—მე ვისარგებლებ? შემცდარი ხარ, ჩემო კარგო, დიალ, შემცდარი ხარ!.. ძალით არ წაგათრევ, ნუ გეშინიან...

ქალი თუმცა დამშვიდებული ლაპარაკობდა, მაგრამ ტუჩები ისე უთრთოდნენ, თითქო მეტის-მეტ მწარე ტკივილებს ჰგრძნობსო.

— რაიო, რას ამბობ?—დაეკითხა გაკვირვებული ლუნევი.

— ძალას არ დაგატან, ნუ გეშინიან. საითაც გნებავდეს, იქით წაბრძანდი!

— დაიცა!—მოუჯდა გვერდით, ხელი გამოართვა და დაიწყო ლუნევმა:—არ მესმის, რად დაიწყე მაგაზედ ლაპარაკი?

— ვერ მომატყუილებ!—შეჰყვირა ოლიმპიადამ და ძალით გამოჰგლიჯა ხელი.—ვიცი, შენ ამაყი, გულ-ქვა კაცი ხარ და ჩემი მოხუცთან დაახლოვება ვერ გიპატიებია ჩემთვის... ჩემი ცხოვრება გეზიზღება... ეხლა შენა ჰფიქრობ—სულ ამის ბრალია, რომ ეს საქმე შემემთხვაო... და გეზიზღები...

— სტყუი!—ამაყად მიუგო ილიამ.— სტყუი, მე შენ არაფერშიაც არ გამტყუნებ. მე განა არ ვიცი, ჩვენისთანა ხალხს სუფთა და უმანკო ქალებს არავინ მიართმევს... ჩვენთვის მეტად ძვირნი იქნებიან ისინი. მაშ! იმათ ჯვარის დაწერვა უნდათ: იმათ მერე შვილები ეყოლებათ... რაც სუფთაა, სულ

მდიდრებისთვისაა გაჩენილნი. ჩვენ კი ნახორხალნი, ნაწუწნი, შეგინებული და შელახული...

— ჰოდა, დამანებე შელახულს თავი! — დაუყვირა ოლიმპიადამ და წამოხტა სკამიდან. — წაბრძანდი! — მაგრამ აქ ცრემლები წასკლოდ და ნალვერდალსავით მწვავე სიტყვები მიაყარა:

— მე ჩემის ნებით შევლახე თავი, როგორც შენ ამბობ, მე ჩემის ნებით ჩავვარდი ამ... იმიტომ რომ ამ ორმოში ბევრი ფული მეგულებოდა... ამ ფულის შემწეობითვე როგორც კიბეზე, ისე ამოვალ ორმოდან. და ისევ კარგ ცხოვრებას დავიწყებ. შენც მიშველე ამ საქმეში. ვიცი... მაინც მეყვარები, თუ გინდ ათი სხვა დაახრჩე კიდევ. მე შენი გულკეთილობა კი არ მიყვარს, შენ შიგ — ამაყობა მიყვარს, შენი სიყმაწვილე, შენი ხუჭუჭ თმიანი ლამაზი თავი, შძლავრი ხელები, შენი მკაცრი თვალები, შენი საყვედურები, ხანჯლებსავით რომ მესობიან გულში... და ამიტომ... სიკვდილამდინ შენი მადლობელი ვიქნები... ფეხებს დაგიკოცნი, თუ გინდა, აჰა!

ამ სიტყვებიან ერთად ქალი ჩაუვარდა ვაჟს ფეხთ ქვეშ, მუხლებს დაუწყო კოცნა და თან იძახდა:

— ლმერთი ჰხედავს, მე ჩემ სასენელადვე შევცოდე, ხომ იმისთვინ ვარ კარგი, რომ მე მთელ ჩემ ცხოვრებას ტალახსა და წუმპეში არ გავატარებ... ამ ტალახსა და წუმპეში გავიგვლიკ, მაგრამ ისევ გავიწმინდები, მაშინ, ისიც მაპატიებს... მე არ მინდა მთელს ჩემი სწორ ცხოვრებ ვიტანჯო! სულ მთლად გამთხვარეს... გამგზავნეს... ენლა ჩემი ცრემლებიც კი ველარ გამბანენ...

ილია სცდილობდა როგორმე მოეშორებინა ქალი ფეხზე დაეყენებინა, მაგრამ ის მაგრა ჩაჰბლაუჭებოდა მუხლებში, სახით ეხახუნებოდა მას და აღელვებულის, ყრუ ხმით ლაპარაკობდა. არ იქმნა და ვერას გზით ვერ მოიშორა ილიამ ქალი, მართოლვარე თითები თმაში შეუყო, ალერსიან წამოაყენა, მოეხვია და გულზე მიისვენა. ქალის მხურვალე ლოყა ილიას ლოყას შეეხო. ქალი თითქმის ჩურჩულით გაბაგრძობდა:

— გნან ვისთვისმე უკეთური იქნება, რომ რაკი კაცმა ერთხელ შენცოდა, მთელი თავისი სიცოცხლე დაცემული დარ-

ჩეს?.. ჯერ პატარა გოგო ვიყავ, როცა მამინაცვალი სისაძაგლის ჩანდენას ბიპირებდა, მე ხელეჩო დავარტყი, — არ მინდოდ და. მერმე — მამერივნენ. დამეთვრეს... პატარა გოგო ვიყავ... სუფთა... თურა შაულ ვაშლსავით ვყვადდ... ბევრი გამოვიტირე თავი... მენანებოდა ჩემი უმანკოებაა, სისუფთავე... მე არ მინდოდა, არ ვიდ მერე კი დავინახე... რომ სულ ერთია... უკვნ დაბრუნება ალარ შეიძლებოდა... ვეფეიქრე, მოდი ქვერად მაინც დაუსვამ ჩემ თავსა მეთქი. სუყველა შევიძულე, ფულებს ვიპარავდი, ვლოთობდი... შენ შუბვეტრამდინ გულით მე არავისთვის მიკრცნია...

სიტყვები ჩუმის ჩურჩულით ლაპარაკობ და უცბად გაიწია, უნდოდა ხელიდან გასხლტომოდა ილიას.

— გამიშვი!

ილიამ უფრო მაგრა მოჰხვია ხელები და გატაცებით, მხურვალედ დაუწყო კოცნა.

— გამიშვი, გვერდები მეტკინა! — ერთი კიდევ შესთხოვა ქალმა.

— მე შენ სიტყვებზე ვერაფერს გეტყვი... — დაიწყო გატაცებით ლუნევმა. — ერთს გეტყვი — ჩვენ არავის ვებრალებით... ჰო და ნურც ჩვენ შევიბრალებთ იმათ... კარგათ ლაპარაკობდი... მოდი გაკოცო მაინც... მაშ სხვა რითი გადაგიხადო? ჩემო კარგო... მიყვარხარ, მიყვარხარ... ისე რომ... ეჰ, სიტყვით ვერ გამოვსთქვამ, სულ ერთია...

იმის ლაპარაკმა და საჩივრებმა მართლა გაულვიძეს ილიას გულში სუფთა და მძლავრი გრძნობანი ქალისადმი. მისი ნაღველი თითქოს შეუერთდა მის უბედურებას, შეუსისხლხორცდა და თითქოს ესენიც დაანათესავაო, მჭიდროდ ჩახვეულნი ისინი კიდევ დიდი ხანი უამბობდნენ ერთმანერთს თავიანთ წყენას, უბედურებას და დაჩაგრულს გულს უხსნიდნენ ერთმანერთს. ლუნევს გულში რაღაც მძლავრი და გადაწყვეტილი გრძნობა ებადებოდა...

— მე და შენ ვერ ვიქნებით ბედნიერნი, — ოხვრით და თავის ქნევით ეუბნებოდა იმედ-გადაწყვეტილი ქალი.

— არ ვიქნებით და უბედურება ვიდღესასწაულოთ... კატორღაში მოგვიხდება წასვლა—ერთად წავიდეთ! გესმის? მანამ კი ვარამი სიყვარულში ჩავკლათ... ეხლა გინდა ცეცხლში ჩამაგდე... არ გავტყდები და კარგათაც ვგრძნობ თავსა!

შეშფოთებულნი ლაპარაკით და ალერსით აღელვებულნი ისინი თითქოს ბურუსში ჰხედავენ ეხლა ერთი-ერთმანეთს, მათ სცხელოდათ ხვევნა-კოცნისგან და ტანთსაცმელი ევიწროებოდათ...

კარში ზეცა ჩამობნელებული და დაღვრემილი გამოიყურებოდა. ცივი ბურუსი დედამიწას ეხვეოდა და თეთრ რთვილად ედებოდა ხეებზედ. ფანჯრის წინ არყის ხის ახალგაზდა ტოტები დინჯად ირხეოდნენ ჰაერში და თეთრ თოვლის ფერფლს აყრიდნენ დედამიწას. ზამთრის საღამო ახლოვდებოდა...

(შემდეგი იქნება)

მეფე ლირი

(*)

თუ ტრაგედიის უმთავრესი საგანია დახატვა ძლიერ ვნებათა შებრძოლებისა ბუნებისა და ზნეობის კანონებთან, ჩვენს ტრაგედიაში ეგ საგანი გაერთიანებულია, ე. ი. მაშინ როდესაც სხვა ტრაგედიები გვიხატავენ ცალ-ცალკე ვნებებს, ეს ტრაგედია გვიხატავს **საზოგადოთ ვნებას**, და „ლირს“ ყველაზედ უფრო ეკუთვნის ტრაგედიის სახელი; არ არის მეორე ტრაგედია ასეთის, სულის უსაზღვრო მღელვარებით, ძლიერის გრძნობებით და უძლეველის ვნებებით რომ ცხადათ დავინახოთ ყველაფერი ეს ერთდს შეხედვით, საკმარისია წარმოვიდგინოთ მხოლოდ უმთავრესი მოქმედი პირები ერთის რომელიმე თვისებით შეუძლებელია უფრო ძლიერი და საზიზღარი სურათი, როგორც სურათი გონერილასი, როდესაც თავის ქმრის თვალებს წინ უნდა წაართვას ახლათ დაქვრივებულს დას საყვარელი; ამ მხრივ მას აღემატება მხოლოთ ედმუნდი, რომელსაც მამისა და ძმის განდევნის შემდეგ უნდა მეფობა წაართვას ლირის სიძეებს და ამიტომ ჩუმათ დაუახლოვდება რეგანს დას. არ არის მეორე ისეთი ფიცხი ადამიანი და სასტიკი შურის მაძიებელი, როგორიც არის კორნვალი, როდესაც ფეხით გასრესავს იმ კაცის თვალებს, რომლის სახლში ამას წინათ მიიპოვა თავშესაფარი; ამას შეგვიძლია ამოუყენოთ გვერდში მხოლოთ მისის ცოლის სიბოროტე, რომელიც აქეზებს მას ამ საძაგელ საქმისათვის. წარმოუდგენელია მეორე უფრო ცოცხალი სურათი სამართლიანის რისხვისა და წყრომის, როგორიც არის წინააღმდეგობა, რომელსაც უწევს კენტი ლირს, და კენტის გაბრაზება მსახურის თავ გასულობის გამო; ამას შეგვიძლია შევუდაროთ მხოლოთ კორნვალის მსახურის გამწარება, როდესაც იგი ჰკლავს თავის ბატონს გლოსტერის დაბრმავებისათვის. ვერაფერი ვერ დახატავს ისე ძლიერ მთელის თავბის გაშმაგებას, როგორც ის წუპები, როდესაც ბუნების წინააღმდეგი და ყოველს სამზრეველოს გადასულნი საქმეები აღელვებენ ყვე-

*) იხ. „მოამბის“ მე-12 №-ი 1902 წ.

ლაზედ მშვიდს და წყნარს ადამიანებსაც-კი, როგორიც არის, მაგალითად, კეთილი გროსტერი, რომელიც წყევლით და კრულვით იხსენიებს რეგინას იმისათვის, რომ სახლიდან გააგდო მამა ქარიშხალის დროს, მაშინ, როდესაც „მგლებიც კი გაუღებდენ მას კარს“; ან კეთილშობილი ჰერცოგი ალბანიისა, როდესაც იგი ძალათ შეიკავებს თავს, რომ არ გასრისოს თავისი გონერილა, რომელმაც სასოწირკვეთილებამდის მიიყვანა მამა, ის მამა, რომელსაც „დათვიც კი პატივს სცემდა.“ მაგრამ ყველა ამ სურათს თავს დაჰყურებს სახე მოხუცის ლირისა, რომელმაც მისცა თავისი სახელი ტრაგედიას.

ღრმათ მოხუცებული და ჭკუაზე შერყეული ლირი თვალს გადაავლებს იმ დროს, როდესაც მასში ყველაფერი მეფე იყო, როდესაც მტრები გაურბოდენ მის ხმალს; ამ შეშლილობის დროსაც ბრწყინავს მასში სხივი მეფურის და გმირულის სულისა. დიდებულს სურათს წარმოადგენს იგი, როდესაც დამშვიდებულია: მის სახეზე აღბეჭდილია მეფური სიდიადე. მაგრამ როდესაც მას გააჯავრებენ, მაშინ მისნი ქვეშევრდომნი კანკალებდენ. თუ მისი ხარისხი და მდგომარეობა ვერ იტანდა წინაამდეგობას, მით უმეტეს აუტანელი იყო ეს წინაამდეგობა მისის ტემპერამენტისათვის. ლირი მუდამ ექსცენტრიულია: ქალიშვილები ამბობენ მის შესახებ, რომ იგი ძალიან ნაკლებათ იცნობდა თავის თავსო; ეს, სხვანაირათ რომ ვსთქვათ, იმას ნიშნავს, რომ ლირმა არ იცოდა თავის შეკავება, ყველაფერს გაცხარებულ გულზე აკეთებდა. ამგვარი იყო მისი ბუნება, ამგვარი იყო მისი ჩვეულებაც, რომელიც მოიპოვა ძლიერების და მუდმივის ბედნიერების გავლენით, იმ ბედნიერებისა, რომლის გამო იგი არასოდეს არ ჰფიქრობდა გაჭირვებასა და უბედურებაზე. ფარისევლობა და პირფერობა—აი რა აღზარდა ასეთმა მამამ თავის შვილებში; ეს პირფერობა კიდევ უფრო ხელს უწყობს მის სიფიცხეს და მვძინვარებას. თან დაყოლილი თავმოყვარეობა ყოველთვის ვითარდება და მაგრდება ასეთ ადამიანებში და მახინჯდება ძალ დატანებულს ოჯახურის კერპთაყვანის მცემლობის ზედგავლენით. ჩვენს ტრაგედიაში ამაზე დიდი გავლენა აქვს იმასაც, რომ უმცროსს ქალს გულწრფელათ უყვარს მამა. თუ ეს მიუკარებლობა ოჯახისა და ქვეყნის ბატონის, როშელსაც არ შეეძლო მართლის გაგონება და სიტყვის შებრუნების ატანა—თუ არა ხუმარისაგან, თუ ეს უცილობლობა ბუნებრივი ნაკლულევანება იყო ლირისა, რომელიც თანაც

განვითარდა ცხოვრების ჩვეულებით,—ადვილათ გასაგებია, რომ ეს ბიწიერება უკიდურესობამდის გაძლიერდა მასში შეუპოვარის თვითნებობისა, სისუსტისა და მგრძნობიერობისა გამო, რომელიც სჩვევია მოხუცებულობას.

ამას მიუმატეთ უზომო ვნების ძალა, რომლის გამო ეს ადამიანი არამც თუ უბრალო მონაწილეა, არამეთ მეფეა იმ გმირულ ცხოვრებისა, და მაშინ ადვილათ გაიგებთ ლირის საქციელს პირველ სცენაში, რომელსაც ხშირათ იწუნებდა კრიტიკა. გეტე სთვლიდა ამ სცენას შეუსაბამოთ, ჩემის აზრით-კი იგი იმ გვარათვე ჭეშმარიტია და ბუნებრივი, როგორც სხვა ყველაფერი, რაც რამ დაწერილა შექსპირის ხელით. თუ რომელს ქალს რამდენათ უყვარდა ლირი, ეს უკვე არსებული ფაქტი იყო შექსპირისათვის; მას არ უნდოდა მეტი სინამდვილე მიეცა ამ ფაქტისათვის, როგორც ეს სჩვევია ძველს პიესებს. შექსპირმა თვითონ მაყურებელს და მის წარმოდგენითს ნიჭს მიანდო, ახსნას ეს სამკვიდროს განაწილება მაშინდელის დროის ზნე-ჩვეულების და მეფის მოხუცებულობის და ხასიათის შემწეობით. მოხუცს მეფეს უნდა დასთმოს თავისი ხარისხი და ქონება ქალიშვილების სასარგებლოთ. მისის ხასიათის არსებიდან სჩანს, რომ ასეთი საქციელი არის გამომხატველი მისის თავგანწირულობისა და სიყვარულით აღსავსე ნდობისა. მას უნდა წინდაწინვე იგემოს სიტყვით გამოთქმული მადლობა თავის მსხვერპლისათვის. რადგან მისი სიყვარული ეგოისტიურია, ამიტომ ებადება სურვილი—გაახაროს თავისი თავი შვილების ხხრივ სიყვარულის გამოცხადებით და, როგორც კოლრიჯი ამბობს, რადგან ლირი მიჩვეულია ბრძანებლობას, მისი სურვილი მოთხოვნის ხასიათს მიიღებს. და აი აქ ბრწყინვალე კრებაზე მიიღებს თავის უმცროს ქალისაგან, რომელსაც უწოდებდა თავის სიხარულს და რომლის შვილურ მზრუნველობის იმედი ყველაზედ უფრო ჰქონდა, ამ ქალისაგან მიიღებს პასუხათ ცივს „არარასა“, და შერცხვენილი ასეთის პასუხით საშინლათ გაფიცხდება. აქ ნათლათ გამოაშკარავდება არსება იმ ადამიანისა, რომელიც არასოდეს არ ცდილა შეეკავებინა თავისი გულის თქმა. მთელს

სამეფოს გარდასცემს ორს უფროს ქალიშვილს, რომ ამით ერთხელ და სამუდამოდ, როგორც ეს ნათქვამია ძველს პიესაში, გზა შეიკრას სინანულისაკენ და არ წაიღოს უკან ის, რაც ერთხელ მისცა. განდევნის თავის უერთგულეს მოსამსახურეს—კენტს; გააგდებს თავის შვილს და ნაცვლათ ხანგრძლივის სიყვარულისა უცბათ სიძულვილით აღიჭურვება მის წინააღმდეგ, გულმოსულობის დროსაც შორს გამქვრეტელი, ადვილად მოიშორებს თავიდან ბურგუნდიის მთავარს და ცდილობს ხელი ალებინოს კორდელიაზე საფრანგეთის უანგარო მეფესაც, მაგრამ ამას ვერ მოახერხებს და მიათხოვებს ამ მეფეს თავის ქალს, მზითევათ წყევა კრულვას გააყოლებს და ბოლოს თავის თავსაც შეაჩვენებს: „საფლავისა ქვა ნეტა ისე გამიმსუბუქდეს, როგორც ადვილათ გულითჩემით შენ გარგანინე“. ის შინაგანი ქარიშხალი, რომელიც მძვინვარებდა მის გულში მაშინ, თვითონ დაახასიათა საუკეთოვრ შემდეგ: „კორდელიის მცირე დანაშაულმა ძირიანათ შეარყია ყველაფერი ჩემში; მან ამოგლეჯა ჩემის გულიდან მთელი სიყვარული და აღავსო იგი ნაღველით“. არ შეიძლებაც არ დავეთანხმოთ ლირის უფროსს ქალიშვილებს, რომ მისი განაჩენი, რომლითაც განდევნის ქალს, ცუდი გვნაჩენრა; მაგრამ ამის გამო ეს სცენა შეუსაბამი რიდია. სიფიცხის თვისება ისაა, რომ უსაბუთოთ იწვევს სულის საშინელს მღელვარებას. ჰოლტს მშვენიერათ ეხმიდა ეს და ამიტომაც დაუპირდაპირა ლირის წუთიერს სიფიცხეს, საშართლიანი და სრულიათ საფუძვლიანი წყრომა პატიოსანის კენტისა, რომელიც საჯაროთ ჰკიცხავს მეფეს უსამართლობისათვის, და როდესაც მეფე სიკვდილს ემუქრება, სასტიკათ აფრთხილებს: „მოჰკალ, მოჰკალ შენი მკურნალი და საზარისა სენსა შენსა მიმეცი საზრდოთ“!

ეს საზიზღარი სენი შეიპყრობს ასევე შოხუცს გმირს: საჯელი ჩადენილ დანაშაულობისაგვის კვალ და კვალ მიზდევს მას და სჯის მრავალის შეცთომისათვის, რომელნიც სამკვიდროს გაყოფის დროს მხოლოთ უფრო განვითარდა. რა-კი ფარი განაცხადა ბატონობაზე, დიდის ხნის განმავლობაში

დაჯაბნებული უფროსი ქალიშვილები უპატივცემულოთ ეპყრობიან ეხლა და მათი ფარისევლობა და მატყუარობა უცებ შეიცვლება უმადურობით. წინათ ისინი ეალერსებოდენ მამას, როგორც ძაღლები, ეთანხმებოდენ ყოველს მხეს სიტყვას, ძლიერ გვიან გაიგო, რომ ეს თავიდანვე „ცუდ თეოლოგია“ იყო. მოიჭმუხნებიან სახეები, რომლებიც წინად მეგობრულად გამოიყურებოდნენ; ეხლა უნდათ წაართვან ლირს უკანასკნელი ლირსება და ქონება მას შემდეგ, რაც ყველაფერი დაუთმო მათ; ეხლა ჭოურიდებლად აუვედრიან მოხუცებულობას და გონების სიჩლუნგეს; უსინდისო და უსირცხვილო დები ცემასაც კი უპირებენ მამას. პირველი შეხედვიდ კაცს ეგონება, რომ ორივე და ერთნაირად არის დახატული; მათ შორის არ არის არავითარი დამახასიათებელი განსხვავება (ორივე ერთნაირი მაჟალოები არიან, ამბობს ხუმარა); მაგრამ როდესაც ახლო დაუკვირდებით, მეტად გაგაკვირებსთ ის ღრმა განსხვავება, რომელიც არსებობს მათ შორის. უფროსი გონერილა, მგლის სახისაა, მოჭმუხნულის წარბებით. საშინელის სულის მდგომარეობას გვიხატავს, მამაკაცის მსგავსი ქალია და დამოუკიდებელი; რეგანა კი უფრო ქალური ხასიათისაა: უფრო პასივური ადამიანია, დამოკიდებულია გონერილასაგან, რომელიც მას აქეზებს. გონერილას ხასიათის უზომო ალვირაშვებულობა, რომელიც ჰქმნის მას საშინელ საუკუნის ნამდვილ შვილად, გამოიხატება საზიზღარ საქმეებში, რომელთაც თვითონვე მოიფიქრებს, მაშინ როდესაც რეგანას სიბოროტე სჩანს მხოლოთ იმაში, რომ გადამეტებულ სასტიკობს უღვიძებს სხვებს, როგორც მაგალითად, მაშინ, როდესაც ბორკილს გაუყრიან კენტს და აბრმავებენ გლოსტერს. უარესი მათ შორის — გათხოვილია კეთილშობილ ადამიანზე (მთავარი ალბანიისა), რომელსაც ცოლი გინებით ეძახის ზნეობრივ სულელს, რომლის სიწყნარე და სიმშვიდე მის ცოლს ეჩვენე ა ნამეტან სისუსტეთ; მხოლოთ შემდეგ აკვირვებს ცოლს ქმრის წყნარი სიძლიერე და სიმამაცე. უკეთესს მათგანს ქმრად ჰყავს მთავარი კორნვალიისა — უარესი ორ ქმარს შორის, ავი გუ-

ლის ადამიანი, რომელსაც არ ძალუძს აიტანოს არც წინააღმ-
დეგობა, არც სიტყვის შებრუნება. თავში გონერილა ბატო-
ნია ქმრის, რომელიც აღიარებს მის შორს-მჭვრეტელობას და
ერიდება მასთან შეტაკებას, მაგრამ შემდეგ კარგათ შეიგნებს
მის ბუნებას. გონერილა აკეთებს საქმეებს თავისათვის, ყურად-
ღებას არ აქცევს ქმარს, ძლივსღა ხდის პასუხის გაცემას ღირ-
სათ; რეგანა კი შედარებით კორნვალიის მთავართან, რომ-
ელიც ძალმომრეობას მოშორეა, ნაკლებათ ლაპარაკობს და
ყოველთვის მოწყენილათ იყურება, დამოკიდებული და გამ-
გონი არსებაა. ყოველთვის საქმის დამწყები გონერილაა. გო-
ნერილა პირველი ეპყრობა ცუდათ ლირს, დაითხოვს მის
ნახევარს ამალას, რეგანა კი დარცხვენით ერიდება თავის
მამას. მაგრამ კიდევ უფრო ეშინია თავის დის, ვიდრე რცხვე-
ნია მამის: უფრო ადვილათ მიაყენებს შეურაცხყოფას მამის
მიერ გამოგზავნილ კაცს, ვიდრე დის მოსამსახურეს. გო-
ნერილამ იცის დის სისუსტე; საკმარისათ არა სთვლის მარტო
წერილის გაგზავნას: თავათ მოდის მასთან პირადათ, რომ და-
აჯეროს და ერთნაირი ზომები მიიღონ ორივემ მამის წინააღმ-
დეგ. რეგანას არ შეუძლია წარმოსთქვას ისეთი ანჩხლი და
მოუფიქრებელი სიტყვები, როგორც გონერილას; მას არა
აქვს ისეთი ეკლიანი თვალები, როგორც გონერილას; მისი
შეხედულობა უფრო სანუგეშოა; მთელი მისი არსება უფრო
წყნარია და კეთილი და ლირს არა სჯერა, რომ კარგად შეეძ-
ლოს მისი გაგება; ამიტომ გასამართლების დროს (სიგიჟეში)
თხოულობს, „შუა გასჭერით რეგანა და ნახეთ, გულზე
რა აკრავსო“. გულუბრყვილოთ ეუბნება მამას უფრო სამ-
წუხარო ამბებს, ვიდრე გონერილა, მაგრამ მამა ვერ ბედავს
ისეთის წყევლით შეაჩვენოს იგი, როგორითაც შეაჩვენა გო
ნერილა. მხოლოთ მაშინ, როდესაც გონერილა რეგანასთან
გამოიჩენს საზიზღარ უსირცხვილობას და ბარბაროსობას მამი-
სადმი, რეგანაც მოურიდებელი შეიქნება და დაითხოვს მამის
ამალას: თანახმაა მარტო მამა დაიტოვოს. მაგრამ რადგან გონე-
რილას უნდა რომ მოხუცმა იგემოს თავის თვითნებობის დ

სისულელის ნაყოფი და გლოსტერს ჩააგონებს, რომ ლირი არ დააკავოს სახლში, თუმცა გარეთ საშინელი ქარიშხალია, სუსტი რეგანაც დას მიემხრობა. როდესაც ეს ექიდნები თავიდან მოიშორებენ მამას, მათ ოჯახებს შორის ჩუმი უთანხმოება ჩამოვარდება. გონერილა ამზადებს უფრო ღრმა ნაღმებს, უნდა მთელი სამეფო ჩაიგდოს ხელში; ქმარის სიცოცხლეშივე დაინიშნება ჩუმათ ედმუნდზე, სიხარულით მიეგებება კორნვალიის მთავრის სიკვდილს, მოსწამლავს რეგანას; შემდეგ განიზრახავს თავის ქმრის მოკვლასაც, რომლის ეშინია, რადგან ქმარმა გაიგო ცოლის ბოროტი საქმეები. რეგანა გონერილასთან შედარებით ყველაფერში უფრო წყნარი და თავ დაჭერილია: მხოლოდ კორნვალიის მთავრის სიკვდილის შემდეგ დაუახლოვდება ედმუნდს; ენდობა და ედმონდის წერილს გადასცემს გონერილას საეჭვო მსახურს; კვდება გონორილას მიერ მოტანილ საწამლავისაგან, სრულიათ უდანაშაულთ თავის დის ბოროტ საქმეებში; საზოგადოთ რეგანა გონებითაც თავის დაზე დაბლა სდგას. პიესის ცენტრს შეადგენს ის გარემოება, თუ როგორ ვითარდება ლირის ხასიათი ქალიშვილების დევნისა და შევიწროვების ზედგავლენით. მთელი ენებით აღსავსე ბუნება ამ ადამიანისა, რომელიც დიდებულათ სდგას ჩვენს წინ, როგორც ნამდვილი წარმომადგენელი თავის დროისა, გამოიხატება აქ თავის სიდიადით და ძლიერებით. სურათი ისეთის მჭრელი ფერადებით არის დახატული, რომ არც კი მოითხოვს განმარტებას; ამიტომ ჩვენ გვინდა მივაქციოთ ყურადღება მხოლოთ იმ უმთავრეს თვისებებს, რომელშიაც იხატება ჩვენის ტრაგიკულის გმირის თავდაუჭერლობა, უსაზღვრობა მისის პასსივურ და დაუმშვიდებლობა მის აქტიურ ვნებათა. როდესაც ლირი პირველათ ხედავს მოურიდებლობას ქალიშვილების მხრივ, არ უნდა დაინახოს სინამდვილე და ყველაფერს თავის ეჭვიანობას აწერს; მხოლოდ მაშინ ჰგრძნობს შეურაცხყოფას, როდესაც მსახურებიც კი მიაქცევენ ყურადღებას. როცა გონერილას კუდი—ოსვალდი პირდაპირ აგრძნობინებს ამ შეურაცხყოფას, ლირი გამოდის მოთმინებიდან და იმდენათ ივიწყებს

თავის ღირსებას, რომ სცემს ულირსს მსახურს. ზაფიცხებას ყოველთვის დაწყნარება და სიმშვიდე მოსდევს მოხუცი გაჩუმდება და დაფიქრიანდება; უკვე შეიგნოთ, რომ სისულელე ჩაიდინა, როდესაც ყველაფერი ქალაშვილებს გადასცა; სტანჯავს სინანული, რომ კორდელია განდევნა; მწუხარებით მოიგონებს ქალიშვილს, რომელთანაც მოიპოვებდა მშვიდს და უშიშარ ცხოვრებას. ხუმარა სწუხს კორდელიის განდევნის გამო და ყველაზე უფრო ეს სტანჯავს ლირის სინიდისს. სულელის ხუმრობა, რომ სიგიჟეა ყველაფერი სხვას გადასცე, მწარე ფიქრებს უფრო მოგვრის, ვიდრე გაართობს ლირს. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასეთი დაფიქრებული სულის მდგომარეობა: ქალიშვილების უმადურობამ მთლათ მოსპო ლირის არსებობა. მას შემდეგ, რაც სამარცხვინოთ დასაჯა ლირმა გონერილას მსახური, გონერილა ნიღაბს მოიხდის და წარმოუსდგება მამას ნამდვილის სახით. ერთი წუთი — და მთელი მისი ფიზიკური და ზნეობრივი არსება მთლათ შეირყევა. ამ სცენაში, ისე როგორც პირველ სცენაში, როდესაც ლირის მძაფრი და აღვირაშვებულის სიფიცხის ენერგია ჯერ კიდევ მოტეხილი არ არის, აქტიორმა უნდა გამოიჩინოს დიდი სიძლიერე. როდესაც პირველად ლირს არ ესმის თავის ქალის სიტყვები, როდესაც თითქოს არ იცის, ვინ არის თვითონ, როდესაც ასე გაკვირვებით ეკითხება, რა არის შენი სახელი: ყველაფერი ეს წინ და წინვე მოასწავებს ლირის სიგიჟეს, ისე როგორც მყუდროებას ქარიშხალი მოსდევს ხოლმე. ჯერ გონერილას არა ჩაუდენია რა იმის მეტი, რომ ითხოვა ამალის შემცირება, ჯერ კიდევ ალბანიის მთავარი არწმუნებს ლირს, რომ არაფერში არა ვარ დამნაშავეო, არც მესმის თქვენი აღელვების მიზეზიო. ლირი კი საშინლათ სწყევლის უფროსს ქალს სწყევლის იმ გვარათ, რომ ამის მსგავსი წყევლა არ არის არც ედიპსა, არც სხვა რომელიმე ტრაგედიაში; ამ წყევლას იმეორებს შემდეგ რეგანასთან. ამის შემდეგ იგრძნო სირცხვილი იმის გამო, რომ ქალებს უმადურობამ იმდენათ შეარყია მისი სიმამაცე, რომ ტირილი დაიწყო; ამ უმადურობის

მოგონება ესეთნაირათ სტანჯავს, რომ ამას ვერ ივიწყებს სიგიჟის დროსაც. მერე იმის ფიქრი დაბრმავებს, რომ დაინახოს, თუ რაგვარი აღუდგება ერთი და მეორეს, რომ მოიკლას ყოველივე კეთილი თვისება, ძალით წაართვას გონერილას სამკვიდრო, კვლავ წარსდგეს მის წინაშე, როგორც ბატონი და შურის მაძიებელი და, როგორც თვითონ ამბობს შემდეგ, ჩაიდინოს საშინელი და შემაძრწუნებელი საქმეები. ამ უსაზღვრო განზრახვებიდან სჩანს, თუ რამდენი უბედურების მიზეზიც ეს თვისება ადამიანი კიდეც რომ არ დავდვათ მას თავდა-პირველი ბრალი იმისა, რომ ცუდათ ეპყრობიან ქალიშვილები: თუ გონერილაში ცოტაოდენი ადამიანური გრძნობა კიდევ იყო დარჩენილი, მან მოსპო იგიც თავის აჩქარებულის დაწყევლით. გლოსტერის ციხე-დარბაზს რომ უახლოვდება, ხედავს, რომ მისი მსახურისათვის ფეხში ხუნდი გაუყრიათ, და კვლავ გაბრაზდება მეტის ჯავრისაგან. დაეძებს მეორე ქალს, რომელსაც არ უნდა ეჩვენოს მამას; ლირს უნდა, ნახოს ქალიც და მისი ქმარიც. გლოსტერი ამართლებს კორნვალიის მთავარს იმით, რომ ავათ არისო და ფიცხი ხასიათის კაციაო, ეს აღგილი საუცხოოთ ახასიათებს ლირს, რომელიც დარბლსა ჰყრის პირიდან იმდენათ ქალიშვილებს გაუგონრობისა გამო კი ბრა, რამდენათ იმის გამო, რომ მისის მოთხოვნის წინაამდეგ გასამართლებელ საბუთათ ასახელებენ ვისიმე ხასიათის სიფიცხეს. აქ უკიდურეს საზღვრამდის მიაღწევს მისი ფიზიკური ძალა; სულიერი მღელვარება დაწყნარდება, სიფიცხე სუსტდება. კაცს ეგონება, თავის ადუღებულს გულს აწყნარებს გონების შემწეობითო; მაგრამ მალე გამოამჟღავნდება, რომ ლირს მხოლოთ სული უწუხდება ნამეტანის აღელვებისაგან; მისი სიმამაცე მოტეხილია, ძარღვებს აღარა აქვთ სიმაგრე, ლირს ეშინია, მთლად არ გაწყდენო. რომ რეგანასათვის ვერ მოუპოვებია წყევლა-კრულვა, ამის მიზეზი იგივე მოქანცვაა; რისხვა გადაექცევა უბრალო სარკაზმათ; დაეცემა უძლურობამდის, თხოვნასა და ცრემლებამდის. გონერილასთან ჯერ კიდევ შეეძლო ისე ძლიერ გაჯავრება, რომ ხმა მაღალის სამდურავის დროს რცხვე-

ნოდა თავის ცრემლების, ეხლა ღმერთებს კი ეევედრება ამ „კეთილშობლურ წყრომისათვის“ და ცრემლებიც სდის, თუმცა სწყევლის მათ. ჯერ კიდევ გონერილასთან პირველ შეტაკების დროს სთხოვს ღმერთებს თავისდაჭერას, რომელიც, როგორც კარგათ იცის თვითონ, არ მოეპოვება; ეხვეწებოდა მათ, გადამარჩინეთ სიგიჟეს, რომელიც აუცილებელი შედეგი იქნებოდა უზომო გაცხარებისა და მწუხარებისა; ეხლა კიდევ უფრო ჰგრძნობს ასეთის ბოლოს მოახლოვებას! ჩვენ წინ გადაიშლება საკვირველი, საშინელი, მაღალი და დიდებულებით აღსავსე სურათი, როდესაც უშემწეო მოხუცი, გარეთ გაგდებული ქალიშვილებისაგან ღამე, ელვა ქუხილის დროს, უდაბურ მინდორში, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ საკუთარის ნებით გაძევებული ნამეტანის დაჟინებულობისა გამო, დაეხეტება უბინაო, თავშიშველა, მოკლებული ყოველგვარს საღსარს, ოდესღაც მეფე—დღეს გლახა, ბედნიერებიდან გაჭირვებაში ჩავარდნილი, დამონებული უზომო მღელვარებისაგან, რომელსაც ეხლა არც ჰგრძნობს ზნეობრივი შერყევისა გამო. არც ერთ დრამაში არ მოიპოვება მსგავსი რამ, როგორიცაა ეს სცენები, სადაც გაგიჟების წინ ლირი ცრუ-გიჟის ედგარსა და თავის ხუმარასთან არის, რომელიც თუმცა გულ-გატეხილია, მაგრამ მაინც ცდილობს ითამაშოს ხუმარის როლი. ამ სცენებში არ არის არაფერი გადამეტებული, სასტიკი, და ყველგან და ყოველთვის იქონიებენ ისინი ღრმა (მაგრამ არა მტანჯავ) შთაბეჭდილებას, თუ ლირის მხლებელებს სახის გამომეტყველება ექნებათ ნამდვილი, თუ ედგარის სიტყვებს ექნება შესაფერი ინტონაცია, კარგათ იქნება მომზადებული ხუმარას უკანასკნელი სიტყვები, რომლითაც, უეჭველია, ავტორს უნდოდა დაეხატა ერთგულის მსახურის სულის მდგომარეობა. მეფის სიგიჟე იწყება გიჟ ედგართან საშინელ შეხვედრის დროს. პოეტმა არ დაუმონა შერყეული მეფის გონება ერთს რომელიმე idea fixa-ს, რომელიც ეტყობა ედგარს. თავში ისე სჩანს, თითქოს ნამდვილათ ასეთი იყოს შექსპირის განზრახვაო. ვიდრე ლირი ჯერ კიდევ არ გაგიჟებულა მთლათ, სულ მუდამ ქალიშვილების უმადურობაზე ჰფიქ-

რობს, მას სტანჯავს გაჭირვების და სილარიბის ფიქრი, საყვედური საკუთარის თავის წინააღმდეგ იმის გამო, რომ წინათ, როდესაც ბედნიერი იყო, არა ზრუნავდა მშიერთა და შიშველთათვის, რომელთაც, როგორც მას ეხლა ქარიშხალში, არ გააჩნიათ არც სახლი, არც ტანისამოსი. აი სწორეთ ასეთი ფიქრბეის დროს შეიშლება ლირი, რადგან ხედავს ერთს უშემწეო ადამიანთაგანს, ხედავს თვითონ საგანს, შიშველ ადამიანს და რომ მიუახლოვდეს მის სიშიშვლეს, თვითონ იგლეჯს ტანიდან ტანსაცმელს. როგორც სიგიჟემდის, ისე შემდეგ მისი ფანტაზია შეპყრობილია იმის ფიქრით, რომ შური აგოს ქალიშვილებს. წინანდელი დაჟინებულობა, წინანდელი ახირებული მამაცური ხასიათი ეხლაც შერჩება. ხან ოცნებობს გახურებული შუბებით შეიარაღებულ ჯარისკაცთა ლეგიონზე, რომ წარგზავნოს ისინი ქალიშვილების წინაამდეგ; ხან ეჩვენება, რომ ქალიშვილებს ასამართლებს; სულ მშვილდ-ისრები ახსოვს, შუბ-ნაჯახები, მეომრები, პაროლები, გამოწვევა, რეკრუტთა სიები და ტყვეები. აქაც არ უმონებს პოეტი გაგიჟებულ მეფეს მარტო შურის ძიების ფიქრს. მის წყურვილს რომ შესასრულებელი საშუალება ჰქონდეს, მაშინ ამ სურვილის დაკმაყოფილება მის ფიქრებს სხვა საგნებზე გადაიტანდა: საშინლად აგებდა შურს და ამ გვარათ დააკმაყოფილებდა თავის ბუნების უსაზღვრო მოთხოვნილებას. მაგრამ ეხლა ეს მისთვის შეუძლებელია, მისი ვნება მიმართულია შიგნით და ჯავრის მოსაკლავათ იგი იგონებს შურისძიების სხვა და სხვა სურათებს. მხოლოთ აქაც მისი მოუსვენარი ბუნება არ კმაყოფილდება მარტო ამ გვარის სურათებით. შურისძიების სიტკბობა წითელი ძაფივით გატარებულია ყველა მის არეულ-დარეულ სიტყვებში; მაგრამ განზე გადაუხვევს ხან და ხან, მის ცხოვრებაში გამოერევა ფხიზელი მომენტები, უაზრობა და გონიერება ერთმანეთში არეული აქვს: ხან სულ უგრძნობლად ეპყრობა გარშემო არსებულ სინამდვილეს; ხან სრულებით ამახინჯებს; ხან სრულიათ შეუფერებელ სიტყვებს ლაპარაკობს, ხან კი სწორს და ჭკვიანურს აზრებს. ხან და ხან

კაცს ეგონება, რომ პოეტი სარგებლობს ლირის სიგიჟით ისე, როგორც ჰამლეტის მოგონებული სიგიჟით, ესაზოგადოთ სატირული მიზნისათვის, მაგალითათ როდესაც ლირი ლაპარაკობს ძაღლზე, რომელიც თავის დანამდეობას ასრულებს და რომლის ყველასა ეშინია, მასა ეხატება წინ დიადი სურათი მმართველობისა; ან როდესაც ეჩვენებინ, რომ ბიწიერებანი უფლებით აღჭურვილი, სუფის სხვებშიც საკუთარ ბოროტს საქმეებს, ან როდესაც გსჭიცხავს მართლმსაჯულების მოსყიდვას და ეარყოფს ცოდვის არსებობას იმიტომ, რომ მასა (ლირს) აქვს უფლება, ჩააჩუმოს ყოველი მომჩივანი, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოთ ცოცხლათ გვიხატავს ზნეობრივ სულწარკვეთილებას ამ ადამიანისას, რომელიც მოსტეხა მოხუცებულობამ და უბედურებამ, რომელსაც წაართვა ბედმა დიდება და სიძლიერე და რომელმაც ამის ძამა შემცდარი აზრები შეიდგინა ქვეყნიერების შესახებ. ბოლოს პოეტმა გვერდში ამოუყენა ლირი გლოსტერს: გლოსტერის ნაზი არსება წელში მოხრილა მოხუცებულობისა და უბედურობით; ლირის ფიცხი და ქინიანი არსება კი დაიმსხვრა. ლირის ბუნება სიგიჟის დროსაც კიდევ უფრო გაფიცხებულია და ამ ხოლოთ დაქანცვის შემდეგ უბრუნდება ძალმშვიდე და სიმშვიდესაკენ ერთგათ განკურნებაც.

(დასასრული იქნება)

გაიარა კორინთის ყელი, სადაც მის შესაჩერებლად გამოგზავნილი იყო ათინელი სარდალი იფიკრატე და მივიდა თებაში. აქ მის წინააღმდეგ საქმე შეაყენეს, სარდლობის ვადას სამის თვით რათ გადააცილებო: „დამსაჯეთო, უთხრა ეპამინონდამ მსაჯულებს, მაგრამ თქვენ დადგენილებაში მოხსენებული უნდა იყოს, რომ მე სიკვდილით მსჯიან იმიტომ, რომ თებელებს ლევკტრასთან გავამარჯვებინე სპარტანელებზე, რომელთაც წინეთ პირდაპირ შეხედვასაც ვერ უბედავდნენ“. მშვენიერი სიტყვებია, მაგრამ აგეზილაოსის არ იყოს, ეპამინონდამაც დააძინა კონონი.

11. თესალიის საქმეები; მეფე იაზონის განზრახვანი. ამასობაში თებელებს ახალი სამოქმედო ასპარეზი გამოუჩნდათ თესალიაში. ეს ქვეყანა თითქმის სრულებით მოწყვეტილი იყო საბერძნეთს, რომელიც იშვიათად თუ ჩარევია ადგილობრივ საქმეებში. თესალია რამდენიმე პატარა მეფეების ხელში იყო და ხალხის დიდი უმრავლესობა მიწაზე იყო მიკრული. მიუხედავათ თავის კარჩაკეტილობისა, ბერძენთა თემების უკანასკნელი ამბები აქაც შეიქნა საგრძნობელი. ათინის დაცემის შემდეგ სპარტამ ხელთ იგდო თესალიის სამხრეთი ნაწილი; მაგრამ მალე იძულებული შეიქნა ისევ თავი მიენებებინა და და მის მაგიერ აქ გაბატონდა ფერეს ტირანი ლიკოფრონი. მის მემკვიდრეს იაზონს უფრო ვრცელი განზრახვა ჰქონდა: მას უნდოდა მთელ თესალიის გაერთიანება რომ ძლიერ ბერძნულ სახელმწიფოდ გაეხადნა. იაზონს არც აქ უნდოდა გაჩერება: იგი ოცნებობდა სპარსელებთან ომიანობის განახლებას თესალიისა და საბერძნეთის შეერთებულ ჯარების საშუალებით, რაც შემდეგ ასე ბრწყინვალედ შეასრულა ალექსანდრე მაკედონელმა. გონიერმა და საქმიანმა იაზონმა იმდენი მოახერხა, რომ მთელ თესალიის მთავარ სარდლად იცვნეს. დაუღალავმა სარდალმა მალე შეჰკრიბა დაქირავებული ჯარი, რომელიც შესდგებოდა 20,000 ქვეითა ჯარისკაცისაგან და 8000 თესალიელ ცხენოსანისაგან, რომელთაც იმ დროს დიდათ აფა-

სებდნენ. მალე ევბეაშიც მოიკიდა ფეხი იაზონმა. მაგრამ ს

თებამ ჯარი გამოაგზავნა თავის გმირის დასახსნელად, მაგრამ ეს ჯარი დამარცხდა. მაშინ სარდლობა მიიღო ეპამინონდამ, რომელიც უბრალო ჯარის კაცად იყო წინა ლაშქრობის დროს, და მალე თავისი მეგობარი განათავისუფლა. მაგრამ პელოპიდა საბოლოოდ არ გამოთხოვებია ალექსანდრეს. დაბრუნდა თუ არა სუზიდან, სადაც თებასათვის ნაკლებად საქებური ტიტული „სპარსეთის მემკვიდრეობით მეგობრისა“ იშოვა, მისებურის უზრუნველობითა და უანგარიშობით სულ პატარა ჯარით გასწია თავის სასიკვდილო მტრის წინააღმდეგ. მოპირდაპირენი შეხვდნენ ერთმანერთს კინოკეფალესთან და ალექსანდრე დამარცხდა. მაგრამ პელოპიდა პელოპიდა არ იქნებოდა, რომ ამით დაკმაყოფილებულიყო: დაინახა თუ არა ალექსანდრე თვის ჯარით გარშემორტყმული, პირდაპირ მიიჭრა მასთან და ხმალში გამოიწვია. ალექსანდრემ არ მიიღო გამოწვევა; პელოპიდა კი მეფის ამალამ მოჰკლა (364). გმირი დიდის ამბით დაასაფლავეს. დიდხანს არც ალექსანდრეს უცხოვრია: იგი მოჰკლა ცოლმა ძმების დახმარებით.

13. ახალი ბრძოლა პელოპონეზში. სანამ ჩრდილეთით ეს ამბები იყო, პელოპონეზში ისევ ომიანობა დაიწყო. არკადიელები, რომელთაც იგემეს თავისუფლების მაგარი ღვინო, თავბრუ დახვეულები იყვნენ: სპარტანელებზე ზიზღით ლაპარაკობდნენ და ჰფიცავდნენ, რომ ლაკედემონელების მთელ ჯარს ერთ ყლუპზე გადაჰყლაპავდნენ. ასეთ კვეხნას საკადრისი სასჯელი მოჰყვა.

სპარტანელებს ბლომა დაქირავებული კელტები მოუვიდათ (გალიის—ეხლანდელი საფრანგეთი —ძველი მკვიდრი) დიონის სიცილიელისაგან. ეს პირველად იყო, რომ ეხლანდელ ფრანგების წინაპრები საბერძნეთის ნიადაგზე იბრძოდნენ. დიდ ვაჟკაცობასთან ბევრი ცუდი თვისებაც გამოიჩინეს კელტებმა. იმის მომიზეზებით, რომ ვადა გაუვიდათ, კელტებმა სპარტანელების ბანაკი მიატოვეს; ერთ ხეობაში მათ გარს შემოერტყა მტრის ჯარი და იძულებული გახდნენ შველა ეთხოვათ იმათ-

თვის, ვინც ეხლახან მიატოვეს. საშველად მივიდა აგეზილაოსის შვილი არხიდამოსი და ისეთის სიმძლავრით დაეტაკა პელოპონოზლებს, რომ ერთს წუთს გაჰფანტა. კელტებმა დაასრულეს გამარჯვება: 10,000 პელოპონეზელი ბრძოლის ველზე დარჩა; ლაკედემონელებს კი არავითარი ზარალი არ მოსვლიათ. სპარტაში ყველა სტირიდა, მაგრამ ეს სიხარულის ტირილი იყო. ამ ბრძოლას „უცრემლო ბრძოლას“ ეძახდნენ.

ასეთმა დამარცხებამ ვერ გატეხა არკადიელების ახლად შეძენილი სიამაყე: თავიანთ მეზობელ ელიდელებს დაეტაკნენ და ოლიმპიის დღეობის დღესასწაულიდან განდევნეს. ბრძოლა თვით ტაძრის წმინდა ადგილზე მოხდა და საკურთხეველამდეც მივიდა; გამარჯვებულმა არკადიელებმა ტაძრის ფულები იგდეს ხელში. ეს კი საშინელი ღვთის გმობა იყო. მანტინეელებმა უარი სთქვეს თავიანთ წილზე და ბოლოს მოკავშირეთა კრებამაც გადასწყვიტა ხელი არ ახლონ მოპარულ ფულებს. ელიდამ დაიბრუნა თავისი უფლება ოლიმპიაზე და ტეგეოსზე დიდი დღესასწაული გადაიხადეს მშვიდობიანობის ჩამოგდების გამო. ბეოტიელ გარნიზონის უფროსიც და აქვე იყო სცადა დღესასწაულის დროს წარჩინებულ პირების ხელში ჩაგდება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია; სულ უბრალო პირები დარჩა დაჭერილი. არკადიელები დიდათ აღშფოთდნენ და თებას გარნიზონის უფროსის თავი მოსთხოვეს.

14. ეპამინონდა და არკადიელები. ეპამინონდა ამ დროს მთავარ-სარდალი იყო და სახელოვნობის უაღრეს ხარისხამდე მიღწეული. მთელი ეგეის ზღვა შემოიარა ეპამინონდამ და ყველგან კარგად მიიღეს. როცა არკადიელი მოციქულები მივიდნენ მასთან და საჩივარი უთხრეს, მთავარ სარდალმა ცუდათ მიიღო ისინი. „რას ითხოვთ? თქვენ ღალატზე ლაპარაკობთ? მოღალატენი თქვენ თითონა ხართ, რადგან ჯერ ომში ჩაგვითრიეთ და შემდეგ ზავი ჩამოაგდეთ ჩვენდა შეუტყობინებლად. კარგად იცოდეთ, რომ ჩვენ არკადიაში მოვალთ; მაგრამ ბერი-

ძოლებთ მხოლოდ იმათთან ერთად, ვინც ჩვენ მხარეზეა". ასეთმა მიღებამ არკადია მოაშორა თებას. სპარტამ ამითი ასარგებლა და არკადია შეიკავშირა დაპირებით, რომ მის მოკავშირეთა შორის ის იქნება შეერთებულ ჯარების ხელმძღვანელი, ვისიც ტერიტორიაზე ბრძოლა იქნება. ათინელებმაც ირწმუნეს ასეთი დაპირება და შეუერთდნენ თებას წინააღმდეგ შემდგარ კოალიცის.

15. მანტინეას ბრძოლა. ერთხელ კიდევ შემოვიდა ეპამინონდა პელოპონეზში და ტეგეოსამდე მივიდა, სადაც თავისი ბანაკი მოაწყო. აქედან უცბად ერთ მშვენიერ ღამეს სპარტასაკენ გასწია, აგეზილაოსი კი მას მანტინეასთან ელოდებოდა. რომ მოღალატე არა, სპარტა სრულებით მოუმზადებელი დახვდებოდა მტერს. როცა ეპამინონდა ახლო მივიდა ქალაქთან, ყველაფერი მზად იყო ქალაქის დასაცველად: ქუჩები გამაგრებული იყო, ქალები, ბავშვები და მოხუცები სახლის ბანებზე ასულიყვნენ და ჯარის კაცები კი ქუჩებზე იდგნენ. აგეზილაოსი შეუერთდა თავის შვილს, და, მიუხედავათ ღრმა მოხუცებულობისა, ერთხელ კიდევ შეებრძოლა მტერს სამშობლოს წმინდა ნიადაგის დასაცველად. ეპამინონდა ქალაქის შუა მეიდნამდე მივიდა და დაიკავა იგი; მაგრამ როცა გაიგო, რომ მტერს მაშველი ჯარი მოუვიდა, უკან გაბრუნება არჩია; ბანაკში ანთებული ცეცხლი დასტოვა და თვითონ კი ღამე წავიდა და არკადიაში მივიდა. სპარტანელებიც უკან გაყვნენ და ბრძოლა თვით მანტინეას კედლებთან მოხდა. ეპამინონდას ტაკტიკამ ერთხელ კიდევ იჩინა თავი სახელოვნად და გამარჯვება თებელების იყო, მაგრამ ეპამინონდა სასიკვდილოთ დაიჭრა. თებას გმირი მამაცურად მოკვდა, სიკვდილის წინ მან ურჩია თებელებს ზავი ჩამოეგდოთ სპარტასთან. ეპამინონდასთან ერთად გაჰქრა თებას დიდებაც.

16. დიდი საბერძნეთის (სამხრეთი იტალია) არეულ მდგომარეობა. კართაგინელები სიცილიაში. დიდი საბერძნეთი ნამდვილ საბერძნეთზე უფრო არც დაწყნარებული ყოფილა და

არც ბედნიერი. სიცილია თუ ასცდა ათინელების ბატონობას, ეხლა შიში სხვა მხრიდან და სხვა ხალხიდან მოელოდა. კართაგინელები, რომელთაც მცირე მანძილი ჰყოფდა სიცილიიდან, დიდი ხანია სცდილობდნენ ხელში ჩაგდებას და ბერძნების განხეთქილებამ აქაც ისე, როგორც სხვაგან, ხელი შეუწყო ბარბაროსების განზრახვას. ჯერ კუნძულის დასავლეთი ნაწილი იგდეს ხელში და შემდეგ ნელ-ნელა აღმოსავლეთისაკენ წაიწიენ: სელინონტი აიღეს 409 წელს, ჰიმეროსიც ამავე წელს, აგრიგენტი 406-ში; სირაკუზსაც ესევე დღე მოელოდა, მაგრამ იგი იხსნა სარდალმა დიონისმა, რომელმაც ხელში იგდო სირაკუზის მართვა-გამგეობა თავის გამარჯვებათა და დაქირავებულ ჯარების საშუალებით.

17. დიონის უფროსი, სირაკუზის ტირანი (405—368). ჩვეულებრივი პიროვნება არ იყო დიონის სირაკუზელი, რომელსაც ისტორიკოსები საზარელ ვინმედ გვიხატავენ. იგი იყო უბრალო გადამწერლის შვილი და ასეთ ამაღლებისათვის მარტო თავის ნიჭისა და ღირსების მადლობელი იყო. დიონისი ნიჭიერი მხედართ-მთავარი იყო, თან მეტად ცნობის მოყვარე და დიდებულ საქმეთა მოტრფიალე; მის ტირანიის დროს გამოიგონეს კატაპულტა (დიდრონ ქვების მსროლელი მანქანა) და ხუთ სართულიანი სამხედრო ნავი. დიონისის გონებრივი უპირატესობა იქიდანაც სჩანს, რომ დაცინვით უყურებდა თავის დროის სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნეობათ. ისტორიკოსებმა შეგვინახეს რამდენიმე მისი სიტყვა, სადაც მისი ხასიათის სკეპტიკური და დამცინავი მხარე იხატება. დიონისმა გახადა ოქროს მოსასხამი სირაკუზის ოლიმპიელ ძევსს და სამაგიეროდ შალის მოახურა. „ოქროს მოსასხამი ცივია ზამთარში და მეტად მძიმე ზაფხულშიო“. ესკულაპსაც მოაძრო ოქროს წვერი. „ესკულაპის მამას არა აქვს წვერი და შვილს რაღათ უნდა ჰქონდეს?“-ო. ამ იუმორისტიულ სიტყვებს გარდა მისგან დაგვრჩენია უფრო დინჯი და ღირსეულიც. იფეთქა აჯანყებამ; სასახლეს ალყა ჰქონდა შემორტყმული; ახლობლები სთხოვდნენ ტახტზე უარი ეთქვა-

„მეფემ არ უნდა დაანებოს თავი სასახლეს, თუ არ ფეხებით“-ო, ე. ი. მკვდარი. ერთი თვისება კიდევ: როგორც რიშელიესა და ფრიდრიხ მეორეს, დიონისსაც უყვარდა ლექსების წერა და ძალიანაც მოსწონდა თავისი ნაწერები. მკითხველები კი სხვა აზრის იყვნენ, რაც ძალიან გულს სტკენდა მას; ხანდახან სურვილი მოუვლიდა ესარგებლნა თავის მდგომარეობით და ძალით გამოეწვია თავის ლექსების მოწონება. ფილოქსენემ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ერთი მისი პოემის გასწორება და, როგორც ვოლტერი ფრიდრიხ მეორეს ნაწერებზე ამბობდა, „ჭუჭყიან საცვალის გარეცხა“, მთელ თხზულებას ხაზი გადუსვა. „ეხლავ საპატიმროში უკარით თავი“-ო, ბრძანა დიონისმა. მეორე დღეს ტირანმა მოაყვანინა დაპატიმრებული, რომ მეორე პოემა წაეკითხვინებია. „ძევსო მაღალო! ისევ საპატიმროში წამიყვანეთ“-ო, დაიყვირა ფილოქსენემ. შემდეგში ათინელებმა, როცა დიონისი დასჭირდათ, გაუცინებლად პოეზიის ჯილდო მიუსაჯეს და დიონისიც სიხარულით ფეხზე ვერ დგებოდა.

18. დიონისის ბრძოლა კართაგინელებთან. დიონისი მეფობდა 404-იდან 368-ამდე. მთელი ეს დრო სირაკუზს თითქმის განუწყვეტელი ომი ჰქონდა კართაგინელებთან. დიონისმა ორჯელ საშინლად დაამარცხა კართაგინელები და ერიქსის მთამდე მირეკა. აქედან კი ვერ შესძლო თუ არ ინდომა მათი განდევნა. დიონისს ბრალს დებენ, ვითომც განზრახ გაეჭიანურებიოს ეს ომი, რათა იგი ყოველთვის საჭირო ყოფილიყოს სირაკუზისათვის. დიონისი ჩაერია აგრეთვე დიდა საბერძნეთისა და მეტროპოლის (ჰელადის) უთანხმოებაში; სპარტასაც კი გაუგზავნა, როგორც ვიცით, დაქირავებული ჯარი. სიკვდილმა არ დააცალა დიონისს სისრულეში მოეყვანა თავისი ვრცელი განზრახვები.

19. დიონის უმცროსი. უბრძოლველად და უომრად მიიღო დიონის უმცროსმა მამის ტახტი; მაგრამ ისე წაიყვანა თავისი საქმე, როგორც ვინმე მეტიჩარას შვილმა, რომელიც სცდილობს გაფლანგოს მამისაგან შეძენილი ქონება. ერთხანს ვი-

თომ კეთილმოქმედებას სცდილობდა; ფილოსოფოსი პლატონი თან ჰყავდა; მაგრამ მალე თავიდან მოიშორა სიკეთეცა და ფილოსოფოსიც და საბერძნეთის და იტალიის ღვინოების შესწავლაში ისე ჩაეფლა, რომ მთელი თვეები მთვრალი იყო. ყველა ზიზღით უყურებდა ასეთ მართველს. ამით ისარგებლა დიონისის ცოლის ძმამ და სიძეს ტახტი წაართვა. ოთხი წელიწადი შინაური ბრძოლა და განხეთქილება იყო სირაკუზში; დიონი მოჰკლეს და დიონისი ისევ დაბრუნდა. მეორედ და უკანასკნელად წაართვა მას ტახტი ტიმოლეონმა. დიონისმა დიდხანს იცოცხლა კიდევ.

20. ტიმოლეონი. ტიმოლეონმა გაითქვა დიდი სახელი იმითი, რომ კართაგინელები განდევნა სირაკუზიდან; და დროც იყო, რომ უბედურ ქალაქს მშვიდობიანობა ღირსებოდა: ქალაქის ზოგიერთი განაპირა ადგილები, ისე აოხრებული და გაუდაბნოებული იყო, რომ ირემზე და შველზე ნადირობდნენ, რაც ჩვეულებრივი მოვლენა არ არის დიდის ქალაქისათვის. ტიმოლეონმა მიზდია კართაგინელებს კუნძულის დასავლეთ პუნკტამდე და დევნის დროს ათი-ათასი კაცი მოუკლა მათ, მაგრამ სიცილიიდან მაინც ვერ განდევნა (342). მშვიდობიანობასთან კანონებიც აღადგინა ტიმოლეონმა და დემოკრატიული წეს-წყობილება დაამყარა. მაგრამ სირაკუზელები არ იყვნენ ღირსი თავისუფლებისა, რადგან ტიმოლეონის სიკვდილის შემდეგ არ გაუვლია 17 წელიწადს, რომ აგათოკლე ტირანად გახდა (317).

თავი მე-XXV-ე

მაკედონიის ამაღლება—ფილიპეს მეფობა. (360—336) *)

სარჩევი. 1. მაკედონია ფილიპემდე.—2. მაკედონიის სამეფოს შექმნა.—3. ფილიპე II მაკედონელი (360-336).—4. ფილიპეს გამარჯვების მიზეზები.—5. ფილიპეს პირველი საქმეები. ამფიპოლისის დაპყრობა; დაარსება ქ. ფილიპესი.—6. მაკედონიის მეფის განზრახვანი; თესალიის დაპყრობა.—7. ათინის პოლიტიკური და სამხედრო დაცემა.—8. დემოსთენე.—9. დემოსთენეს პირველი სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ.—10. ოლინთის საქმე.—11. მაკედონიის მოძხრე პარტია ათინაში. ორატორი ესხინოსი.—12. ფილიპე ათავებს ფოკიდის წმინდა ომიანობას.—13. ლოდინისა და მოამზადების პოლიტიკა ფილიპეს მხრივ; ათინის მარტო დარჩენა.—14 ომიანობის მომხრე პარტია ათინაშიჯ დემოსთენეს პატრიოტისმი და მოღვაწეობა.—15. ხეროსონესის საქმე; ფილიპეს დამარცხება (340).—16. საბოლოო ბრძოლა ფილიპესთან; ელატეას აღება.—17. ბეოტიის ლაშქრობა; ხეროონეის ბრძოლა (338).—18. ფილიპე გამარჯვების შემდეგ. სპარტას დამცირება.—19. მაკედონიის მეფის მომზადება სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის; მისი სიკვდილი (336).

1. მაკედონია ფილიპემდე. სამმა თემმა—ათინამ, სპარტამ, თებამ—იშოვეს და დაჰკარგეს საბერძნეთის ჰეგემონია. მანტინეის ბრძოლის შემდეგ საბერძნეთის ჰეგემონის (პირველის, გამმძღოლის) ადგილი ცალიერი იყო. იგი დაიკავა მაკედონიის მეფემ ფილიპე მეორემ. ამ დღიდან იწყობა საბერძნეთის პოლიტიკისა და ცივილიზაციის დიდ-მნიშვნელოვანი ხანა.

---

*) ბიბლიოგრაფია: ძველი ავტორები—დემოსთენეს სიტყვები; პლუტარხოსი—დემოსთენეს ბიოგრაფია; დიოდორ სიცილიელის თხზულების მე-XV-ე წიგნი; ეხლანდელი ავტორები—კურციუსის მე-V ტომი, გროტის მე-XVII-ე ტომი, დედევის დიუ დეზერ—„მაკედონიის ძველი გეოგრაფია"; პერროტ—პოლიტიკური და სასამართლო მჭერმეტყველება ათინაში, ჟირარ—მჭერმეტყველება ათინაში.

რა ქვეყანა იყო მაკედონია? ეკუთვნოდა იგი საბერძნეთს თავის ტრადიციებითა და ენით, თუ „ბარბაროსების“ ქვეყანა იყო? ბერძნისთვის რომ გეკითხათ, მაკედონელი ბარბაროსი იყო; მაკედონელი კი წინააღმდეგს ამტკიცებდა. მეტი საბუთიც ჰქონდა. მაკედონელების ენა ეოლიელების კილოკავს ჩამოჰგავდა; მათი ზნე-ჩვეულება პირვანდელ ბერძნების ზნე-ჩვეულება იყო. და თვითონ ბერძნებიც ხომ ჩრდილოეთის მთებიდან იყვნენ მოსული? ასე რომ მაკედონელები ბერძნების ძველი ძმები იყვნენ; მაგრამ დიდის ხნის განმავლობაში ოჯახ გარეთ ცხოვრებდნენ და ველურ მეზობლებიდან, განსაკუთრებით ილირიელებიდან, ბევრი ცუდი ზნე ისწავლეს. ბერძნის შეხედულებით მაკედონელი ველური და მოუხეშავი იყო და ცივილიზაციის ვერ დამფასებელი. „მაკედონელს ისიც კი არ შეუძლია, რომ მონა რიგიანად გაწვრთნას“-ო, ამბობდნენ ათინელები ზიზღით.

2. მაკედონიის სამეფოს შექმნა. ამ ღონიერ და მაგარ მთიულებში ბევრი ენერგია და მომავალისათვის საჭირო თვისებები იყო. მაკედონელი დიდხანს იყო დამწყვდეული თავის ღრმა ხეობებში, მაგრამ მოთმინებისა და სიმტკიცის საშუალებით იგი იქიდან გამოვიდა. მაკედონელის ასეთი დაწინაურება უმთავრესად შედეგი იყო ტემენიდების სამეფო გვარის გონიერ პოლიტიკისა. ამ დინასტიის პირველი მეფე პერდიკას I იყო (700 წ. ქრისტეს დაბადებამდე). როგორც პერდიკას, ისე მის მემკვიდრეებასაც კარგათ ესმოდათ ზღვის მნიშვნელობა მაკედონიისათვის და ამიტომაც სცდილობდნენ ზღვის პირზე ფეხის მომაგრებას. მაკედონიის მეფეების პირველი სატახტო ქალაქი ეგეა ან ედესა (ვოდენა) იყო, ლუდიასის ველის ზემოთ, საიდანაც კარგად სჩანს თესალონიკის უბის ცისფერი ტალღები. შემდეგ, ქსერქსეს დროს, როცა მაკედონიის მეფე ალექსანდრე ორპირ პოლიტიკას ადგა, სატახტო ქალაქი გადაიტანეს პიდნაში, ჰალიაკმონის სამხრეთით, ნაპირის ახლო. აქ მაკედონია შეხვდა ათინელებს, რომელთაც ახალშენების მთელი წყება ჰქონდათ ჩამწკრივებული თესალიიდან ხალკიდიკამდე და თრაკიამდე. სპარტასა და ათინას მეტოქეობის გამო

პელოპონეზის ომიანობის დროს პერდიკა მეორე უზრუნველ-ყოფილი იყო. მისმა მემკვიდრემ არხელაოსმა „ბერძნობა“ და-იწყო: დიონში საკურთხევლები აუგო ჰელინების უძველეს ღმერთს ძევსს და მუზებს, რომელთა პირველი სამშობლო მაკედონია იყო. მის სასახლეში მიწვეული იყვნენ ძევქსისი, აგათონი და ევრიპიდე; ეს კი იყო, რომ ფრიდრიხ II-სა და ვოლტერის არ იყოს, მეფის ქვეშევრდომთ ეარ ესმოდათ და არც აფასებდნენ ასეთ სტუმრების ყოლას. არხელაოსის შემდეგ მაკედონია ერთ ხანს ანარხიამ მოიცვა. მაკედონიის მოუხეშავი თავადაზნაურობა ხარბად ღვრიდა სისხლს სამეფო ტახტის გამო ატეხილ შინაურ ომიანობაში. ტემენიდ ამინტამ ერთ ხანს აღადგინა მაკედონიის ძლიერება, მაგრამ მის სიკვდილის შემდეგ ისევ არეულობა გამეფდა; ორი მისი შვილი მოჰკლეს; მესამემ კი ჩაჰყარა ნამდვილი საძირკველი მაკედონიის დიდებისა. ეს იყო ფილიპე II.

3. ფილიპე II მაკედონელი. აღზრდით ფილიპე ბერძენი იყო. ახალგაზდობისას სამი წელიწადი დაჰყო ფილიპემ თებაში (368—365), სადაც ამ დროს ბევრი ფილოსოფოსი, მეცნიერი და სამხედრო ხელოვნების მცოდნე პირები იყრიდნენ თავს. იგი იცნობდა ეპამინონდას და შეიძლება პლატონსაც. ფილიპე განვითარებულ და ცნობის მოყვარე გონების პატრონი იყო, მაგრამ ბევრი ხეხვა არ იყო საჭირო, რომ დაგენახათ ნამდვილი მაკედონელი, გულის-თქმათა ამყოლი, ფიზიკურ ვარჯიშობის უკიდურესი მოყვარე და ქეიფისა და ღვინის სმის გატაცებული მოტრფიალე. ბარბაროსობა ეტყობოდა კიდევ ფილიპეს ცბიერობაში და მატყუარობაში, რაც პირვანდელ ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა.

4. ფილიპეს გამარჯვების მიზეზი. ფილიპეს გამარჯვების მიზეზი სხვა და სხვა იყო: დაუსრულებელი განხეთქილება ბერძნულ თემებ შორის, მათი სამხედრო ძალის შესუსტება, მაკედონელების საღი ენერგია და ძალღონე და ყველაზე უფრო კი თვითონ ფილიპეს საქმიანობა, გაუტეხელი ხასიათი და ნამდვილი ცოდნა იმისი, თუ რა შეეძლო ან რის მოვალე

იყო. უმთავრესი იარაღი ფილიპესი მაკედონური ფალანგა იყო, რომელიც მან შესცვალა და ახალ წესზე მოაწყო. ფალანგა ბერძნულ სამხედრო ხელოვნების უუსრულესი გამომხატველია; მან დაიპყრო ქვეყნიერობის ერთი ნაწილი და მხოლოდ რომაელების ლეგიონის წინ მოიხარა ქედი. ფალანგა საშინელი საომარი მანქანა იყო და ამიტომ ადვილი გასაგებია, თუ რათ ამოიხვნეშა პავლე ემილიუსმა პიდნაში, როცა დაინახა ეს უზარმაზარი წყობა გრძელ-შუბიან ჯარისკაცებისა. მაგრამ თუ ფალანგა კარგი იყო საშინელ იერიშის მიტანისა და მიღებისათვის, სამაგიეროდ მას აკლდა სიმსუბუქე და მოძრაობა, განსაკუთრებით უსწორო ნიადაგზე. ეს იყო უმთავრესი მიზეზი ფალანგის დამარცხებისა შემდეგ დროებში.

5. ფილიპეს პირველი საქმეები. ამფიპოლისის დაპყრობა; დაარსება ქ. ფილიპესი. ფილიპეს ჰყავდა გაწვრთნილი და მოწყობილი ჯარი და საქმესაც მალე შეუდგა. ჯერ, ხმელეთის მხრივ, ილირიელები ჩადენა მათ საზღვარში. ზღვისაკენ კი მას სამი მტერი ჰყავდა: ათინა და საზღვაო ლიგა თერმაიკის უბეში, ოლინთი ხალკიდიკაში და ამფიპოლისი მდ. სტრიმონზე. ეს სამი ქალაქი იყო, რომ ფილიპეს ზღვისაკენ არ უშვებდნენ.

ათინელების ახალშენ ამფიპოლისს დავიწყებული ჰყავდა თავისი დედა-ქალაქი; მაგრამ გაჭირვების დროს, როცა დაინახა, რომ ფილიპე მაკედონელი ემუქრება, ახალშენლებმა დახმარება სთხოვეს ათინას. ათინამ ყურიც არ გაიბერტყა: მაკედონიის მეფე ჭკუას ასწავლის ამფიპოლისს და მერე ისევ ჩვენ დაგვიბრუნებსო, ჰფიქრობდნენ ათინელები. რა საფიქრებელი იყო ფილიპეს ასეთი გულუბრყვილობა! მან აიღო ამფიპოლისი და თავისთვის დაიტოვა (357). ეს პირველი გამარჯვება იყო. ამფიპოლისი გზას უხსნიდა მას პანგეის მთის ოქროს მადნებისაკენ; ეს ოქროს მადნებიც ხელში იგდო და ააგო აქ პატარა სიმაგრე, რომელსაც ფილიპე დაარქვა. ფილიპე მადნების ექსპლოატაციის ცენტრო იყო. ამ გვარად ფილიპეს ჰყავდა ჯარიც და ფულიც ჰქონდა (1000 ტალანტი) ჯარის გასასტუმრებლად და ფლოტის შესაქმნელად. ათინა მოტყვილდა და

ბევრიც დაჰკარგა. გარდა ამფიპოლისისა და ოქროს მადნებისა, მან დაჰკარგა კიდევ თერმაიკის უბის ნაპირზე მეტონა, რომელიც სრულებით დაანგრიეს. მთელი ნაპირი, გარდა ხალკიდიკისა, ფილიპე მაკედონელის ხელში იყო.

6. მაკედონიის მეფის განზრახვანი. თესალიის დაბეჭრება. რაც აქამდე გააკეთა ფილიპემ, ეს მხოლოდ მომზადება იყო უფრო ვრცელ განზრახვების აღსასრულებლად. მისი სურვილი იყო გამხდარიყო მთელ ჰელადის ხელმძღვანელი და შეუდგა კიდეც მიზნის მიღწევას. მაგრამ მას არ უნდოდა გამოცხადებულიყო როგორც დამპყრობელი, მზგავსად დარიოსისა და ქსერქსესისა: დამოუკიდებლობის დასაცველად შეერთებული საბერძნეთი საშიში იქნებოდა მაკედონიისათვის. უფრო სასარგებლო და ხელსაყრელი იყო ბერძნულ თემების განხეთქილებით სარგებლობა და მათ საქმეებში გარევა. ფილიპეც ამ გზას დაადგა.

ნამდვილ საბერძნეთამდე მისვლისათვის მაკედონიის მეფე საჭიროებდა თესალიას. პირველად საქმე ვერ წავიდა კარგად. შემდეგ კი ყველაფერი ფილიპეს სურვილისამებრ დატრიალდა. დაამარცხა ფოკიდელები, რომელთაც მისი შეჩერება სცადეს, და დაიპყრა თესალიის უმთავრესი ადგილები—პაგაზიდ, ნახევარი კუნძული მაგნეზია, მაგრამ თერმოპილის კარს ჯერ არ გასცლიდა. სხვა საზრუნავი საგანი გამოუჩნდა. ხალკიდიკის ქალაქები შეიძრნენ, რადგან დაინახეს, თუ რას მოასწავებდა მათთვის მაკედონიის გაძლიერება. ქ. ოლინთმა, რომელიც სხვაზე ძლიერი იყო და რომელსაც მეტი შიში მოელოდა, მოციქულები გაგზავნა ათინაში მაკედონიის წინააღმდეგ კავშირის შესაკვრელად.

7. ათინის პოლიტიკური და სამხედრო დაცემა. ფილიმაკედონელის მოძრაობის შეჩერება ხალკიდიკის მხრივებულიზე უფრო სასურველი ათინისათვის იყო. მაგრამ ბრძენ და მელიც იყო და დარჩა მთელ ძველ ისტორიის განმავლობაში არ იყოს რძნულ ცივილიზაციის სატახტო ქალაქად, პოზიერობა ნამდვილებით გამოიცვალა. ათინელ ბურჟუზიას აამაღლა ხმა, რომე-

ტი არაფერი უნდოდა და შიშით უყურებდა ყოველგვარ ომიანობას. ათინაში იყო ბეოტიელების პარტია და სპარტას მომხრეები, მაგრამ არ იყო ისეთი პარტია, რომელიც ათინის დიდებაზე და დამოუკიდებლობაზე ზრუნავდა. საზღვაო ლიგა, რომელიც დროებით გაძლიერდა ხაბრიასის, ტიმოთესა და იფიკრატეს წყალობით, ეხლა სპარსეთის მეფისა და მცირე აზიის სატრპების გავლენის ქვეშ იყო. ამ გვარად ათინა არც ზღვაზე იყო ძლიერი და არც ნიჭიერი სარდლები ჰყავდა და ეს იმ დროს, როცა ჩრდილოეთით საშიშმა ძალამ წამოჰყო თავი. იყო ერთი კაცი, რომელიც ოცნებობდა ათინისათვის ფილიპეს წინააღმდეგობას, სამშობლოს აღდგენასა და საბერძნეთის მეთაურად გახდომას. ეს კაცი დემოსთენე იყო.

8. დემოსთენე. დემოსთენე დაიბადა დაახლოებით 383 წელს; მამა მისი იყო მდიდარი მექარხნე. დედა სკითელი ქალი. დემოსთენე დაობლდა შვიდი წლისა და იზრდებოდა მზრუნველების ზედამხედველობის ქვეშ. მაგრამ ეს მზრუნველები უფრო დემოსთენეს ქონების მითვისებაზე ჰფიქრობდნენ. როცა ობოლი წამოიზარდა და თავის მზრუნველების არა კეთილსინიდისიერობა დაინახა, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და გადასწყვიტა ნიღაბი ჩამოეხადა მატყუარა და ფლიდ კეთილისმყოფელთათვის. ამ მიზნისათვის იგი შეუდგა მჭერმეტყველების შესწავლას. მისი მასწავლებელი იყო ს ხელოვანი იურისტი ისეოსი. შესანიშნავ მასწავლებლის გაკვეთილებს ფუჭად არ ჩაუვლია. დემოსთენე ოცი წლისა იყო, როცა სამართალში გამოიწვია თავისი მზრუნველები და შეჭმული ქონება პირიდან წამოანთხევინა. ეს დემოსთენეს პირველი საქმე იყო. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი აკლდა, რომ ნამდვილი ორატორი ყოფილიყო. უხერხული და გაუბედველი მანერები, ხალხის ხმაურობის შიში, შეუფერებელი ხმა და ცოტათი ენა ბლუც, აი ამდენი ნაკლი უნდა მოეშორებინა თავიდან ახალგაზდა ორატორს. დემოსთენემ განსაცვიფრებელი ენერგია და ნების ძალა გამოიჩინა ორატორის ტრიბუნაზე ასვლის უფლების შესაძენად. მაგრამ

არც ეს ენერგია და ნების ძალა იქნებოდა საკმარისი დემოსთენესათვის, რომ იგი მხურვალე და გულწრფელი მამულიშვილი არ ყოფილიყო—ხედავდა ათინის დამცირებას და სამშობლოს თავდადებული სამსახური ჰქონდა გადაწყვეტილი. დემოსთენე დიდებული ორატორი გამოვიდა. იმ დროს, როცა ბრწყინავდნენ ისეთი შესანიშნავი ორატორები, როგორიც იყვნენ ლიკურგოსი, ჰიპერიდე და განსაკუთრებით ესხინოსი, დემოსთენე ყველასაგან, მეტოქეთაგანაც კი, პირველ ორატორად იქმნა ცნობილი.

9. **დემოსთენეს პირველი სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ.** თავის მოღვაწეობის დაწყებისათანავე დემოსთენე მიმხვდარი იყო, რომ მაკედონიის მეფე ათინის საშიში მტერია; იგი ხედავდა, რომ ფილიპე ნელ-ნელა მოდიოდა, უფრო მოძვრებოდა საბერძნეთისაკენ შეუჩერებლად. ამიტომაც, როცა ათინაში აღიძრა კითხვა სპარსეთის წინააღმდეგ ახალ ომიანობის დაწყების შესახებ, დემოსთენემ ამ ომის დაწყების წინააღმდეგ ილაპარაკა, რადგან ხედავდა, რომ ფილიპე სანთლით ეძებდა ისეთ შემთხვევას, რომ საბერძნეთის მეთაურად გამხდარიყო. ეს იყო პირველ მისი „ფილიპიკა", თუმცა ის სიტყვა, რომელსაც ეს სახელი უწოდეს, უფრო გვიან (351) წარმოსთქვა დემოსთენემ.

დემოსთენემ იცოდა, თუ რა საშიშ საქმეს ჰკიდებდა ხელს. იგი პირდაპირ ეხებოდა ისეთ კითხვას, რომელსაც მთელი ექვსი წელიწადი უფრთხოდნენ; მისი წინააღმდეგი იყვნენ ათინის მართველები, მათ შორის ევბულოსი, რომელიც მზად იყო ყველაფერი გაეწირა მშვიდობიანობისათვის, მხდალები და შეშინებულები, „ხვალე-ხვალ"-ეს მოტრფიალენი, ფილიპეს მეგობრები, მოყიდული ორატორები, როგორც მაგალითად ესხინოსი, მოღალატენი, შურიანები და დამწუხრებული პატრიოტები, მაგალითად ფოკიონი, რომელნიც ბრძენ და გონიერ პატრიოტისმზე ლაპარაკობდნენ, თითქოს არ იყოს ისეთი შემთხვევები, როცა ბრძენობა და გონიერობა ნამდვილი დანაშაულობაა. დემოსთენემ მაინც აამაღლა ხმა, რომე-

ლიც ათინელების ყურს ისე მოხვდა, როგორც საომარი ნა-ლარა. „ათინელებო, როდის გააკეთებთ, რაც უნდა გააკეთოთ“? სთქვა დემოსთენემ თავის პირველ ფილიპიკაში; „როდის დაანებებთ თავს მოედანზე სეირნობას და ერთმანეთის ჰკითხვას—ახალი ამბავი რა იციოთ? განა იმაზე ახალი საქმე შეიძლება, რომ მაკედონელს ათინაზე გაემარჯვოს და მთელ საბერძნეთში გაბატონებულიყოს? „ფილიპე მოკვდა?“—„არა, ავად არის“. მკვდარია თუ ავად არის თქვენ რა? თუ ფილიპე გაჰქრება, თქვენი დაუდეგრობა მეორეს შექმნის; თუ ფილიპე ეხლა ძლიერია უფრო თქვენის უსაქმურობით“. ორატორის სიტყვას მაშინვე არ მოუტანია თვისი ნაყოფი. ათინელებს ისე არ უნდოდათ ბრძოლა, რომ ერთ დამარცხების შემდეგ ევბეაზე შემდეგი სამარცხვინო დადგენილება მოახდინეს: ვინც მოითხოვს, რომ დღესასწაულების ფული სამხედრო საჭიროებას მოხმარდეს, სიკვდილით იქნება დასჯილი (350).

10. ოლინთის საქმე. მაგრამ ბოლოს ხომ მაინც უნდა დაენახათ, რაც ხდებოდა. ოლინთმა (ხალკიდიკაში), რომელსაც პირდაპირ ემუქრებოდა ფილიპე, დახმარება სთხოვა ათინას; ოლინთთან ერთად მთელი ნახევარი კუნძული მაკედონიის მეფის შეიქნებოდა. დემოსთენემ სამი სიტყვა წარმოსთქვა ზედიზედ, რომ ათინელებისათვის შეეგონებინა ოლინთის დახმარება. მიაღწია კიდეც მიზანს; მაგრამ საქმეს სიზანტიდან უგულოდ შეუდგნენ; მოქალაქეთ არ სურდათ ჯარში სამსახური, დაქირავებული ჯარი კი საიმედო არ იყო, ოლინთი მალე აიღო ფილიპემ მოღალატის საშუალებით. სახლები სულ გადასწვეს, მცხოვრებნი კი დაჰყიდეს მონებად (347).

11. მაკედონიის მომხრე პარტია ათინაში. ორატორი ესხინოსი. ოლინთის აღებამ ააღელვა ათინელები, მაგრამ სერიოზული ბრძოლა მაინც ვერ დააწყებინა. პირიქით, მშვიდობიანობის მომხრე პარტიამ მეტი თანაგრძნობა მოიპოვა და ამ პარტიის ორატორმა ესხინოსმა იმდენი მოახერხა, რომ ათინელებმა მოლაპარაკება გამართეს ფილიპესთან. ესხინოსი სკოლის მასწავლებლის შვილი იყო; ერთხანს იგი გადამწერლად იყო, შემდეგ

აკტიორობდა, მაგრამ მოქნილ ენისა და გონების საშუალებით იგი მალე ხალხის საყვარელი ორატორი გახდა. ჯერ ესხინოსი ფილიპეს შეურიგებელი მტერი იყო და ომის გამოცხადებას თხოულობდა. მაგრამ ერთბაშად გამოიცვალა აზრი და მიმართულება, უეჭველად ფილიპეს ოქროების ზედგავლენის ქვეშ. დემოსთენესთან ერთად ესხინოსიც იყო გაგზავნილი მაკედონიის მეფესთან და როცა იქიდან დაბრუნდა, სულ ფილიპე მაკედონელის წყნარ ხასიათისა და გულკეთილობის ქებაში იყო. ესხინოსის მჭერმეტყველებას მშვიდობიანობის პარტიის მოთავემ ევბულოსმა ის არგუმენტი დაუმატა, რომ ორში ერთი უნდა იქნეს არჩეულიო—ან ზავი და მშვიდობიანი ცხოვრება ანა და სამხედრო ბეგარა და ომიანობის ათასგვარი სიძნელენიო. უმრავლესობამ ზავი ირჩია; ამის შემდეგ ფილიპეს, რასაკვირველია, შეეძლო თერმოპილის კარის გავლაზე ფიქრი.

12. **ფილიპე ათავებს ფოკიდის წმინდა ომიანობას.** მალე მიზეზიც იშოვა თავის განზრახვის ასრულებისათვის. რამდენიმე წლის წინად ფოკიდელებმა ჰგმეს ღმერთი და დელფის ტაძარი გაძარცვეს. ამფიკტიონიამ ომით დასჯა გადუწყვიტა ფოკიდელებს და ამ გადაწყვეტილების ასრულება თებელებს მიანდო. მაგრამ რადგან ვერა გააწყვეს რა, თებელებმა ფილიპე-მაკედონელს სთხოვეს დახმარება. მაკედონიის მეფე სიხარულით დასთანხმდა და სულ მოკლე ხანში გაათავა საქმე. მაგრამ მაკედონიის მეფემ სამაგიეროდ შრომის ჯილდო მოითხოვა: საამფიკტიონიო რჩევაში ცვლილება მოახდინეს—ორი ხმა, რომელიც ფოკიდელებს ჰქონდათ, მაკედონიის მეფეს მისცეს; ამ გვარად ფილიპე გახდა საბერძნეთის მთავარი და თერმოპილის კარიც ხელში ჰქონდა. ათინელები სიბრაზით პირიდან ცეცხლსა ჰყრიდნენ. „მაგრამ რა უნდა ჰქნათ“-ო, უთხრა მათ დემოსთენემ. „ამფიპოლისი და სხვა ქალაქები მსხვერპლად შესწირეთ მშვიდობიანობას და ეხლა რაღაც უბრალო უპირატესობისათვის, დელფის აჩრდილისათვის, დაიწყებთ ომიანობას?“ ათინელებმა იგრძნეს დემოსთენეს სიტყვების სიმართლე და გაჩუმდნენ.

13. ლოდინისა და მომზადების პოლიტიკა ფილიპეს მხრივ; ათინის მარტო დარჩენა. შემდეგი წლები ფილიპე სცდილობდა თავის მდგომარეობის განმტკიცებას და აჩვევდა ბერძნებს იმ აზრს, რომ მაკედონია საბერძნეთის ერთი ნაწილი იყო. თესალია, რომელიც შეიძლება, საშიში გამხდარიყო მაკედონიისათვის, უფრო მჭიდროდ შეუკავშირა მეფემ თავის სამკვიდროს. პელოპონეზში ელიდის არისტოკრატიამ ფილიპეს მფარველობა მიიღო; მესენია, მეგალოპოლისი და არგოსიც მაკედონიის მეფის მზრუნველობის ქვეშ შემოვიდნენ; ეგეის ზღვის კუნძულებსა და ევბეასაც ნებსით თუ უნებლიეთ ესევე ბედნიერება ხვდა წილად. თან და თან, ფილიპეს ინტრიგებისა და ხერხიანობის მიზეზით, ათინა სრულებით მარტო დარჩა და მშვიდობიანობის მომხრე პარტიაც ეხლა ადვილად ამტკიცებდა ომის გამოცხადების შეუძლებლობას: ვის შეუძლია ასე გაძლიერებულ მტრის შეჩერებაო? ზოგი მოყიდული იყო, როგორც მაგალითად ესხინოსი, დემადე, ჰეგემონი და ფილოკრატე და ეს მთელმა ათინამ იცოდა; ზოგი გულწრფელად იყვნენ მშვიდობიანობის მომხრე და ამიტომ უფრო საშიშიც, მაგალითად ევბულოსი, რომელიც ვაჭრობის წარმომადგენელი იყო, რიტორი ისოკრატე, ეტად მოხუცებული და დაქანცული, ფოკიონი, ვიწრო გონების პატრონი, რომელიც მუდამ ამას ამბობდა: „შეგვწევს იმდენი ძალა, რომ ვიბრძოლოთ? არა; მაშ დავთმოთ ყველაფერი და წყნარად ვიყვნეთ“.

14. ომიანობის მომხრე პარტია ათინაში; დემოსთენეს პატრიოტისმი და მოდგაწეობა. მაგრამ ყველა არ ყოფილა დათმობისა და მშვიდობიანობის მომხრე; კიდევ იყვნენ ისეთები, რომელთაც გული უცემდათ საბერძნეთის დაკარგულ თავისუფლებისა და ათინის წარსულ ბრწყინვალების მოგონებაზე. ახალი თაობა ეტად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს ფილიპე მაკედონელის ასეთ გაძლიერების გამო და დემოსთენეც ამ ახალ თაობაში პოულობდა თანაგრძნობასა და საიმედო დახმარებას. დიდებული ორატორი სულით არ დაცემთლა; პირიქით, გაორკეცებულის გნერგიით სცდილობდა ხე-

ლიდან გამოეთხრიშა მისი ნადავლი მაკედონიის მეფისათვის. შას გვერდში უდგნენ მხურვალე მამულის შვილები, აღტაცებით ისმენდნენ მის სიტყვას და ყველაფერში მხარს აძლევდნენ. ესენი იყვნენ—ჰეგეზიპე, ორატორები ლიკურგოსი და ჰიპერიდე, ტიმარქოსი, რომელმაც სახალხო კრებას მიაღებინა კანონი, რომ ვინც მაკედონიის მეფეს იარაღს მიაწვდის, სიკვდილით დაისჯება. დემოსთენე ლაპარაკთან მოქმედებდა კიდეც: დაანიშვნინა თავის ბავი იმ მოციქულების მეთაურად, რომელთაც უნდა დაენახვიებიათ მესენიისა და არგოსის მცხოვრებთათვის, თუ რამდენად საშიშია ფილიპესთან კავშირი: „ყველაზე სასურველი რა არის თქვენთვის? უთხრა მათ დემოსთენემ. თავისუფლებაო, მეტყვით თქვენ. ძალიან კარგი, მაგრამ ნუ თუ ვერ ხედავთ, რომ თვით თანამდებობა ფილიპესი ყოვლად შეუფერებელი და შეურიგებელია თავისუფლებასთან: ვინც მეფე ან ტირანია, იგი თავისუფლებისა და რესპუბლიკურ წესწყობილების მტერია. ამიტომ ფრთხილად იყავით და გეშინოდესთ, რომ ომის შიშით ბატონი არ დაისვათ თავზე.“ ფილიპე გულდამშვიდებით ვერ უყურებდა ასეთ მტრობას და ელჩები გაგზავნა ათინაში საჩივლელად. დემოსთენემ მკაცრად უპასუხა მოციქულებს: „ფილიპე არ არის ისეთი მეფე, რომელსაც სამართალი სურს: იგი მარტო თავის გაბატონებაზე ჰფიქრობს. საბერძნეთის ყოველი სიმაგრე, ყოველი კარი მიზანში აქვს მას ამოღებული და ნელ-ნელა მის ხელში გადადის; ეხლა პელოპონეზშიაც გადაიტანა თავის ინტრიგების ასპარეზი. ფილიპე მტერია ყველა ბერძნებისა, განსაკუთრებით ჩვენი“.

15. ხერსონესის საქმე; ფილიპეს დამარცხება (340). მიუხედავათ დემოსთენეს ასეთ მოქმედებისა, მშვიდობიანობა გარეგნათ არ დარღვეულა; საქმით კი ბრძოლა იყო. ფილიპემ კუნძული ჰალონეზოსი აიღო და ხერსონესშიაც ინტრიგების ბადე მოჰფინა. ათინელებმა მოთმინება დაჰკარგეს და, დემოსთენეს რჩევით, გადასწყვიტეს ჰელესპონტში ჯარის გაგზავნა. „საქმე ჩვენ სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება, ათინელებო; ეს დასამალი არ არის. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ფილიპეს

სძულს ჩვენი ქალაქი, მიწა, რომელზედაც იგი აგებულია, ყველა მისი მცხოვრებნი, ისინიც კი, ვისაც დღეს მისი მეგობრობით თავი მოაქვს, და, განსაკუთრებით, ჩვენი წესწყობილება". ათინელებმა თვითონ დემოსთენე გაგზავნეს ბიზანტიონში, რომ ეს ქალაქი ათინის კავშირში შემოსულიყო. ფილიპე იერიშით მივიდა პერინთოსზე და ბიზანტიონზე, მაგრამ უკუ აქციეს. მაკედონიის გაბრაზებული მეფე იძულებული შეიქნა სახლში დაბრუნებულიყო (340).

16. საბოლოო ბრძოლა ფილიპესთან; ელატეას ალება. ფილიპე ისეთი კაცი იყო, რომ ადვილად უარს არ იტყოდა თავის განზრახვაზე. ერთგან იგი დამარცხდა, მაგრამ ეხლა მეორე ადგილას გამონახა და შექმნა ისეთი შემთხვევა, რომ მოწინააღმდეგეს სამაგიერო გადაუხადა. პარნასის დასავლეთ ფერდობზე მდებარე პატარა ქალაქმა ამფისამ ბრალი დასდო ათინას, ვითომც მან დელფის საკურთხევლის განწმენდამდე ადგილი გამოუცვალა ტაძრისთვის შეწირულ ფარებს; ასეთი მოქმედება ღვთის გმობად ითვლებოდა. საქმე საამფიკტიონიო რჩევას უნდა განეხილა; ათინის დამცველად სასამართლოს წინ ესხინოსი დანიშნეს. ესხინოსმა არა თუ გაამართლა ათინა, პირიქით ამფისელებს დაუმტკიცა დანაშაული (წმ. კირას მიწას ამუშავებთ, როცა იგი ღმერთს შეწირული აქვსო). მჭერმეტყველ ორატორის ზედ-გავლენის ქვეშ დელფის მცხოვრებნი კირაში წავიდნენ და ამფისელების შენობები გადასწვეს. მაგრამ მალე ამფისელებმა მოუსწრეს და იფრინეს ესხინოსიც, ამფიკტიონებიც და სხვებიც. დაიწყო ხელ-ახლავ ეგრედ წოდებული წმინდა ომიანობა. ფილიპეც ასეთ შემთხვევას ექებდა: საამფიკტიონიო რჩევამ მას მინდო ომის გაძღოლა. მაკედონიის მეფემ დაუყოვნებლივ გადმოიარა თერმოპილის კარი; მაგრამ ამფისასაკენ წასვლის მაგიერ ბეოტიაში მივიდა და აიღო ელატეა, რომელსაც მისთვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა ათინელებზე; სახალხო კრებაზე ვერავინ ბედავდა ხმის ამოღებას და რჩევის მიცემას, რადგან ყველას პასუხის გების ეშინოდა: საქმე ათინას თავისუფლებასა და,

შეიძლება, არსებობასაც ეხებოდა. ბოლოს მხოლოდ დემოსთენემ გამოიჩინა იმდენი მოქალაქობრივი ვაჟკაცობა, რომ წამოდგა, ავიდა ტრიბუნაზე და გაბედვით, მტკიცედ უთხრა ათინელებს, თუ რას მოითხოვდა მათგან მათი უზრუნველყოფა და სახელი. ხალხმა ყურადღებით მოისმინა მისი რჩევა და მიიღო კიდეც: კავშირი თებასთან, ყველა ათინელ მოქალაქეთ ჯარში გაწვევა და საგანგებო ათწევრიან კომიტეტის დაარსება თემის საქმეების გასაძღოლად ასეთ მძიმე გარემოებათა დროს. კომიტეტის თავმჯდომარედ დემოსთენე აირჩიეს და იშვიათად მომხდარა, რომ მოღვაწეს დემოსთენესავით დაემსახურებინოს ასეთი ადგილი.

17. ბეოტიის ლაშქრობა; ხერონეის ბრძოლა. დემოსთენე თითონ წავიდა ბეოტიაში და მოიმხრო ეს თემი ფილიპეს წინააღმდეგ. ათინისა და თებას ჯარები შეერთდნენ და ფილიპე მაკედონელიც გაჩერდა, წინ აღარ წამოწეულა. მთელი ათი თვე მაკედონიის მეფეს იერიში არ მიუტანია მტერზე. ბოლოს, 338 წლის გაზაფხულზე, ფილიპე წამოვიდა მოკავშირე ჯარებისაკენ, რომელნიც ხერონეის ახლო იდგნენ. ათინელებს მარცხენა მხარე ეჭირათ და მათი სარდლები იყვნენ სტრატოკლეს, ხარეს და ლიზიკლეს; დემოსთენეც ჯარში იყო; ბეოტიელებს ეკავათ მარჯვენა მხარე; მათ სარდლობდა თეაგენეს; ჯარის შუა ნაწილს შეადგენდნენ ფოკიდელები, აქეელები და კორინთელები. ორივე მხარე მამაცურად იბრძოდა: თებელების წმინდა ბატალიონი სულ ერთიანად გაწყდა ომის ველზე. მაგრამ ფილიპეს სამხედრო ნიჭმა, მისი შვილის, ალექსანდრეს, მამაცობამ და მაკედონურ ფილანგის ძალამ დასძლიეს მოკავშირეები. საღამოს ყველაფერი გათავებული იყო და გაქცევაზე ფიქრი იყო საჭირო. ხერონეის ბრძოლის ველზე ამოხდა სული საბერძნეთის თავისუფლებას. ამ წლიდან იწყება სულ ახალი ხანა საბერძნეთის ისტორიისა; მაგრამ ბერძნულ თემების დამოუკიდებლობა საბოლოოდ იყო დაკარგული (338).

18. ფილიპე გამარჯვების შემდეგ. სპარტას დამცირება. ფილიპეს ცუდათ არ მოუხმარია თვისი გამარჯვება; მხოლოდ

თება დასაჯა და ათინას კი ისე მოეპყრა, როგორც ვითომდა დამოუკიდებელ თემს. ამ გარეგანმა დაკმაყოფილებამ ათინა განათავისუფლა ბრძოლის გაგრძელების ზრუნვიდან, რაზედაც იგი შიშითა და ძრწოლით ჰფიქრობდა. თვით დემოსთენეც იძულებული შეიქნა შერიგებიყო მდგომარეობას, რომელიც მისი შექმნილი არ იყო და რომლის წამლობაც არსებულ პირობებში შეუძლებელი იყო. ამ საქმის გათავების შემდეგ ფილიპემ მოიარა საბერძნეთი და პელოპონეზში ძირს დასცა სპარტას ძლიერება: წაართვა ყველა ის ადგილები, რომელიც მას დაეპყრა და ხელში ჰქონდა; დარჩა მარტო ევროტასის ჭალა და დამოუკიდებლობა.

19. მაკედონიის მეფის მომზადება სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. მისი სიკვდილი (336). თება თითქმის სრულებით დანგრეული იყო, ათინა დამცირებული ნაძალადევ კავშირით ძლიერ მაკედონიასთან და სპარტა ტერიტორია წართმეული; ვინღა გაუწევდა წინააღმდეგობას ფილიპე მაკედონელს? სწორედ ამ დროს მოახდინა მან კორინთში ჰელინების საერთო კრება. ფილიპე იქცეოდა არა როგორც გამარჯვებული; პირი იქით, მან გამოაცხადა, რომ აქედან თვითონ ისა და მისი ხალხი საბერძნეთის ნაწილს შეადგენენ და რომ საბერძნეთის ინტერესის სამსახურს მოანდომებს თავის ჰეგემონობას; ამასთანავე შეატყობინა ბერძენთა კრებულს, რომ იგი იწყებს ომს სპარსეთის წინააღმდეგ შურის საძიებლად. ეს მეტად ხერხიანი პოლიტიკა იყო: ერთის მხრივ ბერძნების თავმოყვარეობის დაკმაყოფილება და მეორე მხრივ საბერძნეთის ტრადიციის განახლება. ფილიპე ემზადებოდა ამ დიდ ლაშქრობისათვის, რომ იგი მოჰკლა ერთმა მისგან შეურაცხყოფილმა მაკედონელმა (336).

თ ა ვ ი XXVI

ალექსანდრეს ცხოვრება და ლაშქრობანი*)

სარჩევი. 1. ალექსანდრეს ბავშვობის დრო.—2. ალექსანდრეს სიყმაწვილე და უსიამოვნება ფილიპესთან.—3. ალექსანდრეს მეფობის დასაწყისი.—4. საბერძნეთის აჯანყება; თებას აღება და დანგრევა.—5. ალექსანდრეს დაწყებულების სიძნელე; სპარსეთის სამეფოს მდგომარეობა და ძალა.—6. ალექსანდრეს გადასვლა აზიაში.—7. გრანიკის ბრძოლა.—8. ლიდიის, იონიის და კარიის დაპყრობა.—9. მცირე აზიის შუა და სამხრეთ ნაწილების დამორჩილება.—10. გალაშქრება კილიკიასა და სირიაში; ისოს ბრძოლა.—11. გალაშქრება ფინიკიაში; ქ. ტირის აღება.—12. ალექსანდრე ეგვიპტეში.—13. ასირიაში გალაშქრება; არბელას ბრძოლა.—14. ალექსანდრე ბაბილონში. მეფის ახალი პოლიტიკა.—15. სიმდიდრისა და ფუფუნების განვითარება მაკედონიის ჯარში. ალექსანდრე პერსეპოლისში.—16. ალექსანდრე დარიოსს მისდევს. დარიოსის სიკვდილი.—17. ალექსანდრეს ამაყობა და ახალი პრეტენზიები. მაკედონელ სარდლების უკმაყოფილება.—18. შუა აზიის დაპყრობა. კლიტოსის მოკვლა მარაკანდაში.—19. ახალი შეთქმულებანი ალექსანდრეს წინააღმდეგ; კალისთენეს გასამართლება.—20. ინდოეთისაკენ გალაშქრება.—21. მაკედონელები უარს ამბობენ წინ წასვლაზე.—22. ალექსანდრეს დაბრუნება.—23. საბერძნეთის თემების მტრული განწყობილება.—24. ალექსანდრეს სიკვდილი ბაბილონიში.—25. ალექსანდრეს პიროვნება და მისი საქმე.

1. ალექსანდრეს ბავშვობის დრო. ფილიპე ნიჭიერი და ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული მთავარი იყო; მისი შვილი და მემკვიდრე ალექსანდრე დიდი და დიდებული კაცი იყო. ყველაფერი არა ჩვეულებრივი და განსხვავებული იყო

---

*) ბიბლიოგრაფია: ძველი ავტორები—1) ალექსანდრეს ანაბაზისი არიენისა, 2) ალექსანდრეს ცხოვრება პლუტარხოსისა, 3) დიოდორ სიცილიელის მე-XVII-ე წიგნი,—4) იუსტინის მე-IX ე და მე-XII-ე, 5) კვინტ კურციუსის „ალექსანდრე დიდის ისტორია“.

ეხლანდელი ავტორები: 1) გროტის მე-18-ე ტ. 2) დროიზენის ჰელენისმის ისტორია.

მასში. დაბადების დროს მოხდა რამდენიმე არა ჩვეულებრივი მოვლენა, რომელიც ბერძნულმა ცრუმორწმუნოებამ მაშინვე აღნიშნა. დაბადების დღეს ერთმა გიჟმა, სახელით ჰეროსტრატემ, გადასწვა აზიის უშესანიშნავესი სიწმინდე—ტაძარი დიანა ეფესელისა, ფილიპეს სამი გამარჯვების ამბავი მოუვიდა. ალექსანდრე გაიზარდა პელაში, მეფის სასახლეში, რომელიც ნახევრად ბარბაროსული იყო და სადაც მუდამ იარაღის ხმა ისმოდა. იმ თავითვე ეტყობოდა მეფის შვილს, თუ რა გახდებოდა შემდეგში: ფიზიკურად იგი თან და თან უფრო შვენდებოდა, რაც, ბერძნის წარმოდგენით, აუცილებელი პირობა იყო პიროვნების წარჩინებულობისა და უაღრესობისა; ხასიათი მხურვალე და მოუდრეკელი ჰქონდა; სულ უბრალო ძალდატანება აუტანელი უღელი იყო ალექსანდრეს სიცოცხლით სავსე, მოძრაობით გაუმაძღარ და ჰაერითა და თავისუფლებით მთვრალ ბუნებისათვის. სულ პატარა ნაპერწკალიც რომ მოხვედროდა მის ადვილად ასაფეთქებელ ტვინს, იქ მთელი რევოლიუცია ხდებოდა. ერთხელ ერთ სამხედრო სასიმღეროს მოსმენამ ისე იმოქმედა პატარა ალექსანდრეზე, რომ გიჟივით წამოვარდა, იარაღს ხელი მოავლო და ქნევა-ბრიალი დაუწყო. როცა მის წინაშე ქებით იხსენიებდნენ ფილიპეს საგმირო საქმეებს, ალექსანდრე გაფითრდებოდა და იტყოდა: „ნუ თუ ყველაფერს შეასრულებს მამაჩემი და დიდებულსა და სასახელოს არაფერს დამიტოვებს, რომ თქვენთან ერთად შევასრულო?“ ასეთი ძალა მორეულობა და ძლიერი გულისთქმანი, საოცარი ნიჭიერება და თან ველური თავდაუკაველობა დიდათ მოსწონდა ფილიპეს, მაგრამ თანაც აშინებდა. მეფე ხედავდა, რომ თავის გავლენით ვერას გააწყობდა და ამიტომ უფრო ძლიერი პიროვნება მოიწვია ცამეტის წლის ალექსანდრეს აღსაზრდელად; ეს იყო შესანიშნავი ღრმა მოაზრე და ფილოსოფოსი არისტოტელე. ალექსანდრემ დაამტკიცა, რომ ღირსი იყო ასეთ მასწავლებლისა: ხარბად დაეწაფა სახელოვან მასწავლებლის გაკვეთილებს, სწავლასაც მისებურის გატაცებითა და მოუდრეკელ ნების ძალით შეუდგა. შემდეგ ცხოვრებაშიც შერჩა

ალექსანდრეს მწერლობისა და მეცნიერების ღრმა სიყვარული; შუაგულ აზიაში ლაშქრობის დროს ხმალთან ერთად ჰომიროსიც განუშორებლად თან დაჰქონდა. მაგრამ არისტოტელისაგან სხვა რამ უფრო ძვირფასი ისწავლა ალექსანდრემ: გულის თქმათა მორევნა ან, უკედ რომ ვსთქვათ, მათთვის მიმართულების მიცემა, რაც მას წინეთ ყოველთვის აკლდა. დიდებულ ფილოსოფოსის მაგალითმა და დარიგებამ ასწავლეს ალექსანდრეს ზიზღი დაბალ სიამოვნებისადმი. „რომ ვცხოვრობ, მამა ჩემის მადლობელი უნდა ვიყო, მაგრამ კარგად რომ ვცხოვრობ, ეს არისტოტელეს საქმეა“ო, უთქვამს ალექსანდრეს.

2. ალექსანდრეს საეშაფვილე და უსიამოვნება ფილიპესთან. ალექსანდრე წამოიზარდა და მშვენიერ შუხედულების ახალგაზდა დადგა: შეყრილი ტანი, წმინდა სახე, ამაყი და ხან და ხან საშინელი თვალები, სქელი დახუჭუჭებული ქერა თმა. გულისთქმათა მთელი ცეცხლი ღვიოდა ამ ახალგაზდა სხეულში.

ფილიპესა და ალექსანდრეს დედის—ოლიმპიას შუა დიდი უთანხმოება იყო. ალექსანდრე დედის მხარეზე იყო და მამას ამტყუნებდა. ამის გამო ერთ ნადიმის დროს საშინელი ამბავი დატრიალდა: დამთვრალმა ფილიპემ იძრო ხმალი და შვილზე მიიწია; მაგრამ სანამ ალექსანდრემდე მიაღწევდა, მძიმედ წაიქცა. შვილი დაცინვითა და დამცირებით დაჰყურებდა მამას. „შეხედეთ მეგობრებო“, წამოიძახა ალექსანდრემ, „აი ის კაცი, რომელიც ევროპიდან აზიაში ჰფიქრობს გადასვლას და ის კი ვერ მოუხერხებია,, რომ ერთი სტოლიდან მეორემდე მივიდეს!“ ამ ამბის შემდეგ ალექსანდრემ დედასთან ერთად მაკედონია მიატოვა. შემდეგ ისევ დაბრუნდა, მაგრამ, შეიძლება, მამას მისთვის მემკვიდრეობა წაერთმია, რომ დასცლოდა. ფილიპე აზიაში წასასვლელად ემზადებოდა; ჩვეულებრივ, დელფის მისანს შეეკითხა განზრახულ ლაშქრობის შესახებ; მისნისაგან შემდეგი პასუხი მიიღო: „ყვავილების გვირგვინით შემკული ხარი სიკვდილის მოლოდინშია, ქურუმიც საკურთხე-

ველშია; რაღა დროის დაგვიანებაა?“ მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ დასაკლავი ხარი სპარსეთის მეფე კი არ გამოდგა, არამედ თვით ფილიპე. ერთმა მაკედონელმა აზნაურმა პავზანიასმა მოჰკლა იგი პირად-შეურაცხყოფისათვის და, ამბობენ, ალექსანდრეც ერია ამ საქმეშიო.

ალექსანდრე მაკედონელი.

ალექსანდრეს მეფობის დასაწყისი. ოცი წლის ახალგაზდა, თითქმის ბავშვი, ავიდა მაკედონიის ტახტზე. ბერძნებმაც იფიქრეს, რომ დადგა მათი განთავისუფლების საუკეთესო შემთხვევა. დემოსთენეს ძახილზე შეინძრა ათინა, მას მოჰყვნენ თება, არგოსი, კორინთი და სპარტა. ალექსანდრეს რყევა არ დაუწყია: თვალი შესანიშნავად უშრიდა, მოქმედების უნარიც დიდი ჰქონდა და ნების ძალაც. სანამ ბერძნები რასმე დაიწყებდნენ, იგი თერმოპილში გაჩნდა; აქედან თებასთან მიიჭრა და ქალაქსაც დამორჩილების მეტი აღარაფერი დარჩენოდა; ათინამაც მოიხარა ქედი და კორინთში ალექსანდრე მაკედონელი ყველა ბერძნების სტრატეგად (მთავარ-სარდლად) გამოაცხადეს და თან განუსაზღვრელი უფლება მაანიჭეს. ალექსანდრეს ჰქონდა აქ გამართული თავისი ხასახლე, სადაც ბუზებივით ირეოდნენ

დიოგენე.

მგოსნები, ხელოვანები, დამკვრელები და ფილოსოფოსები, ქება-დიდებას ასხამდნენ ახალგაზდა მეფეს და წყალობას მოელოდნენ მისგან. არ შეიწუხა თავი მეფის ნახვისათვის მარტო დიოგენემ, რომელიც არხეინად სცხოვრობდა თავისთვის

ბოჭკაში მზეზე ფეხებ გაშვერილი; მეფე თვითონ წავიდა ფილოსოფოსის სანახავად, მაგრამ კინიკოსისაგან მხოლოდ შემდეგი, მეფის თავმოყვარეობისათვის მწარე, პასუხი მიიღო: „მზეს ნუ მიფარებ, ალექსანდრე!“

დაბრუნდა საბერძნეთიდან თუ არა, ჰემოსის (ბალკანი) მთებს იქით გადავიდა იქაურ ველურ ხალხების დასამშვიდებლად: არ უნდოდა, რომ სპარსეთში წასვლამდე შეუშინებელი დაეტოვებინა ეს ხალხები. მეფემ დაიმორჩილა ტრიბალები (ეხლანდელი ბალგარია) და გადავიდა მდ. დუნაის მეორე ნაპირზე, მიუხედავათ გეტების (რუმინია) წინააღმდეგობისა. ამ გაბედულის ლაშქრობით დაიწყო ალექსანდრეს სახელოვნობა, როგორც სარდლისა: ველურმა ხალხებმა მოციქული გამოუგზავნეს მაკედონიის მეფეს; კელტებიდანაც კი იყვნენ მოსული დესპანები. „რისი უფრო გეშინიათო,“ ჰკითხა მათ ალექსანდრემ.—„არაფრის, თუ ცა არ დაგვეცა თავზეო“, უპასუხეს კელტებმა. ალექსანდრეს გაეცინა თურმე ასეთ მკვეხარა პასუხზე.

4. საბერძნეთის აჯანყება; თებას აღება და დანგრევა. ალექსანდრეს წასვლის შემდეგ ბერძნებმა ისევ დაიწყეს განთავისუფლებაზე ფიქრი. დარიოსმა ბევრი ფული დაარიგა ათინაში და სხვაგანაც. დემოსთენე ერთხელ კიდევ შეუდგა თავგამოდებით სამშობლოს განთავისუფლების საქმეს. მან წარუდგინა ხალხს ერთი კაცი, რომელიც ჰფიცავდა, რომ ვითომ მან ნახა, როგორც მოჰკლეს ერთ ბრძოლაში ალექსანდრე. ხალხსაც ხომ ის სჯერა, რაც სურს, რომ იყოს. თებამ იარაღი აისხა და კადმეას, სადაც მაკედონელების გარნიზონი იყო, ალყა შემოარტყეს. ყველას იმედი ჰქონდა განთავისუფლებისა. მაგრამ უეცრად გაჩნდა ალექსანდრე და ყველაფერი დაიღუპა: თება აიღეს და ძირიანად დაანგრიეს, დასტოვეს მხოლოდ მგოსან პინდაროსის სახლი; მიწა მოკავშირეებს გაუყო ალექსანდრემ და 30,000 თებელი მონებად გაჰყიდეს (335). ნუ თუ ათინასაც იგივე ბედი მოელოდა? შეშინებულ ხალხს უნდოდა დემოსთენეს გაცემა, მაგრამ ორატორმა იგი გონს მოიყვანა:

„ნუ მიჰბაძავთ არაკის იმ ფარას, რომელმაც თავის დარაჯი ძაღლები მისცა მგელს“. ალექსანდრემ აპატია მასაც და ათინასაც და მაკედონიაში დაბრუნდა და დიად საქმის—სპარსეთზე გალაშქრების—მზადებას შეუდგა მთელის თავის ძალღონით. სამეფოს მართველად ანტიპატერი დასტოვა და თვითონ კი 334 წლის გაზაფხულზე 35 ათას ჯარის კაცით აზიისაკენ გასწია. ალექსანდრე თითქო სამუდამოდ მიდიოდა ისე იქცეოდა: თავისი ქონება, შემოსავალი, ვერცხლეულობა მეგობრებს დაურიგა. „შენთვის რაღას იტოვებო“, ჰკითხა პერდიკამ.—„იმედს“-ო, უპასუხა მეფემ. „ძალიან კარგი, მაგრამ გაგვიყავი ეს იმედი ჩვენც, ვინც შენთან ერთად საბრძოლველად მოვდივართ“-ო.

5. ალექსანდრეს დაწყებულების სიძნელე; სპარსეთის მდგომარეობა და ძალა. რა სიძნელე უნდა შეხვედროდა ალექსანდრეს დაწყებულ საქმეში? სპარსელების წინააღმდეგობა იმდენად არ იყო ანგარიშში ჩასაგდები, რამდენად სპარსეთის ტერიტორიის სივრცე, ხასიათი სივრცისა და ამ ხასიათის უცოდნელობა. სპარსეთის სამეფო თუ არსებობდა ამ დროს, ეს იმიტომ რომ წინადაც არსებობდა: ჰისტასპოსის შვილის დარიოსის სიკვდილის შემდეგ სპარსეთი სრულებით შეიცვალა; დარიოსის მემკვიდრეები ნამდვილი აღმოსავლეთის სულთნები გახდნენ: ჰარამხანის მოტრფიალენი და სასტიკები შიშით ან უსაქმურობით; სატრაპებს ყურის მგდებელი არავინ ჰყავდა და თან-და-თან უფრო დამოუკიდებელ მეფეებად იქცნენ; თვით სპარსელებმა დაჰკარგეს მხნე და ძლიერ მეომრის თვისებები და წინანდებურად ბრმად აღარ ერთგულებდნენ თავიანთ მეფეებს. იყო ფაქტები, რომელნიც ცხადათ ამტკიცებდნენ ამ უზარმაზარ შენობის სისუსტეს; მაგალითად „ათი ათასის უკან დახევა“ და აგეზილაოსის ლაშქრობანი მცირე აზიაში. რომ ბერძნების შინაური განხეთქილება არა, რომლითაც ხერხიანად სარგებლობდა სპარსეთის დიპლომატია, სპარსეთის სამეფო ალექსანდრემდე არ მოაღწევდა. თვით სამეფოს შუაგულში მზად იყვნენ აჯანყებისათვის; სხვა-და-სხვა ნაწილი გამოყოფას ჰფიქრობდა: ეგვიპტე მუდამ აჯანყებული იყო; არც ფინიკია და

არც მცირე აზია საიმედო არ იყო. სამხედრო საქმის მხრივ ალექსანდრეს დაწყებული საქმე ძრიელ ადვილი სჩნდა, მაგრამ სამაგიეროდ რამდენ სიძნელეს წარმოადგენდა სპარსეთის უზარ-მაზარი სივრცე, გეოგრაფიულ ცნობების ნაკლები გავრცელებ-ბა, გაუვალი ადგილები და მცხოვრებლების სხვა და სხვაობა. სპარსეთის დამცველი მხოლოდ მისი უზარ-მაზარი სივრცე-ღა იყო. სწორედ აქ იყო ალექსანდრეს დაწყებულების ნამდვილი სიდიადე.

6. ალექსანდრეს გადასვლა აზიაში. სპარსეთის მეფედ იყო ამ დროს დარიოს III კოდომანი. იგი წყნარი და მშვიდობიანობის მოყვარე ადამიანი იყო, ე. ი. სწორედ იმის წინააღმ-დეგი, რასაც გარემოება მოითხოვდა. მის მომზადებას ალექ-სანდრეს დასახვედრად ზედვე ეტყობოდა დაუდევრობა და ხასიათის სისუსტე; უდიდესი შეცდომა მისი ის იყო, რომ ჯარი სატრაპებ შუა გაჰყო, იმის მაგიერ რომ იგი ჩაებარებინა ერთად ერთ ნიჭიერ სარდლისათვის, რომელიც მას ჰყავდა; ეს სარდალი იყო ბერძენი მემნონ როდოსელი. ალექსანდრე გზაში იყო; ოც დღეზე ჰელესპონტის ნაპირას მივიდა, სადაც უკვე მისული იყო მისი სამხედრო ფლოტი. ზღვაზე არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ მაკედონელებს. ალექსანდრეს თვითონ ეჭირა სამეფო ნავის საჭე და იმ კონცხს მიადგა, სადაც აქილესის, პატროკლოსის და აიაქსის საფლავები იყო. ნაპირზე პირველად ალექსანდრე გადავიდა და მიწას შუბი დაარტყა ნიშნად დაპყრობისა. ძველ ტროას ნანგრევები ახლო იყო. მეგობრებითა და ჯარისკაცებით გარ-შემორტყმული ალექსანდრე მივიდა ჰომიროსის გმირების საფლავებთან და მსხვერპლი შესწირა აქილესის სულს; ეგრევე მოიქცა მისი მეგობარი ჰეფესტიონი პატროკლოსის სულის პატივსაცემლად.

7. გრანიკის ბრძოლა. მაკედონელების ჯარი გაემართა მტრის საძებნელად აღმოსავლეთით ლამპსაკისაკენ. სპარსელების ჯარი გრანიკის უკან იყო თავმოყრილი; სატრაპების გადაწყვეტილებით აქ უნდა მომხდარიყო მტერთან შეტაკება წინააღმდეგ მემნონის აზრისა, რომელიც უკან დახევას არჩევდა.

მდინარე ჩქარი და ღრმა იყო, ნაპირები კლდიანი და მიუვალი, თან ღამეც ახლოვდებოდა. პარმენიონის აზრით გათენებამდე ადგილზე უნდა მდგარიყვნენ. „ჰელესპონტი გადმოვცურეთ და პატარა რუმ როგორ შეგვაშინოს“ ო, სთქვა ალექსანდრემ და ცხენი გრანიკის ტალღებში გადააგდო. მიაღწია თუ არა მეორე ნაპირს, სპარსელები მიცვინდნენ; ერთმა მხარში დაჭრა, მეორემ მუზარადი გაუპო ცულით; მესამე ხმლით უპირებდა გათავებას, მაგრამ ამ დროს გაჩნდა კლიტოს შავი, ხმლიანი ხელი მოსჭრა სპარსელს და ძეფე სიკვდილს გადაარჩინა. გამოვიდნენ სხვა მაკედონელებიც და სულ მოკლე დროში სპარსელები გააბნიეს; აქ სამხედრო ხელოვნება და ტაკტიკა არაფერ შუაში ყოფილა: მაკედონელებმა პირადის ვაჟკაცობით გაიმარჯვეს. დავლა აუარებელი დასტოვეს სპარსელებმა. ალექსანდრემ ჩამოასხმევინა ლიზიპოსს ოცდახუთი ბრინჯაოს ძეგლი ოცდახუთ მხედრის სახსოვრად, რომელნიც პირველად მოუკლეს მტერს და გაგზავნა ათინაში, ათინა პალადას პატივსაცემლად, 300 სრული იარაღი შემდეგის წარწერით: „აზიის ბარბაროსებზე გამარჯვება ფილიპეს შვილის ალექსანდრესი და ბერძნებისა, სპარტანელებს გარდა (სპარტანელებმა არ ისურვეს ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება)“.

8. ლიდიის, იონიის და კარიის დაპყრობა. გრანიკის ბრძოლამ ბოლო მოუღო სპარსელების ძალასა და გავლენას მცირე აზიაში; ალექსანდრე თამამად წავიდა კრეზის ძველ სატახტო ქალაქ სარდისაკენ; ქალაქი შესანიშნავ სიმაგრედ ითვლებოდა: ალექსანდრე იმდენად ბედნიერი იყო, რომ სარდში კიდევ მიუსწრო კარის გამღებს. სარდიდან მაკედონიის მეფე იონიისაკენ წავიდა; ფლოტიც ეფესისა და მილეტისაკენ ჩამოიწია. ეფესის კარები ხალხმა გაუღო ალექსანდრეს. აქ იყო, რომ სახელოვანმა მხატვარმა აპელესმა დახატა ალექსანდრეს სურათი. მილეტი იერიშით აიღეს; სპარსეთის ფლოტი იქვე იყო, მაგრამ ვერავითარი დახმარება ვერ აღმოუჩინა ქალაქს. სპარსეთის ფლოტი მაინც საშიში იყო ალექსანდრესთვის: იგი ბევრად ძლიერი იყო მაკედონიის ფლოტზე და რომ თავზე და-

სხმოდა და დაემარცხებინა, მეტად ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა მთელ მცირე აზიაში და საბერძნეთში. ამიტომ მეფემ ფლოტი გაუშვა, რამაც დიდი შეღავათი მისცა მის კასას. დარჩა კარია და მისი სატახტო ქალაქი ჰალიკარნასი. აქ მემნონი იყო სპარსელ ჯარების ნარჩენით და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა მაკედონელ ჯარს. ბოლოს იძულებული შეიქნა წასულიყო, მაგრამ წასვლამდე ჰალიკარნასი გადასწვა.

9. მცირე აზიის შუა-და სამხრეთ ნაწილების დამორჩილება. ზამთარი იწყებოდა, მაგრამ ამას არ შეუჩერებია სამხედრო მოქმედება. ლიკია და პამფილია უომრად დაიპყრეს; მაგრამ ნიალვრებმა და უვარგისმა გზამ დიდ განსაცდელში ჩააგდეს მაკედონელი ჯარი. მხნე და მხიარული ალექსანდრე ჯარის პირველ რიგში იდგა და ამხნევებდა ჯარის კაცებს თავის მაგალითით და ხერხიანობით. ბერძნები, რომელნიც ბუნებით ტრაბახები არიან, ამბობდნენ შემდეგ, რომ ალექსანდრემ ფეხით გაიყვანა ჯარი ზღვაში და რომ ზღვამ თაყვანი სცა მას. ალექსანდრემ მაინც თავი დაანება ასე ზრდილობიან ოკეანეს და ფრიგიისაკენ გასწია ტავრის მთის ვიწრო ხეობებით, სადაც მას არავინ დახვედრია გასაჩერებლად. გორდიონში ალექსანდრემ მიაღწია მდ. სანგარიოსის ჭალას. ეს ადგილი იყო დანიშნული ევროპიდან მომავალ მაკედონელ ჯარების თავმოსაყრელად. ჯარებიც მოვიდნენ 333 წლის გაზაფხულზე. გორდიონში ალექსანდრემ ხმლით გასჭრა გორდიოსის ცნობილი ნასკვი და ამ გვარად ხერხიანად აასრულა მისნის წინასწარმეტყველება—ვინც ნასკვს გახსნის, აზიის მბრძანებელი შეიქნებაო.

10. გაღაშქრება კილიკიასა და სირიაში. ისოს ბრძოლა. შევსებული ჯარი ალექსანდრემ სამხრეთისაკენ წაიყვანა. იწყებოდა ახალი ლაშქრობა. კაბადოკია გაუჭირვებლად გაიარეს; ტავრის მთების გასავალი ეხლაც თავისუფალი იყო და ალექსანდრეც მალე ხმელთა შუა ზღვის მხარეზე გაჩნდა. აქ იგი კინაღამ სიცოცხლეს გამოესალმა: კიდნოსის ყინულიან წყალში იბანა და მძიმე ავადმყოფი შეიქნა. სიკვდილისაგან იხსნა

მკურნალმა ფილიპემ, რომელსაც უსაზღვროდ ენდობოდა, თუმცა პარმენიონმა იგი დააბეზღა. მორჩა თუ არა მეფე, ნაპირებს გაჰყვა და გაიარა ბერძნული ქალაქები, რომელთა მცხოვრებთ დავიწყებოდათ კიდეც თავისი ბერძნობა. ამ დროს ალექსანდრემ შეიტყო, რომ დარიოსი მოდიოდა მის წინააღმდეგ და თან ჰყავდა ასი ათასი ქვეითი ჯარის კაცი და 30 ათასი დაქირავებული ბერძნის ჯარი; ქალები, საჭურისები და მსახურების მთელი ჯარი კიდევ სხვა იყო. ალექსანდრეს არ უნდა მიეტოვებინა ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზები, რომ მტერს მისთვის გზა არ შეეკრა; მაგრამ იგი ასე არ მოიქცა; მტერმაც ისარგებლა ამითი, შემოუარა მაკედონელ ჯარს და დაიკავა ისოსი, სადაც სპარსელებმა სულ გაჟლიტეს იქ დატოვებული დაჭრილი მაკედონელები. ალექსანდრე შესცდა და ეს არ გამოეპარა მის ძველ მეომრებს, რომელნიც თავიანთ უკმაყოფილებას არ მალავდნენ. მეფემ მალე გაასწორა თავისი შეცდომა თავის გაბედულებითა და სიმტკიცით; გარდა ამისა მას შეველოდა ის გარემოება, რომ ბრძოლის ველი უხერხული იყო სპარსეთის მეფის უზარ-მაზარ ჯარისათვის. აქაც იგივე განმეორდა, რაც გრანიკასთან მოხდა: ალექსანდრეს შეუჩერებელმა იერიშმა შეარყია და გააქცია სპარსეთის ჯარი. დარიოსი გაიქცა, მაგრამ დედა, ცოლი და შვილები მტერს ჩაუვარდნენ ხელში. ალექსანდრე ნაძდვილ რაინდულად მოეპყრა ტყვეებს, რაც სრულებით არ ყოფილა ჩვეულებად იმ დროს; მაკედონიის ახალგაზდა მეფე სხვა ბუნებისა იყო და გარდა ამისა ასეთ ქცევის მიზეზი პოლიტიკაც იყო. ისოს ბრძოლის შემდეგ ალექსანდრე თავის თავს აზიის მბრძანებლად სთვლიდა. „როცა შემდეგში მოციქულებს გამომიგზავნით, სწერს ალექსანდრე დარიოსს, მოიმართავთ როგორც აზიის მეფეს და მომწერთ არა როგორც თქვენ სწორს, არამედ როგორც ყველა თქვენი კუთვნილის ბატონს“. მეტად საყურადღებო სიტყვებია ალექსანდრეს მხრივ: მაკედონელის ლაშქრობის მიზანი სპარსეთის სამეფოს დანგრევა კი არ იყო, არამედ განახლება ახალ მბრძანებელის ხელმძღვანელობით.

11. გალაშქრება ფინიკიაში; ქ. ტირის აღება. ალექსანდრე არ გამოდეევნებია დარიოსს; მან არჩია ზღვის პირების დაპყრობა, რომ სპარსელებს გზა არ ჰქონებოდათ ბერძნებისაკენ. სიდონი დამორჩილდა მაკედონელებს; ქ. ტირი კი გაძალიანდა, რადგან კუნძულზე აშენებული იყო და ალექსანდრეს ფლოტი არ ჰყავდა. მაგრამ ტირმა არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე; ეს ქალაქი დალუპულად უნდა ჩათვლილიყო მას შემდეგ, რაც ალექსანდრეს თავმოყვარეობას შეეხო. მეფემ ამოავსებინა ზღვა ნაპირსა ტ კუნძულ შუა; თვითონაც იღებდა მონაწილეობას მუშაობაში. პირველად ტირელებმა დაუნგრიეს დაწყებული საქმე; მაგრამ შემდეგ უფრო ვრცელ და მკვიდრ კედლის ამოყვანას შეუდგნენ; გარდა ამისა სიდონმა, როდოსმა და კიპროსმა გემები ათხოვეს ალექსანდრეს და ამგვარად ტირი ალყა შემორტყმული შეიქნა ყოველის მხრივ. მიუხედავად ტირელების თავგამოდებულ ბრძოლისა, ქალაქი მალე ჩაუვარდა მტერს ხელში. ტირი სურსათისა და იარაღის საწყობად გაიხადეს მაკედონელებმა (332). ქ. გაზასაც იგივე ბედი მოუვიდა, რაც ტირს.

12. ალექსანდრე ეგვიპტეში. გაზადან ეგვიპტემდე სულ პატარა მანძილია. ნილოსიც დაიკარგა სპარსელებისათვის, რაკი აქ ალექსანდრე მივიდა. ქ. მემფისს სულ უბრალო წინააღმდეგობაც არ გაუწევია. ალექსანდრემ აქაც არ უღალატა თავის პოლიტიკას: ხელი არ უხლია ადგილობრივ დაწესებულებათათვის და დიდის პატივისცემით ეპყრობოდა ეგვიპტელების სარწმუნოებას; ქურუმებს კარგად იღებდა; მსხვერპლიც კი შესწირა აპისს; ინახულა ამონის განთქმული ტაძარი, რომელიც ლიბიის ერთ უდაბნოს ოაზისში იყო აგებული. გადმოცემით ქურუმებმა მიიღეს ალექსანდრე ღმერთ ამონის შვილად და ალექსანდრეც ხელს არ უშლიდა ასეთ ხმის გავრცელებას; თუ ბერძნებს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ ასეთი ამბავი, სამაგიეროთ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახლად დაპყრობილ ხალხების თვალში. სანამ ეგვიპტედან წავიდოდა, ალექსანდრემ

მარეოტისისა და ზღვას შუა დაარსა ქალაქი, რომელიც ეხლაც არსებობს; ეს ქალაქი ალექსანდრია არის.

13. სირიაში გადაშენება. არბელას ბრძოლა. ალექსანდრემ დიდი ტერიტორია დაიპყრა, მაგრამ დარიოსს ჯერ-კიდევ მეტი სივრცის სამფლობელო ჰქონდა. სპარსეთის მეფე ბევრს სცდილობდა ახალ ჯარებისათვის თავი მოეყარა და მართლაც დიდ-ძალი ჯარის კაცები ჰყავდა მდ. ტიგროსის იქით, არბელას ახლო. ალექსანდრეც აქეთკენ გამოეშურა. პირველი შეტაკება მოხდა 331 წლის 24 სეკტემბერს; ნამდვილი ბრძოლა მოხდა ექვსი დღის შემდეგ გავგამელას ვრცელ ველზე. სპარსეთის ჯარი მეტად დიდი იყო, მაგრამ არეულ-დარეული, სულ სხვა და სხვა ხალხებისაგან შემდგარი. მაკედონელების ჯარი პატარა იყო, მაგრამ მტკიცედ შეკავშირებული და დისციპლინის მცოდნე; თან გამოცდილი აფიცრები ჰყავდა და მთელ ჯარს ალექსანდრე სარდლობდა. გარდა ამისა მაკედონელები კარგად ხედავდნენ, რომ ან უნდა გაემარჯვათ ან სიცოცხლეს გამოთხოვებოდნენ, სხვა გზა არ იყო.

ალექსანდრემ კარგად დააწყო თავისი ჯარი: შუაგულ—ფალანგის ექვსი რაზმი; მარჯვნივ და მარცხნივ—ცხენოსანი ჯარი; უკან სათადარიგო ჯარი, რომელსაც თვალ-ყური უნდა ედევნებინა მტრისათვის, რომ უკან არ მოეარა. ალექსანდრე ცხენოსან ჯარის თავში დადგა მარჯვნივ. გაცხარებულ ბრძოლის შემდეგ სპარსელების ჯარის შუაგული გააპეს. ალექსანდრე მიისწრაფოდა პირდაპირ დარიოსისაკენ, რომელსაც გარს ერტყა საუკეთესო ცხენოსანი ჯარი. მაკედონელ მეფეს წინ ვერავინ უმაგრდებოდა, მაგრამ დარიოსი მაინც გაუხლტა ხელიდან. ამ დროს დიდი არეულობა იყო დანარჩენ ბრძოლის ველზე; მაკედონელების ბანაკში შეცვინულიყვნენ ინდოელები და ცხენოსანი სპარსელები. პარმენიონი შველას თხოულობდა. არაფერიაო, შეუთვალა ალექსანდრემ პარმენიონს; თუ დავმარცხდით, აღარა დაგვჭირდება რა და თუ გავიმარჯვეთ, მტრის ქონებაც ჩვენი იქნებაო. სპარსეთის მეფე ომის გათავებამდე გაიქცა. ალექსანდრემ შუა ღამემდე სდია, მაგრამ

ვერ მოსწვდა. არბელაში ყველაფერი დაეტოვებინა დარიოსს: იარაღი, ფულები, ეტლები და ურმები, ერთის სიტყვით აუარებელი დავლა. სპარსელების ზარალი აუწერელი იყო; მაკედონელებს კი, როგორც გადმოგვცემენ, სულ 500 კაცი მოუკლეს.

14. ალექსანდრე ბაბილონში. მეფის ახალი პოლიტიკა. ალექსანდრე ბაბილონისაკენ წავიდა; ჯარი მისი ცას ეწეოდა სიხარულით და მთვრალი იყო ამდენ გამარჯვებითა და ნადავლით. როგორც ქალაქს მიუახლოვდნენ, წინ მოეგებნენ მოხუცი ბაბილონელები მდიდარ საჩუქრებითა და გვირგვინებით; უფრო მხიარულად დამარცხების მიღება შეუძლებელი იყო. მზისგან დამწვარი და ხანგრძლივ ლაშქრობით მოქანცული ჯარი თავდავიწყებით დაეწაფა აღმოსავლეთის მომხიბლველ სიამოვნებასა და განცხრომას. დღე ღამედ ჰქონდათ გადაქცეული და გრილი ღამე დღედ. ალექსანდრეს აჯიცრები, მეფის მიბაძვით, გადაიქცნენ ნამდვილ სატრაპებად: მათ სიამაყესა და ანგარებას საზღვარი არა ჰქონდა. იწყებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთმანერთში გადადნობა. ალექსანდრეს ცხოვრებისა და პოლიტიკის ასეთი ცვლილება ერთის მხრივ აუცილებელიც იყო: როგორ შეიძლება გავლენა არ იქონიოს წრემ, სადაც ადამიანი ცხოვრობს? როგორ შეიძლებოდა ამ უზარმაზარ ქვეყნის მართვა, თუ მართველი ცოტათი მაინც არ შეითვისებდა ადგილობრივ ზნე-ჩვეულებას, ტრადიციას. მაგრამ ალექსანდრე შეუგნებლად როდი დამორჩილებია ახალ ცხოვრებას; მისი სურვილი და ნება იყო, რომ ყოველ ახლად დაპყრობილ ხალხის მართვა-გამგეობა შეფერებული ყოფილიყო მის ჩვეულებასთან, კანონებთან და სარწმუნოებასთან. თავისი ასეთი განზრახვა ცხად ჰყო მაკედონიის მეფემ ჯერ კიდევ ეგვიპტეში, ტირში და ბაშილონში, სადაც მან ააშენა ბელოსის კოშკი და ძველი პატივისცემა დაუბრუნა ბაბილონის ღმერთებს. ბაბილონშივე მიიღო ალექსანდრემ დამარცხებულ არისტოკრატიის სამსახური; სომხითის სატრაპია ერთ სპარსელს მისცა, ბაბილონისა მეორეს. მართალია, ამ სატრაპების მეთ-

თვალყურეებად მაკედონელ ჯარის უფროსები იყვნენ. მაგრამ ბერძნები მაინც უკმაყოფილო იყვნენ: ამდენი სისხლი გვიღვრია, ამდენი გაჭირვება გამოგვივლია და კარგ ადგილებს ისევ სპარსელებს აძლევენო.

15. სიმდიდრისა და ფუფუნების განვითარება მაკედონელ ჯარში. ალექსანდრე პერსეპოლისში. ძალიანაც რომ მოესურვებია ალექსანდრეს ჯარში ფუფუნებისა და განცხრომით ცხოვრების არ შემშვება, ვერას გახდებოდა. ღარიბი მაკედონელი ჯარი უფრო და უფრო მდიდრდებოდა, რაც წინ მიდიოდა: სუზაში, რომელიც უომრად აიღეს, აღურიცხველი სიმდიდრე იგდეს ხელში; სპარსეთის მეფეთა საგანძურში მარტო ოქრო და ვერცხლი იყო 50.000 ტალანტი (75.000.000 მილიონი მანეთი); ფას დაუდებელი ქვები, ძვირფასი ავეჯი და ანდრიანტები კიდევ სხვა იყო. კიდევ მეტი სიმდიდრე ნახეს პასარგადაში, სადაც კიროსის საფლავი იყო; 20.000 ჯორი და 3,000 აქლემი შეიქნა საჭირო ამ სიმდიდრის გადასაზიდად. პერსეპოლისში კიდევ სულ სხვა იყო; გონება და თვალ დაბნეულ მაკედონელებმა ყვირილი ვერ შეიკავეს, როცა ამ ქალაქის საუცხოვო სასახლეები, უზარ-მაზარი ძეგლები, ლომები, ხარები და მარტორქები დაინახეს. აქ იყო სპარსეთის სამეფოს ნამდვილი გული, სრული გამოხატვა საოცარ ცივილიზაციისა, რომელსაც არც გემოვნება და არც ზომიერება ჰქონდა, მაგრამ მოკლებული არ იყო სიდიადეს. ნამდვილად არ ვიცით, მართლა გადაწვა ალექსანდრემ ეს საკვირველი ქალაქი თუ არა, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ძირიანად გაძარცვეს და მცხოვრებლები დახოცეს ან გაჰყიდეს. აუარებელ სიმდიდრით დატვირთული მაკედონელები შეუდგნენ ჩრდილოეთის გზას, მაგრამ ესენი წინანდელი მაკედონელები აღარ იყვნენ: სიმდიდრემ, რომლის არსებობაც კი არ იცოდნენ ორი თვის წინეთ, უკვე გარყვნა ისინი.

16. ალექსანდრე დარიოსს ძიდეგს. დარიოსის სიკვდილი. ალექსანდრეც დაემორჩილა ცოტათი ამდენ გამარჯვებათა დამასუსტებელსა და თავბრუს დამხვევ გავლენას, მაგრამ მაკე-

დონელ გმირს კიდევ შერჩა მოძრაობისა და ცხოვრების მოთხოვნილება, ახალ, უცნობ საქმეთა წყურვილი, გონების სინათლე და მისებური ენერგია.

დარიოსი ეკბატანაშიაც ვერ გაჩერდა და ბაკტრიანასაკენ გაიქცა. ალექსანდრე შეუსვენებლად დღე და ღამე მისდევდა უკან თავის ცხენოსან ჯარით. ასეთ თავგამოდებულ დევნით მაკედონელმა დაღალა თავისი საუკეთესო მხედრებიც კი და ბოლოს მხოლოდ 500 ცხენოსნით გამოეკიდა დარიოსს უდაბნოში ისე, რომ ერთი საათიც კი არ დაუსვენებია. ერთ დილას, როგორც იქნა, მეფის ქარავანი დაინახეს; მაგრამ გვიანღა იყო: სპარსეთის მეფე მკვდარი იყო; იგი მოეკლა სატრაპ ბესოს, რომელსაც ამით ალექსანდრეს გულის მოგება უნდოდა.

17. ალექსანდრეს ამაყობა და ახალი პრეტენზიები. მაკედონელ სარდლების უკმაყოფილება. გათავდა: ალექსანდრე მთელ დასავლეთ აზიის ბატონი იყო ხმელთა შუა ზღვიდან კასპიის ზღვამდე და სპარსეთის ყურემდე. მაგრამ მაკედონელი გაჩერებას არ ჰფიქრობდა: ძლიერებასთან იზრდებოდა მისი პატივმოყვარეობაც—სპარსეთის მეფეთა მეფის ტრადიციებმა უკვე შეიპყრეს იგი. წინეთ ალექსანდრე უბრალო, მოსიყვარულე და კარგი ამხანაგი იყო თავის მხედრებისათვის; ეხლა კი დიდის გაჭირვებით ითმენდა ამხანაგების ჩვეულებრივ თავისუფალ ქცევას; ძვირფას აღმოსავლეთურ ტანისამოსს იცვამდა, სამეფო დიადემას იხურავდა; სასახლეში ნამდვილი აღმოსავლეთური ეტიკეტი შემოიღო და თხოულობდა, რომ თაყვანი ეცათ მისთვის როგორც ღმერთ ამონის შვილისათვის. ალექსანდრეს ასეთი ქცევა ბავშვურ თავმოყვარეობის დაკმაყოფილება არ ყოფილა; ალექსანდრე კარგად მიხვდა ადგილობრივ ზნე - ჩვეულებისა და ტრადიციების ხასიათს და დაინახა, რომ ხანგრძლივ ბატონობისათვის საჭიროა ამ ზნე-ჩვეულებისა და ტრადიციების დამორჩილება. მაგრამ როგორ უნდა მიეღოთ ასეთი პოლიტიკა ბერძნებს, რომელნიც იმ თავითვე ზიზღით უყურებდნენ ბარბაროსებს და დარწმუნებული იყვნენ თავიანთ უსაზღვრო უპირატესობაში? ჯარს გამდიდრება სურდა, მაგრამ

მისივე სურვილი იყო წმინდა ბერძნულ ჯარად დარჩენილიყო. მეფის ახლობლებ შორის უკმაყოფილება დაიბადა და ამ უკმაყოფილებას არ უმალავდნენ მეფეს: მოხუცი პარმენიონი, ერთგული კრატერი და კლიტოს შავი მაღლა, დაუფარავად უსაყვედურებდნენ ალექსანდრეს მის ქცევას. ლაპარაკიდან მალე საქმეზე გადავიდნენ: პარმენიონის შვილმა ფილოტასმა გადასწყვიტა მეფის დალუპვა; ალექსანდრემ შეიტყო და შეუბრალებლად მოეპყრა დამნაშავეთ: ფილოტასი აწამეს და თავი მოჰკვეთეს; პარმენიონი, რომელიც ამ დროს ეკბატანაში იყო, ალექსანდრეს ემისარებმა (საგანგებოდ გაგზავნილი პირი) მოჰკლეს.

18. შუა აზიის დაპყრობა. კლიტოსის მოკვლა მარაკანდაში. შეთქმულთაგან განთავისუფლებული ალექსანდრე შეუდგა შუა აზიის დაპყრობას. 330 წლის სექტემბრიდან 329 წლის აპრილამდე ალექსანდრემ თითქმის უომრად მოიარა არია (ჰერატის სახანო), დრანგიანა (ავღანისტანის დასავლეთი) და არახოზია (ავღანისტანის აღმოსავლეთი); ყველგან აარსებდა სიმაგრეებს, რომელთაგან ზოგიერთი, როგორც მაგალითად ჰერატი და კანდაჰარი, დღეს დიდი ქალაქია. შემდეგ მეფე დაბრუნდა ბაკტრიანაში, სადაც დარიოსის მკვლელ სატრაპს ბესოს მეფედ გამოეცხადებია თავი. ეხლანდელ ქაბულისტანიდან ალექსანდრემ საშინელის გაჭირვებით გადაიარა ინდოელ კავკასიის (ჰინდუ-კუში) მთები, მივიდა ბაკტრაში (ბალკი), გავიდა ოქსუსზე (ამუ-დარია) და მივიდა სოგდიანაში (ბუხარა). ბესოს უღალატეს და მისცეს ხელში ალექსანდრეს, რომელმაც იგი მოჰკლა. მარაკანდაში (სამარკანდი) ცოტა ხანს შეჩერდა. დიდი ცვლილება ეტყობოდა ალექსანდრეს. გადამეტებულმა მოქმედებამ და საქმიანობამ მის ბუნებრივ ტემპერამენტთან ერთად გახადეს იგი ნერვებ აშლილ, მოუსვენარ და მეტად ანჩხლ კაცად; ხშირმა ნადიმებმა და ქეიფმა შეარყიეს მისი სხეული და გონების სწორ-წონაობაც. ერთ ასეთ ქეიფის დროს ალექსანდრემ მოჰკლა საუკეთესო თანამშრომელი და მეგობარი კლიტოს შავი, რომელმაც სიკვდილს გადაარ-

ჩინა მეფე გრანიკის ბრძოლის დროს. პლუტარხოსს ასე აქვს მოთხრობილი ეს სამწუხარო ამბავი, რომელიც სავსებით მოგვყავს, რადგან იგი კარგად ხატავს ბერძნებსა და ბარბაროსებ შორის არსებულ ანტაგონისმს და ალექსანდრეს საქმის (ბერძნებისა და ბარბაროსების შეთანხმება) სიძნელეს.

„მონადიმენი კარგად ნასვამი იყვნენ, რომ ვიღაცამ იმღერა პრანიკოსის ან პიერიონის ლექსი, რომელშიაც მაკედონელ სარდლების მწარე დაცინვა იყო. უფრო მხცოვანები, აღშფოთებულნი ასეთის შეურაცხყოფით, ლანძღავდნენ ავტორსაც და მომღერალსაც; მაგრამ ალექსანდრემა და მის საყვარელ პირებმა, რომელნიც სიამოვნებით უსმენდნენ ლექსებს, ბრძანეს სიმღერის განგრძობა. ღვინო ფორეული კლიტოსი, რომელიც ბუნებითაც სასტიკი და ამაყი კაცი იყო, ყველაზე უფრო ჯავრობდა და ჰყვიროდა, რომ უღირსობაა შეურაცხყოფის მიყენება მაკედონელ სარდლებისათვის მტრულად განწყობილ ბარბაროსების თვალწინ, იმ სარდლებისათვის, რომელნიც უბედურები არიან, მაგრამ შეურაცხმყოფელებზე ბევრად უკეთესები. ალექსანდრემ ამაზე შენიშნა კლიტოსს, რომ რასაც ის უბედურებას ეძახის, ლაჩრობაა და სხვა არაფერი. კლიტოსი წამოვარდა და ალექსანდრეს მიაძახა: „სწორედ ჩემმა ლაჩრობამ გიხსნა სიკვდილისაგან, როცა ზურგი უჩვენე სპითრიდატის ხმალს მიუხედავად იმისა, რომ ღმერთის შვილი ბრძანდები. მაკედონელების სისხლმა, მათმა ჭრილობებმა გაგხადეს შენ ისე დიდებული, რომ ფილიპეს მამობაზე უარს ამბობ და ძევს ამონის შვილობას ჩემობ!“ „უბედურო, მიაძახა ცეცხლ-მოკიდებულმა ალექსანდრემ, იმედი გაქვს, რომ დიდხანს შეგეძლება ასეთი ლაპარაკი და მაკედონელების აჯანყება ჩემ წინააღმდეგ?“ კლიტოსი არ ჩუმდებოდა.—„სიხარულის მეტი რაღა დაგვრჩენია მაკედონელებს, როცა ასეთ საზღაურს ვიღებთ ჩვენის ღვაწლისათვის, როცა გვშურს იმათი ბედი, ვინც მოკვდა და როცა სპარსელის ქომაგობა გვჭირდება ჩვენის მეფის სანახავად“. სანამ კლიტოსი ასე მოურიდებლად ლაპარაკობდა, ალექსანდრეს მახლობლები ილანძღებოდნენ, უფრო მხცოვა-

ნები კი მშვიდობიანობის ჩამოგდებას სცდილობდნენ. ალექსანდრე მიუბრუნდა ქსენოდოხოს კარდიელსა და არტემიოს კოლოფონელს: „როგორ გგონიათ, ბერძნები ისე არ არიან მაკედონოლებ შორის, როგორც ნახევრად-ღმერთები მხეცებ შორის?“ კლიტოსი არ დაცხრა და უთხრა ალექსანდრეს, რომ იგი არ უნდა იწვევდეს თავის სუფრაზე თავისუფალ და გულახდილ პირებს, არამედ უნდა სცხოვრობდეს ბარბაროსებთან და მონებთან, რომელნიც სიამოვნებით სცემენ თაყვანს ალექსანდრეს სპარსულ ქამარსა და თეთრ სამოსელს. ალექსანდრემ გონება დაჰკარგა, ვაშლი ესროლა თავში კლიტოსს და ხმალს დაუწყო ძებნა. მაგრამ ხმალი წინდაწინვე დაემალათ სიფრთხილის გამო; დანარჩენი მონადიმენი გარს შემოერტყნენ მას და ამშვიდებდნენ. მეფე გაუსხლტა მათ ხელიდან და თავის მცველებს დაუძახა. კლიტოსი მაინც არ გაჩუმდა; მეგობრებმა იგი გარედ გაიყვანეს, მაგრამ მეორე კარებით ისევ შემოვიდა, თვალი გაუყარა ალექსანდრეს. და ევრიპიდეს „ანდრომახიდან“ შემდეგი ლექსი სთქვა: „რა გარყვნილი ჩვეულება შემოიღეს ბერძნებმა!“ ალექსანდრემ გამოსტაცა შუბი ერთ მცველს და ჩასცა კლიტოსს, რომელიც იქვე წაიქცა და მოკვდა.“

19. ახალი შეთქმულებანი ალექსანდრეს წინააღმდეგ. კალისთენეს განსამართლება. ზამთარი ალექსანდრემ მარაკანდაში გაატარა და აქ ემზადებოდა ინდოეთზე გალაშქრებისათვის. წასვლამდე მან შეირთო ცოლად მშვენიერი როქსანა, წარჩინებულ სპარსელის ქალი. არც ეს მოეწონათ ბერძნებს. სულ რამდენიმე პირის გარდა მეტი წილი წინააღმდეგი იყო ალექსანდრეს პოლიტიკისა და კლიტოსსავით უყურებდა საქმეს. ამიტომ იყო, რომ უკმაყოფილება არ სცხრებოდა და რამდენიმე შეთქმულებაც გაიმართა ალექსანდრეს წინაალმდეგ. ერთ ასეთ შეთქმულებაში ერია კალისთენე ოლინთელიც, არისტოტელეს ძმისწული და მოწაფე, რომელიც თან დაჰყვებოდა ალექსანდრეს, რომ მისი საქმენი აეწერა. პირველ ხანებში მეფეს მოსწონდა კალისთენე, მაგრამ შემდეგ თავი შეა-

ძულა თავის დამცინავ ხასიათითა და მაკედონოლებისადმი ზიზღის გამოცხადებით. გარდა ამისა კალისთენე არ დაემორჩილა მეფის თაყვანისცემის შემოღებას. ეს აღმოსავლეთური ჩვეულება იმდენად გასაოცარი იყო ბერძნებისათვის, რომ კალისთენემ სიცილი ვერ შეიკავა, როცა პირველად დაინახა ეს ცერემონია. კალისთენე გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.

20. ინდოეთისაკენ გალაშქრება. ალექსანდრე პირველი ევროპიელი იყო, რომელმაც საკუთარის თვალით ნახა საიდუმლოებით მოცული ინდოეთი, სადაც ამდენი მილიონი ხალხი სცხოვრობდა და ასეთი მდიდარი ბუნება იყო. როგორი მომხიბლველი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ალექსანდრეს მხურვალე გამოხატულებაზე ამ განსხვავებულ ქვეყნის შესახებ არსებულ მდიდარ ლეგენდებს და რა მწარე გრძნობა უნდა გამოეცადა მას, როცა ჯარის კაცებმა უარი უთხრეს უფრო შორს წასვლაზე და ეს „აღთქმული ქვეყანა“ ხელიდან გამოეცალა. ამ დროს ალექსანდრეს ჯარი ასი ათასამდე მეომარს შეიცავდა, მაგრამ ნამდვილი მაკედონოლები ცოტანი იყვნენ; მეტი წილი ადგილობრივ მცხოვრებთ ეკუთვნოდნენ. 327 წელს ალექსანდრე წამოვიდა ბაკტრიანადან, გაიარა პაროპამიზოსის ხეობები და მივიდა არიელების სატახტო ქალაქში (ჰერატი), რომელსაც ალექსანდრია დაარქვა. აქედან იგი გაემართა აღმოსავლეთისაკენ და გაჰყვა კოფინეს (ქაბულ) ვიწრო და ბნელ ჭალას, რომელიც ინდუსისაკენ მიდიოდა. ბევრი ბრძოლა შეხვდა მაკედონელის ჯარს ადგილობრივ მთიულებთან და ბოლოს, როგორც იქნა მიაღწიეს მდ. ინდუსის ნაპირებს. გაზაფხულზე ინდუსის მეორე ნაპირზე გადავიდნენ და შეჰყვნენ ისეთ ადგილებს, სადაც ყველაფერი უცნობი იყო მათთვის; პირველად ნახეს გაშიშვლებული ფაკირები, რომელნიც უმოძრაოდ და ღრმა ფიქრებში გართულნი, მთელი დღეები ისხდნენ მზის მხურვალე სხივებ ქვეშ. ტაქსილის რაჯა (მთავარი) ოფისი წინ მოეგება ალექსანდრეს სპილოებითა და ბრწყინვალე ამალით. ალექსანდრე დაეხმარა ოფისს მეორე რაჯას პაუსაკატას ან პოროსის წინააღმდეგ, დაამარცხა იგი და ტყვედ

წაიყვანა; მაგრამ მალე თავისუფლებაცა და სამთავროც დაუბრუნა. მაკედონელმა დაიპყრო მთელი პენჯაბი (ხუთი მდინარეს ქვეყანა) და მიადგა ჰიფასოსს (გორრა).

21. მაკედონელები უარს ამბობენ წინ წასვლაზე. ჰიფასოს იქეთ მდ. განგის ხეობა იყო—იწყებოდა ახალი ქვეყანა, ახალი ცა და ახალი საქმეები. მაგრამ მაკედონელები იმის მაგიერ, რომ წინ ეცქირათ ალექსანდრესავით, უკან—საბერძნეთისაკენ იცქირებოდნენ ოხვრით, და არც დიდი დანაშაული იყო ეს მათ მხრივ. ამდენი გზა გამოიარეს, ამდენი ბრძოლა გადაიხადეს, სისხლის ტბები დაღვარეს და მიზანი კიდევ შორს იყო, მოსვენებას ველარ ეღირსნენ. დაქანცულობისა და უბედურებათა მიზეზით თმა გაუთეთრდათ, ხელები დაუსუსტდათ და ფეხები აღარ ემორჩილებოდნენ. მარტო ალექსანდრე, მუდამ ახალგაზდა, მუდამ დაუკმაყოფილებელი, თხოულობდა წინ წასვლას. საერთო ჩივილი გაისმა ბანაკში. ალექსანდრე, რომელიც მიჩვეული იყო ყველაფრის დამორჩილებას, მეტად გაბრაზდა ჯარის-კაცების ასეთ წინააღმდეგობის გამო. მაგრამ რა ღონისძიება უნდა ეხმარა ცრემლებსა და მუდარასთან? სამი დღე მეფე ჩაკეტილი იჯდა თავის კარავში და არავის დანახვებია: ეს დიდი სასჯელი იყო მაკედონელის ძველ მეომრებისათვის; მაგრამ სახლში დაბრუნების სურვილი ისე ძლიერი იყო, რომ ამანაც არ გასჭრა. ბოლოს ალექსანდრე იძულებული შეიქნა დაეთმო და უარ ეყო ახალი დიდება და სახელი, რომელზედაც დიდი ხანია ოცნებობდა.

22. ალექსანდრეს დაბრუნება. დაბრუნდნენ 326 წლის აგვისტოში, მაგრამ სხვა გზით: ალექსანდრე ახალის ნახვას და გამოცდას სცდილობდა ყოველთვის. ჯერ ინდუსის შესართავთან მივიდნენ. აქ ფლოტის უფროსობა ჩააბარა მეფემ ერთს თავის საუკეთესო მეგობარს ნეარხოსს და დაავალა სპარსეთის ყურეში მისი მიყვანა. თვითონ გედროზიის (ბელუჯისტანი) გზით, სადაც შიმშილითა და წყურვილით კინაღამ დაიხოცნენ, სპარსეთისაკენ დაბრუნდა. ნეარხოსი სრულებით უცნობ ზღვით ნაპირებს გაყყვა და ნიჭიერად შეასრულა მძიმე მონდობილო-

ბა; მაგრამ როცა იგი ალექსანდრეს წარუდგა, მეფემ ძლივს იცნო, იმდენად გამოცვლილიყო დაღალვისა და მგზავრობის სიძნელეთა გამო. ბრწყინვალე დღესასწაულები გადაიხადეს სუზაში ჯარისა და ფლოტის დაბრუნების გამო. ალექსანდრემ შეირთო ცოლად სპარსეთის მეფის ქალი სტატისა და თავის სარდლებსაც წარჩინებულ სპარსელების ქალები შერთო; მეფეს არ ავიწყდებოდა ბერძენ-სპარსელების შერიგებისა და შეთანხმების პოლიტიკა. ჯარის კაცებიც არ დაივიწყა მაკედონელმა: გამოუცხადა, რომ გადაიხდის ყველა მათ ვალებს; ტაბლებით გამოიტანეს ოქროები და ისე დაურიგეს მთხოვნელებს.

23. საბერძნეთის თემების მტრული განწყობილება. მაკედონელი ჯარის კაცები მაინც უკმაყოფილო იყვნენ და ალექსანდრე იძულებული შეიქნა 10 ათასი მეომარი სახლში გაეგზავნა.

არც საბერძნეთში მიდიოდა საქმე სასურველად. პატარა თემები ვერ გასცილებოდნენ თავიანთ ვიწრო წარმოდგენასა და შეხედულებას და ალექსანდრეს პოლიტიკის სიდიადე მათთვის სრულებით გაუგებარი იყო. „უნდა რომ ღმერთი იყოს და ბრძანდებოდეს“ო, ამბობდნენ ბერძნები და დასცინოდნენ იმ „მაკედონელს“, რომელიც დიდი მეფე შეიქნა. ბერძნების მორჩილება იძულებული იყო; ძველი ცეცხლი კიდევ ღვიოდა ფერფლ ქვეშ და ეს ყველასათვის ცხადი შეიქნა, როცა ალექსანდრე მოკვდა.

24. ალექსანდრეს სიკვდილი ბაბილონში. ალექსანდრე ბაბილონში დაბრუნდა. მეფე ჯერ ახალგაზდა იყო, მაგრამ იგი გატეხა ამდენმა ლაშქრობამ, მგზავრობამა და ამ სოფლის სიამეთა ხარბად დაწაფებამ. მეგობრებიც შემოეცალნენ. ეკბატანაში მან დაჰკარგა თავისი საუკეთესო მეგობარი ჰეფესტიონი. ალექსანდრე ავად გახდა, მაგრამ მაინც არ ისვენებდა და სცდილობდა განეხორციელებინა ვრცელი პროექტები: მისი განზრახვა იყო ბაბილონი იმპერიის ცენტრად და თავის სატახტო ქალაქად გაეხადა; აკეთებინებდა და ათხრევინებდა უზარ-მაზარ

აუზს, რომელიც ნავსადგური უნდა ყოფილიყო, ამზადებდა ახალ ლაშქარს და სპარსელი მეომრები შეჰყავდა თავის ჯარში. ამდენმა შრომამ და ბაბილონის ცუდმა ჰავამ ბოლო მოუღეს მაკედონელს. მკურნალებმა ვერა გააწყვეს-რა და ალექსანდრე მოკვდა 323 წელს 19 აგვისტოს. იგი მხოლოდ 32 წლისა იყო.

25. ალექსანდრეს პიროვნება და მისი საქმე. ხალხის მჭლეტ მხედართ-მთავრებ შორის არც ერთი არ არის ისე მიმზიდველი, როგორც ალექსანდრე მაკედონელი, ნამდვილი ადამიანი, ენერგიითა და სიცოცხლით აღსავსე, ხან მკაცრი და შეუბრალებელი, ხან რაინდი და მოსიყვარულე, ცუდისა და კარგის ერთგვარად ამყოლი, უკიდურეს გულისთქმათა და უკეთილშობილეს მისწრაფებათა განსაცვიფრებლად შემზავებელი. ბევრჯელ უთქვამთ, ვითომც ხალხთა ასეთი საშინელი ხელმძღვანელები მოკლებული იყვნენ კერძო ადამიანის ღირსებათ—გულახდილობას, გულითადობას, სხვის უბედურების თანაგრძნობას, მეგობრობის ღრმა და უცხო გრძნობას. ალექსანდრე ცოცხალი მაგალითია ასეთ თეორიას სიყალბისა, რომლის მიხედვით ალექსანდრესებური პირები ყოველთვის უკიდურესი ეგოისტები არიან, ცხოვრობენ განკერძოებით დაპყრობილ ხალხებ შორის და გულგრილად შესცქერიან მათ სიხარულსა თუ მწუხარებას. ლამარტინმა სთქვა ნაპოლეონ პირველზე: „მის სქელ ჯავშან ქვეშ ადამიანური არაფერი ყოფილა“. ლამარტინი უნდა სცდებოდეს; ყოველ შემთხვევაში ასეთი საყვედური ალექსანდრეზე არ ითქმის. ალექსანდრესი ის არის საყვარელი და სიმპატიის ღირსი, რომ მას ჰქონდა ღია გონება და გული, რაც ყოველ მის მოქმედებაში სჩანს, ნაზი და გულის-თქმიანი სული, რომელიც სავსებით ვერ დაემალა მეომრის ცოტა მოუხეშავ ტყავს, სულგრძელი ნდობა სხვის პატიოსნებისადმი და ჩადენილ შეცდომის ან ცოდვის გულწრფელი მონანიება. ალექსანდრე უძლიერესი და უდიდებულესი მბრძანებელი იყო, უამრავი ხალხი განრთხმული იყო მის წინაშე—ასეთ სიმაღლის მიღწევას ყველა გაურყვნია და გაუ-

ფუჭებია; მაკედონელმა კი აქაც იცოდა სიყვარული, დანაშაულის პატიება და ცოდვის მონანიება. ეს საკმარისია ალექსანდრეს სახელისათვის.

რაც შეეხება მის საქმეს, მიუხედავათ იმისა, რომ დასრულება არ დასცალდა, ძველებსაც დიდებულ რამედ მიაჩნდათ. პლუტარხოსი ამბობს: „ალექსანდრემ არ დაუჯერა არისტოტელეს, რომელიც ურჩევდა მას ბერძნებისათვის მთავრადა და ბარბაროსებისათვის ბატონად ყოფნას: ბერძნებს მოეპყარი როგორც მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, ბარბაროსებს კი როგორც პირუტყვებსა და დაბალ იარაღსო, ეუბნებოდა თავის გაზრდილს სახელოვანი ფილოსოფოსი. მაგრამ ალექსანდრე ჰფიქრობდა, რომ ღვთაებამ მას არგუნა ყველას მბრძანებელად და ყველას შემაერთებლად ყოფნა; ამიტომ იარაღით დაიმორჩილა, ვისთანაც სიტყვა არ გაუვიდა, და მეგობრობის ფიალაში აურია ზნე-ჩვეულებანი, დაქორწინება და კანონები. მისი სურვილი იყო, რომ ყოველ ადამიანს სამშობლოდ მსოფლიო ჩაეთვალა, თანამოქალაქედ და ძმად—ყოველი კეთილი კაცი, უცხოელად—ავი; არ უნდოდა, რომ გარჩევა ყოფილიყო ბარბაროსსა და ბერძენ შუა ტანისამოსისა და იარაღის მიხედვით: ყოველი კარგი კაცი ბერძენია, ყოველი ცუდი—ბარბაროსი“. ალექსანდრეს საქმის უკედ დაფასება შეუძლებელია. მართლაც, მიუხედავათ იმისა, ხედავდა თუ არა ალექსანდრე თავის საქმის ყველა შედეგს, ეს საქმე ძველ ისტორიაში დასაწყისია სულ ახალ ევოლიუციისა: ალექსანდრემ სამუდამოდ დაამსხვრია ბერძნულ თემის პატარა ნაჭუჭი, რომელიც მეტად ვიწრო შეიქნა ადამიანისათვის; ჩააჩუმა მძულვარება, რომელიც არსებობდა არათუ ტომებ შორის, თემებსა და კერძო სახლებ შორისაც კი; უჩვენა ნამდვილი ადგილი კაცობრიობის ერთ ნაწილს, რომელსაც თავისი თავი სხვაზე მაღლად მიაჩნდა, და განათავისუფლა მეორე ნაწილი უფლებისა და გონებრივ კულტურის გავრცელებით. ალექსანდრეს შემდეგ საბერძნეთი საბერძნეთში აღარ არის, იგი მთელ ქვეყანაზეა და რომაელები, რომელთაც შემდეგ დაიპყრეს ეს ქვეყანა, იყვნენ მხო-

ლოდ საბერძნეთის იდეებისა და ცივილიზაციის იარაღი, რაც მათ არც იცოდნენ და არც სურდათ.

თ ა ვ ი XXVII

ალექსანდრეს მემკვიდრეები *)

სარჩევი. 1. ანარხია ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ.—2. მემკვიდრეობის პირველი გაწესრიგება.—3. პერდიკა და ალექსანდრეს უმთავრესი სარდლები.—4. ლამიას ბრძოლა.—5. დამარცხება და სიკვდილი პერდიკასი ეგვიპტეში.—6. დამარცხება და სიკვდილი ევმენისა.—7. ოლიმპია და კასანდრი საბერძნეთში.—8. დიმიტრი პოლიორკეტე.—9. კოალიცია ანტიგონის წინააღმდეგ. იფსოს ბრძოლა (301).—10. დიმიტრის უკანასკნელი დღეები.

1. ანარხია ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ. ალექსანდრე ჯერ კიდევ არ იყო დასაფლავებული, რომ ბაბილონის ქუჩებში ბრძოლა ატყდა. რაც მაკედონელის ძლიერ ხელის შიშით მიჩუმებული იყო—სარდლების პატივ-მოყვარეობა, მძულვარება და შური—ეხლა წამოჰყო თავი წარმოუდგენელის სიმკაცრითა და სისასტიკით. ალექსანდრეს ჯერ კიდევ დაუმთავრებელ და მოუნელებელ საქმის უწესო ელემენტები ეხლა გამოჩნდნენ დღის სინათლეზე. საბერძნეთისა და დასავლეთ აზიისათვის დაიწყო ხანა ანარხიისა, განუწყვეტელ ომიანობისა, სისხლის ღვრისა და ხოცვა-ჟლეტისა.

2. მემკვიდრეობის პირველი გაწესრიგება. ვის უნდა დარჩენოდა ალექსანდრეს სამკვიდრო? თვითონ მაკედონელს არავითარი განკარგულება არ მოუხდენია, არავინ არ დაუნიშნავს მემკვიდრედ. მაგრამ კანდიდატები მაინც არ აკლდა დაცალიერებულ

*) ბიბლიოგრაფია: ძველი ავტორები—დიოდორ სიცილიელი; წ. XVIII, XIX და XX; იუსტინი, წ. XIII და XIV; პლუტარხანი, დემეტრიოსის და ევმენის ცხოვრება.

ეხლანდელი ავტორები: დროიზენი, ჰელინისმის ისტორია, ტ. II; გროტის XIX ტ.

ტახტს: ოცი, ასი ხელი იყო გაწვდენილი მემკვიდრეობის ხელში ჩასაგდებად. ალექსანდრეს ყოველი სარდალი თავისად სთვლიდა სამეფო ტახტს და უკვე ხმალს იღებდა თავის პრეტენზიის განსახორციელებლად. პირველად ეს მძიმე კითხვა გაირჩა სარდლების რჩევაში, რომელსაც თავმჯდომარეობდა პერდიკა, რადგან ალექსანდრემ მას გადასცა სიკვდილის წინ თავისი ბეჭედი. რჩევამ გადაწყვიტა, რომ მოუცადონ დედოფალ როქსანას მოლოგინებას და თუ მას ვაჟი ეყოლება, ალექსანდრეს მემკვიდრეც იგი იქნება. მაგრამ ჯარი, რომელმაც თან და თან ნამდვილ დაქირავებულ ბრბოს ხასიათი მიიღო, ლოდინის გუნებაზე არ იყო და მეფედ ალექსანდრეს ძმა არიდაიოსი გამოაცხადეს. სარდლები იძულებული შეიქმნენ ჯარის ნებას დაყოლოდნენ. როქსანასაც ვაჟი ეყოლა, რომელსაც მამის სახელი დაარქვეს, და ამ გვარად ერთის მაგიერ ორი მეფე იყო. მაგრამ მათი მეფობა უფრო სახელი იყო, ვიდრე სახრავი. როქსანას შვილი ძუძუმწოვარა ბავშვი იყო, არიდაოსი კი მეტად ჭკუა მოკლე. მთელი სამეფო სარდლების ხელში იყო. ცალკე ქვეყნების მართველები და თანამდებობის პირები არ გამოუცვლიათ: საბერძნეთი ანტიპატერს დარჩა, კრატერი სამეფოს პრეზიდენტის საპატიო სახელს ატარებდა, მელეაგრი ცხენოსან ჯარის უფროსი იყო; ლომის წილი პერდიკას ხვდა: იგი ხილიარხი იყო, მეფის შემდეგ პირველი პირი, ეხლანდელი პირველი მინისტრი ან უფრო რეგენტი. ხილიარხი მეფეს არ შორდებოდა.

3. პერდიკა და ალექსანდრეს უმთავრესი სარდლები. პირველ ხანებში პერდიკამ იმდენი ენერგია გამოიჩინა, რომ თავის თანამდებობის ღირსი სჩნდა. ჯარის კაცებს არ უყვარდათ ხილიარხი; პერდიკამ დააჭერინა ყველაზე უფრო მოუსვენარები და ჯარის თვალ წინ სპილოებს გააჭყლეტინა; მელეაგრი ავიწროებდა პერდიკას და ესეც მალე მოაკვლევინა. თუმცა ასეთი ქცევა შეეფერებოდა ნამდვილ ბატონს, მაგრამ იგი მოსაწონი არ იყო მაკედონელ წარჩინებულთათვის და პერდიკაც იძულებული შეიქნა სუქანი ადგილები დაერიგებინა თავის მდგომარეობის გასამაგრებლად. თავისთვის დაიტოვა ჯარების

მთავარ-სარდლობა და მეფის ბეჭედი; ცხენოსან ჯარის უფროსობა მისცა ახალგაზდა სელევკოსს. სელევკოსი გონიერი, მოფიქრებული და მტკიცე ხასიათის ადამიანი იყო, თან დიდი ვაჟკაცი და არა ჩვეულებრივ ფიზიკურ ძალის პატრონი; ანტიპატრის შვილს კასანდრს წარჩინებულთა რაზმის უფროსობა ერგო. მდიდარი და დიდმნიშვნელოვანი ეგვიპტე ირგუნა ლაგოსის შვილმა პტოლომემ, რომელიც ლაგიდების დინასტიის დამაარსებელი იყო; სირია, ეფრატსა და ზღვის ნაპირ შუა, მისცეს ნაკლებად ცნობილ ლაომედონს; კილიკია—ფილოტასს, დიდი ფრიგია—ანტიგონს, რომელიც უკვე ათი წელიწადი იყო ამ ქვეყნის მართველად. ანტიგონი, რომელიც ამ დროს სამოცის წლისა იყო, აუჩქარებელი, გონიერი და საქმის ჩქარა მიმხვედრი იყო. პაფლაგონიისა და კაპადოკიის მართვა-გამგეობა ჩააბარეს ევმენ კარდიელს, ალექსანდრეს მდივანს. ხერხიანი, მოქნილი და ფოლადივით მტკიცე ევმენი, შეიძლება, ყველა თანამედროეებზე გონიერი და ნიჭიერი იყო და თუ ვერ გაიმარჯვა, ამისი მიზეზი ის იყო, რომ ჩამომავლობით მაკედონელი არ ყოფილა. ევმენის წილი პროვინციები ჯერ კიდევ დასაპყრობი იყო, მაგრამ ეს გარემოება მას ვერ შეაფერხებდა. ჰელესპონტის ფრიგია, რომელიც აზიისა და ევროპის შემაერთებელ გზაზე მდებარეობდა, ლეონატოსს მისცეს; თრაკია, რომელიც მოაშორეს მაკედონიას, არგუნეს ლიზიმახოსს, რომელიც კარგ სარდლად იფვლებოდა და პერდიკას ერთგული იყო. ესენი იყვნენ ის პირები, რომელთაც ალექსანდრეს იმპერია გაინაწილეს.

4. ლაშაას ბრძოლა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა საბერძნეთში ალექსანდრეს სიკვდილის ამბავმა. რაც ალექსანდრე აზიაში წავიდა, ყოვლ სამ თვეში ერთხელ მაინც გაავრცელებდნენ მეფის სიკვდილის ამბავს; ასე რომ, როცა მართლა მოკვდა მაკედონელი, მაკედონიის მომხრეებს აღარ სჯეროდათ. „შეუძლებელიაო, ჰყვიროდა დემადე; ეს რომ მართალი იყოს, ქვეყანა ალექსანდრეს ცხედრის სუნით აივსებოდაო.“ მაგრამ ათინელები პირში დასცინოდნენ მას;

მთელი ქალაქი გიჟურმა სიხარულმა მოიცვა. ამ საერთო სიხარულის ფერხულში არ ჩაბმულა მოხუცი ფოკიონი, რომელსაც უკეთეს მომავლის რწმენა დაკარგული ჰქონდა. „ძალიან კარგი, თუ ის დღეს მკვდარი არისო, ამბობდა ფოკიონი; მაგრამ ხვალაც და ზეგაც ხომ მკვდარი იქნება და ჩვენც დრო გვექნება, კარგათ მოვიფიქროთ, თუ რა გზას უნდა დავადგეთო.“ ათინელები თამაშობდნენ და მღეროდნენ ქუჩებში და გაიძახოდნენ—კიკლოპს თვალი ამოთხარესო. ჰიპერიდე გრგვინავდა და ჭექდა ტრიბუნაზე ანტიპატერის წინააღმდეგ, „მართალია, კარგი ბატონია ანტიპატრი, მაგრამ ჩვენ სრულებით არ ვსაჭიროებთ ბატონს თუნდ კარგსაც.“ ფოკიონი ურწმუნოდ თავს აქნევდა. „როდისღა გვირჩევ, ფოკიონ, ომის დაწყებას“ ო, ეკითხებოდნენ. „როცა დავინახავ, რომ ახალგაზდანი მოვალეობის ასრულებას არ გაურბიან, მდიდრები ომისთვის ქონებას იძლევიან და ორატორები არ იპარავენ საზოგადო ფულსო.“ ასეთი კაცი აუტანელი იყო! დააბრუნეს განდევნილი დემოსთენე, გამოაცხადეს ომი და ჯარის სარდლად ლეოსთენე დანიშნეს. ათინელებს ათრობდა მარათონისა და სალამინის მოგონება, რომელიც ეხლანდელ ბერძნებსაც კი, ოცის საუკუნის შემდეგ, თავბრუს ახვევს. ლეოსთენე ჯარით თერმოპილში მივიდა და გაჩერდა, მაგრამ რაკი დაინახა ანტიპატრის სისუსტე, იერიშით მივიდა, დაამარცხა და ლამიაში მოამწყვდია. შიმშილით შეწუხებული ანტიპატერი მზად იყო დანებებოდა მტერს, მაგრამ ამ დროს ლეოსთენე მოჰკლეს და ყველაფერი შეიცვალა: ათინელებმა თავი დაანებეს ლამიას ალყას და ატიკაში დაბრუნდნენ. ზღვაზედაც დამარცხდნენ ათინელები და მეტი წინააღმდეგობაც აღარ შეეძლოთ: მაკედონელი გარნიზონი მუნიხიაში დადგა, მოქალაქის უფლება დაუტოვეს მხოლოდ იმ ათინელს, რომელსაც 2000 დრაჰმაზე (600 მ.) მეტი ჰქონდა—ათინელების ნახევარს ამაზე ნაკლები ჰქონდა; მაკედონიის წინააღმდეგ ორატორებს სიკვდილი გადაუწყვიტეს და დახოცეს. დემოსთენემ თავი მოიწამლა, რომ ანტიპატრის ხელში არ ჩავარდნილიყო.

5. პერდიკას დამარცხება და სიკვდილი ეგვიპტეში. ბევრი რამ მოხდა შემდეგ წლებში, დიდი არეულობა იყო გამეფებული, მაგრამ დაწვრილებით ყველაფრის მოთხრობა ინტერესს მოკლებულია. აზრი ყველა ამბებისა ერთი იყო—ვინ იქნება ალექსანდრეს მემკვიდრე, ვინ მოიშორებს თავიდან მეტოქეებს და განაახლებს დანაწილებულ იმპერიას?

ლეონატოსი მოკვდა. ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში პერდიკა იყო, რომელმაც ალექსანდრეს და კლეოპატრა შეირთო და რომელსაც ეხმარებოდა ევმენის ხმალი და ჭკუა. მაგრამ ვინც ყველაზე გაბატონებას ჰფიქრობს, მისი წინააღმდეგია ყველა. ანტიპატრმა ოლიმპიას (ალექსანდრეს დედა) სიძულვილითა და შიშით, კავშირით შეეკრა ანტიგონს, კრატერსა და პტოლომეს პერდიკას წინააღმდეგ სამოქმედოდ. ევმენმა დაამარცხა ანტიგონი და კრატერი; ეს უკანასკნელი მოჰკლა კიდეც. თვითონ პერდიკა პტოლომეს წინააღმდეგ წავიდა.

პტოლომე მეტად მოხერხებული პოლიტიკოსი იყო. იგი არ იყო ამაყი მაკედონელი, რომელიც ზიზღით უყურებდა დამორჩილებულ ხალხს. პტოლომე ძალიან კარგად გრძნობდა თავს ეგვიპტეში და უფრო ვრცელ იმპერიაზე არ ჰფიქრობდა. თავის ქვეშევრდომებს ეფერებოდა, პატივს სცემდა მათ ზნეჩვეულებას და ნამდვილი ეგვიპტელი გახდა; აპისს ნამდვილ ფარაონსავით სცემდა თაყვანს. ამაყი პერდიკა ვერას გახდებოდა ასეთ მეტოქესთან. მდ. ნილოსის გადასვლის დროს მან დაჰკარგა 2000 კაცი და თვითონაც მოჰკლეს მისმავე სარდლებმა. პერდიკას რეგენტობა ანტიპატერს დარჩა.

6. ევმენის დამარცხება და სიკვდილი. ლეონატოსი, კრატერი და პერდიკა აღარ იყვნენ სცენაზე; ჯერი მიდგა ევმენზე, რომელიც პერდიკას სიკვდილის შემდეგ სრულებით განმარტოებული დარჩა. შეუდარებელი ნიჭი და მოხერხება გამოიჩინა ევმენმა უამრავ მტრებთან ბრძოლის დროს, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს მისივე ჯარის კაცებმა ულალატეს და მტერს ჩაუგდეს ხელში. ბორკილ გაყრილი და შეკრული ჩაუტარეს ევმენი ჯარს; ევმენმა ზიზღით თვალებში მიაფურთხა

მოღალატეებს. ანტიგონმა დაახრჩობინა დატყვევებული გმირი (316).

7. **ოლიმპია და კასანდრი საბერძნეთში.** რა ხდებოდა ამ დროს საბერძნეთში? პერდიკას სიკვდილის შემდეგ ანტიპატერი დაბრუნდა საბერძნეთში და მალე მოკვდა კიდეც. მართველად პოლისპერხონი დატოვა და ხილიარხად საკუთარი შვილი კასანდრი. პოლისპერხონი კარგი ჯარის კაცი იყო, მაგრამ მეტად უყვარდა ქეიფი და მხიარულება; კასანდრი, მუდამ მოღუშული და ავგული, ისეთი კაცი იყო, რომელსაც სულ უბრალო იძულების ატანაც კი არ შეეძლო. ეს ის კასანდრი იყო, რომელმაც იშვიათი ბარბაროსობა გამოიჩინა ათინას დამარცხების შემდეგ: ათინელ ორატორის დემადეს შვილები მამის თვალწინ დახოცა და შემდეგ შვილების სისხლში მოსვრილი მამაც მოაკვლევინა. ასეთ ბუნების პატრონ კაცს მეორე პირობა არ შეეძლო აეტანა; მან მიატოვა მაკედონია და ანტიგონთან მივიდა ფულისა და ჯარის საშოვნელად.

პოლისპერხონი იმით სცდილობდა თავის მდგომარეობის გამაგრებას, რომ ბერძნებს თავისუფლება დაუბრუნა და ოლიმპია მიიმხრო. განდევნილები დაბრუნდნენ თავიანთ ქალაქებში და ყველგან დემოკრატია გამეფდა. საშინელი სისხლის ღვრა იყო ყოველ ქალაქში, როგორც ეს ჩვულებრივ ხდებოდა ხოლმე, როცა განდევნილი პარტია იმარჯვებდა. ათინაში სხვათა შორის აწამეს მოხუცი ფოკიონი, რომელსაც მოსამართლეებმა გასამართლებელი სიტყვაც კი არ ათქმევინეს. რაც შეეხება ოლიმპიას, ამან კიდევ უფრო გაუტეხა სახელი პოლისპერხონის პოლიტიკას. ეს ბებერი ურცხვი დედაკაცი ეპირიდან ჯარით მოვიდა, დაიჭირა თავის ქმრის უკანონო შვილი არიდაიოსი და მოიკლა შურისძების წყურვილი: მოჰკლა არიდაიოსი და მისი დედა ევრიდიკე და კასანდრის ბევრი მომხრე. არიდაიოსი და ევრიდიკე კედელში ამოაშენებინა გამხეცებულმა დედაბერმა. სისხლით მთვრალი მეგერა ამითი არ კმაყოფილდებოდა და უფრო უმატებდა სიბრაზეს; სხვათა შორის მოაკვლევინა კასანდრის ძმა. მოვიდა კასანდრი და

ანგარიში მოსთხოვა ამდენ მხეცობის ჩამდენს. ოლიმპია პიდნაში მოემწყვდა; კასანდრმა ალყა შემოარტყა; ქალაქში საშინელი შიმშილობა შეიქნა; დაიხოცნენ სპილოები და ჯარის კაცები; მძოვრის სუნი ყველას სულს უხუთავდა; ოლიმპია კიდევ ფეხზე იდგა. ბოლოს იგიც დაატყვევეს. მისგან დახოცილების ნათესავები შურისძიებას თხოულობდნენ და კასანდრმა ბრძანა მისი მოკვლა. როცა ოლიმპიამ დაინახა მის მოსაკლავად მომავალი ჯარის კაცები, ბრწყინვალედ გამოწყობილი დედოფალი, ორ მსახურ ქალზე ხელებით დაყრდნობილი, პირდაპირ მათკენ გაემართა. ჯარის კაცებმა ვერ გაუძლეს მის თვალების ელვარებას და უკან დაიხიეს. „არ შეგვიძლია, ალექსანდრეს დედა მოვკლათ“ო, გამოაცხადეს. თვითონ მის მსხვერპლების ნათესავებმა ჩაჰქოლეს იგი ქვებით: ოლიმპია ისე მოკვდა, რომ ერთი კრინტი არ დაუძრავს, ერთი ცრემლი არ გადმოვარდნია; პირიქით, სიკვდილის წინ იმას სცდილობდა გაწეწილი თმები გაესწორებია და ტანი კარგად გაეხვია მანტიაში. სამეფო სახლიდან დარჩენილი იყვნენ კიდევ—ალექსანდრეს და კლეოპატრა და ალექსანდრეს ორი შვილი, ერთი კანონიერი და მეორე უკანონო. კლეოპატრა ანტიგონმა მოაკვლევინა; შვილები ერთი კასანდრმა მოჰკლა, მეორე პოლისპერხონმა. მაკედონიის ძველი დინასტია სრულებით მოისპო.

8. დიმიტრი პოლიორკეტე. შემდეგი ომები დიდ ინტერესს არ წარმოადგენენ, მაგრამ ცოტა ხანს მაინც უნდა შევჩერდეთ, რომ გავეცნოთ დიმიტრი პოლიორკეტეს, მეტად სიმპატიურსა და მიმზიდველ ბედისმაძიებელს, როგორიც ამ გვარ ტიპებით მეტად მდიდარ საბერძნეთშიაც არ ყოფილა. დიმიტრი ანტიგონის შვილი იყო და მისი პირველი თავისებურობა ის იყო, რომ ამ რკინისა და სისხლის ხანაში მამას აღმერთებდა; არც მამას უყვარდა შვილი ნაკლებად. სიმპატიური და გონება მახვილი პოლიორკეტე (ქალაქების ამღები), მოქმედებით გაუმაძღარი და თანაც თავისუფალ დროის მოხმარების კარგი მცოდნე, დიად მისწრაფებათა ამყოლიც იყო და სულ უბრა-

ლო სისუსტისაც; ბუნებით დიმიტრი ნამდვილი ჯარის-კაცი იყო, მაგრამ თან წარჩინებულ და განათლებულ ხელოვანის ბუნება ჰქონდა. ასეთი პირი რომ სხვა დროს დაბადებულიყო, უფრო დიდი ადგილი ეკავებოდა ისტორიაში. დიმიტრი პოლიორკეტე სანახავი ათინაში იყო: ყოველ ღონეს ღონობდა, რომ თავისაკენ შიეზიდა მასავით ფაქიზი და ხელოვნების მოყვარე ათინელები, მაგრამ მასავითვე ჟინიანი და დაუდეგარი, სახელის აჩრდილის უფრო მოყვარე, ვიდრე ნამდვილ დიდებისა. დიმიტრი მამის მინდობილობით მივიდა ათინაში ქალაქის კასანდრისაგან განსათავისუფლებლად: ასეთ მდგომარეობაში იგი იყო ხალხის განმათავისუფლებელი გმირი, რომელიც ყველას თავისაკენ იზიდავდა; ხალხი აღტაცებით შეხვდა მას და არ იცოდა, როგორ გამოეხატა თავისი უაღრესი სიხარული და კმაყოფილება: გაუკეთეს დიმიტრისა და მის მამას ოქროს ქვადრიგა (ორ ბორბლიანი ეტლი), აუგეს საკურთხეველი, როგორც მხსნელ ღმერთებს, ორ უბანს ანტიგონიდა და დემეტრიადა დაარქვეს, ერთ თვეს დიმიტრის სახელი უწოდეს, აგრეთვე ყოველ თვის უკანასკნელ დღესაც; დიონისის დღესასწაულიც დიმიტრის დღესასწაულად მონათლეს. დიმიტრი სიამოვნებით იღებდა ასეთ პატივის ცემას და მეტად კმაყოფილი იყო. მაგრამ ამ დროს მამის ამბავი მოუვიდა და პოლიორკეტემ ყველაფერს თავი დაანება; გაჩნდა ომის ველზე კიპროსის ახლო და პტოლომეს ფლოტი დაამარცხა (306). სხვა მის ადგილს ამით დაკმაყოფილდებოდა, დიმიტრი კი ეგვიპტეში მიდის მტრის დასასჯელად. აქ დაამარცხეს, მაგრამ ეს მისთვის არაფერია: მუდამ მხიარული, დაუღალავი და ცნობის მოყვარე დიმიტრი ეხლა როდოსის წინ დგას, იგონებს ახალ-ახალ ხერხს და ახალ მანქანებს ქალაქის ასაღებად. როდოსელები დიდის ვაჟკაცობით იცავენ თავიანთ სამშობლოს და დიმიტრი იმიტომ კი არ ანებებს თავს ქალაქის ალყას, რომ მისი დამორჩილება უნდა, არა, იგი გულ მოსულია როდოსლებზე, რადგან ცოლის გამოგზავნილი წერილები და ხალიჩები წაართვეს. მაგრამ არც დიდი გულმოსულობა იცოდა დიმიტრიმ; მართალია, იგი

როდოსლებს ეომებოდა, მაგრამ მათ ხელოვანებს კი არა დიმიტრიმ აიღო როდოსის ერთი განაპირა ნაწილი, სადაც ცნობილი მხატვარი პროტოგენე თავის სურათს ათავებდა; მიჰმართეს პოლიორკეტეს თხოვნით ხელი არ ეხლო ხელოვნების ამ ნაწარმოებისათვის. „ბარბაროსი ხომ არ გგონივართო, უპასუხა დიიიტრიმ, მე ვარჩევ მამიჩემის პორტრეტები დავწვა, იდრე ხელი ვახო პროტოგენეს სურათს“ განა შეიძლებოდა არ ჰყვარებოდათ ისეთი პირი, რომელსაც ასეთი პასუხის მოცემა შეეძლო, მიუხედავათ ყველა მის ნაკლისა.

ბოლოს დიმიტრი იძულებული შეიქნა მბეტოვებინა როდოსი და დაბრუნებულიყო ათინაში, სადაც იგი კიდევ უფრო დიდის ამბით მიიღეს; ბინა პართენონში მისცეს და თან თავის თავს დასცინოდნენ და ამბობდნენ, რომ ასეთი სტუმარი ვერაფერი საკადრისი იყო ქალ-ღმერთისათვის. ის კი არ მოეწონათ ათინელებს, რომ საყვარელმა სტუმარმა 250 ტალანტი (375000 მანეთი) მოსთხოვა, მაგრამ რას გააწყობდნენ. ამ ფულით დიმიტრიმ სულ კოსმეტიკა და სხვა-და-სხვა სურნელება იყიდა.

9. კოალიცია ანტიგონის წინააღმდეგ. იფსოს ბრძოლა (301). ეს ყველაფერი კარგი და მშვენიერი იყო, მაგრამ დიმიტრი იმისთვის ხომ არ ყოფილა მოსული საბერძნეთში, რომ ათინელებისათვის თავი შეეყვარებია. მას უნდა გაეგდო პელოპონეზიდან პელისპერხონი და მაკედონიიდან კასანდრი. დიმიტრიმ დაიკავა პოლოპონეზი და მოკავშირეებმმა მთავარსარდლად გამოაცხადეს იგი კორინთში. მაგრამ ამ დროს მას მოუვიდა ამბავი ახალ კოალიციისა ანტიგონის წინააღმდეგ. მიუხედავათ იმისა რომ ოთხმოცი წლისა იყო, ანტიგონი მაინც ვერ დაწყნარებულიყო: მას უნდოდა ალექსანდრე მაკედონელის მთელ სიმკვიდროს ხელში ჩაგდება. ლიზიმახოსმა, კასანდრმა, პტოლომემ და სელევკოსმა დაინახეს, რომ ანტიგონი მათი საერთო მტერი იყო, და ამიტომ ერთმანერთს კავშირით შეეკრენ საერთო მტრის წინააღმდეგ სამოქმედოთ და ალექსანდრეს იმპერიის საბოლოო დასანაწილებლად (301). ანტიგონი ამ დროს ანტიგონიაში იყო ორონტზე. გვიანობის დრო

ალარ იყო და მხცოვანი სარდალი ლიზიმახოსის წინააღმდეგ წავიდა. მაგრამ ლიზიმახოსი იმდენს ეცადა, რომ სელევკოსის მოსვლამდე ანტიგონს არ შებმია. მოკავშირენი შეერთდნენ მდ. ჰალისთან; ამ დროს დიმიტრიც მოვიდა მამასთან. 301 წლის გაზაფხულზე ორივე ჯარი შეხვდნენ ერთმანერთს ფრიგიის ველზე იფსოსთან. ანტიგონი ომის ველზე მოკვდა; დიმიტრი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო ჯერ ეფესში და შემდეგ თავის საყვარელ ათინისაკენ, მაგრამ მაზე ადრე ანტიგონის დამარცხების ხმა მისულიყო ათინაში და ცხვირ წინ კარები დაუკეტეს. არც მამის სიკვდილი, და არც სამეფოს დაკარგვა არ სწყენია დიმიტრის, როგორც ათინელების ასეთი უმადური ქცევა.

10. დიმიტრის უკანასკნელი დღეები. ბედმა, რომელიც მეტად მოწყალეა თავის განებივრებულ შვილებისათვის, ერთხელ კიდევ გაუღიმა დიმიტრის. ანტიგონის წინააღმდეგ შემდგარ კოალიციამ სულ მოკლე ხანი გასტანა. სელევკოსი, რომელიც ეჭვის თვალით უყურებდა თავის მეტოქეებს, დიმიტრის დაუახლოვდა და ცოლად სთხოვა მისი ქალი სტრატონიკა. დიმიტრი ისევ ძლიერი გახდა და პირველი მისი საზრუნავი საგანი იყო მის სატრფიალო ქალაქისათვის სამაგიეროს გადახდა. ათინა ამ დროს ვიღაც ლახარეს ხელში იყო. მან ვერ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია დიმიტრისათვის და ალყა შემორტყმულ ქალაქში მწარე შიმშილი ჩამოვარდა. ათინელები იძულებული შეიქნენ ქალაქის კარები გაეღოთ. დიმიტრი პირდაპირ თეატრში წავიდა და იქ მოუყარა ხალხს თავი. საკვირველი სცენა იყო დიმიტრისა და თავმოყრილ ათინელების მთელი მოქმედება, სცენა, ღირსი დიდ ბავშვ დიმიტრისა და ათინელ ხალხისა, რომელიც მაზე ნაკლები ბავშვი არ ყოფილა. ნაღვლიანის ხმით მიჰმართა დიმიტრიმ მსმენელებს, უსაყვედურა მათი უმადურობა, „მაგრამ მაინც მიყვარხართ და მიპატიებია თქვენთვის ყველაფერი; კიდევ მეტსაც ვიზამ: თქვენ შიმშილისაგან შეწუხებული ხართ და მიჩუქებია თქვენთვის ასი ათასი საწყაო პური.“ ლაპარაკის დროს დიმი-

ტრიმ ერთი წინადადება სწორედ ვერა სთქვა და რომელიღაც მსმენელმა გაუსწორა. „გმადლობო, სთქვა დიმიტრიმ, ხუთი ათას საწყაო პურს გიმატებთ ამ გაკვეთილისათვის“. კრებულს სიხარულის ცრემლები მოერია, ყველა ყვიროდა და ერთმანეთს ეხვეოდა; დიმიტრი ისევ უსაყვარლესი პირია ათინელებისათვის და ორატორმა დემოკლიდემ მუხლ მოდრეკილი სთხოვა მას მიეღო საჩუქრად ათინელებისაგან მუნიხია და პირეოსი. დიმიტრიმ მიიღო საჩუქარი და ორივე ნავსადგური თავისთვის დაირჩინა. მაგრამ მისი მოუსვენარი გონება ერთ საგანზე დიდხანს ვერ შეჩერდებოდა. ერთ ხანს იგი მაკედონიის ბატონი იყო, მაგრამ ქვეშევრდომებს არ მოსწონდათ ასეთი უცნაური მართველი. ერთხელ დიმიტრი ქუჩაში მიდიოდა; რამდენიმე მაკედონელი მივიდა მოსეირნე მეფესთან და თხოვნები მიართვეს. მეფემ მძიმეთ მიიღო მთხოვნელები, გამოართვა თხოვნები და თავის მოსასხამის კალთაში გახვია. მთხოვნელები გახარებული იყვნენ, მაგრამ ამ დროს დაინახეს, რომ მეფემ, რომელიც უკვე ხიდზე ასულიყო, გაშალა მოსასხამის კალთა და თხოვნებიც წყალში გადავარდა. ეს, შეიძლება, სასაცილო იყო, მაგრამ მეფეს არ შეეფერებოდა. ბოლოს დიმიტრი განდევნეს მაკედონიიდან და, ათასგვარ შემთხვევების შემდეგ, ხელში ჩაუვარდა სელევკოსს, რომელმაც სირიის ერთ ქალაქში დაამწყვდია მოუსვენარი ბედის მაძიებელი. დიმიტრი მოკვდა 34 წლისა. მას დარჩა ერთი შვილი—ანტიგონი, რომელიც მამაზე გონიერი და ფრთხილი იყო. მისი ჩამომავლობა მეფობდა მაკედონიაში პერსეოსამდე, როცა მაკედონია რომაელებმა დაიპყრეს.

თავი XXVIII

ლაგიდები და სელევკიდები

სარჩევი. 1. პტოლომე I, ეგვიპტეს მეფე, ლაგიდების დინასტიის დამაარსებელი (306-283).—2. პტოლომეს მემკვიდრეები.—3. ლაგიდების დინასტიის მოსპობა. ეგვიპტეს რომის პროვინციად გახდომა.—4. სელევკიდების იმპერია.—5. სელევკიდების იმპერიის დაცემა და დანაწილება.—6. პერგამისა და ბითინიის სამეფოები.—7. პონტის სამეფო.—8. გალატები.—9. ბაკტრიანის სამეფო.—10. პართების მონარხია.

1. პტოლომე I, ეგვიპტეს მეფე, ლაგიდების დინასტიის დამაარსებელი (306 - 283). პტოლომე პირველს, რომელიც პირველი ბერძენი მეფე იყო ეგვიპტისა, სოტერს—მხსნელს ეძახოდნენ, მაგრამ უფრო შესაფერი იქნებოდა, რომ მას პტოლომე გონიერი ჰქვიებოდა. ეს ცბიერი და ხერხიანი მართველი თავის დღეში არ აჰყოლია ოცნებასა და ფანტაზიას. მას ხვდა წილად ეგვიპტე და აქვე გაჩერდა; სხვასავით არ დაუწყია ოცნებობა ალექსანდრეს იმპერიის ხელში ჩაგდებაზე. ეს კი ქნა, რომ ეგვიპტეს შეუერთა მეზობლად მდებარე ქვეყნები—კირენაიკა (აფრიკაში), ფინიკია, პალესტინა, სირია და კუნძული კიპროსი.

პტოლომე ბერძენი იყო, მაგრამ იმდენი ეცადა, რომ ეგვიპტელი გახდა, გარეგნობით მაინც. რამდენიმე მოხერხებულ ღონისძიებით პტოლომემ დაუკავშირა თავისი დინასტია ეგვიპტის ეროვნულ დინასტიას. იგი ნამდვილი ფარაონი გახდა, გვირგვინი მემფისში იკურთხა ძველ ეგვიპტურ წესზე, დიდ პატივსა სცემდა ძველ ეგვიპტის ღმერთებს და მათ მსახურებს

ქურუმებს. ეგვიპტის ხალხი, რომელიც იმ თავითვე ღრმა მორწმუნე ხალხი იყო, მადლიერი იყო თავის მეფისა.

არსებითად პტოლომე და მისი მემკვიდრეები მაინც ბერძნები იყვნენ. ოფიციალური ენა ბერძნული იყო, ჯარის კაცები ბერძნები იყვნენ; სატახტო ქალაქი ალექსანდრია—ბერძნული ქალაქი იყო. ქ. ალექსანდრია მარტო სავაჭრო ქალაქი როდი იყო: იგი ათინის მეტოქე ვახდა და შეიქნა საბერძნეთის ცივილიზაციის შესანიშნავი ცენტრო. ალექსანდრიის ლიტერატურულ მოქმედებას ვერ შეედრებოდა ნამდვილ საბერძნეთის ვერც ერთი ქალაქის ლიტერატურული ცხოვრება: დიდ-ძალი მგოსნები, გეოგრაფები და მეცნიერები იყვნენ ალექსანდრიის სასახლეში.

2. პტოლომეს მემკვიდრეები (283 - 221). პტოლომეს ტახტი დარჩა მის უფროს შვილს პტოლომე ფილადელფს, რომელიც განთქმული იყო თავის განვითარებულ გონებით, ფაქიზ გემოვნებით და მჭერმეტყველებით. ერთი თვისებით სრულებით არ ჰგავდა იგი თანამედროვეებს: ფილადელფი მელანხოლიურ, სევდიან ხასიათის კაცი იყო; ერთ დღეს ავადმყოფი და დამწუხრებული იცქირებოდა ფანჯარაში და დაინახა საბრალო მათხოვრები, რომელნიც სიცილით შეექცეოდნენ თავიანთ ხმელ პურს: „ნეტავი ერთი ამ მათხოვართაგანი გამხადაო“, წამოიძაგა სევდიანად მეფემ.

პტოლომე ფილადელფის დროს ეგვიპტე მეტად ძლიერი სახელმწიფო იყო: მას ჰქონდა 90 მილიონი წლიური შემოსავალი, აღურიცხველი ფლოტი, 200 ათასი ჯარის კაცი, 40 ათასი ცხენი და 300 სპილო.

სახელმწიფოს ეს დიდი შეძლება მოიხმარა ფილადელფის მემკვიდრემ პტოლომე ევერგეტმა. ამან ააშენა განთქმული ტაბარი ესნეჰ, სადაც ჰიეროგლიფებით მოთხრობილია ყველა გამარჯვება ტაძრის ამშენებელისა.

3. ლაგიდების დინასტიის მოსპობა. ეგვიპტეს რომის პროვინციად გახდომა. ევერგეტის სიკვდილის შემდეგ პტოლომე ფილოპატორის დროს ეგვიპტე შეიქნა ნამდვილი აღმო-

სავლეთის ქვეყანა, რომელიც ქალებისა და საჭურისების ხელში ჩავარდა. შემდეგი მეფეები დაქირავებულ ჯარების მორჩილი მონები იყვნენ, რადგან მათ ხელში იყო ტახტზე აყვანა და იქიდან ჩამოგდება. ამას მოჰყვა რომაელების საქმეში ჩარევა და კლეოპატრას ცნობილი მეფობა. ეგვიპტემ დაიწყო ნიჭიერის ჯარის კაცით და გაათავა უზნეო დედაკაცით; ეგვიპტე რომის პროვინცია გახდა (30 წ. ქრისტეს დაბადებამდე).

4. სელევკიდების იმპერია. სელევკიდების იმპერია არსებითად განისხვავებოდა ეგვიპტესაგან. სელევკოს პირველი გაბატონდა ბაბილონში მხოლოდ 312 წელს; შემდეგ დაიპყრო ტიგრის აღმოსავლეთით მდებარე სატრაპიები და ალექსანდრესავით ინდუსამდე და იაქსარტამდე მივიდა. იფსოსის ბრძოლის შემდეგ მას დარჩა სირია; შემდეგ მცირე აზიაც დაიფლო. სელევკოს პირველი მოჰკლეს 280-ში. მისი შვილი ანტიოხ სოტერი იმის ცდაში იყო, რომ თავის მრავალფეროვან იმპერიისათვის ერთობა მიეცა, მაგრამ ვერას გახდა. სამეფოს ძველი დაყოფა სატრაპიებად უცვლელად დარჩა, მხოლოდ მათ რიცხვს მიემატა. ჯარი და სასახლე ბერძნული იყო. ახალი ცივილიზაცია მხოლოდ ცოტათი შეეხო ირანსა და ტურანს (სპარსეთი ავღანისტანი, თურქესტანი), სამაგიეროდ ღრმა ფესვები გაიდგა მცირე აზიაში, სადაც ბერძნული კულტურა დიდი ხანია იყო შემოსული.

სელევკიდების შინაური პოლიტიკა ნაკლებად არის ცნობილი. ვიცით მხოლოდ, რომ დიდათ ხელს უწყობდნენ ვაჭრობის განვითარებას ინდოეთთან და ჩინეთთან. სელევკოსი ცნობილი იყო როგორც ქალაქების დამაარსებელი; უმთავრესი მათგანი არის—სელევკია ტიგრზე, რომელიც ცენტრო იყო ზემო აზიისა და სპარსეთის უბის ვაჭრობისა, და ანტიოხია, სირიაში, სადაც დიდძალი ქარავნები იყრიდა თავს.

5. სელევკიდების იმპერიის დაცემა და განაწილება. სელევკიდები სპარსეთის მეფეების ნამდვილი მემკვიდრეები იყვნენ: ახემენიდებსა და სელევკიდებ შორის გარდა ენისა დიდი განსხვავება არ ყოფილა; აზიამ შური იძია ალექსანდრე მაკე-

დონელის სარდლების შვილებზე და შვილიშვილებზე—გარყვნა და გადააგვარა ისე, როგორც საშუალო საუკუნოებში ჯვაროსნები დაასუსტა და გადააგვარა. ამიტომაც იმპერია მალე დანაწილდა. ჯერ კიდევ სელევკოსის შვილების დროს ბითინია გახდა დამოუკიდებელი სამეფო; მცირე აზიაში გალატები გამაგრდნენ; შემდეგ. პერგამის სამეფო დაარსდა. დანაწილება თან და თან უფრო ძლიერდებოდა: ვიღაც არსაკმა (ჩამომავლობა მისი არ იციან) დაარსა ეხლანდელ სპარსეთში პართების სამეფო; დამოუკიდებელი გახდა აგრეთვე პაროპამიზის იქით მდებარე ქვეყანა (ეხლანდელი თურქესტანი). სელევკოს II, გამარჯვებულად წოდებული, მუდამ დამარცხებული იყო; „ძეხთა მცემ" სელოვკოს III-ეს მეხი არავისთვის დაუცია და თვითონ კი მოჰკლეს; ანტიოხ III ძალიან დიდი აზრისა იყო თავის თავზე, თავის ქონებაზე და უძლეველ ჯარზე; მის მნახველსა და მსმენელს გაახსენდებოდა ქსერქსესი ბერძნებთან შებმამდე. უბრალო შეხვედრამ რომაელებთან დაანახვა მას, რამდენად უნიადაგო იყო მისი წარმოდგენა. დამარცხებული ანტიოხი რომის ვასალი იყო და სხვა არაფერი. დინასტია და იმპერია მოისპო 64-ში.

6. პერგამისა და ბითინიის სამეფოები. პერგამის პირველი მეფე ალექსანდრე (ატალი) იყო. მან დაამარცხა გალატები და ააშენა პერგამში მშვენიერი ტაძარი, რომლის ნანგრევები ეხლა ხან აღმოაჩინეს. ალექსანდრე კარგად ხედავდა რომაელების ნამდვილ ძლიერებას და მათი მეგობარი იყო, რომ მათი მსხვერპლი არ გამხდარიყო.

ბითინიაში განუწყვეტელი ბრძოლა იყო გალატებთან. ბითინიის მეფეთაგან ცოტათი ცნობილია პრუზიასი, რომელიც პერგამის მეფესავით რომაელების მეგობარი იყო.

7. პონტის სამეფო. პონტში მიტრიდატის დინასტია მეფობდა. ეს დინასტია წმინდა სპარსული იყო. მიტრიდატები კულტურით ნახევრად ბერძნები იყვნენ, ნახევრად ბარბაროსები. ალექსანდრემ არ წაართვა მათ სამეფო, რომელიც ჰალისის ორივე ნაპირზე მდებარეობდა. პონტსაც მოუხდა რომა-

ელებთან შეტაკება, რომელმაც ამ დინასტიას დიდი სახელი შესძინა.

8. **გალატები.** მცირე აზიის ამდენ ბერძნულ და სპარსულ სამთავროებ შორის უცბად გაჩნდა სულ სხვა ტომის ხალხი; გალატები გალები *) (კელტები) იყვნენ და არავინ იცის, თუ საიდან ან როგორ მოვიდნენ მცირე აზიაში. ჯერ ალექსანდრეს ჰქონდა მათთან საქმე, შემდეგ ლიზიმახოსს. ბიზანტიონი მათ ხარკს აძლევდა; ბითინიამ ადგილები დაუთმო, რომელიც ატალ პერგამელმა წაართვა მათ. ამის შემდეგ გალატები დაფუძნდნენ ჰალისის სათავესთან, რომელსაც გალატიას ეძახდნენ. გალატები დაქირავებულ ჯარის კაცებად მიდიოდნენ მცირე აზიის მთავრებთან. ბოლოს ისინი რომაელებმა დაიმორჩილეს.

9. **ბაკტრიანის სამეფო.** ბაკტრიანის მართველი, რომელმაც დამოუკიდებლობა იშოვა (254), დიოდოტოსი იყო. იგი ჩამომავლობით ბერძენი იყო და ბერძნულ გავლენამ აქ დიდხანს გასტანა (ეხლანდელ თურქესტანის სამხრეთ-დასავლეთი). ბაკტრიანის მართველთა შორის ყველაზე ცნობილი, რაც ძალიან ცოტას ნიშნავს, იყო ევკრატიდასი. ბაკტრიანას სამეფო მოისპო 126 წელს; იგი პართელებმა დაიპყრეს.

10. **პართების მოსახსენია.** პართელი და კიდევ უფრო მათი ისარი მეტად განთქმულია; სამაგიეროდ პართების ისტორია ძალიან ნაკლებად არის ცნობილი. ესენი, ალბად, თურქესტანის ნომადები (ეული ხალხი) იყვნენ. პართების სამეფო დაარსებულია დაახლოებით 250 წელს. ამ სამეფოს სატახტო ქალაქი იყო ჰეკატომპილე—სპარსეთში, შემდეგ კტეზიფონი მდ. ტიგრზე. მთელ თავის არსებობის დროს პართების სამეფო რომაელების შეურიგებელი მტერი იყო და რომაელებმაც ბევრი ვერაფერი დააკლეს მას. არსაკიდების ადგილი დაიკავა სპარსეთის ეროვნულმა დინასტიამ—სასანიდებმა.

---

*) ეხლანდელი ფრანგების წინაპარნი

თ ა ვ ი XXIX

თავისუფალ საბერძნეთის უკანასკნელი დღეები— აქეველების ლიგა.

სარჩევი. 1. საბერძნეთის ანარხიული მდგომარეობა ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ.—2. მაკედონია. ახალი დინასტია.—3. ეპირის მეფე პიროსი.—4. თესალია და ბეოტია.—5. ათინა.—6. ეტოლიელების ლიგა.—7. აქეველების ლიგა.—8. აქეველების ლიგა და სპარტა.—9. არატოსი.—10. აქეველების ლიგის მნიშვნელობის ზრდა. —11. სპარტას მეფე აგისი. რეფორმის ცდა და აგისის სიკვდილი. —12. კლეომენე. პოლიტიკური და სოციალური რევოლიუცია სპარტაში.—13. არატოსის ღალატი; კლეომენეს დამარცხება (222). —14. გალების შემოსევა საბერძნეთში (280—279).

1. საბერძნეთის ანარხიული მდგომარეობა. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ საბერძნეთი აუწერელ არეულ მდგომარეობაში იყო: გარდა სპარტასა და ეტოლიისა, არ იყო საბერძნეთში ისეთი თემი, სადაც წესწყობილება, მთავრობა და პოლიტიკა რამდენჯერმე არ შეცვლილიყოს და ყოველთვის ძალმომრეობისა და სისხლის ღვრის გზით. ამიტომ უნდა აღინიშნოს მხოლოდ უმთავრესი დამახასიათებელი მოვლენები.

2. მაკედონია. ახალი დინასტია. მაკედონია გალარიბებული იყო ხალხით, რადგან განუწყვეტელ ომიანობის გამო დიდძალი ჯარისკაცები მიდიოდნენ აქედან ნებსით თუ უნებლიეთ. ჯერ ანტიპატერი იყო მაკედონიის მართველი, შემდეგ კასანდრი და დიმიტრი პოლიორკეტე. ბოლოს პოლიორკეტეს შვილმა ანტიგონ გონატამ დაარსა 272 წელს ახალი დინასტია, რომელიც მეფობდა მაკედონიაში (დიმიტრი II, ანტიგონ დოზონი, ფილიპე V, პერსეოსი) 168 წლამდე, როცა ბოლო მოეღო მაკედონიის ნამდვილ დამოუკიდებლობას.

3. ეპირის მეფე პიროსი. პინდის მეორე მხარეს ეპირმა მოულოდნელად მნიშვნელობა მოიპოვა თავის მეფის პიროსის წყალობით. პიროსი (მოლოსების დინასტია) ჩვეულებრივი პიროვნება არ იყო. ჯერ კიდევ 15 წლისა იყო პიროსი, რომ ანტიგონმა უწინასწარმეტყველა პირველი მხედართ-მთავარი შეიქნებიო. ეპირის მეფე მოსული და ტანადი ვაჟკაცი იყო; სახით და მიხვრა-მოხვრით ალექსანდრე მაკედონელს ჩამოჰგავდა და სცდილობდა კიდეც მისთვის მიებაძნა; ბუნებით გონიერი და შორს გამჭვრეტი იყო, მაგრამ ამასთან გაუნათლებელი და განუვითარებელი; როგორც პოლიორკეტეს, პიროსსაც აკლდა გონების თანდათანობა და სიმტკიცე. და ეს იყო მისი უბედურება. პიროსის ცხოვრება, როგორც პოლიორკეტესი, უცხო რომანი იყო, გიჟურ და თავხედურ მოქმედებით აღსავსე. პიროსში ყველას სჭარბობდა რაინდობა-ნარევი ბრძოლის სიყვარული; მეფის შვილი იყო ჩამომავლობით, ნამდვილად კი დაქირავებულ ჯარის სარდალი იყო, რომელიც მუდამ ბრძოლას ეძებდა. პიროსი ყველგან იყო, მაგრამ არსად გაჩერებულა. იფსოს ბრძოლის დროს იგი ანტიგონის მხარეზე იყო; შემდეგ მაკედონიაში მოვიდა და დიმიტრისთან ერთად მეფობდა; მაგრამ ამათ ერთად რა გააძლებინებდათ? პიროსმა გაიმარჯვა: მაკედონელები ამბობდნენ, რომ მათ მობეზრდათ მუდამ გარედ წოლა დიმიტრის სიამოვნებისათვის; მაგრამ ნუთუ იმის იმედი ჰქონდათ, რომ პიროსი მათ მოასვენებდა? ათინაში, სადაც იგი ქალაქს იცავდა პოლიორკეტეს წინააღმდეგ, მსხვერპლის შესაწირავად ავიდა აკროპოლისში. აზრად მოუვიდა ხელში ეგდო ეს სიმაგრე და დაპატრონებოდა, მაგრამ მალე ქალაქში ჩამოვიდა და ათინელებს უთხრა: „მეგობრებო, თუ გინდათ, რომ გონიერები იყვნეთ, ნურასოდეს ნუ გაუღებთ მეფეს ქალაქის კარებს“.

პიროსი შვიდი თვე მაკედონიაში დარჩა, შემდეგ აქედან გამოაგდეს და ეპირში დაბრუნდა. ვერც აქ დარჩა დიდ ხანს. პლუტარხოსი ამბობს. „თუ თვითონ მას არ აწუხებდნენ ან ალარ აწუხებდა სხვას, ისე არ იცოდა დრო როგორ გაეტა-

რებინა". ტარენტმა (სამხრეთ იტალიაში) სთხოვა დახმარება რომის წინააღმდეგ და იქ წავიდა. ორჯელ დაამარცხა რომაელები, შემდეგ სიცილიაში გადავიდა, იქიდან ისევ იტალიაში დაბრუნდა, რომაელებმა დაამარცხეს და საბერძნეთში წამოვიდა. აქ იგი კრამიტით მოჰკლა (272) ერთმა ქალმა, როცა ძალათ არგოსში შევიდა. ასე გათავდა ბრწყინვალე, მაგრამ უსარგებლო კარიერა ეპირის მეფისა. კიდევ რომ ეცოცხლა, იგივე მოუვიდოდა, რაც მის მტერ-მოყვარე პოლიორკეტეს. პიროსის შემდეგ ეპირი ისევ დაუბრუნდა თავის უმნიშვნელო არსებობას.

4. თესალია და ბეოტია. თესალია მაკედონიას ეკუთვნოდა და ეს გარემოება, როგორიც არ იყო მაკედონიის მთავრობა, დიდი სიკეთე იყო ამ ქვეყნისათვის, სადაც მცხოვრებლების მოუსვენარობის გამო შეუძლებელი იყო ყოველი თავისუფალი ცხოვრება.

ბეოტია თითქმის თავისუფალი იყო; თება ისევ აღადგინა კასანდრმა; მაგრამ გარყვნილება, ლოთობა და სიზარმაცე არსად ისე არ ყოფილა განვითარებული, როგორც ამ ქვეყანაში. პოლიტიკას სრულებით დაანებეს თავი ბეოტიელებმა და სულითა და ხორცით ლოთობაში და გარყვნილებაში ჩაეფლენ.

5. ათინა. ათინა ისევ იყო გონებისა და ხელოვნების სატახტო ქალაქი, მაგრამ მისი პოლიტიკური მნიშვნელობა დიდი არ ყოფილა. სალამინი, პირეოსი, მუნიხია მაკედონელების ხელში იყო. ფუფუნება და განცხრომა, უთუოდ აღმოსავლეთის ზედგავლენით, მეტად განვითარებული იყო.

6. ეტოლიელების ლიგა. შუა საბერძნეთში ამ დროს მარტო ეტოლიელებს ჰქონდათ ცოტაოდენი მნიშვნელობა. საკვირველია, რომ ხალხი, რომელზედაც აქამდე არც კი ულაპარაკნიათ, ეხლა ასე წამოიწია წინ. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეტოლიელები მოშორებული იყვნენ დანარჩენ ბერძნებს და მათ ცივილიზაციას; ისინი სცხოვრობდნენ თავიანთ მთებში და მწყემსობდნენ ან ყაჩაღობდნენ. ეტოლიელები და-

ყოფილი იყვნენ რამდენიმე ნაწილად, რომელთა შორის თითქმის არავითარი კავშირი არ ყოფილა. როცა ეს გაბნეული ნაწილები მჭიდროდ შეკავშირდნენ, ეტოლია შეიქნა ძალა. პირველად ეტოლიელების ლიგა გამოჩნდა დიმიტრის შვილის ანტიგონ გონატას დროს. ლიგის ცენტრო იყო თერმოსი, სადაც შენახული ჰქონდათ იარაღი, ფული, ფიალები და ძვირფასი ტანისამოსები. აქ შეკრებილი ეტოლიელები სვამდნენ, თვრებოდნენ; აქვე ჰქონდათ თათბირი, თუ სად ან ვის დასხმოდნენ თავზე. ეს იყო ლიგა საბერძნეთის იარაღით ექსპლოატაციისა. არავითარი პოლიტიკური აზრი ამ ლიგას არ ჰქონია. იგი უფრო ავაზაკების ბრბო იყო, ვიდრე პოლიტიკური კავშირი.

7. **აქეველების ლიგა.** პელოპონეზშიაც იყო ერთი ლიგა, მაგრამ იგი უფრო მნიშვნელოვანი და, რასაკვირველია, უფრო პატიოსანიც იყო. აქაიის ოთხმა ქალაქმა განდევნეს თავიანთი ტირანები და მათი გარნიზონები; რამდენიმე სხვა ქალაქიც შეუერთდა მათ და განაახლეს გარეშე მტრისაგან თავის დასაცველად აქეველების ძველი კონფედერაცია. შეერთებული თემები წარმოადგენდა ფედერაციულ სახელმწიფოს, როგორც ეხლანდელი შვეიცარიაა. ჰქონდათ ერთი ფული, ეთრი საზომი და საწყაო, მაგრამ თავ-თავიანთი განსხვავებული ზნეჩვეულებაც. ლიგის ჯარების უფროსად ირჩევდნენ ყოველ წელს ორ სტრატეგს; აღმასრულებელი უფლება ჰქონდა გრამატევსს, რომელიც ეხლანდელ ფედერატიულ რჩევის თავმჯდომარეს ჰგავს. გრამატევსს რიგ-რიგად ირჩევდნენ ყოველ თემში და წელიწადს მისი სახელი ერქვა. წელიწადში ორჯელ სამის დღის განმავლობაში ლიგის საზოგადო კრება იყო ხოლმე ეგიონში.

8. **აქეველების ლიგა და სპარტა.** ლიგა მარტო თავის ძალ-ღონით ბევრს ვერას გააწყობდა, მით უმეტეს, რომ მუდმივი მტრობა ჰქონდა მაკედონიასთან, რომელიც თავისთვის ოცნებობდა ლიგის დაარსებას. ამიტომ აქეველებისათვის საჭირო იყო დანარჩენ პელოპონეზის შემოერთება, მაგრამ უმთავრესი

თემი სპარტა უძლეველ წინააღმდეგობას უწევდა ლიგას. სპარტაში ჯერ კიდევ მოქმედებდა ლიკურგოსის კონსტიტუცია, რომელიც დიდი ხანია ხალხის მოტყვილება იყო და მეტი არაფერი. სულ დიდი ასი ოჯახის ოლიგარხია მართავდა სპარტას და მის ხელში იყო მთელი საკუთრება.

სპარტას წინააღმდეგობის გამო აქეველების ლიგას გავლენა არ ჰქონია; ასეთ მდგომარეობიდან ლიგა არატოსმა გამოიყვანა. ამ დროს ჯარის ხელ-მძღვანელობის ერთიანობისათვის ლიგამ გადასწვიტა ორის მაგიერ მხოლოდ ერთის სტრატეგის არჩევა.

9. არატოსი. კლინიას შვილი არატოსი სიკიონელი იყო; სიკიონი ამ დროს პელოპონეზში ყველაზე ბრწყინვალე და ცოცხალი ქალაქი იყო. არატოსის მამა მოჰკლა 264-ში აბანტიდასმა, რომელიც სიკიონის ტირანად გახდა. არატოსი ამ დროს შვიდი წლისა იყო; იგი შეიბრალა ერთმა ნათესავმა ქალმა და დამალა, რადგან ბავშვების დანდობაც არ იცოდნენ ამ საშინელ შინაურ ომიანობის დროს. პატარა ობოლი არგოსში წაიყვანეს და იქ გაიზარდა. სიკიონის ტირანებს არ დავიწყებიათ იგი და შორიდან თვალყურს ადევნებდნენ მის ყოფა-ქცევას. როცა არატოსი დავაჟკაცდა, მიჰმართა მაკედონიასა და ეგვიპტეს, მაგრამ არა გამოუვიდა-რა. მაშინ გადაწყვიტა თვითვე ემოქმედნა; იგი შეუერთდა სხვა დევნილებს და შეთქმულება მოახდინა. მიზანს სისხლის დაუღვრელად მიაღწიეს: ტირანი განდევნეს და განდევნილები, რიცხვით ექვსასამდე, დააბრუნეს. არატოსის მეცადინეობით სიკიონი აქეველების ლიგაში შევიდა. ძველი დორიული ქალაქი აქეველების მხარეზე გადავიდა და შესძინა ლიგას დიდი მატერიალური დახმარება და თავისი ხერხიანი გეოგრაფიული მდებარეობა. მაგრამ ამასთან ლიგამ უფრო მეომარი ხასიათი მიიღო და მაკედონიის მტერი შეიქნა; სამაგიეროდ იგი გახდა მეგობარი ეგვიპტესი და პტოლომესა, რომელმაც 150 ტალანტი გამოგზავნა დაბრუნებულ გადახვეწილების სასარგებლოდ. არატოსი თვითონ იყო ეგვიპტეში კავშირზე მოსალაპარაკებლად.

10. აქეველების ლიგის მნიშვნელობის ზრდა. არატოსმა სხვა უფრო დიდი სამსახური გაუწია ლიგას. როცა ლიგამ პირველად ამოირჩია იგი სტრატეგად, კავშირით შეეკრა ბეოტიელებს ეტოლიელების ლიგის წინააღმდეგ და ბრძოლა შუა საბერძნეთში გადაიტანა. არატოსს ვაჟკაცობას უწუნებდნენ—პირდაპირ მტერს ვერ შეებმისო, მისი საქმე ქურდული სათარეშო ომი არისო, მაგრამ მალე წინააღმდეგი დაამტკიცა: როცა მეორედ აირჩიეს სტრატეგად, ერთის იერიშით აიღო აკროკორინთი, სადაც ანტიგონ გონატა იყო გამაგრებული. კორინთი, რომელიც მთელ საუკუნის განმავლობაში თავისუფლებას იყო მოკლებული, აქეველების ლიგაში შევიდა. ამითი ლიგა მეტად დიდმნიშვნელოვანი ხდებოდა—პელოპონეზის გასაღები მის ხელთ იყო; ლიგას შეუერთდნენ აგრეთვე მეგარა, ტრეძენა და ეპიდავრი. ეხლა აქეველების კონფედერაციამ ათინისაკენ და არგოსისაკენ დაიწყო ყურება.

მაგრამ არატოსი ახალ სკოლის პოლიტიკოსი იყო; იგი უნდა თვალით უყურებდა აქაიის გატაცებას თავისუფლების სურვილით, რადგან კარგად ხედავდა, რომ ლიგა ვერ გაუმკლავდებოდა მარტო მაკედონიას; ამიტომაც მან შემოიყვანა ლიგაში პტოლომე ევერგეტი და ამოარჩევინა იგი ჯარისა და ფლოტის უფროსად. ეს გარემოება ხსნის აგრეთვე არატოსის ქცევას სპარტას მეფე აგისისადმი.

11 სპარტას მეფე აგისი. რეფორმის ცდა და აგისის სიკვდილი. ლაკონელების თემი ძალიან გამოცვლილი იყო: სახელით კიდევ არსებობდა ლიკურგოსის კონსტიტუცია, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნობა იყო, რომელიც ჰფარავდა რიცხვით მცირე არისტოკრატიის ტირანიას. სპარტიატების რიცხვი სულ ‘მცირდასი იყო; მთელი ადგილ-მამული ასი ოჯახის ხელში იყო. დანარჩენი გაღარიბებული სპარტიატები ვერ იღებდნენ მონაწილეობას სისიტიაში (საერთო ნადიმი) და, მაშასადამე, ვერ სარგებლობდნენ სპარტიატის უფლებებით. მრეწველობა და ვაჭრობა პერიეკების ხელში იყო, მაგრამ ამათ არავითარი პოლიტიკური უფლება არ ჰქონდათ; ჰილოტები, როგორც წინეთ,

ეხლაც ყმები იყვნენ. გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ ასეთმა მდგომარეობამ რევოლიუცია გამოიწვიოს. როგორც სხვაგანაც მომხდარა, საქმე აქაც უპირატესობიან წრიდან დაიწყო. მეფე აგის IV ოცნებობდა სპარტიატების ძველ კანონებისა და დისციპლინის დაბრუნებაზე. ხალხი, რომელსაც სახელოვანი წარსული აქვს, ხშირად უკან იხედება და სცდილობს წარსულის განახლებას, რაც ცხოვრების ახალ პირობების გამო შეუძლებელი ხდება. აგისი გატაცებული თაყვანის მცემელი იყო სპარტას წარსულისა. პირველად მან სცადა სპარტას სამხედრო მდგომარეობის აღდგენა პელოპონეზში; არატოსმა და აქეველებმა გააჩერეს იგი. მეფეს რამდენიმე მასავით გატაცებული ახალგაზდა ეხმარებოდა, მაგრამ მისი წინააღმდეგი იყვნენ—მეორე მეფე, მთელი ოლიგარხია და განსაკუთრებით ქალები, რომელნიც გამდიდრებულიყვნენ და, რასაკვირველია, არ სურდათ ძველ სასტიკ წესებს დამორჩილებოდნენ. აგისმა გადააყენა მეორე მეფე, გამოსცვალა ეფორები და საპატიმროდან გამოუშვა, ვინც ვალში იყო დატუსაღებული; მისი განზრახვა იყო ვალების მოსპობა და მამულების ახალი განაწილება. მაგრამ აქ ბიძამ აგეზილაოსმა მოატყუილა: აგეზილაოსი ძალიან დავალიანებული იყო და მისი ინტერესი მოითხოვდა, რომ აგისის რეფორმის პირველი ნახევარი განხორციელებულიყო უმეოროთ. ამავე აგეზილაოსმა, აგისის სპარტაში არ ყოფნის დროს, ნამდვილ მტარვალურად მართა სახელმწიფო და როცა აგისი დაბრუნდა, ყველაფერი დაღუპული იყო. იგი გამოიტყუილეს ათინის ტაძრიდან, სადაც შეფარებული იყო და თავის დედასთან ერთად მოჰკლეს (241). აგისი სულ ოცდა სამის წლისა იყო.

12. კლეომენე: პოლიტიკური და სოციალური რევოლიუცია სპარტაში. აგისი საავსებით არ მომკვდარა. აღმოჩნდა მისი შურის მაძიებელი; ეს იყო კლეომენე, რომლისთანა საინტერესო და სიმპატიური პირი სპარტას არ ჰყოლია. კლეომენე გაიზარდა იმ დროს, როცა ახალგაზდობა გატაცებული იყო აგისის სახელით; თვითონ კლეომენეს მამა ლეონიდასი

იყო გმირის მკვლელი და მისი ქვრივის ცოლად შემრთველი. აგისის ქვრივს დიდი და კეთილი გავლენა ჰქონდა კლეომენეზე. გარდა ამისა მისი მასწავლებელი იყო სტოიკ ზენონის ერთი მოწაფე, რომელმაც ასწავლა ახალგაზდა სპარტიატს თავის ფიცხელ ტემპერამენტის მორევნა. აგისსავით კლეომენესაც სურდა სპარტას განახლება და საბერძნეთის სათავეში დაყენება; მაგრამ აგისისავე მაგალითმა უჩვენა მას, რომ მიზნის მიღწევა მხოლოდ ძალით შეიძლებოდა. ერთ ხანს კლეომენე მალავდა თავის განზრახვებს. მხოლოდ მეგალოპოლისის ბრძოლის შემდეგ, რომელიც მან აქელეებს მოუგო, გადასწყვიტა თავის განზრახვის განხორციელება. უმთავრესი მუხლები კლეომენეს პროგრამისა იყო—ეფორატის მოსპობა და ადგილ-მამულის ახალი განაწილება. ეფორები შეკრებილი იყვნენ სისიტიონში; კლეომენე რამდენიმე მეგობრით თავს დაესხა მათ და ყველა დახოცა ერთის გარდა, რომელმაც ტაძარს შეაფარა თავი; მეორე დღეს ოლიგარხიის 80 წევრი გააძევა და სახალხო ყრილობა მოახდინა თავის გასამართლებლად, ეფორების უსამართლო ქცევის დასამტკიცებლად და იმის გამოსაცხადებლად, რომ ვალები მოსპობილი იქმნება და ადგილ-მამულის ახალი განაწილება მოხდება.

მართლაც, ვალები მოისპო (რა სახით, არ იციან), ადგილ-მამული ხელ-ახლად გაანაწილეს; სპარტიატების ჯარი შეაიარაღეს მაკედონურ წესზე; ბავშვების ძველებური აღზრდა შემოიღეს: ვარჯიშობა და საერთო პურის ჭამა ისევ დააწესეს. კლეომენემ დაიწყო მეფობა ძველ სპარტანულ წესზე; მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი მკაცრი და მოუხეშავი იყო; პირ იქით, როგორც ამბობენ, კლეომენე მეტად მოსიყვარულე და მიმზიდველი იყო თურმე.

13. არატოსის დიდი ღალატი; კლეომენეს დამარცხება (222). მაგრამ კლეომენეს მტრები ჰყავდა და პირველი მათ შორის არატოსი იყო; არატოსს ეშინოდა ლიგისათვის, რომელსაც კლეომენემ უკვე წაართვა მანტინეა; მას ეშინოდა უფრო თავის თავისათვის და მოამზადა თავისი დიდი ღალატი. რომ პელოპონეზი კლეომენეს არ რგებოდა, მან არჩია მისი

გადაცემა მაკედონიის მეფისათვის, რომელმაც გირაოდ აკროკორინთის დაბრუნება მოითხოვა. არატოსი ჯერ დიდ რყევაში იყო. ამ დროს კლეომენე სიკიონს მიადგა. არატოსმა ქალაქს თავი დაანება და მივიდა ეგიონში, სადაც ლიგას მაკედონიის მეფის მოწვევა გადააწყვეტინა. მაკედონელი ჯარი მაშინვე დაიძრა პელოპონეზისაკენ, გადაიარა კორინთის ყელი და დაიკავა აკრო-კორინთი; კლეომენე იძულებული შეიქნა გაბრუნებულიყო თავის ჯარით. მაკედონიის მეფე ანტიგონი ისე იქცეოდა აქაიაში, როგორც მეფე; არატოსი კი იყო მისი მორჩილი მსახური; ლიგას უნდა ერჩინა თელი ზამთარი მაკედონელების ჯარი. 222 გაზაფხულზე მაკედონელი ჯარი ისევ შეუდგა მოქმედებას, ძირიანად დაანგრია მანტინეა და ბოლოს კლეომენეც დაამარცხა სედაზისთან (221). უბედური მეფე ძლივს გადარჩა სიკვდილს და სპარტაში მოვიდა. იგი დაქანცული და სასოწარკვეთილი იყო. ცოტა ფიქრის შემდეგ კლეომენე ისევ შეჯდა ცხენზე და გითიონში წავიდა; აქედან ეგვიპტეში გადავიდა, სადაც ორი წლის შემდეგ დაიღუპა, ანტიგონი მივიდა სპარტაში და ისევ ოლიგარხიული წესი აღადგინა.

14. გალების (გელტების) შემოსევა საბერძნეთში. საბერძნეთის ამდენ შინაურ უბედურებას ზედ დაერთო გალების შემოსევაც (280). ეს ხალხი, რომელთანაც ალექსანდრე მაკედონელს მეფობის დაწყებისათანავე ჰქონდა საქმე, მოდებოდა მდ. დუნაის ჭალებს. ერთი ნაწილი პირდაპირ მაკედონიაში ჩამოვიდა; აქ მათ მოჰკლეს მეფე პტოლომე და გაიარეს ბერძნები თერმოპილთან უცდიდნენ ბარბაროსებს; მაგრამ, როგორც სპარსელების დროს, მტერმა შემოუარა თერმოპილის კარს და პირდაპირ დელფისაკენ გასწია, სადაც დიდძალი სიმდიდრე ეგულებოდა. გალები მივიდნენ დელფთან, იერიშით აიღეს იგი და შეუდგნენ კიდეც ტაძრის გაძარცვას, რომ ამ დროს საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. თითონ ღმერთი კისრულობდა თავის ტაძრის დაცვას. ჭექა-ქუხილი საშინელის ხმაურობით ისმოდა ღრმა ხეობაში და შიშს გვრიდა ცრუმორ-

წმუნე ბარბაროსებს; პარნასის მწვერვალი, რომელიც დაფარული იყო ბნელის ღრუბლებით, განათდებოდა ხოლმე ერთბაშად ელვის გამო და ბარბაროსებს კი ღმერთის საშინელ ძალად ეჩვენებოდათ. გალები შიშმა აიტანა, მიატოვეს თავიანთი ნადავლი და უგზო-უკლოდ გაიქცნენ; უკან ბერძნები მისდევდნენ და ხოცდნენ. 30 ათასი გალი დაიღუპა; ცოცხალი სულ ცოტაღა გადარჩა.

თავი XXX

თავისუფალ საბერძნეთის უკანასკნელი დღეები. რომაელები საბერძნეთში*)

სარჩევი. 1. საბერძნეთის ვითომდა დაცემა; რომაელების გამარჯვების მიზეზი.—2. მაკედონია-საბერძნეთის კონფედერაციის ცდა ანტიგონ დოზონის მხრივ.—3. ფილიპეს უმოქმედობა. რომაელებს თვითონ ბერძნები იწვევენ.—4. ფილოპომენი.—5. რომაელების ჩარევა მაკედონიის საქმეებში.—6. ფლამინინუსი.—7. თესალიაში გალაშქრება; კინოკეფალას ბრძოლა.—8. ბერძნების განთავისუფლება.—9. რომაელების ზომები; ბერძნების უკმაყოფილება.—10. რომაელების დაბრუნება საბერძნეთში; ეტოლიელები. სირიის მეფე ანტიოხოს.—11. ბრძოლა საბერძნეთსა და მცირე აზიაში.—12. აქეელების ლიგა და რომაელები. ფილოპომენის სიკვდილი.—13. მაკედონია და რომაელები. პერსეოსი.—14. რომაელების ბრძოლა პერსეოსთან. პავლე ემილიუსი. პერსეოსის დატყვევება.—15. აქეელების ლიგის უკანასკნელი დღეები. კორინთის აღება და დაქცევა.

1. საბერძნეთის ვითომდა დაცემა; რომაელების გამარჯვების მიზეზი. ორი შემოსევა იყო საშიში საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის; ერთი სპარსელების შემოსევა იყო ალ-

---

*) ბიბლიოგრაფია: ძველი ავტორები—1) პლუტარხოსი—ფილოპომენის, პავლე ემილიუსის და ფლამინინუსის ცხოვრებანი; 2) პოლიბიოსი—წ. IV, V, VI, XVI, XVII, XVIII, XX, XL.

ეხლანდელი ავტორები: 1) დროიზენი 2) ჰერცბერგი (საბერძნეთი რომაელების მფლობელობის ქვეშ), 3) კულანჟი—პოლიბიოსი და საბერძნეთის დაპყრობა რომაელების მიერ 4) მომზენი—რომის ისტორია ტ. III, წ. III, თ. VIII, ტ. IV, წ. III, თ. X.

მოსავლეთიდან, მეორე — რომაელების დასავლეთიდან. ბერძ-ნებმა უკუაქციეს სპარსელები სპარტასა და ათინას ერთობის, მხურვალე მამულისშვილობისა და, განსაკუთრებით, მტრის უვარგის ორგანიზაციის მიზეზით. რომაელებმა კი გაიმარჯვეს, რადგან უკეთესი მეომრები იყვნენ და სამხედრო ხელოვნებით იმდენად მაღლა იდგნენ ბერძნებზე, რამდენად სხვა მხრივ ჩამორ-ჩენილები იყვნენ. როცა რომაელები მოვიდნენ საბერძნეთში, არც მატერიალური და არც გონებრივი ძალა არ აკლდა ბერძენ-თა ერს. საბერძნეთი იყო და დარჩა ბოლომდე ცივილიზაციის სული და გული: მისი ენა, ხელოვნება და გავლენა გაბატონე-ბული იყო იტალიიდან დაწყებული, საიდანაც რომაელები მოვიდნენ, ინდუსამდე, რომელიც ალექსანდრემ გადაიარა. სა-ბერძნეთი იმიტომ კი არ დაეცა, რომ საზოგადოთ დაცემული იყო; არა, აქ იგი დაემორჩილა „უფრო ძლიერის“ კანონს, და თუ მართალია, რომ ხან-და-ხან სკოლის მასწავლებელი იგებს ბრძოლას, საბერძნეთში ეს არ გამართლდა. რომაელმა ლეგიო-ნერმა გაიმარჯვა და სკოლის მასწავლებელმა ბერძენმა შემ-დეგ გადაუხადა სამაგიერო: მიაღებინა რომაელებს თავისი ცივილიზაცია, რომელიც რომაელმა ცენტურიონმა (ასისთავი) დაიმონავა.

2. მაკედონია-საბერძნეთის კონფედერაციის და ანტიგონ დოზონის მხრივ. საბერძნეთს ემუქრებოდა პირველ ხარის-ხოვანი სამხედრო სახელმწიფო და მისი ხსნა შეუძლებელი იყო, თუ რომელიმე მეორე ძლიერი სახელმწიფო არ დაეხმარებოდა. ბალკანეთზე მარტო მაკედონიას შეეძლო წინააღმდეგობა გაე-წია რომისათვის. მარტო საკუთარის ძალ-ღონით იგი ვერა-ფერს გააწყობდა, მაგრამ თუ ბერძნების კოალიციის მოთავე გახდებოდა, ბრძოლა შესაძლებელი იყო. ანტიგონ დოზონი ამას მიმხვდარი იყო. კლეომენეს დამარცხების შემდეგ მან სცადა სიმახვის ან მაკედონია-საბერძნეთის კონფედერაციის შექმნა; კონფედერაციის წევრები უნდა ყოფილიყვნენ—მაკე-დონია, თესალია, ბეოტია, ფოკიდა, ეპირის თემები, აკარნა-ნია, აქეველების ლიგა და ლაკონია. მაგრამ ანტიგონი მალე

მოკვდა; მის მემკვიდრე ფილიპე V-ს კი კიდეც რომ შესძლებოდა ანტიგონის განზრახვების გაგება, ვერ შეასრულებდა, რადგან მოკლებული იყო ენერგიასა და სიმტკიცეს.

კარგი მრჩეველები არ აკლდა ფილიპეს. მისმა მეგობარმა დიმიტრი ფაროსელმა მიუთითა მას იტალიაზე, სადაც ამ დროს დიდი დუელი იყო რომსა და ჰანიბალ შორის. 217-ში ნავპაკტის საერთო კრებაზე აგელაოს ეტოლიელმა ცხადათ უწინასწარმეტყველა ბერძნებს, თუ რა იყო მოსალოდნელი: „მე ვხედავ დასავლეთით შავ ღრუბელს, რომელიც სულ იზრდება; მოვსპოთ ჩვენი ბავშვური კინკლაობა, სანამ იგი თავზე არ დაგვცემია.“

3. ფილიპეს უმოქმედობა. რომაელებს თვითონ ბერძნები იწვევენ. დიდი განსაცდელი უახლოვდებოდა საბერძნეთს. ბოლოს ფილიპესაც აეხილა თვალი და ჰანიბალს საიერიშო და საგერო ტრაკტატით შეეკრა. ამ ხელშეკრულების პირობები მართლა რომ შეესრულებინათ, რომის საქმე კარგად ვერ იყო. მაგრამ ფილიპე ეტოლიაში იბრძოდა და დრო გაუშვა; რომაელები მტკიცედ და ფრთხილად იყვნენ, ჰანიბალის ვარსკვლავი ჩაჰქრა და როცა მაკედონელებმა მოისურვეს სცენაზე გამოსვლა, გვიანღა იყო. ბერძნებმა დაივიწყეს ნავპაკტში დადებული ფიცი და აღარ მოინდომეს მაკედონიის მეფესთან ერთად მოქმედება. არატოსი, რომელმაც სრულებით დაჰკარგა ფილიპეს იმედი, მოკვდა ან, შეიძლება, თვითონ ფილიპემ მოაწამვლინა. ღარიბი და ნაკლებად პატიოსანი ეტოლიელები, რომელნიც უკვე იცნობდნენ რომის ოქროს, პირობით შეეკრენ რომაელებს. ამ პირობის ძალით, რამდენ მიწასაც არ დაიპყრობდნენ კორკირამდე, ეტოლიელების იყო, მოძრავი ქონება და მცხოვრებლები კი რომაელების. სპარტა და ატალ I პერგამელიც შეუერთდნენ ამ ხელ-შეკრულებას, თვითონ ბერძნებს შემოჰყავდათ მტერი თავიანთ ტერიტორიაზე. ბოლოს აქეელებიც ჩამოშორდნენ ფილიპეს და ფილოპომენთან ერთად სცდილობდნენ პელოპონეზე გაბატონებას.

4. ფილოპომენი. ფილოპომენი პირველად ყოვლისა ჯარის კაცი იყო. ჩვეულებრივ ისე ყავთ იგი წარმოდგენილი, თითქოს თავის დროისათვის განსხვავებულ რასმე წარმოადგენდეს. ნამდვილად კი ფილოპომენი ღვიძლი შვილია ამ დროის საბერძნეთისა, სადაც სამხედრო ნიჭი არა თუ არ შესუსტებულა, პირიქით კიდევ უფრო ბრწყინავდა. არასოდეს საბერძნეთს ამდენი არ უომნია და თუ სამხედრო მამაცობის გაჰქრობაა ხალხის დაცემის ნიშანი, ამ დროის ბერძენს ეს თვისება არ ჰკლებია.

ფილოპომენი (მეგალოპოლისიდან იყო) ცხოვრებდა მხოლოდ ბრძოლისათვის; გატაცებული ემზადებოდა იგი ბავშვობიდან ამ ხელობისათვის; რადგან მეგალოპოლისს განუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდა ლაკონელებთან, ფილოპომენს გასაწვრთნელი სამხედრო სკოლა არ აკლდა. იმ თავითვე შეაჩვიმან თავისი სხეული ყოველგვარ გაჭირვებას და ტაროსს: ნადირობდა, მიწას ამუშავებდა და იქვე მიწაზე იძინებდა მუშებთან ერთად. ყველა ამის მიზანი ერთი იყო— სხეულის გამაგრება. ფილოპომენს გატაცებით უყვარდა თავისი ხელობა—ჯარის კაცობა და ომი; მეტი ლაპარაკის საგანი მას არ ჰქონია; ზიზღით უყურებდა ყველას, ვინც ჯარის კაცი არ იყო, და უსარგებლო ხალხად სთვლიდა. მართალია, ფილოპომენი პატრიოტი იყო და ემსახურებოდა თავის სამშობლოს, მაგრამ ისიც კი ყოფილა, რომ მხოლოდ ბრძოლისათვის უბრძოლნია; შაგალითად იგი კრეტაში იყო როგორც დაქირავებული ჯარის კაცი. ყველა ამასთან არ შეიძლება არ ითქვას, რომ ფილოპომენს უბრალო ცხოვრება უყვარდა და გონებაც უჭრიდა; მას კარგად ესმოდა საბერძნეთის იმ დროინდელი მდგომარეობა. კრეტიდან დაბრუნების შემდეგ ფილოპომენი აირჩიეს ცხენოსან ჯარის უფროსად. ჩაბარებულ საქმეს მშვენიერად გაუძღვა ახალი სარდალი; ჯარი მშვენიერად დააყენა; კიდევ მეტიცა ჰქნა—მან შეაყვარა აქეელებს სამხედრო საქმე; მის დროს ახალგაზდობა სიამოვნებით შედიოდა ჯარში და იწვრთნებოდა. ასეთ მოღვაწეობას შედეგიც მალე მოჰყვა: ლიგამ დაამარცხა ლაკედემონის ტირანი მახანიდასი, რომელიც თვითონ ფილოპომე-

ნმა მოჰკლა. ბრძოლიდან დაბრუნებული სარდალი თავის ჯარით ნემეის დღესასწაულს დაესწრო. სადღესასწაულო კრება თეატრში იყო გამართული, სადაც დამკვრელები ჯილდოს ეჯიბრებოდნენ ერთმანერთს. როცა ფილოპომენი შევიდა თეატრში ბრწყინვალე სამხედრო ამალის თან - ხლებით, ასტყდა საერთო ტაშის ცემა, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა მომღერალმა პილადემ წარმოსთქვა სიტყვები „მან შეგვძინა სახელი თავისუფლებასთან ერთად“. მთელ თეატრში სიხარულის ყიჟინა გაისმა და ყველამ ფილოპომენისაკენ მიიხედა.

საუბედურო ამ გამარჯვებას საბუთიანი არა მოყოლია რა. მახანიდასის მაგიერ კიდევ უარესი ტირანი დაჯდა სპარტაში: ნაბისის დროს სრულებით დაინგრა სპარტას ძველი კონსტიტუცია; აიღეს ჰილოტების სისხლი, რომელთაც ასე საშინელად აწვალებდნენ სპარტიატები რამდენიმე საუკუნე; წარჩინებული სპარტიატები ან დახოცეს ან განაძევეს; შექმნეს ახალი ოლიგარხია, რომელიც სულ დაბალ პირებისაგან შესდგებოდა. ძველი სპარტა აღარ არსებობდა.

5. რომაელების ჩარევა მაკედონიის საქმეებში. რომაელებთან მოსალოდნელ ბრძოლის დროს ფილიპეს მარტო თავისი იმედი უნდა ჰქონებოდა. აქეველებს აღარ სურდათ მას გაჰყოლოდნენ; ეტოლიელები, როდოსელები და ათინელები რომის სენატში უჩიოდნენ მაკედონიას. 200 წელს, ზაფხულზე, ფილიპემ ალყა შემოარტყა აბიდოსს; ამ დროს მოვიდა რომის დესპანი ემილიუს ლეპიდუსი, წარუდგა ფილიპეს და გამოუცხადა სენატის ბრძანება, რომ ხელი არ ეხლო საბერძნეთის არც ერთ ქალაქისათვის. ფილიპემ დაცინვით უპასუხა დესპანს, რომ უპატიებია ასეთი თავხედობა მის ახალ გაზდობისა, სილამაზისა და რომაელობისათვის. ომი თითქმის მაშინვე დაიწყო.

6. ფლამინინუსი. 199 და 198 წლებში რომაელმა ჯარმა მიზანს ვერ მიაღწია. ამიტომ რომი მეტის ენერგიით შეუდგა საქმეს. კონსულად ამოირჩიეს ახალგაზდა ტიტუს ფლამინინუსი და ეს არჩევანი მეტად გონიერი იყო: ძველი ტიპის რო-

მაელი, სასტიკი და მოუხეშავი ვერას გააწყობდა გონება-მახვილ, ფაქიზ და ბავშვისებურ ხასიათის პატრონ ბერძნის ხალხთან. ეშმაკი, გაქნილი და განათლებული რომაელი ფლამინინუსი, რომელმაც კარგად იცოდა ბერძნული ენა და ბერძნის ხასიათი, ზედ გამოჭრილი იყო საბერძნეთში მოქმედებისათვის. ახალმა სარდალმა ბრძოლის ველი თესალიაში გადაიტანა და ზამთარი ანტიკირაში დარჩა. ფლამინინუსი ძალიან მოეწონათ ბერძნებს; სიამოვნებით ისმენდნენ რომაელ სარდლის ლამაზ ბერძნულს და დიდათ კმაყოფილი იყვნენ მის ზრდილობიან, ტკბილ ქცევით, რომლის ქვეშ გულწრფელი ზიზღი იფარებოდა ენაჭარტალა ბერძნისადმი. მშვენიერი იყო ფლამინინუსის ხერხი, რომელიც მან თებაში შესასვლელად იხმარა; მსხვერპლებიც კი აღტაცებაში იყვნენ ამ ხერხით: რომაელმა სარდალმა ქალაქის წინ გაიარა; მას შეხვდნენ მაგისტრატები; მიესალმნენ ერთმანერთს და მასლაათი დაიწყეს; სარდალი ჩაერია მათ, ჰკითხა რამეები, თვითონაც მოჰყვა ამბებს; თებელები აღტაცებაში იყვნენ რომაელის ზრდილობიან და საინტერესო საუბრით. ამასობაში ქალაქის კარებსაც მიუახლოვდნენ; სარდალი ვითომდა ლაპარაკით გართული და გატაცებული შეჰყვა თებელებს ქალაქში, ისე რომ არავის ყურადღება არ მიუქცევია; სარდალს აფიცრები მიჰყვნენ; აფიცრებს ჯარის კაცები და ქალაქიც რომაელების ხელში ჩავარდა. მომხიბლველმა რომაელმა იმდენი მოახერხა, რომ აქეველების ლიგა რომისაკენ გადავიდა. ნაბისი კი ვერ მიიმხრო; მეფემ განურჩეველად ამოჟლიტა მაკედონელები და რომაელები, ვინც კი ხელში მოხვდა. მისმა ღირსმა მეუღლემ, აპეგამ, სხვა საქმე იკისრა — ყველა არგოსელი ქალები გააძარცვინა.

7. თესალიაში გაღაშქრება; კინოკეფალეს ბრძოლა (197) საბოლოო ბრძოლა 197-ის ზაფხულში მოხდა სკოტუსას ახლო, კინოკეფალეს („ძაღლის თავები") გორაკებზე. პირველი არ იყო რომაელებისა და ბერძნების ომის ველზე შეხვედრა, მაგრამ აქ პირველად გადაწყდა კითხვა ლეგიონსა და ფალანგას შუა. ფალანგა დამარცხდა; მაგრამ არა მარტო იმიტომ, რომ ლეგი-

ონი სჯობდა: რომაელების მხარეს ბევრი ბერძენი იყო და გარდა ამისა მასინისამ სპილოები მოუყვანა მათ აფრიკიდან. ფილიპემ მოლაპარაკება გამართა და ტახტი შეირჩინა, მაგრამ როგორის პირობებით! სამხედრო ფლოტი რომაელებს გადასცა, თვითონ მაკედონიის გარეთ ერთი კვალი მიწა აღარ დარჩენია და ჯარი მისი ხუთას ჯარის კაცს ვერ აღემატებოდა.

8. **ბერძნების განთავისუფლება.** როგორღა უნდა მოგვარებულიყო ბერძნულ თემების საქმე? ესენი ხომ მაკედონიის მეფეს ეკუთვნოდნენ. ეტოლიელებმა ფილიპეს დამარცხებისათანავე დაიწყეს ლაპარაკი, რომ ბერძნებმა მხოლოდ ბატონი გამოიცვალეს და რომ ფლამინინუსი ბერძნების კეთილმყოფელად ვერ ჩაითვლება, რადგან ბორკილი, რომელიც მათ ფეხებზე ჰქონდათ, ეხლა კისერზე დაადო მათ. ბოლოს ფლამინინუსმა გამოაცხადა გადაწყვეტილება, რომელსაც არავინ მოელოდა. ისტმის დღეობა იყო; დიდ-ძალი ხალხი იყო თავმოყრილი საბერძნეთის ყოველ კუთხიდან. უეცრად ბუკის ხმა გაისმა; წინ წამოდგა ჰეროლდი (ოფიციალური გამომცხადებელი) და ხმა მაღლა გამოაცხადა: „რომის სენატისა და რომაელების სარდალის ფლამინინუსის გადაწყვეტილებით, ფილიპესა და მაკედონელების დამარცხების შემდეგ, საბერძნეთის თემები თავისუფალი არიან გარნიზონის ჩაყენებისა და ყოველგვარ გადასახადისაგან.“ პირველად კარგად არ ესმოდათ ჰეროლდის სიტყვები, მაგრამ როცა მეორეთ გაიმეორეს და ყველამ კარგად გაიგო, ხალხი სიხარულით თავდავიწყებას მიეცა: ჰყვიროდნენ, სტიროდნენ, იცინოდნენ, ცეკვავდნენ. ფლამინინუსს იმდენი და ისეთი მადლობა უთხრეს, რომ ძლივს დაბრუნდა კარავში. მთელი ღამე გატაცებული ბერძნები იდგნენ სარდლის კარავთან და ჰყვიროდნენ. მეორე დილამდე ხალხი არ დაწყნარებულა. ყველაზედ უკედ აქეელები მოიქცნენ: გამოიყიდეს ათას ორასი ტყვე რომაელი და გაუგზავნეს რომაელ სარდალს ნიშნად მადლობისა. მიუხედავად ბევრ ნაკლულევანებისა ბერძენი ფაქიზ გრძნობათა პატრონი იყო. მზგავსს ფაქტს ვერ ნახავთ რომაელების ისტორიაში.

9. რომაელების ზომები; ბერძნების უკმაყოფილება. ასეთ გატაცებისა და აღტაცების შემდეგ დადგა დრო შეცვლილ გარემოებათა დაფასებისა; ბერძნებმა გაიცვნეს რომაელები და დაინახეს სინამდვილე. თესალია ოთხ პატარა ავტონომიურ რესპუბლიკად იქნა გაყოფილი; ეტოლიელებს ნება არ ჰქონდათ ოთრისს გამოსცილებოდნენ და თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ ფლამინინუსზე სასაცილო ლექსებს თხზავდნენ და კინოკეფალეს გამარჯვებას თავის-თავს აწერდნენ; კორინთი აქეველების ხელში გადავიდა, მაგრამ სპარტაში ისევ ნაბისი დარჩა, რომ აქეველებისათვის ედარაჯნა. ყველა ამის შემდეგ ფლამინინუსი წასასვლელად მოემზადა. წასვლის წინ სარდალმა თავი მოუყარა ბერძნებს კორინთში (194), დიდი ქება დიდება შეასხა რომაელების სულგრძელებასა და პატიოსნებას და ურჩია ბერძნებს მშვიდობიანად ეცხოვრათ და სიფრთხილით მოეხმარათ ახალი თავისუფლება. ამ კრებაზე ნაკლები გატაცება იყო და ფლამინინუსს შიში აღარ ჰქონდა, რომ აღტაცებული ბერძნები მას მოხვევნით დაახრჩობდნენ; ბერძნებმა გაიცვნეს რომაელები.

10. რომაელების დაბრუნება საბერძნეთში; ეტოლიელები. სირიის მეფე ანტიოხოს III. რომაელებს მალე დასჭირდათ საბერძნეთში დაბრუნება, მაგრამ არა მეფესთან საბრძოლველად: უბედური ფილიპე მწუხარედ იჯდა თავისთვის სასახლეში; რომაელებს ეხლა ეტოლიელებთან ჰქონდათ საქმე, რომელნიც სირიის მეფე ანტიოხოს III-ეს შეეკვრენ კავშირით. ამათ მეტად მოჰქონდათ თავი კინოკეფალეს გამარჯვების შემდეგ; ჩიოდნენ, რომ ასე დიდის სამსახურისათვის რომაელები უსამართლოდ მოექცნენ. მათ და თან იმუქრებოდნენ, რომ სამაგიეროს უზღავდნენ რომს. ეტოლიელების სარდალი დამოკრიტოსი ნამდვილი მკვეხარა ჯარის კაცი იყო. როცა საბერძნეთში დაბრუნებულმა ფლამინინუსმა მოთხოვა მას პირი იმ დადგენილებისა, რომლითაც ეტოლიელებმა სირიის მეფე მოიწვიეს, დამოკრიტოსმა ამაყად უთხრა: „ეხლა უფრო საჭირო საქმეები მაქვს; მაგრამ სულ მოკლე ხანში შეგატყობინებ ჩემ გადაწყვეტი-

ლებას, როცა ეტოლიელი ჯარები მდ. ტიბრის ნაპირზე იქნებიან დაბინავებული“-ო. ასეთი პასუხი რომაელს სიცილადაც არ უნდა ყოფნოდა.

არც ეტოლიელების მოკავშირე ანტიოხოსი იყო უკეთესი. ამ „მეფეთა-მეფესთან“ იყო მოხუცი ჰანიბალი; მაგრამ ყურსაც არ ათხოვებდა მის გონივრულ რჩევას. იგი დარწმუნებული იყო, რომ მთელი საბერძნეთი მზა-მზარეულად ჩაუვარდება ხელში; რაც შეეხება რომაელებს, სრულებით არაფრად აგდებდა. მისი ელჩები მოვიდნენ აქაიაში და დიდხანს ილაპარაკეს თავიანთ მბრძანებელის უთვალავ ჯარებზე. ფლამინინუსიც აქ იყო და დამცინავის კილოთი შემდეგი უთხრა შეკრებილი აქეელებს: „მახსოვს, ერთ დღეს სადილად დაპატიჟებული ვიყავი მეგობართან; ბევრი სულ სხვა და სხვა საჭმელები მოიტანეს სუფრაზე და მე მეგობრულად ვუსაყვედურე ჩემ მასპინძელს.— ნუ სწუხარო, მიპასუხა მან; რასაც ხედავ, სულ ღორის ხორცია და თუ სულ სხვა და სხვა საჭმელად გეჩვენება, ეს ჩემი მზარეულის ხელოვნების მიზეზი არისო. მეშინია, რომ ანტიოხოსის ჯარებიც ამ ჩემ მასპინძლის საჭმელებს არ ჰგავდეს: ეს მაგნეზიელები, ლიკიელები, კარიელები, პამფილელები სირიელები არიან და სხვა არაფერი.“

11. ბრძოლა საბერძნეთსა და მცირე აზიაში. ფლამინინუსი მართალი იყო, როცა ასე დაცინვით ლაპარაკობდა სირიის მეფის ძლიერებაზე. ანტიოხოსი შემოესია საბერძნეთს 192 წელს და იმის მაგიერ, რომ ენერგიულად განეგრძო სამხედრო ოპერაციები, ვიღაც კლეოპტოლემოსის ქალი შეუყვარდა და დიდის ამბით ქორწილისათვის ემზადებოდა. ჯარის კაცებიც მასავით იქცეოდნენ: ხელში ღვინით სავსე ფიალა ეჭირათ და თავი ყვავილების გვირგვინით ჰქონდათ მორთული. რომაელები კი დროს არ ჰკარგავდნენ; კონსული მანიუს აცილიუს ელაბრიონი, ფილიპე მაკედონელთან შეთანხმებით, დროზე შეუდგა სამხედრო მოქმედებას. ანტიოხოსს უკვე გონება დაებნა და თერმოპილის კარს ამოეფარა, მაგრამ მისი ქცევა ლეონიდასის ქცევიდან შორს იყო. რომაელებმა შემოუარეს თერ-

მოპილს და ანტიოხოსი ისეთის სიჩქარით გაიქცა, რომ ჯარი საბერძნეთში დაავიწყდა. მიტოვებულ ეტოლიელებმა გადასწყვიტეს განეგრძოთ ბრძოლა, სანამ ერთი ჯარის კაცი ეყოლებოდათ; მაგრამ ვერას გახდნენ: 189-ში იძულებული შეიქნენ განეთავისუფლებიათ ყველა ტყვედ-წაყვანილები, ეხადნათ ხარკი და შემდეგისათვის რომის მეგობრები და მტრები თავიანთ მეგობრებად და მტრებად მიეჩნიათ. რაც შეეხება ანტიოხოსს, ზღვის მეორე ნაპირას ასეთ არა საქებ სიჩქარით გადასვლამ მას ვერ უშველა. ლუციუს კორნელიუს სციპიონი გადავიდა მცირე აზიაში და ანტიოხოსს მაგნეზიასთან, სმირნის ახლო, შეხვდა. ერთი მუჭა ლეგიონერები საკმარისი შეიქნა მეფეთა-მეფის დიდი ჯარის გასაფანტავად. ანტიოხოსმა დაჰკარგა 50.000 ჯარის კაცი და რომაელებმა კი მხოლოდ 300. დამარცხებული და დამცირებული მეფე თანახმა იყო ხელი მოეწერა ყოველ პირობაზე (188): წაართვეს მცირე აზიის ყველა პროვინციები, გარდა კილიკიისა, და ერთი წილი როდოსლებს მისცეს, ერთი პერგამის მეფეს; გადაახდევინეს კონტრიბუცია; უფლება აღარ ჰქონდა საბერძნეთში ჯარის კაცები დაექირავებინა და ეტოლიელებსავით რომის მეგობარი და მტერი მასაც მეგობრად და მტრად უნდა მიეჩნია.

12. აქეველების ლიგა და რომაელები. ფილოპომენის სიკვდილი. ამ ხნის განმავლობაში აქეველების ლიგას არ უღალატნია რომაელების კავშირისათვის, მაგრამ ესენი მაინც ეჭვის თვალით უყურებნენ მას. ფლამინინუსმა მეტად გაუწყრა ლიგის სარდალს რომაელების ნება დაურთველად მესენიის შემოერთებისათვის, ნება არ მისცა ლიგას ზაკინთი მისი ყოფილიყო: რომაელებს აქეველების ინტერესებიასთვის კი არ დაუღვრიათ სისხლი; დასცინოდა კიდეც: თუ პელოპონეზს გარეთ გამოგიყვიათ თავი, იგივე მოგივათ, რაც კუს მოდის, როცა ქერქიდან თავს გამოჰყოფსო. რომაელები განსაკუთრებულის ეჭვის თვალით ფილოპომენს უყურებდნენ. ფილოპომენი კარგად ხედავდა, თუ რას უქადიდა აქეველებს რომაელების მუდმივი საქმეში ჩარევა. ლიგის საბჭოში რომაელების ერთი

მომხრე ბევრს ლაპარაკობდა მათ სასარგებლოდ. „მეომარო, რათ გეჩქარება საბერძნეთის ბოლო დაინახო“ო, უთხრა ფილოპომენმა. 188-ში აქეველების სარდალმა სპარტა შემოიერთა, მაგრამ ბევრი არ დასცლია მას. მესენიელმა დინოკრატოსმა, რომელიც ფლამინინუსთან ერთად მოვიდა რომიდან, ააჯანყა მესენია ლიგის წინააღმდეგ, ალბად ფლამინინუსისავე რჩევით. ამ დროს ფილოპომენი ავად იყო და არგოსში იწვა. გაიგო თუ არა მესენიის აჯანყების ამბავი, მოხუცი და ავადმყოფი მეომარი მაშინვე ფეხზე წამოდგა, მოახტა ცხენს და შეუსვენებლად მეგალოპოლისში მივიდა (50 ვერსტია). აქ მან შეჰკრიბა რამდენიმე ჯარის კაცი და დაუყოვნებლივ მესენიაში შევიდა. ბედმა უღალატა მხცოვან სარდალს: იძულებული შეიქნა უკან გამობრუნებულიყო თავის პატარა რაზმით; სამშვიდობოში მაინც ვერ გამოაღწია—იგი მესენიელებს ჩაუვარდა ხელში. შეპყრობილი სარდალი ერთ გამოქვაბულში ჩაგდეს, სადაც არც ჰაერი და არც სინათლე შედიოდა. შებრალება არ იცოდნენ იმ დროის ბერძნებმა: რამდენიმე წლის წინად თვითონ ფილოპომენმა 63 სპარტანელი დაახოცვინა გულგრილად. ღამე ჯალათი შევიდა მასთან და საწამლავი გაუწოდა. მწუხარე და ავათმყოფი ფილოპომენი თავის ნოსასხამზე იწვა და არ ეძინა. როცა ჯალათი დაინახა, წამოდგა, გამოართვა საწამლავი და ლალევამდე ჰკითხა ჯალათს თავის ამხანაგების ამბავი, განსაკუთრებით ლიკორტასისა. „ყველა გადარჩა“ო, უპასუხა ჯალათმა. ფილოპომენმა მადლობა გადაუხადა და დამშვიდებით სთქვა: „რა კმაყოფილი ვარ, რომ ყველა არ ვყოფილვართ უბედურები“ო.

ფილიპომენის სისხლი მალე გადაახდევინეს მესენიელებს: აქეველები ისევ შემოვიდნენ მესენიაში, დინოკრატოსმა თავი მოიკლა და ფილოპომენის ნაშთი დიდის ამბით გადმოიტანეს მეგალოპოლისში. ჯარი, ხალხი, ქალები, ბავშვები და მოხუცები ყველა ტიროდა ასეთ კაცის დაკარგვის გამო.

13. მაკედონია და რომაელები. პერსეოსი. ფილიპე მაკედონელი ვერ შეურიგდა თავის დამარცხებას; ყოველ დღე

ჰკითხულობდა იგი რომაელებთან დადებულ ხელშეკრულების პირობებს. მან კარგად იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ისევ უნდა მომხდარიყო შეტაკება რომსა და მაკედონიას შუა. ანტიოქოსთან ბრძოლის დროს ფილიპე მხარში უდგა რომაელებს, მაგრამ მაინც ეჭვის თვალით უცქეროდნენ. მოსწრებით კი არ მოსწრებია მას ეს შეტაკება, რომლისთვისაც იგი ჩუმად ემზადებოდა. მიუხედავად ბევრის ნაკლისა, ფილიპე ჩვეულებრივი პიროვნება არ ყოფილა: ესმოდა და აფასებდა თავის მდგომარეობას, მტკიცენების ძალა ჰქონდა და პატრიოტი იყო. ესევე შეიძლება ითქვას მის მემკვიდრე პერსეოსზედაც, რომელსაც რომის ისტორიკოსებმა ბევრი ცილი დასწამეს. პერსეოსი თავის მამასავით კარგა ხედავდა, რომ მაკედონია მხოლოდ საბერძნეთთან დაკავშირებით გახდებოდა ძლიერი, რომ მაკედონია უნდა გახდეს საბერძნეთის თავისუფლების ფარი წინააღმდეგ რომაელებისა, რომელნიც ყველგან გაბატონებას სცდილობდნენ.

ბერძნებმაც გაახილეს თვალები, იგრძნეს რამდენი სისასტიკე, ეგოიზმი და სიმკაცრე იყო რომის პოლიტიკაში, ცხადად დაინახეს, თუ რამდენად შეუფერებელი იყო ბერძნის ზრდილობიან და ფაქიზ ბუნებასთან რომაელის მოუხეშავობა და აუტანელი სიამაყე. ეხლა ბერძენი უფრო მაკედონიისაკენ მიიწევდა—რაც უნდა იყოს, მაკედონია მაინც საბერძნეთის ნაწილი იყო. გარდა ამისა ბერძენს კიდევ არ ჰქონდა ნამდვილად გათვალისწინებული არც თავის ქვეყნის სისუსტე და არც რომის ნამდვილი ძალა.

პერსეოსმა იმით დაიწყო რომაელების წინააღმდეგ მოქმედება, რომ თავს დაესხა დოლოპებს, რომელნიც რომაელების მფარველობის ქვეშ იყვნენ. შემდეგ თავის ჯარით დელფში წავიდა ვითომ მისნის საკითხავად; ნამდვილად კი იმისთვის, რომ ეჩვენებინა ბერძნებისათვის მაკედონიის აღორძინებული ძალა; გააკრა ყველგან განცხადება, რომლითაც იწვევდა თავისთან ყველა სამშობლოდან განდევნილ ბერძნებს. აქეველების

ლიგის მიმხრობაც სცადა; მაგრამ ლიგის საბჭოს უმრავლესობა წინააღმდეგი შეიქნა მაკედონიის წინადადებისა.

რომაელები თვალს არ აშორებდნენ პერსეოსის მოქმედებას. ეგრეც არ ყოფილიყო. მაკედონიის მეფის მტრები აუხელდნენ მათ თვალებს. პერგამის მეფე ევმენოსი, ისეთივე საზიზღარი ჯაშუში როგორც მამა მისი, რომში წავიდა და დააბეზღა სენატს პერსეოსი. დაგვიანების დრო აღარ იყო; ჯერ დესპანები გაგზავნეს მაკედონიაში (172) და გაახსენეს მეფეს ის მოვალეობანი, რომელნიც ფილიპესთან დადებულ ხელშეკრულების ძალით უნდა აესრულებინა მას. „ეს ხელშეკრულება აღარ არსებობს. თუ რომს სურვილი აქვს მოლაპარაკება გამართოს, მე მზად ვარ მოვილაპარაკო როგორც სწორი სწორთან“. ასეთი პასუხი მისცა პერსეოსმა რომის დესპანებს.

14. რომაელების ბრძოლა პერსეოსთან. შაგლე ემილიუსი. პერსეოსის დატყვევება. ამაყი პასუხი იყო პერსეოსის პასუხი, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, მეფემ დრო გაუშვა. ამით ისარგებლეს რომაელებმა და იმდენი მოახერხეს, რომ პერსეოსი მარტო დარჩა. არც აზიაში და არც პელოპონეზში არავინ აღმოჩნდა მისი დამხმარე. საბერძნეთი გაშეშებული იყო და თვითონ პერსეოსსაც ისე შეეშინდა მისგანვე გამოწვეულ ქარიშხალისა, რომ მოციქულები გაგზავნა რომში თავის გასამართლებლად. სენატმა არ მიიღო ისინი.

დაიწყო ომი. რომაელ ჯარის სარდალი ლიკინიუს კრასუსი უნიჭო კაცი იყო და იგი ადვილად დაამარცხა პერსეოსმა მდ. პენეოსის ნაპირას, ლარისას ქვემოთ. მაგრამ მეფეისე შეშინებული იყო, რომ მაშინვე ზავი მოითხოვა იმ პირობებით, რომელნიც ფილიპეს მიაღებინეს რომაელებმა. ლიკინიუსმა, თითქოს ის ყოფილიყოს გამარჯვებული, მოსთხოვა პერსეოსს სრული დამორჩილება. კონსული ჰოსტილიუსიც ასეთივე უნიჭო გამოდგა და რამდენჯერმე დამარცხდა. უფრო ბედნიერი არც ქვინტუს მარკუსი იყო (169). მაგრამ პერსეოსის საქმეს ეს ცოტას შველოდა.

რომი აღელვა ამდენმა დამარცხებამ და სარდლობა პავლე ემილიუსს ჩააბარეს, ახალი სარდალი, რომელმაც თავი ისახელა ესპანიასა და ლიგურიაში, ნამდვილი ძველი რომაელი იყო—სასტიკ დისციპლინის მოყვარე და ბევრის მომთხოვი როგორც სხვისაგან, ისე თავის თავისაგანაც, მაგრამ კატონსავით რომდი სძულდა ბერძნული ზნე-ჩვეულება და კულტურა. ემილიუსი მტკიცედ და ენერგიულად შეუდგა საქმეს. საბოლოო ბრძოლა პიდნას ახლო მდებარე ვრცელ ველზე (168) მოხდა. მაკედონიის სქელმა ფალანგამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რომაელ სარდალზე, შიშიც შეაპარა გულში. შემდეგში იგი გატეხილად ლაპარაკობდა რომ ჩემ დღეში არ მინახავს ასეთი საშინელი სანახაობაო. ემილიუსის შიში კინაღამ არ გამართლდა: რომაელ ჯარის იერიშმა ვერ შეარყია პერსეოსის ფალანგა და უკან დაიხია; გამწარებულმა ემილიუსმა აბჯარი შემოიგლიჯა. ყველაფერი დაღუპული იქნებოდა რომაელებისათვის, რომ ფალანგა მოძრაობის დროს არ გაშლილიყო: ლეგიონერებმა შეატანეს შიგნით და მაკედანოლების საქმეც დაიღუპა—25 ათასი ჯარის კაცი დარჩა ომის ველზე. რომაელების სიტყვით, მათ მხოლოდ ასი კაცი მოუკლეს, მაგრამ ეგ, რასაკვირველია, დასაჯერებელი არ არის. ამ ბრძოლას დაესწრო პავლე ემილიუსის შვილი, რომელიც სკიპიონებმა იშვილეს და რომელმაც შემდეგ კართაგო და ნუმანციუმი დაანგრია.

პერსეოსი ბრძოლის ველიდან ჯერ პელაში გაიქცა, შემდეგ სამოთრაკიაში. მთელმა მაკედონიამ მიატოვა იგი; ერთმა მაკედონელმა, რომელსაც მეფემ თავის შვილები მიანდო, რომაელებს მიუყვანა ისინი. მეორე დაჰპირდა, მთელის ქონებით გემით გაგაპარებო და უღალატა. ბოლოს იძულებული შეიქნა თვითონ მისულიყო რომაელებთან და თავი დიემცირებინა. სხვათა შორის პერსეოსმა სთხოვა ემილიუსს, აეცილებინა მისთვის სირცხვილი და სატრიუმფო ეტლის უკან არ წაეყვანა. ემილიუსს შემდეგი ნამდვილ რომაულად შეუბრალებელი პასუხი უნდა მიეცეს: „ეს ისეთი საქმეა, რომელიც ყოველთვის შეგეძლო

აგესრულებინა“ო. ამათი რომაელების სარდალმა ის უთხრა პერსეოსს, რომ სირცხვილის ასაცილებლად თავის მოკვლა მის ხელთ იყო.

15. აქეველების ლიგის უკანასკნელი დღეები. კორინთის აღება და დანგრევა. საბერძნეთის საქმე გათავებული იყო. პიდნას ბრძოლის შემდეგ რომაელები ნამდვილი ბატონები გახდნენ ყოველგან. ეტოლია და ეპირი საშინლად გაანადგურეს; ათასამდე აქეველი იტალიაში გადაასახლეს: მათ შორის იყო ფილოპომენის მეგობრის ლიკორტასის შვილი პოლიბიოსი, რომელმაც შემდეგში დასწერა საბერძნეთისა და რომის ისტორია და რომელიც სციპიონ ემილიანისა და კატონის მეგობარი გახდა. გადასახლებულებმა მხოლოდ ჩვიდმეტი წლის შემდეგ ნახეს სამშობლო, როცა დადგა საბერძნეთის უკანასკნელი სულთა ბრძოლა. აქეველების ლიგამ იარაღს მოჰკიდა ხელი, როცა რომმა საუკეთესო ქალაქები ჩამოართვა. საქმე იმ თავითვე წაგებული იყო. უკანასკნელი ბრძოლა მოხდა კორინთის ახლო ლევკოპეტრასთან. აქეველები დამარცხდნენ და კორინთმა კარი გაუღო კონსულ მუმიუსს. რომაელი ჯარის კაცები ქარიშხალივით მოედვენ მდიდარ ქალაქს. მუმიუსი მოუხეშავობითა და განათლებით ჯარის კაცებზე მაღლა არ იდგა. ქალაქი საშინლად გაანადგურეს, მარტო ნანგრევებიღა დარჩა. საბერძნეთი რომის პროვინცია გახდა (146) და მხოლოდ ამის შემდეგ შეიტყვეს რომაელებმა, რა ქვეყანა და ხალხი დაიპყრეს. არ გაუვლია 50 წელიწადს და დამარცხებულმა ბერძნებმა სამაგიერო გადაუხადეს რომაელებს უფრო მშვიდობიან და ხანგრძლივ ომის ველზე. მათი ენა, ლიტერატურა, ფილოსოფია, ხელოვნება, მეცნიერება სავსებით გაბატონდა რომში. საბერძნეთი ბარბაროსების შემოსევამდე და ქრისტიანობის გამარჯვებამდე მსოფლიოს ნამდვილი მბრძანებელი იყო.

თავი XXXI

საბერძნეთის ხელოვნება და ლიტერატურა ათინის ადებიდან რომაელების გაბატონებამდე *).

სარჩევი. 1. ბერძნულ ხელოვნების ევოლიუცია მეოთხე საუკუნიდან.—2. ბერძნული ხელოვნება ალექსანდრეს შემდეგ.—3. ბერძნული მხატვრობა მეოთხე საუკუნიდან მეორემდე.—4. ტრაგედია და კომედია მეოთხე საუკუნეში.—5. ისტორიკოსები: ქსენოფონი.—6. მეოთხე საუკუნის ორატორები.—7. ესხინოსი და დემოსთენე.—8. ბერძნულ ცივილიზაციის პროგრესი აზიაში და აფრიკაში მე-III-ე საუკუნეში.—9. ლიტერატურა სიცილიაში: თეოკრიტე.—10. ბერძნული ფილოსოფია სოკრატეს შემდეგ: პლატონი.—11. არისტოტელე.—12. ახალი ფილოსოფიური სეკტები: პირონისმი, ეპიკურეისმი და სტოიცისმი.—13. ბერძნული მეცნიერება რომაელების მოსვლამდე. ევკლიდე და არხიმედე.

1. ბერძნულ ხელოვნების ევოლიუცია მე-IV-ე საუკუნიდან. ბერძნული ხელოვნება არ დაცემულა მე-IV-ე საუკუნის შემდეგ, როგორც ზოგიერთები ჰფიქრობდნენ; მან მხოლოდ სხვა სახე და მიმართულება მიიღო. მეოთხე საუკუნემდე ხელოვნება სარწმუნოების მსახური და ამხსნელი იყო. კლასიკურ ხანის სკულპტორის ღმერთი უმშვენიერეს და უსრულეს ფორმის ჰატრონი იყო და ამასთან ზე-ადამიანურ დიდებულებისა და დამშვიდებულ ბრწყინვალების გამომხატველი. შემდეგ ხანის ხელოვანს კი აღარ შეეძლო ასე მაღლა აღმაფრენა, იგი ნამდვილ ცხოვრებაში ეძებდა ხელოვნების საგანს და ხატავდა იმას, რასაც ხშირად ხედავდა თვალწინ. იდეალისმის მაგიერ რეალისმი გაბატონდა.

---

*) ბიბლიოგრაფია: კრუაზე—ბერძნულ ლიტერატ. ისტორია; ფულიე—ფილოსოფიის ისტორია; რეინაკი—კლასიკური ფილოლოგია; კოლინიონი—ბერძნული არხეოლოგია; დარენბერგის ლექსიკონი.

მეოთხე საუკუნეში ორი ხელოვანი იყო ამ ახალ მიმართულების გამომხატველი—სკოპასი და პრაქსიტელესი. სკოპას პაროსელის გაკეთებული იყო ათინას ტაძრის (ტეგეიზე) ორი ფრონტონი (სვეტის თავის ბალიში, სამკუთხი და, იშვიათად, ნახევარი სიმრგვლის ფორმისაც); რომელთა ნამტვრევები ამ რამდენიმე წლის წინად იპოვეს; განთქმული იყო აგრეთვე სკოპასის ერთი ქანდაკება, რომელიც წარმოადგენდა მენადას (ვაკხანკა—ქალი, რომელიც ბახუსის დღეობაზე რელიგიურ ცერემონიებსა და პროცესიებში იღებდა მონაწილეობას) იმ დროს, როცა იგი ციკანს გლეჯს. პაროსელი ხელოვანი იღებ და მონაწილეობას ეფესის ტაძრის და ჰალიკარნასის განთქმულ მავზოლეს აგებაშიც. მავზოლე ააშენებია რამდენიმე ხელოვანს კარიის დედოფალმა თავის საყვარელ ქმრის მავზოლის საფლავზე. ეს შესანიშნავი შენობა ხელ-უხლებელი იყო მე-XV-ე საუკუნემდე; ამ საუკუნეში კი იგი დაანგრიეს თავიანთ სიმაგრეებისათვის როდოსელ რაინდებმა, რომელნიც კარგი ჯარის კაცები იყვნენ, მაგრამ ხელოვნებისა არაფერი გაეგებოდათ. ეხლა ბრიტანიის მუზეუმში ინახება ამ მონუმენტის ბუღაურების რამდენიმე ნატეხი.

პრაქსიტელესი ათინელი იყო და თავის სიცოცხლეც თითქმის სულ აქ გაატარა. ამ ხელოვანის ნაწარმოებში აკვირვებდა მნახველს გრაცია, მოხდენილობა და ფორმათა სიწმინდე-სიფაქიზე. აფროდიტა კნიდელის ქანდაკებით მან შექმნა ტიპი ამ ქალ-ღმერთისა. „ვინ ჩაბერა სული მარმარილოს? ვინ ნახა ამ ქვეყნად კიპრიდა (ვენერა)? იგი პრაქსიტელესის ხელის შექმნილია. ოლიმპზე აღარ არის პაფოსის (კიპრის ქალაქი, სადაც დიდ პატივს სცემდნენ ვენერას) ქალ-ღმერთი, რადგან იგი კნიდში ჩამოვიდა“. ამას ამბობს ერთი ძველი ლექსი. თავის მხრივ ალფრედ დე მიუსეს ლექსებში ვკითხულობთ სხვათა შორის: „და ქერა თმიანი ვენერა, პრაქსიტელესის ქალი, ფეხზე მდგომარე თავის ღვთაებრივობით კიდევ უღიმის უძლურ საუკუნოებს, რომელნიც მან სძლია თავის მშვენიერებით.“

თვითონ პრაქსიტელესის ვენერას ჩვენამდე არ მოუღწევია; მაგრამ ვენერა კაპიტოლისა, ვენერა მედიჩისა და სხვები ამ ხელოვანის ქანდაკებიდან არიან წარმომდგარი. პრაქსიტელესის დამახასიათებელი ნაზი გრაცია ატყვია საუროკტონის აპოლონს (ლუვრის მუზეუმი) და კაპიტოლის მუზეუმის ფავნს, რომელიც უეჭველად პირი უნდა იყოს. რამდენიმე წლის წინედ ოლიმპიაში აღმოაჩინეს პრაქსიტელესის ნამდვილი ნაწარმოები—ჰერმესი პატარა დიონისოთი ხელში.

ამ ეპოქას და ამავე სკოლას უნდა ეკუთვნოდეს ვენერა მილოსელიც*), ლუვრის მუზეუმის უძვირფასესი განძი. იგი აღმოაჩინეს 1821 წელს კუნძულ მილოსზე; სამწუხაროდ ხელები მოტეხილი ჰქონდა და აქამდე მისი რესტავრაცია ვერ ჩაითვლება ნამდვილ რესტავრაციად. ვენერა მილოსელი, შეიძლება, არ იყოს საუკეთესო ნაწარმოები ბერძნულ ხელოვნებისა, როგორც ბევრი ამბობს, მაგრამ რაც დაგვრჩენია ამ ხელოვნების ნაწარმოებთაგან იგი უკეთილშობილესი და უმშვენიერესია.

ლიზიპოსი ალექსანდრე მაკედონელის საყვარელი სკულპტორი იყო. გადმოცემით ამ ხელოვანს 1500 ქანდაკება უნდა გაეკეთებიოს. ლიზიპოსს უყვარდა დიდებულის და უზარმაზარის რისამე გაკეთება. ასეთი იყო მისი ძევსი, რომელიც სიმძიმის გამო რომში ვერ გადაიტანეს; მას მეტად უყვარდა ჰერკულესის ტიპი. ფარნეზეს ჰერკულესი**), ნეაპოლის მუზეუმში, ლიზიპოსის ქანდაკების პირი უნდა იყოს. რომში არის კიდევ ერთი პირი მის ქანდაკებისა, რომელიც წარმოადგენს ატლეტს. ეს ქანდაკება ტიბერიუსმა ქუჩიდან თავის საწოლ ოთახში შეატანინა; მაგრამ ხალხმა თეატრში უკმაყოფილება გამოუცხადა იმპერატორს და ესეც იძულებული შეიქნა ისევ ძველ ადგილას დაედგა.

2. ბერძნული ხელოვნება ალექსანდრეს შემდეგ. ალექსანდრეს შემდეგ ცხოვრების ახალმა პირობებმა გავლენა იქო-

*) ბიუსტი ნახე გვ. 48.
**) ნახე გვ. 57.

ნიეს ბერძნულ ხელოვნების განვითარებაზე. გაჩნდა ახალი არტისტიული ცენტროები სპარსეთის ძველ სამეფოში, რომელიც ძალით შემოუერთეს საბერძნეთს და რომელსაც აგემეს ჰელინების ცივილიზაცია. ალექსანდრიის, ანტიოხიის და პერგამის მეფეები და მათი სასახლეები ხელს უწყობდნენ ხელოვნების განვითარებას. ხელოვნების სამი სკოლა — პერგამისა, როდოსისა და ტრალისისა—სხვაზე მაღლა იდგა.

პერგამის სკოლის აყვავება ატალიდების გემოვნებისა და გულუხვობის საქმე იყო. საგანი ამ სკოლის ხელოვნებისა პერგამელ მეფეების გალატებთან ბრძოლაა. ჩვენამდე მოულწევია ორ მარმარილოს, ერთი კაპიტოლის ეგრედ წოდებული „მომაკვდავი გლადიატორია“, რომელიც ნამდვილად „მომაკვდავი გალატია“ (გალი) და მეორე ვილა ლუდოვიზის გრუპა, „არია და პეტუს“ად წოდებული, ნამდვილად კი ისევ გალატი, რომელიც თავს იკლავს თავის ცოლის შემდეგ. პერგამის სკოლის ნაწარმოებთაგან ყველაზედ მნიშვნელოვანი იყო დიდებული და უზარმაზარი საკურთხეველი ძევსისა და ათინისა, რომელიც ევმენ II-ს დროს ააგეს (197—159). ეხლახან იპოვეს ბერგამაში (ძველი პერგამი) რამდენიმე ნანგრევი ამ საკურთხევლისა, სხვათა შორის ერთი ბუღაური, რომელზედაც წარმოდგენილია ბრძოლა გიგანტებისა ღმერთების წინააღმდეგ (ბერლინის მუზეუმშია). მთელ ამ ნაწარმოებში არის მოძრაობა, გულის-თქმა, არა ჩვეულებრივი სიცოცხლე შეერთებული შესანიშნავ აღსრულებასთან.

როდოსისა და ტრალისის სკოლებმა სრულებით უარჰყვეს წმინდა კლასიკური ტრადიცია—აღუშფოთველი ბრწყინვალება და ჰარმონიული გრაცია, ისინი უფრო უზარ-მაზარის ან ტრაღიკულ სცენების გამოხატვას ეტანებოდნენ. როდოსელ ხელოვანმა ხარესმა გააკეთა მზის ღმერთის ძეგლი, რომელსაც როდოსის კოლოსს ეძახდნენ; ეს ძეგლი 35 მეტრის (მეტრი ნახევარი საჟენია) სიმაღლე იყო. იგი 86-ში წაიქცა მიწის ძვრის გამო. როდოსის სკოლას ეკუთვნის აგრეთვე განთქმული

გრუპა „ლაოკოონი“, რომელიც ათენოდოროსისა და აგეზანდროსის ნაკეთებია.

ლაოკოონი.

ალექსანდრეს შემდეგ და რომაელების მოსვლამდე ბევრი შესანიშნავი ხელოვანი ყოფილა კიდევ; ამათ ნაწარმო-

ებთ ჩვენამდე მოულწევიათ: აპოლონ ბელვედერისა *), სამოთრაკის გამარჯვება, დიმიტრი პოლიორკეტეს ბრძანებით გაკეთებული (ლუვრშია), დიანა შვლით ხელში (ლუვრი), დიანა გაბიესისა (ლუვრში). არც რომაელების გაბატონების შემდეგ გამქრალა ბერძნული ხელოვნება; პირიქით, იგი უფრო განვითარდა და გაბატონებული იყო ბარბაროსების შემოსევამდე. ერთი კი ემჩნევა ამ ხანის ხელოვნებას: მიბაძვას მეტი ადგილი უკავია ვიდრე წინეთ იყო და თავისებურობის ადგილი დაიკავა ტრადიციის შესწავლამა და ტეხნიურმა ცოდნამ.

3. ბერძნული მხატვრობა მეოთხე საუკუნიდან მეორემდე. მხატვრობაზე ძალიან ცოტა ითქმის, რადგან ჩვენამდე არ მოულწევია არც ერთ სურათს. ვიცით შემდეგი სახელები: **ძეგქსისი**, რომელიც საკვირველის სინამდვილით ხატავდა თურმე საგნებს; სხვათა შორის მას დაუხატავს ბავშვი, რომელსაც ყურძენი მიაქვს; ჩიტებს მართლა ყურძენი ჰგონებოდათ და კენკა დაუწყიათ; **ზარაზიოსი**, **აპელესი**, ძველ დროის უდიდესი მხატვარი, **ზრიტოგენესი**, რომელიც ასე უყვარდა დიმიტრი პოლიორკეტეს, და სხვანი.

4. ტრაგედია და კომედია მე-IV საუკუნეში. ტრაგედია, რომელიც ასე აყვავებული იყო ესხილოსის, სოფოკლესა და ევრიპიდეს დროს, მეოთხე საუკუნიდან აღარ არის ან თუ არის, მნიშვნელობას მოკლებულია. კომედია უკეთესი გახდა, მაგრამ ხასიათი გამოეცვალა. ბუნებრივ ევოლიუციის გამო, რომელიც ადვილად აიხსნება ახლისადმი მისწრაფებით და პოლიტიკურ გარემოებათა გავლენით, გაჩნდა ახალი გვარი კომედიისა, რომელსაც „საშუალო კომედიას“ ეძახიან. ხორო, ეს უკანასკნელი ნიშანი კომედიის რელიგიურ ხასიათისა, სრულებით გაჰქრა; მასთან ერთად მოისპო პარაბაზიც, სადაც ავტორი მაყურებელ საზოგადოებას მიჰმართავდა ხოლმე. რადგან ავტორს უფლება აღარ ჰქონდა ცოცხალი პირები გამოეყვანა სცენაზე და პოლიტიკურ კითხვებს შეხებოდა, კომედია თანა-

*) ნახე გვერდი 45.

იგი დაიბადა სირაკუზში, რამდენიმე ხანი ეგვიპტეში იყო და შემდეგ ისევ სამშობლოში დაბრუნდა. ჩვენ გვაქვს თეოკრიტესი 30 იდილია, ოცდა ორი ეპიგრამა და რამდენიმე პატარა პოემა. თეოკრიტეს იდილია აქამდე შეუდარებელია; იგი ისეთის გულუბრყვილობითა და სიწრფელით ალაპარაკებს მეთევზეებს და მწყემსებს, რომ მზგავსის პოვნა იშვიათია.

თეოკრიტეს გარდა სიცილიელებს კიდევ ჰყავდათ მწერლები, მაგრამ მასთან შედარებით დიდს არაფერს წარმოადგენდნენ.

10. ბერძნული ფილოსოფია სოკრატეს შემდეგ. პლატონი. სოკრატეს უშესანიშნავესი მოწაფე, რომელმაც ამასთანავე საუკეთესოდ გაგვაცნო თავის მასწავლებლის მოძღვრება, ღვთაებრივი პლატონი იყო. პლატონი დაიბადა ათინაში 429 წელს ქრისტეს დაბადებამდე და დაარქვეს ეს სახელი განიერ ბეჭების გამო (პლატონი ბერძნულად განიერს ნიშნავს). ოცის წლის იყო, რომ სოკრატეს გაეცნო და ამ დროიდან მთელის თვის არსებით ფილოსოფიის შესწავლას შეუდგა. პლატონი ბევრს ეცადა სიკვდილიდან ეხსნა თავისი მასწავლებელი; ტრიბუნიდან ძალით ჩამოიყვანეს მეგობრებმა, რომ თავისი თავიც არ გაეხვია საქმეში. სოკრატეს სიკვდილის შემდეგ იგი იყო მეგარაში, იტალიაში, ეგვიპტეში, სიცილიაში. 388-ში პლატონი ისევ ათინაში დაბრუნდა და გახსნა თავისი შესანიშნავი სკოლა ათინელ აკადემოსის ბაღებში; ამ აკადემოსის სახელით მოინათლა შემდეგ პლატონის სკოლა, რომელსაც აკადემიას უწოდებდნენ. პლატონი 82 წლის მოკვდა.

პლატონის თხზულებები ბევრია; იგი დიალოგის ფორმით სწერდა, რომ მეტი ინტერესი და სიცოცხლე მიეცა ნაწერისათვის. უმთავრესი დიალოგებია „გორგიასი“ და „პროტაგორასი“, სადაც იგი სოფისტებს ეკამათება; „ფედონი“, რომელიც ყველაზე უფრო მოსწონდათ ძველებს: აქ სოკრატე ესაუბრება თავის მოწაფეებს სულის უკვდავებაზე; „სიმპოზიონი“ (ნადიმი), „რესპუბლიკა“, სადაც პლატონი მართვა-გამგეობის

საუკეთესო ფორმაზე ლაპარაკობს, „კანონები“, სადაც ისევ პოლიტიკურ კითხვებზეა საუბარი, და სხვანი.

პლატონი

პლატონის შეხედულებით, ჩვენი საცხოვრებელი ქვეყანა ჰგავს გამოქვაბულს, რომელსაც ანათებს დიდი ცეცხლი და სადაც სინათლისაკენ ზურგ მიქცეული ტყვეები მთელი თავისი სიცოცხლე მიკრული არიან. საგნები, რომელნიც ამ ტყვეების უკან იმყოფებიან, ჩრდილს ისვრიან გამოქვაბულის კედელზე და ტყვეებს, რომელთაც მეტი არაფერი უნახავთ, აჩრდილი ნამდვილი საგანი ჰგონიათ. ტყვეები—ჩვენ ვართ, გამოქვაბული—ჩვენი მიწა; ჩვენი დამჭერი—ჩვენი ილიუზიები და ცრუმორწმუნოებანია; აჩრდილი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ და რომელიც სინამდვილე გვგონია, ჩვენი გრძნობების ფენომენებია (მოვლენა). მხოლოდ ფილოსოფიას შეუძლია გამოგვიყვანოს ჩვენის შეცდომისაგან; იგი გვასწავლის, რომ ადამიანისა და ნივთის მაღლა არის ერთი პრინციპი, რომელიც ყოველივე

უაღრესობის განხორციელებაა და ცოცხალი და მუდმივი მოდელი ყოველივე არსებულისა. ამ პრინციპს პლატონი იდეას ეძახის. იდეა არის დასაწყისი, წყარო არსებობისა და ცოდნისა; იგი არის უცვლელი, მუდმივი ჭეშმარიტება, მუდმივი მშვენიერება, მუდმივი სამართლიანობა, უნაკლულო უაღრესობა ან ნამდვილი სიკეთე; იდეა ღმერთია ერთობა ღმერთთან ყოველ ადამიანის სულის მიზანია. „რა სანატრელია, ამბობს პლატონი, იმ მომაკვდავის ხვედრი, რომელიც ეღირსება სჭვრიტოს შეურეველი, წმინდა და მარტივი მშვენიერება, არა ხორცშესხმული, არამედ მოშორებული ყოველივე იმას, რაც წარმავალია! რა ბედნიერია იგი, რომელიც პირის-პირ დაინახავს თავის ერთად-ერთ უცვლელ სახით ღვთაებრივ მშვენიერებას“.

პლატონის მორალი (სწავლა ზნეობაზე) მის მეტაფიზიკურ თეორიასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. „ჩვენ უნდა ვსცდილობდეთო, ამბობს პლატონი, რაც შეიძლება მალე განვშორდეთ ამ მიწიერ საცხოვრებელ ადგილს. ეს განშორება უნდა იყოს მიმზგავსება ღმერთისა, რამდენადაც შეგვიძლია; ღმერთის მიმზგავსება კი შეუძლია ადამიანს სამართლიანობით, სიწმინდით და სიბრძნით“. რაც შეეხება პოლიტიკურ კითხვებს, პლატონი ჰფიქრობს, რომ ინდივიდი, პიროვნება არაფერია და სახელმწიფო კი ყველაფერი; ასეთ შეხედულებით, პიროვნება და ყველა მისი უფლება მსხვერპლად უნდა შეეწიროს უპიროვნო არსებას, რომელსაც სახელმწიფოს (ძველად თემს) ეძახიან. პირადი თავისუფლება, ინიციატივა, კერძო მფლობელობა უნდა მოისპოს, რომ არ შეფერხდეს სახელმწიფოს ყოვლის შემძლებლობა.

11. არისტოტელე. პლატონს უნდა დავუპირდაპიროთ არისტოტელე. ეს დიდებული ფილოსოფოსი და დიდებული მეცნიერი დაიბადა სტაგირაში (ხალკიდიკა) 384 წელს ქრისტეს დაბადებამდე. არისტოტელე პლატონის მოწაფე იყო ათინაში და ყოველთვის დიდ პატივს სცემდა მასწავლებელს, თუმცა ბევრში მისი თანახმა არ იყო. შემდეგ იგი გახდა ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი. 334 წელს არისტოტე-

ლემ დაარსა ათინაში ფილოსოფიური სკოლა, რომელსაც პერიპათეტიკოსების (მოსეირნეთა სკოლა) სკოლას ეძახდნენ, რადგან მასწავლებელი დადიოდა და ისე ესაუბრებოდა და ასწავლიდა მოწაფეებს. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ მაკედონელების მომხრე ფილოსოფოსი იძულებული შეიქნა ათინიდან წასულიყო; იგი მოკვდა ევბეას ხალკისში 322 წელს.

არისტოტოლეს თხზულებები ნამდვილი ენციკლოპედია იყო იმ დროის ყოველგვარ მეცნიერებისა. ჩვენამდე მათ უვნებლად არ მოუღწევია, მაგრამ მაინც ბევრი გაქვს ფილოსოფოსის ნაწერებიდან. უმთავრესი ნაწერებია: „ეტიკა“ (ზნეობა), „პოლიტიკა“, „რეტორიკა“, „პოეტიკა“, „ცხოველების ბუნებრივი ისტორია“ და სხვ.

არისტოტელე.

არისტოტელეს არ სწამს უაღრესი მიზეზი, არსებულის მოდელი, რომელსაც პლატონი იდეას უწოდებს. მას სწამს

მხოლოდ ის იდეა, რომელიც თვით საგანშია განხორციელებული; არისტოტელეს აზრით, არსება ინდივიდუალურია, ინდივიდუალობაში იმყოფება და ინდივიდუალობა კი მოქმედებაში: რაც არსებობს, მოქმედებს და რაც მოქმედებს, არსებობს. ბუნება განუწყვეტლივ მოქმედებაშია; იგი მიდის მაღლა, დაბალ ფორმებიდან მაღალ ფორმებამდე, მინერალიდან მცენარემდე და ასე ამ გვარად ღმერთამდე. ბუნების უკანასკნელი და უუსრულესი მოქმედება აზრია. ღმერთი უუსრულესი აზრია.

რაც შეეხება ზნეობრივ სწავლას, არისტოტელე ამბობს, რომ ადამიანის უაღრესი აკტი, მოქმედება გონების ვარჯიშობა არის. სათნოება გონების შედეგია. სოციალურ სათნოებათა შორის უდიდესია მეგობრობა და სამართლიანობა; პირველი თანასწორობაა, მეორე ამ თანასწორობის პატივისცემა.

არისტოტელეს პოლიტიკური შეხედულებაც დიდათ განისხვავება პლატონის შეხედულობისაგან: სახელმწიფო უნდა იყოს თავისუფალ და თანასწორ პირების კრებულიო, ამბობს სტაგირიტი. რომ მონობის დაცვა არა, არისტოტელეს შეხედულება 1789 დიდ რევოლიუციის დოკტრინა იქნებოდა. იგი არ თხოულობს პლატონსავით ოჯახისა და საკუთრების მოსპობას; იგი მომხრეა ხალხის სუვერენიტეტისა უაღრეს უფლებიანობა) და ამტკიცებს, რომ ყოველ რევოლიუციის მიზეზი ნამდვილ თანასწორობის დარღვევა არისო.

12. ახალი ფილოსოფიური სკოლები: პირონისმი, ეპიკურეისმი და სტოიცისმი. არისტოტელეს შემდეგ ბერძნულმა ფილოსოფიამ თავი მიანება მაღალ მეტაფიზიკურ კითხვებს და ხელი ჩასჭიდა მორალს. გაჩნდა რამდენიმე სკოლა, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდა ქვეყნის ისტორიაზე.

პირონისმი (დამაარსებელი ფილოსოფოსი პირონი იყო) უკიდურესი სკეპტიცისმია; იგი არც არაფერს ამტკიცებს, არც არაფერს უარყოფს; ბრძენისათვის ყველაფერი ერთია: სისაღე თუ ავათმყოფობა, სიმდიდრე თუ სიღარიბე; ყველა მისი ცდის მიზანი უნდა იყოს სულის სიმშვიდე და აღუშფოთველობა.

ეპიკურეისმი უფრო განთქმული სწავლაა. ამ სკოლის დამაარსებელი იყო ეპიკუროს ათინელი (327—270). იშვიათად ყოფილა, რომ ვინმეს ასეთი თაყვანის მცემლები და ცილის მწამებლები ჰყოლოდეს. მოწაფეები აღმერთებდნენ მას; რომაელი პოეტი ლუკრეციუსი ლაპარაკობს მაზედ, როგორც ღვთაებრივ გენიოსზე; მოწინააღმდეგენი კი საშინლად ლანძღავდნენ და მის სწავლას უკიდურეს განცხრომის ქადაგებად სთვლიდნენ.

ეპიკუროსი ამბობს, რომ გრძნობიერობაა ერთად-ერთი წყარო ცოდნისა. დემოკრიტესთან ერთად იგი ამტკიცებს, რომ ქვეყნის შექმნა და არსებობა ატომების მოძრაობისა და მათი სხვა და სხვა გვარ შეერთების შედეგია. ეპიკუროსი წინააღმდეგი იყო ბედის წერის თეორიისა და იცავდა სულის თავისუფლებას. „რაღა გამოსადეგია ღმერთების შიშის მოსპობა, თუ მის მაგიერ გაკიჩენთ უფრო საშინელ და აუცილებელ ბედის წერის შიშს!“

ეპიკუროსის მორალი იმას ამბობს, რომ სიკეთე უნდა ვეძიოთ ბუნებაში და ამ ბუნების თანახმად ცხოვრებაში. ზოგიერთ მოწაფემ თავისებურად გაიგო ეს პრინციპი; ბუნების თანახმად ცხოვრება მათთვის კუჭის დაკმაყოფილება იყო. ამიტომაც მოხდა, რომ ეპიკუროსს ამდენი დაუმსახურებელი კიცხვა და ლანძღვა შეხვდა. ეპიკუროსისათვის სიკეთე წარმავალი სიამოვნება კი არ ყოფილა, არამედ წარუვალი.

სტოიცისმი ადამიანის უმშვენიერესი ცდაა ამ ქვეყნის უბადრუკობაზე მაღლა დადგომისა; იგი დიდებაა ადამიანის ნების ძალისა, რომელიც იმარჯვებს უსაშინელეს უბედურებაზე და გაჭირვებაზე. სტოიცისმი გაჩნდა ისეთ დროს, რომელიც მეტად მდიდარი იყო ყოველ-გვარ უბედურებით, და გახდა თავშესაფარი ამაღლებულ სულისა და ძლიერ ხასიათის პატრონთათვის; მან იხსნა ადამიანი სასოწარკვეთილებისა და განცხრომისაგან. და ამაზედ უკეთეს ქების თქმა ხომ შეუძლებელია!

სტოიცისმის დამაარსებელი ზენონი, კაცობრიობის დიდი კეთილის მყოფელი, დაიბადა კუნძულ კიპროსზე 358 წელს. გალარიბების შემდეგ იგი მოვიდა ათინაში და ყურს უგდებდა კინიკ კრატესის ლექციებს. მალე საკუთარი სკოლა გახსნა ერთ გალერეაში ან ბერძნულად, სტოაში, საიდგანაც წარმოსდგა სახელწოდება სტოიცისმი. მიუხედავათ იმისა, რომ ანტიგონ გონატა და პტოლომე ფილადელფი ბევრს სცდილობდნენ მის წაყვანას და ამისთვის ბევრს რასმე პირდებოდნენ, ზენონმა არ მიატოვა ათინა. ათინამ მოქალაქის უფლება მისცა ფილოსოფოსს, მაგრამ მან უარი სთქვა. როცა მოკვდა, ათინელებმა ოქროს გვირგვინი დაადვეს და თემის ხარჯზე დაასაფლავეს იგი კერამიკაში.

სამწუხაროდ ზენონის ნაწერებიდან ჩვენამდე არც ერთს არ მოულწევია. მაგრამ მისი ფილოსოფია დაახლოვებით მაინც ვიცით.

ქვეყანაზე ორი პრინციპი—სული და მატერია—კი არ არსებობს; არის ერთად-ერთი სუბსტანცია; სხეული და სული ერთი და იგივეა. ღმერთი მსოფლიოს განუშორებელი სულია.

ზენონის უმთავრესი დამსახურება მისი მორალია. ადამიანს თვით თავის არსებაში აქვს ერთი პრინციპი, რომელიც შეძლებას აძლევს მას თავიდან აიცილოს ბედისა და ადამიანის დევნა. ეს პრინციპი—ნების ძალაა. ნების ძალა უმთავრესი თვისებაა ადამიანისა; იგი მთელი ადამიანია. ადამიანის დაცემის მიზეზი მის საკუთარ ნების ძალის უარყოფაა. აქედან ზენონს გამოჰყავს შემდეგი აზრი სიკეთეზე: „ჩვენი სიკეთე და სიავე მხოლოდ ჩვენ ნების ძალაშია არის“. ნამდვილი სიკეთე სათნოებაა, ნამდვილი სიავე—ბიწიერება. ასეთის სწავლით სტოიკებმა აამაღლეს და გააკეთილშობილეს ადამიანის ბუნება; არასოდეს ფილოსოფიური დოკტრინა არ ყოფილა ისე ვრცელი და კეთილშობილი, როგორც სტოიცისმი. მან არ იცოდა გარჩევა ადამიანთა შორის: რადგანაც გონებით ადამიანები არიან,

თანასწორებიც არიან. თუ ყველა ადამიანი თანასწორია ზნეობრივ კანონის წინაშე, ისინი მოვალენი არიან ერთმანერთს დაეხმარონ; მსოფლიო ვრცელი სამშობლოა, სადაც ჩნდება ერთმანერთის შეწყალება. „მსოფლიოვ, ამბობდა მარკუს ავრელიუსი, მიყვარს, რაც შენ გიყვარს. მომეცი, რაც გსურს, ისევ წაიღე, რაც არ გინდა რომ მქონდეს. ყველაფერი შენგნით არის: ყველაფერი შენია და შენთან ბრუნდება. ბერძნულ პიესის ერთი გმირი ამბობს: „საყვარელო კეკროპსის თემო“ ო! და მე კი თამამად ვამბობ: საყვარელო თემო იუპიტრისა!“ სტოიკებს უსაყვედურებდნენ გადაჭარბებულ, არა ბუნებრივ მიდრეკილებას სათნოებისადმი, ავათმყოფობისა და სიკვდილის სრულებით არაფრად მიჩნევას. მაგრამ ნამდვილად კი მხოლოდ ის ესაყვედურება მათ, რომ სუსტ სიკვდილის შვილს ბევრს სთხოვდნენ. სტოიცისმის იდეალის განხორციელება ჩვეულებრივ ადამიანის შეძლებას აღემატება; მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ რჩეულებმა გაიგონ იგი და აასრულონ. და განა შეიძლება კიდევ ლაპარაკი საბერძნეთის ეგრედ წოდებულ „დაცემაზე“, როცა იგი ასეთ პირებსა და ისეთ მაღალ დოკტრინებს ჰქმნის?

13. ბერძნული მეცნიერება რომაელების მოსვლამდე. ევკლიდე და არხიმედე. მეცნიერება ფილოსოფიასთან იყო გაერთიანებული საბერძნეთში, მაგრამ ბოლოს იგი გამოიყო და დამოუკიდებელი გახდა. ყველაზე უფრო მათემატიკა განვითარდა. არითმეტიკის წესები, თითქმის იმ სახით, რა სახითაც ეხლა არის, პითაგორას და მის მოწაფეების შემუშავებულია. ერთის ტრადიციით, პითაგორას სიმძიმისა და სიგრძის საზომებიც უნდა შემოეღოს საბერძნეთში. გეომეტრიაც მისი დაწყებული უნდა იყოს აქ. მას შემდეგ მუშაობდნენ ანაქსაგორა კლაძომენელი, ჰიპოკრატე ქიოსელი, რომელსაც პირველად უნდა შეედგინოს გეომეტრის ელემენტები, ევკლიდე და არხიმედე.

ეკკლიდეს უმთავრესი დამსახურება ის არის, რომ თავი მოუყარა გეომეტრიის და არითმეტიკის მეცნიერებიდან ყვე-

ლაფერს, რაც კი იყო მანამდე. ევკლიდე ბოლოს ალექსანდრიაში სცხოვრობდა. ერთხელ მეფეს ეთხოვა მეცნიერისათვის, ეჩვენებინა მისთვის გეომეტრიის შესწავლის არსებულზე უფრო ადვილი გზა. „გეომეტრიაში არ არის ისეთი გზა, რომელიც საგანგებოდ მეფეებისათვის იყოს გაკეთებული“, ეპასუხნა მოსწრებულად ევკლიდეს.

არხიმედე ნამდვილი გენიოსი იყო. იგი დაიბადა სირაკუზში 287 წელს (მისი მამაც მათემატიკოსი და ასტრონომი იყო). ჯერ არხიმედე ალექსანდრიაში იყო ევკლიდესთან და შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, სადაც მალე გაასწრო თავის მასწავლებელს. მექანიკურ გამოგონებათა წყალობით იგი მალე სახელგანთქმული შეიქნა; ამ გამოგონებათა საშუალებით იყო, რომ სირაკუზი სამი წელიწადი გაუმაგრდა რომაელებს. არხიმედე მოჰკლეს ქალაქის აღების დროს.

არხიმედე მრავალ-მხრივი მათემატიკოსი იყო: არითმეტიკაც შესანიშნავად იცოდა, გეომეტრიაც, მექანიკაცა და ფიზიკაც. მის გამოგონებათაგან უფრო ცნობილია—მექანიკაში ეგრედ წოდებული არხიმედეს უბოლოო ვინტი, გამოგონებული ჰიერონის ერთ უზარ-მაზარ გემის დასაცლელად, და ფიზიკაში ეგრედ წოდებული არხიმედეს კანონი *)

---

*) ყოველი სხეული ჰკარგავს წყალში იმდენ სიმძიმეს, რამდენსაც იწონის ამავე სიერცის წყალი.

დ ა ს კ ვ ნ ა

ძველ საბერძნეთის ისტორია საზოგადოთ ცივილიზაციის ისტორია იყო. შესაძლებელია, რომ ბერძნებმა ბევრი რამ ისესხეს აღმოსავლეთიდან, მაგრამ ეს ნასესხები დაუმუშავებელი და გამოურკვეველი იყო. მხოლოდ ბერძნის ზენაარმა ნიჭმა, მდიდარმა გამოხატულებამ და ნათელმა გონებამ გამოიყენა ეს დიდძალი და, უეჭველად, მნიშვნელოვანი მასალა. ბერძენი კაცობრიობის მასწავლებელი და აღმზრდელი შეიქნა ლიტერატურაში და ხელოვნებაში, სადაც იმ თავითვე შეუდარებელი გახდა, და მეცნიერებაშიაც, სადაც იგი უფრო ნელის ნაბიჯით მიდიოდა. მაგრამ არც ეს არის ბერძნების ნამდვილი უაღრესობა. „ღმერთებს არ ემზგავსებიან ბერძნები მაკედონელებშორის“-ო, გულ-მოსულობით სთქვა ერთხელ ალექსანდრემ. ეს სიტყვები სრული ჭეშმარიტებაა. ბერძნები ნამდვილი ღმერთები იყვნენ მაკედონელებსა და სხვა ხალხებ შორის, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ დიდებული ხელოვანები, დიდებული მწერლები და ორატორები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ პირველად მათ შემოიღეს წინედ გამეფებულ ძალ-მომრეობის მაგიერ ორი პრინციპი, რომელიც დღესაც ორი პოლიუსია ჩვენთვის: პრინციპი ადამიანის თავისუფლებისა და პრინციპი ყველას თანასწორობისა კანონის წინაშე. ბერძნული ხელოვნება თვალს ახარებდა, ბერძნული ლიტერატურა ანვითარებდა გონებას, ფილოსოფია ამაღლებდა სულს; მაგრამ ბერძნებმავე შექმნეს ადამიანის უფლების პირველი პრინციპები. მართალია, ბერძენს იმთავითვე არ ჰქონდა სრული წარმოდგენა პიროვნების უფლებებზე. პლატონმა და არისტოტელემაც კი ვერ გაბედეს საბოლოო დასკვნა გამოეყვანათ მათგანვე წამოყენებულ

პრინციპებიდან. მაგრამ ზენონმა ხომ დაამთავრა მათი საქმე და ეს დიდებული კაცი, რომლის სახელი სამართლით ისევე ცნობილი უნდა იყოს, როგორც იმ ორისა, იყო დამფუძნებელი კაცობრიობის უფლებათა. ზენონმა წამოაყენა ადგილობრივ სამშობლოს მაგიერ ვრცელი სამშობლო კაცობრიობისა, რომელზედაც დღეს ჩვენ ვოცნებობთ, დაჰგმო მონობა, გამოაცხადა ყველას ერთობა, თანასწორობა და სოლიდარობა და დაარსა, თუ შეიძლება ეგრე ითქვას, ადამიანის ღირსებისა და ნების ძალის რელიგია.

საბერძნეთის დამოუკიდებლობის მოსპობას არ შეუჩერებია ბერძნულ იდეების გავრცელება. ბერძნები ბოლომდე დარჩნენ ქვეყნის მასწავლებელნი მეცნიერებისა და ხელოვნების ყოველ დარგში და ბარბაროსების შემოსევის შემდეგ მათვე იხსნეს ეს მეცნიერება და ხელოვნება დაღუპვისაგან. თუ ბარბაროსებმა ვერ მოსპეს სრულებით კულტურის ელემენტები, ეს მოხდა ბერძნების წყალობით. კონსტანტინეპოლმა შეინახა და დაიფარა ანტიურ კულტურის მემკვიდრეობა, რასაკვირველია, ცოტა შემცირებული, და თავის დროზე მიაწოდა დასავლეთს. საბერძნეთის ლიტერატურისა და ხელოვნების გაბნეულ ნაშთებიდან დაიწყო, ფეოდალურ ეპოქის შემდეგ, განახლების ხანა და ბერძნულ ფილოსოფიის გაკვეთილებიდან შეითვისა ევროპიელმა პიროვნების განთავისუფლების აზრი. როცა ბარბაროსებისგან დამონავებული საბერძნეთი აჯანყდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებლობის საშოვნელად, მთელი ევროპა მარტო პოლიტიკურ ინტერესებისათვის როდი გამოექომაგება მას; მიზეზი უფრო ღრმა და ნაკლებ წარმავალი იყო: საბერძნეთის დახსნით კაცობრიობამ ვალი გადაუხადა იმ ხალხს, რომელმაც ამდენი კეთილშობილი და ძალალი გრძნობა, ამდენი დიდებული იდეები და დიდებული ნაწარმოები შემოიტანა მსოფლიოს სალაროში. ამდენი საუკუნე გავიდა და ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთი გვინათებს გზას საბოლოო განთავისუფლებისაკენ. ძველი ათინელები რომ პირეოსს უახლოვდებოდნენ გემით, აკროპოლისზე დადგმულ პალადა

ათინას ბრწყინვალე ოქროს ჯილას უყურებდნენ და ისე მიჰყავ-
დათ გემი; განა პალადა ათინა ფეხზე არა დგას და ჩვენ არ
მივისწრაფით მისაკენ, როგორც უკვდავ ჭეშმარიტებისა, სამარ-
თლიანობისა და გონებისაკენ?



ათინური ფული—ტეტრადრაჭმა*) (ორივე მხარე)



იგივე ფული უფრო ძველ დროისა.

*) 108 კაპ.